ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მაცნე

ისტორიის, არქეოლოგიის,
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

3. 1971

83

# საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
## საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება

# АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
## Отделение общественных наук

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

БИБЛИОТЕКА

60

თბილისი · 1971 · ТБИЛИСИ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# МАЦНЕ

ВЕСТНИК

Серия истории, археологии, этнографии и истории искусства

3 1971

(47.93)05
ეროვნული ბიბლიოთეკა
მ-42

# მაცნე

ისტორიის, არქეოლოგიის,
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

3. 1971

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარედაქციო კოლეგია: ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, ვ. გაბაშვილი, ი. კაჭარავა (*რედაქტორის მოადგილე*), რ. კიკნაძე (*რედაქტორის მოადგილე*), გ. მელიქიშვილი (*რედაქტორი*), შ. მესხია, გ. ჩიტაია, ლ. ჭილაშვილი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: А. М. Апакидзе, В. В. Беридзе, В. Н. Габашвили, Ю. М. Качарава *(зам. редактора)*, Р. К. Кикнадзе *(зам. редактора)*, Г. А. Меликишвили *(редактор)*, Ш. А. Месхиа, Л. А. Чилашвили, Г. С. Читая

პასუხისმგებელი მდივანი ე. ვაშაკიძე
*Ответственный секретарь* Э. Вашакидзе

# ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ

## ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ


Ი. ᲙᲐᲭᲐᲠᲐᲕᲐ, საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლა ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის წინააღმდეგ . . . . . . . . . . . 7

Ე. ᲖᲔᲜᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ, თავრიზის რუსულ-სპარსული სკოლის ისტორიიდან . . . 36

Რ. ᲛᲔᲤᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ, სოფელ ხეითის ძეგლი საბა-წმინდა . . . . . . . 49

Ვ. ᲑᲐᲠᲓᲐᲕᲔᲚᲘᲫᲔ, მთისა და ბარის მოსახლეობის ურთიერთობის ისტორიიდან საქართველოში . . . . . . , . . . . . . . . . . 64

Ე. ᲛᲐᲛᲘᲡᲗᲕᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ, საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან XV ს. 70-იან წლებში . . . . . . . . . . . . . . 77

Გ. ᲚᲔᲟᲐᲕᲐ, უძველესი ხის არქიტექტურა ქსენოფონტის „ანაბასისის“ მიხედვით . . 90


## ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐ


Გ. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ, კლასობრივ საზოგადოებათა ტიპოლოგიური და სტადიალური კლასიფიკაცია და უძველესი კლასობრივი საზოგადოებების ხასიათის საკითხი . . 104


## ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ


Შ. ᲨᲐᲚᲕᲐᲨᲕᲘᲚᲘ, სიღნაღის მაზრის გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან . 128

Გ. ᲖᲔᲓᲒᲘᲜᲘᲫᲔ, ბოგდან გურჯიცკის ვინაობისათვის . . . . . . . 138

Თ. ᲑᲔᲠᲐᲫᲔ, ოდიშის სამთავროს რუკა არქანჯელო ლამბერტის მიხედვით . . . 143

Დ. ᲛᲔᲒᲠᲔᲚᲐᲫᲔ, „ქელმწიფის კარის გარიგების“ ერთი ადგილის წაკითხვისათვის . . 156

Ზ. ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲫᲔ, დავით კობაირელის „მოსახსენებლის“ ერთი ადგილის განმარტებისათვის . 165


## ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ


Მ. ᲒᲔᲒᲔᲨᲘᲫᲔ, საბჭოთა საქართველოს საზოგადოებრივი განვითარების პრობლემები . . 170

Მ. ᲨᲘᲚᲐᲙᲐᲫᲔ, Alexander Buchner, Musikinstrumente der Volker . . . 176


## ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ


Ნ. ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲘᲐ, ენგურის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე მუშაობის წინასწარი შედეგები . . . . . . . . . . . . . . 180

Აპ. ᲙᲐᲪᲐᲫᲔ, ᲔᲚ. ᲥᲕᲐᲗᲐᲫᲔ, საერთაშორისო კონგრესი აგრიკულტურის საკითხებზე . 182

„საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ I და V ტომების განხილვა . . . . 183


## ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲗᲐᲠᲘᲦᲔᲑᲘ


Მ. ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ, დიდგორის ბრძოლა . . . . . . . . . . 185

Დ. ᲙᲐᲞᲐᲜᲐᲫᲔ, (ნეკროლოგი) . . . . . . . . . . . . 192

ეროვნული ბიბლიოთეკა

# СОДЕРЖАНИЕ

## СТАТЬИ

Ю. КАЧАРАВА, Борьба коммунистической партии Грузии против троцкистско-зиновьевской оппозиции . . . . . . . . . . 7
Э. ЗЕНАИШВИЛИ, Из истории тавризской русско-персидской школы . . 36
Р. МЕПИСАШВИЛИ, Церковь св. Саввы в сел, Хеити . . . . . 49
Б. БАРДАВЕЛИДЗЕ, Из истории взаимоотношений населения горных и низменных районов Грузии . . . . . . . . . 64
Э. МАМИСТВАЛИШВИЛИ, Из истории внешних отношений Грузии в 70-ых годах XV в. . . . . . . . . . . . . . . 77
Г. ЛЕЖАВА, Древнейшая деревянная архитектура по «Анабасису» Ксенофонта . 90

## ДИСКУССИЯ И ОБСУЖДЕНИЕ

Г. МЕЛИКИШВИЛИ, Типологическая и стадиальная классификация классовых обществ и вопрос о характере древнейших классовых обществ . . . 104

## СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

Ш. ШАЛВАШВИЛИ, Из истории революционного движения крестьян сигнахского уезда . . . . . . . . . . 128
Г. ЗЕДГИНИДЗЕ, К вопросу о личности Богдана Гурджицкого . . . . 138
Т. БЕРАДЗЕ, Карта одишского княжества по данным Арканджело Ламберти . 148
Д. МЕГРЕЛАДЗЕ, К чтению одного места в «Распорядке царского двора» . 156
З. АЛЕКСИДЗЕ, К толкованию одного места в «Ишатакаране» Давида Кобайрского . . . . . . . . . . . . . . . . 165

## КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

М. ГЕГЕШИДЗЕ, Проблемы общественного развития Советской Грузии . . 170
М. ШИЛАКАДЗЕ, Alexander Buchner, Musikinstrumente der Volker . . . . . . 176

## ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

Г. ГРИГОЛИЯ, Предварительные итоги полевых работ Энгурской археологической экспедиции . . . . . . . . . . . 180
А. КАЦАДЗЕ, Ел. КВАТАДЗЕ, Международный конгресс по вопросам агрикультуры . . . . . . . . . . . 182
Обсуждение I и V томов «Очерки по истории Грузии» . . . . . . . 183

## ИСТОРИЧЕСКИЕ ДАТЫ

М. ЛОРДКИПАНИДЗЕ, Дидгорская битва . . . . . . . 185
Д. Г. КАПАНАДЗЕ (некролог) . . . . . . . . . 192

ელექტრონული ბიბლიოთეკა

იური კაჭარავა

# საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლა ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის წინააღმდეგ

სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია სრულიად ბუნებრივად იწვევდა საზოგადოებრივი კლასის პოლიტიკური აქტივობის ზრდას. უკანასკნელი ექსპლუატატორული კლასი — კულაკობა აშკარად გრძნობდა, რომ ფეხქვეშ ნიადაგი ეცლებოდა, ამიტომ გააფთრებით აღუდგა წინ საბჭოთა ხელისუფლების სამეურნეო და პოლიტიკურ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართული იყო ქვეყნის სოციალისტური რეკონსტრუქციისაკენ. კულაკობის წინააღმდეგობის გატეხვა მშვიდობიანი გზით შეუძლებელი აღმოჩნდა, კლასობრივმა ბრძოლამ უაღრესად გამწვავებული ხასიათი მიიღო. ამან თავის გამოხატულება ჰპოვა მმართველი პარტიის შიგნითაც: თავი წამოყვეს ოპოზიციურმა ჯგუფებმა და სხვადასხვა ანტიპარტიულმა ელემენტებმა, მათ შორის მთავარ საფრთხეს წარმოადგენდა ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიცია[1].

პარტიის XIV ყრილობაზე „ახალი ოპოზიციის“ დამარცხების შემდეგ 1926 წლის ზაფხულში ტროცკიზმის პლატფორმაზე გაერთიანდნენ ზინოვიეველები და ტროცკისტები, მათ თავიანთ გარშემო შემოიკრიბეს ყველა დამარცხებულ ოპოზიციურ დაჯგუფებათა ნამსხვრევები და ამ ანტიპარტიული ბლოკის სახით ახალი, ანტილენინური პარტიის შეკოწიწებას შეუდგნენ. „სხვადასხვა ჯურის ყველა ეს ანტიპარტიული ელემენტები ასახავდნენ ჩვენს ქვეყანაში კაპიტალისტური კლასების ნაშთების ინტერესებს, ქალაქის წვრილი ბურჟუაზიისა და ბურჟუაზიული ინტელიგენციის ზედაფენის უკმაყოფილებას პროლეტარიატის დიქტატურის რეჟიმით. ისინი წარმოადგენდნენ კლასობრივი მტრების აგენტურას პარტიის შიგნით, მტრული კაპიტალისტური გარემოცვის რუპორს“[2].

ტროცკისტულ-ზინოვიევურ ბლოკთან, როგორც ცნობილია, პარტიის პრინციპული უთანხმოების ძირითადი საკითხი იყო საბჭოთა კავშირში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის საკითხი. ტროცკისტები უარყოფდნენ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობას. პარტიას, ემყარებოდა რა იგი ვ. ი. ლენინის მითითებას იმის შესახებ, რომ ჩვენს ქვეყანაში არის ყველაფერი სრული სოციალისტური საზოგადოების ასაშენებ-

[1] История Коммунистической Партии Советского Союза“, (в шести томах), т. IV, кн. I, стр. 451—465.

[2] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია, 1959, გვ. 506.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად, მტკიცედ მიჰყავდა ქვეყანა სოციალისტური მშენებლობის ლენინური გეგმის განხორციელებისაკენ.

ტროცკისტულ-ზინოვიევურ ოპოზიციას პირველ რიგში მიქონდა იერიში ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ლენინური გეგმის წინააღმდეგ და რაღაც საეჭვო „ზეინდუსტრიალიზაციის“ გეგმით გამოდიოდა. იგი უარყოფდა გლეხური მეურნეობის სოციალისტური გზით განვითარების შესაძლებლობას და მოითხოვდა გლეხების დაბეგვრას მაღალი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით, იგი, ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიცია, გლეხურ მეურნეობას განიხილავდა როგორც „კოლონიას“, რომელსაც უნდა დაეფინანსებინა ტროცკისტული „ზეინდუსტრიალიზაციის“ გეგმები. ლენინური პარტია, რასაკვირველია, ასეთ გზას ვერ დაადგებოდა, პროლეტარიატის მოკავშირის — გლეხობის მიმართ იგი ტროცკისტულ პოლიტიკას ვერ გაატარებდა, რადგან პარტიას არ შეეძლო ეშენებინა სოციალიზმი მუშათა კლასთან გლეხობის კავშირის გარეშე, უფრო მეტიც, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცების გარეშე შეუძლებელი იყო თვით პროლეტარიატის დიქტატურის, საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნებაც. ამიტომ პარტიამ სამართლიანად დაახასიათა ტროცკისტული პლატფორმა როგორც კაპიტულანტური პლატფორმა.

ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკი, ხედავდა რა პარტიის მხრივ მტკიცე წინააღმდეგობას, ცდილობდა თავისი ხაზის გატარების უზრუნველსაყოფად მიეღწია ფრაქციებისა და ჯგუფების თავისუფალი არსებობისათვის პარტიაში, ძირს უთხრიდა პარტიის ერთიანობის შესახებ რკპ(ბ) X ყრილობის ლენინურ გადაწყვეტილებას, სახელს უტეხდა პარტიულ აპარატს, და, ვითომდა ი. ბ. სტალინის წინააღმდეგ ბრძოლის დროშით, ცდილობდა ლენინიზმი შეეცვალა ტროცკიზმით.

ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკი კაპიტულანტურ პლატფორმაზე იდგა საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის საკითხებშიც და დეზორგანიზატორულ-გამთიშველ ხაზს ატარებდა საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში, კომუნისტურ ინტერნაციონალში.

საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის 1926 წლის ივლისის გაერთიანებულმა პლენუმმა საფუძვლიანად ამხილა ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკის ანტიპარტიული, გამთიშველი ხასიათი. პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილება პარტიულმა მასებმა მოიწონეს ყველგან, მოიწონეს საქართველოშიც, როდესაც ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელ ორგანოთა გაერთიანებულმა კრებამ მოისმინა ს. ორჯონიკიძის მოხსენება ივლისის პლენუმის შედეგების შესახებ. მიუხედავად ამისა, ტროცკისტულ-ზინოვიევურ ოპოზიციას გამოუჩნდნენ მიმდევრები საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

პარტიამ, მისმა ლენინურმა ცენტრალურმა კომიტეტმა 1926 წლის ივლისის პლენუმზე სერიოზულად გააფრთხილა ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკის მონაწილენი, მაგრამ ისინი უკვე არაფერს არ უწევდნენ ანგარიშს. პირიქით, 1926 წლის შემოდგომაზე ტროცკისტულ-ზინოვიევურმა ანტიპარტიულმა ბლოკმა აშკარა გამოხდომა მოაწყო პარტიის წინააღმდეგ მოსკოვში, ლენინგრადში და სხვა ქალაქებში. მან განსახილველად წამოაყენა საკუთარი პლატფორმა, სადისკუსიოდ იწვევდა პარტიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის ხელმძღვანელები — კ. ცინცაძე, მ. ოკუჯავა, ლ. დუმბაძე, ბ. კალანდაძე, პ. ხალუცკი, ნ. კიკნაძე და სხვები. რასაკვირველია, ვერ ჩამორჩებოდნენ ცენტრს და იმავე 1926 წლის შემოდგომაზე თბილისში, როდესაც პარტიული ორგანიზაციების აქტივი იხილავდა საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის ივლისის გაერთიანებული პლენუმის შედეგებს[3], ისინი თავს დაესხნენ პარტიას. მათ სურდათ ჩაეშალათ პარტიული კრებები და განხეთქილება გამოეწვიათ ორგანიზაციაში. მაგრამ ოპოზიციონერთა გამოხდომა, ისე როგორც ცენტრში, აქაც სრული მარცხით დამთავრდა. პარტიული აქტივის კრებაზე დამსწრე 3 ათასი კომუნისტიდან ოპოზიციას მხარი დაუჭირა მხოლოდ 25 კაცმა[4].

ადგილობრივი ოპოზიციის წინააღმდეგ გაილაშქრა თბილისის პარტიული ორგანიზაციის საქალაქო კომიტეტის პრეზიდიუმმა 1926 წლის 9 ოქტომბერს[5]. ამავე საკითხს მიეძღვნა თბილისის კომიტეტის პლენუმი იმავე წლის 14 ოქტომბერს. აქ ოპოზიციის ანტიპარტიულ-გამთიშველი საქმიანობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა მ. კახიანი, ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის წინააღმდეგ ენერგიულად გაილაშქრეს ისეთმა ძველმა ბოლშევიკებმა, როგორიც იყვნენ მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, ვ. სტურუა და სხვები[6].

ტროცკისტულ-ზინოვიევურ გამოლაშქრებას საკადრისი პასუხი გასცეს არა მარტო საქალაქო და სამაზრო პარტიული აქტივების კრებებზე, არამედ პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზეც. ოპოზიციონერებმა სასტიკი დამარცხება განიცადეს 1926 წლის 8 ოქტომბერს ქუთაისის რკინიგზის სკოლის პარტიულ კრებაზე, 10 ოქტომბერს ხონში პარტიისა და კომკავშირის გაერთიანებულმა კრებამ მხარი დაუჭირა მომხსენებლის — ფ. მახარაძის რეზოლუციას, 17 ოქტომბერს სამტრედიის პარტიისა და კომკავშირის გაერთიანებულმა კრებამ, რომელსაც ესწრებოდნენ ალ. გეგეჭკორი, გ. სტურუა და ე. კვანტალიანი, დაგმო ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიცია. 20 ოქტომბერს ტყიბულსა და ვანში პარტიისა და კომკავშირის გაერთიანებულ კრებებზე მხარი დაუჭირეს ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს და ასე შემდეგ[7].

ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის ანტიპარტიული საქმიანობის შესახებ დიდ-დიდ ქალაქებში პარტიული აქტივის კრებებზე მოხსენებებით გამოდიოდნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწეები. სოხუმის საქალაქო პარტიულ კრებაზე 1926 წლის 19 ოქტომბერს გამოვიდა მიხეილ კალინინი. მან თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ „პარტიამ სასტიკი პასუხი გასცა ყველა იმათ, ვინც შეეცადა რღვევის შეტანას მის რიგებში, ოპოზიციის ხმების უმნიშვნელო რაოდენობამ დაამტკიცა, თუ რამდენად შეურყეველია ჩვენი პარტიის რიგები. ვერავითარი ოპოზიციური ბრძოლა ვერ შეარყევს პარტიის მთლიანობას, ვინაიდან თვით მასები დგანან ამ მთლიანობის სადარაჯოზე“[8]. ყველგან გმობდნენ პარტიული მა-

---

3 სკკპ რეზოლუციებში, ნაწ. II, 1955, გვ. 349—376.

4 გაზ. „კომუნისტი“. 1926 წლის 10 ოქტომბერი.

5 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14. აღწ. I, საქ. 1756, ფ. 303—304.

6 იქვე, ფ. 17, აღწ. I, საქ. 824, ფ. 44—46.

7 იქვე, ფ. 14, საქ. 1927, ფ. 1—14.

8 გაზ. „კომუნისტი“, 1926 წლის 20 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სები ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის ანტიპარტიულ საქმიანობას. ასეთივე ბედი ეწია ოპოზიციას მთელ საბჭოთა კავშირში, ისინი პარტიული მასებისაგან იზოლირებულნი აღმოჩნდნენ.

ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკის ლიდერები უკვე მიხვდნენ, რომ საქმე ცუდად წაუვიდოდათ და გადაწყვიტეს ერთხელ კიდევ შეეყვანათ პარტია შეცდომაში, შეენარჩუნებინათ თავი პარტიის რიგებში და ფარულად გაეგრძელებინათ თავიანთი ანტიპარტიული საქმიანობა. პარტიის ცენტრალურ კომიტეტში განცხადებით შევიდნენ ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკის ლიდერები — ტროცკი, ზინოვიევი, კამენევი, პიატაკოვი. სოკოლნიკოვი და ევდოკიმოვი. ისინი გმობდნენ თავიანთ ფრაქციულ მუშაობას, ინანიებდნენ ცოდვებს და თან განაგრძობდნენ ფარულ ძირგამომთხრელ მუშაობას პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ.

ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიცია არ იყო გულწრფელი პარტიისა და ხალხის წინაშე. სიტყვით აცხადებდა ერთს, საქმით აკეთებდა მეორეს, რომელსაც საწევრო ანარიცხებს კრეფდა ოპოზიციის წევრებისაგან, ქმნიდა არალეგალურ სტამბებს, ბეჭდავდა და ავრცელებდა ანტიპარტიულ დოკუმენტებს, მართავდა არალეგალურ კრებებს და სხვ.

ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკის მხილების საქმეში დიდი როლი შეასრულა სრულიად საკავშირო XV პარტიულმა კონფერენციამ, რომელიც ჩატარდა 1926 წლის ოქტომბერ-ნოემბერში.

XV პარტიულ კონფერენციაზე და კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის პლენუმზე მოხსენებებით გამოვიდა ი. ბ. სტალინი. მან ილაპარაკა ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებზე. ი. ბ. სტალინის მოხსენებებმა და კონფერენციისა და პლენუმის გადაწყვეტილებებმა უზრუნველყვეს ლენინური პარტიის შემდგომი შემჭიდროება და ტროცკიზმის იდეური მარცხი[9].

XV პარტიული კონფერენციის მიერ ი. ბ. სტალინის მოხსენების გამო მიღებული დადგენილება — „ოპოზიციური ბლოკის შესახებ საკავშირო კომპარტიაში“, წარმოადგენს ტროცკისტული ოპოზიციის მენშევიკური არსის ღრმა და ამომწურავ შეფასებას. კონფერენციამ ნათლად ჩამოაყალიბა ოქტომბრის რევოლუციის ხასიათისა და პერსპექტივების შესახებ ლენინური თვალსაზრისი და ამხილა ტროცკისტული შეხედულების თეორიული უსუსურობა და პოლიტიკური მავნებლობა. კონფერენციამ ტროცკისა და მის თანამოაზრეთა პოზიცია ჩათვალა „სოციალ-დემოკრატიულ გადახრად ჩვენს პარტიაში“...[10] და დაასაბუთა სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობა საბჭოთა კავშირში.

XV კონფერენციამ, აგრეთვე, ამხილა ოპოზიციური ბლოკის პრაქტიკული პლატფორმა და მისი უმნიშვნელოვანესი თავისებურებანი შემდეგი ძირითადი პუნქტებით განსაზღვრა:

ა. საერთაშორისო მოძრაობის საკითხები. ამ საკითხში კონფერენციამ პარტიის პლატფორმა შემდეგი სახით ჩამოაყალიბა: პარტია ემყარებოდა იმას, რომ მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნები იმყოფებიან საერთოდ და მთლიანად ნაწილობრივი, დროებითი სტაბილიზაციის მდგომარე-

---

[9] სკკპ რეზოლუციებში, ნაწ. II, 1955, გვ. 510.

[10] იქვე, გვ. 431.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობაში, რომ ამჟამად რევოლუციათა შორის პერიოდია, რაც კომუნისტურ პარტიებს ავალებს მოამზადონ მუშათა კლასი მომავალი რევოლუციისათვის, ამისთვის საჭიროა მუშათა კლასის ერთიანობა, მათი ჩამოშორება რეფორმისტული პროფკავშირებისა და მეორე ინტერნაციონალისაგან, ამიტომ კონფერენციამ აღიარა ერთიანი ფრონტის ტაქტიკის აუცილებლობა კომუნისტური პარტიებისათვის.

ოპოზიცია კი სულ სხვა წანამძღვრებს ემყარებოდა. რაკი მას არ სწამდა ოქტომბრის „რევოლუციის შინაგანი ძალები“ და სასოწარკვეთილებას ეძლეოდა „მსოფლიო რევოლუციის დაგვიანების გამო“, ეშვებოდა ავანტურიზმის პოზიციებზე, უარყოფდა ნაწილობრივი კაპიტალისტური სტაბილიზაციის არსებობას, და ამრიგად, დგებოდა „პუტჩიზმის გზაზე“, აქედან გამომდინარეობდა ოპოზიციის მოთხოვნა ერთიანი ფრონტის ტაქტიკის გადასინჯვისა, ინგლის-რუსეთის კომიტეტის ჩაშლისა და სხვა. კონფერენციამ დაგმო ოპოზიციის ეს მოთხოვნა.

ბ. **პროლეტარიატი და გლეხობა სსრ კავშირში.** პარტია ემყარებოდა იმას, რომ „დიქტატურის უმაღლესი პრინციპია პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირის დაცვა, რათა პროლეტარიატმა შეძლოს ხელმძღვანელი როლისა და სახელმწიფო ძალაუფლების შენარჩუნება“ ...რომ ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დაეყრდნობა იმას, რომ თანდათანობით გაუმჯობესდეს მატერიალური მდგომარეობა გლეხობის უმრავლესობისა... რომელიც ძირითად ბაზარს წარმოადგენს ჩვენი ინდუსტრიისათვის, რომ, ამის გამო, უნდა ტარდებოდეს ისეთი ეკონომიური პოლიტიკა (ფასების პოლიტიკა, საგადასახადო პოლიტიკა და სხვ.) რომელიც განამტკიცებს ინდუსტრიის კავშირს გლეხურ მეურნეობასთან და იცავს მუშათა კლასისა და გლეხობის ძირითადი მასის კავშირს“[11].

ოპოზიცია კი სულ სხვა წანამძღვრებს ემყარებოდა. რაკი იგი გლეხობის საკითხში დაშორდა მარქსიზმ-ლენინიზმს, უარყო გლეხობის მიმართ პროლეტარიატის ჰეგემონია სოციალისტურ მშენებლობაში, გლეხობა მტრულ ძალად გამოაცხადა, ამიტომ „ოპოზიციური ბლოკი აყენებს ისეთ ეკონომიურ და საფინანსო ღონისძიებებს, რომლებსაც შეუძლიათ მხოლოდ ჩაშალონ ქალაქის კავშირი სოფელთან, დაარღვიონ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი და ამით ძირი გამოუთხარონ ნამდვილი ინდუსტრიალიზაციის ყოველგვარ შესაძლებლობას“[12]. ასეთი იყო მაგალითად: ა. ოპოზიციის წინადადება სამრეწველო საქონლის გასაცემი ფასების გადიდების შესახებ, რაც გამოიწვევდა საცალო ფასების გადიდებას, ბაზრის ტევადობის შემცირებას, ჩერვონეცის კურსის დაცემას, რეალური ხელფასის შემცირებას, ბ. ოპოზიციის წინადადება გლეხობის მაქსიმალური საგადასახადო კანონით დაბეგვრის შესახებ, რაც შექმნიდა ბზარს მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირში, ამი-

---

[11] სკკპ რეზოლუციებში, ნაწ. II, 1955, გვ. 433—434.

[12] იქვე, გვ. 434.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტომ კონფერენციამ, ოპოზიციური ბლოკის პოლიტიკა გლეხობის მიმართ, როგორც ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და პროლეტარიატის დიქტატურის ინტერესებისადმი შეუსაბამო, დაგმო და უკუაგდო.

გ. პარტიული აპარატის წინააღმდეგ ბრძოლა პარტიაში ბიუროკრატიზმთან ბრძოლის ალმით. პარტია ემყარებოდა იმას, რომ პარტიული აპარატი და პარტიული მასები ერთ მთელს შეადგენენ, რომ პარტიული აპარატი განასახიერებს მთლიანად პარტიის ხელმძღვანელ ელემენტს, რომ პარტიული აპარატი შედგება პროლეტარიატის საუკეთესო ადამიანებისაგან, რომლებიც შეიძლება და საჭიროა გააკრიტიკონ შეცდომებისათვის, რომლებიც შეიძლება და საჭიროა გადაახალისო, მაგრამ რომლებიც არ შეიძლება გააბიაბრუო ისე, რომ ამით რღვევის საფრთხე არ შეექმნას პარტიას, რომ უიარაღოდ არ დარჩეს იგი[13].

ოპოზიციური ბლოკი, პირიქით, ემყარებოდა პარტიული მასებისა და პარტიული აპარატის დაპირისპირებას, იგი ცდილობდა დაემცირებინა პარტიული აპარატის ხელმძღვანელი როლი, შეეზღუდა ის რეგისტრატორისა და პროპაგანდისტის ფუნქციებით. კონფერენციამ დაგმო პარტიული აპარატისადმი ასეთი დამოკიდებულება[14].

დ. პარტიაში არსებული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა შინაპარტიული დემოკრატიისათვის ბრძოლის ალმით. პარტია ემყარებოდა იმას, რომ შინაპარტიული დემოკრატია ვ. ი. ლენინს მიაჩნდა პარტიაში არა პროლეტარული დისციპლინის დაშლისა და შესუსტების საშუალებად, არამედ მისი განმტკიცებისა და გამაგრების საშუალებად; რომ პარტიაში რკინისებური დისციპლინის გარეშე შეუძლებელია პროლეტარიატის დიქტატურა.

ოპოზიციური ბლოკი, პირიქით, ემყარებოდა იმას, რომ შინაპარტიულ დემოკრატიას უპირისპირებდა პარტიულ დისციპლინას, ერთმანეთში ურევდა ფრაქციათა თავისუფლებასა და შინაპარტიულ დემოკრატიას, ცდილობდა ასეთი დემოკრატია გამოეყენებინა პარტიის ერთიანობის დასაშლელად. ანტისაბჭოთა ელემენტები ოპოზიციის ამ მოწოდებაში ხედავდნენ პროლეტარიატის დიქტატურის რეჟიმისაგან ხსნის იმედს. კონფერენციამ დაგმო ოპოზიციური ბლოკის მოთხოვნა, როგორც ლენინიზმის ორგანიზაციულ პრინციპებთან შეუთავსებელი მოთხოვნა, რომელიც მიმართული იყო პარტიის ერთიანობისა და პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ. „აჯამებს რა ოპოზიციური ბლოკის პრაქტიკული პლატფორმის ანალიზის შედეგებს, კონფერენცია აღნიშნავს, რომ ეს პლატფორმა მოასწავებს ოპოზიციური ბლოკის ჩამოშორებას პროლეტარული რევოლუციის კლასობრივი ხაზისაგან საერთაშორისო და საშინაო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებში“[15].

XV კონფერენციამ აღნიშნა, აგრეთვე, ოპოზიციური ბლოკის ის დამახასიათებელი თავისებურება, რომელიც ხასიათდებოდა რევოლუციური ფრაზეოლოგიითა და ოპორტუნისტული პრაქტიკით. კონფერენციამ ცხადყო რომ ოპოზიციური ბლოკის რევოლუციური ფრაზეოლოგია სოციალ-დემოკრატიზმის თანამედროვე სამოსელია, და პარტიის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად კონფერენციამ

---

13 სკკპ რეზოლუციებში, ნაწ. II. 1955, გვ. 434.

14 იქვე.

15 იქვე, გვ. 436.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღიარა: „...გადამწყვეტი იდეური ბრძოლა სოციალ-დემოკრატიულ გადახრასთან ჩვენს პარტიაში, განუმარტოს მასებს ოპოზიციური ბლოკის პრინციპულ შეხედულებათა მცდარობა, და დღის სინათლეზე გამოიტანოს ამ შეხედულებათა ოპორტუნისტული შინაარსი, რა რევოლუციური ფრაზებითაც უნდა იყოს ისინი დაფარული"[16].

პარტიის XV კონფერენციის შედეგები ფართოდ განიხილეს საქართველოს კომუნისტური პარტიის სასოფლო, სამაზრო და სარაიონო, საოლქო და საქალაქო, რესპუბლიკური აქტივის კრებებზე. კომუნისტებმა მოიწონეს კონფერენციის ლენინური გადაწყვეტილებანი და ყველგან დაგმეს ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციური ბლოკის ანტილენინური, დეზორგანიზატორული საქმიანობა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის პარტიულმა აქტივმა 1926 წლის 15 ნოემბერს მოისმინა მამია ორახელაშვილის მოხსენება „საქ. კ. პ. (ბ) XV კონფერენციის შედეგების შესახებ". აქტივმა დაგმო ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის ანტიპარტიული საქმიანობა და მიიღო სათანადო რეზოლუცია, სადაც ვკითხულობთ: „აქტივის კრება მოუწოდებს თბილისის მთელ ორგანიზაციებს, იმისაკენ, რომ ერთსულოვნად იქნეს ცხოვრებაში გატარებული მე-15 პარტკონფერენციის ყველა გადაწყვეტილება და შემდეგშიც შეურიგებელი ბრძოლა იქნეს წარმოებული ოპოზიციის სოციალ-დემოკრატიულ გადახრასთან, სანამ იგი დაძლეული არ იქნება სავსებით.

აქტივი მოითხოვს ადგილობრივი ოპოზიციის ხელმძღვანელობისაგან (ლ. დუმბაძე, კ. ცინცაძე, ნ. კიკნაძე და ბ. კალანდაძე) ყოველგვარი პირობების გარეშე აღიარონ თავიანთი შეცდომები და უარი განაცხადონ ფრაქციულ მუშაობაზე"[17].

საქართველოს კომუნისტური პარტია კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო, ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკი იარაღს მაინც არ ყრიდა. ოპოზიციონერები არ სწყვეტდნენ თავიანთ ანტიპარტიულ საქმიანობას. ისინი ასეთი საქმიანობის უფლებასაც კი იტოვებდნენ თავიანთი ორჭოფული განცხადებებით[18].

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ 1926 წლის 6 ნოემბერს იმსჯელა ადგილობრივი ოპოზიციის საქმიანობის შესახებ. კომისიამ მიიღო დადგენილება ადგილობრივი ოპოზიციის ხელმძღვანელების — კ. ცინცაძის, ნ. კიკნაძის, ლ. დუმბაძის, ბ. კალანდაძის პარტიიდან გარიცხვის შესახებ, ხოლო მ. ოკუჯავასათვის საყვედურის გამოცხადებაზე[19]. რამოდენიმე დღის შემდეგ, 10 ნოემბერს მ. ოკუჯავამ, ნ. კიკნაძემ, ლ. დუმბაძემ, ბ. კალანდაძემ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიმართეს საპროტესტო განცხადებით და მოითხოვეს ცენტრალური საკონტროლო კომისიის 6 ნოემბრის დადგენილების გადასინჯვა. ეს განცხადება 17 ნოემბერს განიხილეს ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმში ავტორთა

---

16 სკკპ რეზოლუციებში, ნაწ. II, 1955. გვ. 440.

17 გაზ. „კომუნისტი", 1926 წლის 16 ნოემბერი.

18 იხ. ე. წ. „ექვსის განცხადება" (გაზ. „პრავდა", 1926 წლის 17 ოქტომბერი) და ნ. კიკნაძისა და სხვათა განცხადება (გაზ. „კომუნისტის" 1926 წლის 21 ნოემბერი).

19 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 1756, ფ. 406, 405, 416.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანდასწრებით. პრეზიდიუმმა ოპოზიციონერებს მოთხოვა შეცდომების გულწრფელი აღიარება, ფრაქციულ მუშაობაზე ხელის აღება[20]. ამის შემდეგ, ადგილობრივი ოპოზიციის აღნიშნულმა ხელმძღვანელებმა 19 ნოემბერს ახალი განცხადება შეიტანეს ცენტრალურ კომიტეტში, რაც მეორე დღესვე გამოქვეყნდა პრესაში. ამ განცხადებაში ისინი წერდნენ: „აშკარად ვაღიარებთ პარტიის წინაშე, რომ, როდესაც ივლისის პლენუმზე წარმოშობილ ახალ ოპოზიციას ვემხრობით ჩვენი შეხედულებებით, რომელთა ნიადაგზე ვდგევართ დღესაც, — ჩვენ და ჩვენმა თანამოაზრეებმა ამ შეხედულებათა ბრძოლაში დაუშვეს პარტიის დისციპლინის დამრღვევი ნაბიჯები, რომლებიც გასცილდნენ პარტიის მიერ დაშვებული იდეური ბრძოლის ფარგლებს და შედგნენ ფრაქციულობის გზაზე.

ვცნობთ რა ამ ნაბიჯებს სრულიად დაუშვებელ შეცდომად, საბოლოოდ და გადაჭრით ვაცხადებთ უარს ჩვენს შეხედულებათა დაცვის ფრაქციულ მეთოდებზე... მოვუწოდებთ ყველა ამხანაგს, რომელნიც იზიარებენ ჩვენს შეხედულებებს, რომ დაუყოვნებლივ დაშალონ ყველა ფრაქციული დაჯგუფება იქ, სადაც ასეთები წარმოიშვნენ ოპოზიციის შეხედულებათა გარშემო“[21].

ამ განცხადებაში, მიუხედავად იმისა, რომ უარყოფილია მხოლოდ ბრძოლის ფრაქციული მეთოდი და არა ტროცკისტული შეხედულებანი, პარტიამ საჭიროდ ჩათვალა შეეცვალა ადგილობრივი ოპოზიციის ლიდერთა — ლ. დუმბაძის, კ. ცინცაძის, ნ. კიკნაძისა და ბ. კალანდაძის პარტიიდან გარიცხვის შესახებ ადრე მიღებული დადგენილება. ისინი დატოვებულ იქნენ პარტიაში. გამოუცხადეს სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით, ერთი წლის განმავლობაში საპასუხისმგებლო თანამდებობების დაკავების აკრძალვით[22]. ეს დადგენილება მაჩვენებელია იმისა, რომ პარტია შეხედულებისათვის კი არ სდევნიდა ვინმეს, არამედ ანტიპარტიულ შეხედულებათა ფრაქციულ-ორგანიზაციული განმტკიცებისათვის, პარტიის წინააღმდეგ პრაქტიკულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის.

ადგილობრივი ორგანიზაციის ლიდერთა აღნიშნული განცხადება, მიუხედავად მისი ორჭოფული ხასიათისა, სერიოზულ დარტყმას წარმოადგენდა ტროცკისტული ოპოზიციის მიმართ. იგი სახელს უტეხდა ამ ოპოზიციას პარტიული მასების თვალში, ამიტომ მისი ავტორების მიმართ პარტიას არ შეეძლო არ ყოფილიყო შედარებით ლმობიერი.

ამის შემდეგ შეიძლება შევაფასოთ შინაპარტიული მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა საქართველოში საქ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის 1926 წლის ივლისის პლენუმის შემდეგ. ამ პერიოდში შექმნილი მდგომარეობა ხასიათდებოდა ოპოზიციური ჯგუფების გამოცოცხლებით და მათი გადასვლით აშკარა ფრაქციულ მუშაობაზე. ადგილობრივი ოპოზიციის ფრაქციულ მუშაობას სათავეში ედგნენ ქართველი ნაციონალ-უკლონისტების ყოფილი ლიდერები — კ. ცინცაძე, მ. ოკუჯავა, ლ. დუმბაძე და სხვები. ადგილობრივი ოპოზიციის ყველა გამოსვლა მარცხით დამთავრდა. მათი უილაჯობა საბოლოოდ ამხილა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტრო-

20 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 1756, ფ. 344—404.

21 გაზ. „კომუნისტი“, 1926 წლის 21 ნოემბერი.

22 იქვე, 1926 წლის 27 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო კომისიის პლენუმმა 1926 წლის 15 ოქტომბერს. იმდენად, რამდენადაც ადგილობრივი ოპოზიცია კვლავ რჩებოდა თავის თვალსაზრისზე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიული ორგანიზაციებისადმი თავის 1926 წლის 21 ნოემბრის მიმართვით მოითხოვდა ოპოზიციის წინააღმდეგ იდეური ბრძოლის გაძლიერებას[23].

ტროცკისტული ოპოზიცია, ბოროტად იყენებდა რა პარტიის სულგრძელობას, არ ყრიდა იარაღს და პარტიის წინააღმდეგ ახალი ბრძოლებისათვის ემზადებოდა. უცდიდა მხოლოდ ხელსაყრელ მომენტს. ასეთი მომენტიც მალე შეიქმნა. ეს იყო საბჭოთა ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში 1927 წელს შექმნილი გართულება[24]. ტროცკისტებმა დაუყოვნებლივ სცადეს მისი გამოყენება. მოაწყვეს ახალი თავდასხმა პარტიაზე. გამოვიდნენ პარტიის წინააღმდეგ ეგრეთწოდებული „83-ის პლატფორმით", რომელზეც ხელს აწერდნენ: გ. ევდოკიმოვი, გ. ზინოვიევი, ს. ქავთარაძე, ა. პეტერსონი, ი. პიატაკოვი, კ. რადეკი, ლ. სერებრიაკოვი, ი. სმილგა, ს. თუმანოვი, ლ. ტროცკი და სხვები.

„83-ის პლატფორმა" იყო ყალბი, ფარისევლური, ნავარაუდევი პარტიისა და მუშათა კლასის მოსატყუებლად. ისინი, ტროცკისტები და ზინოვიეველები სიტყვით პარტიის გათიშვის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, სიტყვით უჭერდნენ მხარს ქვეყნის სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციასა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას. ამავე დროს აღნიშნული პლატფორმა სახელს უტეხდა პარტიასა და მის პარტიულ აპარატს.

„83-ის პლატფორმის" მონაწილენი ებრძოდნენ პარტიას საგარეო პოლიტიკის, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობისა და სამეურნეო-ეკონომიური მშენებლობის საკითხებში. მათ შორის აღვნიშნოთ მთავარი: ა. ჩინეთის რევოლუციის მდგომარეობისა და პერსპექტივის საკითხი, ბ. ინგლისის მუშათა მოძრაობისადმი დამოკიდებულების საკითხი, გ. ერთ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის საკითხი, დ. ქვეყნად კლასობრივ ძალთა თანაფარდობის საკითხი, ე. ქვეყნის სამეურნეო ეკონომიური განვითარების საკითხი და სხვ.

განვიხილოთ პარტიისა და ოპოზიციას შორის უთანხმოების ზოგიერთი საკითხი: „83-ის პლატფორმაში" ლაპარაკი იყო აღდგენითი პერიოდის მიღწევებზე, მაგრამ ამასთან ერთად აღნიშნავდნენ, რომ აღდგენითი პერიოდის ბოლოსათვის დაისახა დიდი სიძნელეები. ეს სიძნელენი, რომლებიც აღმოცენდნენ საწარმოო ძალთა არა საკმაო განვითარებიდან, ჩვენი სამეურნეო ჩამორჩენილობიდან, ღრმავდებოდნენ, ოპოზიციონერთა აზრით, იმის გამო, რომ მათ (ამ სიძნელეებს) თითქოს უმალავდნენ პარტიულ მასებს. პროლეტარიატის დიქტატურის ნამდვილი მდგომარეობის მარქსისტული ანალიზის ნაცვლად, მათი აზრით, პარტიას სთავაზობდნენ თითქოს მცდარ „წვრილბურჟუაზიულ თეორიას ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის შესახებ", რომელსაც, ოპოზიციონერთა აზრით, „არაფერი ჰქონდა საერთო მარქსიზმთან, ლენინიზმთან". ასეთ მდგომარეობას ოპოზიცია ხსნიდა

---

23 გაზ. „კომუნისტი", 1926 წლის 21 ნოემბერი.

24 ინგლისის კონსერვატორული მთავრობის მიერ საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობის გაწყვეტა 1927 წლის 26 მაისს, საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლის ვოიკოვის მოკვლა ვარშავაში. საბჭოთა წარმომადგენლებზე და დაწესებულებებზე თავდასხმა პეკინში, ლონდონში და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმით, რომ, თითქოს, პარტიას არ შესწევდა უნარი გაეგო მიმდინარე ეკონომიური პროცესების კლასობრივი შინაარსი. ამის გამო, მათი აზრით, პარტია ატარებდა არასწორ კლასობრივ პოლიტიკას, რაც თითქოს იწვევდა პროლეტარული დიქტატურისადმი მტრული კლასობრივი ძალების — კულაკის, ნეპმანისა და ბიუროკრატის — ზრდას. ამ გარემოებას, მათი აზრით, ისიც უწყობდა ხელს, რომ, თითქოს, პარტია ჩქმალავდა გლეხობის დიფერენციაციის პროცესს და კურსს იღებდა „წელმაგარ გლეხობაზე" — კულაკობაზე, თითქოს ამცირებდა კულაკური საფრთხის მნიშვნელობას სოფლად და ა. შ. ყოველივე ეს, ოპოზიციის აზრით, იწვევდა ღარიბი და მოჯამაგირე გლეხობის პოლიტიკურ პასივობას, და, თითქოს, პარტია არ ზრუნავდა მათი პოლიტიკური აქტივობის ზრდისათვის.

„83-ის პლატფორმის" მონაწილენი ცილისმწამებლურ-დემაგოგიური ბრალდებებით ესხმოდა თავზე პარტიას რიგი სამეურნეო და ეკონომიური მშენებლობის საკითხებშიც. „83-ის პლატფორმაში" პარტიას ბრალს დებდნენ ხელფასის ზრდის შეჩერებაში, უფრო მეტიც, მუშათა ზოგიერთი ჯგუფისათვის ხელფასის შემცირებაშიც კი. ისინი უარყოფდნენ ჩვენს ქვეყანაში შრომის ნაყოფიერების კვალობაზე სამუშაო ხელფასის ზრდის ფაქტებს, ცილს სწამებდნენ პარტიას, თითქოს იგი მხარს უჭერდა სამუშაო ხელფასის ზრდას შრომის ინტენსივობის გაძლიერების საფუძველზე, ე. ი. პარტიას შემოუღია მათი აზრით, ისეთი წესი, რომლითაც საბჭოთა კავშირში მუშების მდგომარეობის გაუმჯობესება მოხდებოდა არა მეურნეობის ზრდა-განვითარების კვალობაზე, არა ტექნიკის განვითარების შესაბამისად, არამედ მხოლოდ ინტენსიური შრომის, მეტი ფიზიკური ენერგიის ხარჯვის, მუსკულების მეტი დაჭიმვის შედეგად. აქედან ოპოზიცია ადვილად მივიდა სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის უარყოფამდე[25], ამით ოპოზიციამ შეაიარაღა ანტისაბჭოთა ძალები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

„83-ის პლატფორმა" აბუჩად იგდებდა სოციალისტური ინდუსტრიის განვითარებისათვის შინაგანი რესურსების მობილიზაციის ისეთ საშუალებას როგორიც იყო მომჭირნეობის რეჟიმი. ოპოზიციას სამრეწველო საქონელზე ფასების დაკლების არც საბჭოთა პოლიტიკა მოსწონდა[26].

ცნობილია, რომ „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეათე წლისათვის აღსანიშნავად პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინადადებით სსრ კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო მანიფესტი, რომელშიც აღნიშნული იყო შვიდსაათიან სამუშაო დღეზე გადასვლა. ხალხის მიერ მოწონებული მანიფესტის წინააღმდეგ გამოვიდა ტროცკისტულ-ზინოვიე-

---

[25] ამასთან დაკავშირებით, ტროცკისტულმა ოპოზიციამ შემდეგში, 1928 წელს როდესაც მიმდინარეობდა კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების კამპანია, მუშათა შორის გაავრცელა პროკლამაცია, სადაც წერდნენ. „Надо разъяснить антипролетарский характер т. н. „ударников". т. е. группы рабочих, которые за особо-высокую плату обязуются поднимать вверх норму выработки... Разъяснить всем и каждому. чго это есть ,потогонная" система крайней эксплуатации рабочих" (ПА ГФ ИМЛ, Ф. 14, оп. I, ч. II, д. 2760, л. 12). ასეთი დემაგოგიით ცდილობდნენ ტროცკისტები მუშათა კლასის ამხედრებას კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ, მაგრამ მიზანს ვერ აღწევდნენ. მუშათა კლასი ოპოზიციის ყველა პროვოკაციულ გამოსვლას ახალი შრომითი აღმავლობით პასუხობდა.

[26] პარტიული არქივი (თბილისი, ფ. 14, აღწ. 11, ნაწ. II, საქ. 2267, ფ. 110—119.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვური ოპოზიცია, რითაც გამოააშკარავა თავისი პოლიტიკის ანტიხალხური არსი"[27].

„83-ის პლატფორმის" შემდეგ აღსანიშნავია პარტიის ცენტრალურ კომიტეტში შეტანილი ოთხეულის (ზინოვიევის, კამენევის და სხვათა) განცხადება, რომელმაც შემდეგში „ოთხეულის ფრაქციული პლატფორმის" სახელი მიიღო. „ოთხეულის პლატფორმა" პარტიას ებრძოდა: ა. საშუალო გლეხისადმი დამოკიდებულების საკითხში, ბ. კოოპერაციისა და სახელმწიფო კაპიტალიზმის საკითხებში, გ. სოფლის ფენებად დაყოფისა და კლასობრივი ბრძოლის საკითხებში და დ. ახალი ეკონომიური პოლიტიკის საერთო შეფასებისა და ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის საკითხებში.

„ოთხეულის პლატფორმას" წერილობით გასცეს პასუხი პოლიტბიუროსა და ცენტრალური კომიტეტის წევრთა ჯგუფმა — ი. ბ. სტალინმა, ფ. ძერჟინსკიმ, მ. კალინინმა, ვ. კუიბიშევმა, ვ. მოლოტოვმა, ი. რუძუტაკმა და სხვებმა[28].

„ოთხეულის პლატფორმა" ბრალს დებდა პარტიას; მის ცენტრალურ კომიტეტს სოფლად კლასობრივი დიფერენციაციისა და კლასობრივი ბრძოლის მიჩქმალვაში. პარტიის ცენტრალური კომიტეტი, თითქოს „ქედს იხრიდა კულაკის წინაშე" და თითქოს პარტია მიჰყავდა „კულაკურ გადაგვარებისაკენ". „ოთხეული", ყოველმხრივ აზვიადებდა კულაკის როლს სოფლად და ამცირებდა საშუალო გლეხობის როლს. ზინოვიევისათვის „შეძლებული გლეხი იყო კულაკი". გოლენდო კი პრესაში ამტკიცებდა, რომ სასაქონლო პურის 61 პროცენტი გლეხობის ამ მესამე ფენის, შეძლებული გლეხობის — კულაკობის ხელშია, და ამავე დროს, პანიკით მოცული წერდა, რომ პურზე ფასების მოსალოდნელი დაცემის წინაშე ვდგევართო. ამის გამო თავიანთ პასუხში ი. ბ. სტალინი, ფ. ძერჟინსკი, ვ. კუიბიშევი და სხვები წერდნენ: „თუ ზინოვიეველთა კულაკის ხელშია თავმოყრილი სასაქონლო პურის 61 პროცენტი მაშინ პურზე მაღალი ფასების პოლიტიკა აშკარა ჯილდოა კულაკობისათვის, პროლეტარიატისა და გლეხობის ძირითადი მასების საზიანოდ. ვისთვის იღვწიან ამხანაგები კამენევი, ზინოვიევი და გოლენდო? ვისთვის უნდათ მათ მაღალი ფასები პურზე? გოლენდოს მიხედვით კულაკისათვის, ე. ი. კულაკთან კავშირისათვის"...

ამრიგად, კულაკის ინტერესებს ფაქტიურად „ოთხეულის პლატფორმა" და მისი სულისჩამდგმელები — ზინოვიევი და კამენევი იცავდნენ და არა ლენინური ცენტრალური კომიტეტი.

ზინოვიევის აზრით, „ხალხი" (ე. ი. გლეხობა, ხალხის უმრავლესობა, ი. კ.) ოცნებობდა „თანასწორობაზე" და რომ „ხალხის" ამ მისწრაფებას პარტია უნდა ჩაუდგეს სათავეში. ამის წინააღმდეგ გარკვევით იყო ნათქვამი „ოთხეულის პლატფორმის" საპასუხოდ შედგენილ წერილში: „არაფერი ამის მსგავსი. ისინი ოცნებობენ... ინდივიდუალური მეურნეობის გაფართოებაზე, მუშებისა და გლეხების ყველა უფლებათა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ გათანაბრებაზე. ეს არის კლასობრივი სიმართლე, და საერთოდ არა ის, რასაც ამბობს ზინოვიევი.

27 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია, 1959, გვ. 511.
28 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, ნაწ. II, საქ. 2267. ფ. 25—52.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„პარტია სოციალიზმამდე მიიყვანს გლეხობას, არა იმიტომ, რომ „ჩვენს დღეებში“ გლეხობას სწყურია სოციალიზმი, არამედ იმიტომ, რომ ქვეყნად ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობათა ობიექტური გადახლართვა ქმნის, პარტიის სწორი პოლიტიკის პირობებში, ისეთ ვითარებას, რომლის დროსაც გლეხობა ჩაბმული იქნება სოციალისტურ მშენებლობაში, მიუხედავად თავისი კერძო-სამეურნეო მოტივებისა, მიზნებისა, მისწრაფებებისა“. ასეთივე ამომწურავი პასუხია გაცემული ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის საკითხზეც[29]. ჩვენ ამ საკითხზე არ ვჩერდებით, რადგან იგი ისედაც საკმაოდ ცნობილია ლენინიზმის, კომუნისტური პარტიის თეორიული არსენალიდან.

პარტიის ლენინური ერთიანობის წინააღმდეგ ტროცკის მორიგ გამოსვლას ადგილი ჰქონდა 1927 წლის მაისში კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის VIII პლენუმზე. პლენუმმა ტროცკის გამოსვლა ერთხმად დაახასიათა, როგორც ანტიპარტიული. ამავე 1927 წლის 27 ივნისს „საპრონოვის ჯგუფმა“ განცხადება შეიტანა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში 15 კაცის ხელის მოწერით („15-ის პლატფორმა“). ამ პლატფორმის მონაწილენი სამრეწველო საქონელზე ფასების დაკლების წინააღმდეგ გამოდიოდნენ. და მათ პარტიის XIII კონფერენციის მიერ აღებული კურსი სამრეწველო საქონლის ფასების დაკლებაზე მიაჩნდათ „წვრილი ბურჟუაზიის უტოპიური მოთხოვნისადმი დათმობად“. აბუჩად იგდებდნენ აგრეთვე პარტიის ლოზუნგს ხელფასის მომატების შესახებ, ხელფასის ზრდის ფაქტორთა შორის ვერ ხედავდნენ ან არ სურდათ დაენახათ სხვა ფაქტორი, გარდა შრომის ინტენსიფიკაციისა, შრომის ანაზღაურების საბჭოურ პრინციპს აცხადებდნენ წმინდა კაპიტალისტურ პრინციპად, და მოითხოვდნენ ხელფასის გათანაბრებას[30]. მომჭირნეობის რეჟიმი, მათი აზრით, გადაიქცა „მუშაზე დაწოლის“ რეჟიმად. ილაშქრებდნენ წარმოებაში ადმინისტრაციის როლის ზრდის წინააღმდეგ და მუშათა კლასსა და პროფესიონალურ ორგანიზაციებს ერთმანეთს უპირისპირებდნენ, ფაქტიურად მოითხოვდნენ გაფიცვების თავისუფლებას. გადაჭრით მოითხოვდნენ უმუშევრობის ლიკვიდაციის მიზნით ინდუსტრიალიზაციის ტემპების გაძლიერებას, კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას, და საერთოდ, ეკონომიური პოლიტიკის შეცვლას.

„15-ის პლატფორმის“ მონაწილეთა აზრით, პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი ზღუდავდნენ პროლეტარიატის აქტივობას და ავითარებდნენ ანტიპროლეტარული კადრების აქტივობას, მათივე აზრით, „საბჭოების გამოცოცხლების“ ლოზუნგი წარმოადგენდა წვრილბურჟუაზიული დემოკრა-

---

29 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. II, საქ. 2267, ფ. 37—52.

30 ვნახოთ, შრომის ანაზღაურების, თუ როგორ პრინციპს სთავაზობდნენ პარტიას „15-ის პლატფორმის“ მონაწილენი, ისინი წერდნენ: „Нужно отбросить совершенно реакционное рассуждение о том, что повышение зарплаты может производиться лишь в результате повышения производительности труда. Повышение уровня жизни рабочего само является одним из важных факторов роста производительности труда и потому должно не следовать за производительностью труда, а постоянно предшествовать ей“, (ПА ГФ ИМЛ, ф. 14, оп. I, ч. II, д. 2267, л. 307). აი, რატომ ყოფილა თურმე შრომის ანაზღაურების საბჭოური პრინციპი „წმინდა კაპიტალისტური“! სამუშაო ხელფასისა და შრომის ნაყოფიერების ურთიერთობის დიალექტიკა გაუგებარი დარჩენილა პლატფორმის მონაწილეებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტიის განვითარებას, ამიტომ ისინი მას ცვლიდნენ „საბჭოების აღდგენის“ ლოზუნგით[31].

„15-ის პლატფორმის“ მონაწილეთა ასეთმა გამოსვლამ ვერ ჩამოაშორა პარტიის ყურადღება ტროცკის ანტიპარტიულ გამოსვლას, რასაც ადგილი ჰქონდა 1927 წლის მაისში კომინტერნის აღმასკომის VIII პლენუმზე, პარტიულმა ორგანიზაციებმა ყველგან განიხილეს ტროცკის ეს გამოსვლა.

ტროცკის აღნიშნული გამოსვლის შესახებ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის 1927 წლის ივნისის გაერთიანებულ პლენუმზე მოხსენებით გამოვიდა მიხა ცხაკაია. პლენუმმა საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წინაშე დააყენა საკითხი ტროცკის, რომელმაც აშკარად დაარღვია 1926 წლის 16 ოქტომბრის მის მიერ ნაკისრი ვალდებულება პარტიული დისციპლინის დაცვის შესახებ, ცენტრალური კომიტეტის წევრობიდან გარიცხვის შესახებ. პლენუმმა განიხილა აგრეთვე ადგილობრივი ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის მ. ოკუჯავას ანტიპარტიული გამოსვლის საკითხიც. მ. ოკუჯავამ, როგორც ცნობილია, დაარღვია რა 1926 წლის ივნისში ნაკისრი ვალდებულება, კვლავ გამოვიდა პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და ამიერკავკასიის საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმზე პარტიის ლენინური კურსის წინააღმდეგ. პლენუმმა მ. ოკუჯავას ეს გამოსვლა შეაფასა როგორც დანაშაულებრივი ქმედობა და შეუძლებლად სცნო მისი შემდგომი დატოვება ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში. გარიცხა ის ცენტრალური კომიტეტის წევრთა შემადგენლობიდან და დააყენა საკითხი პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის წინაშე მ. ოკუჯავას სამხარეო კომიტეტის შემადგენლობიდანაც გარიცხვის შესახებ[32]. ამ დადგენილების მიღების შემდეგ, 22 ივნისს მ. ოკუჯავამ მიმართა პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს წერილობით სადაც, ნაცვლად საკუთარი შეცდომების შეგნება-მონანიებისა, დიდი მონდომებით ცდილობდა გაემართლებინა ტროცკისა და ზინოვიევის ანტიპარტიული საქმიანობა[33].

ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის საკითხი განიხილა საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებულმა პლენუმმა 1927 წლის ივლის-აგვისტოში. პლენუმმა მოისმინა ს. ორჯონიკიძის მოხსენება და 9 აგვისტოს მიიღო ვრცელი რეზოლუცია „ზინოვიევისა და ტროცკის მიერ პარტიული დისციპლინის დარღვევის შესახებ“ ამ რეზოლუციაში მოკლედ გადმოცემულია უკანასკნელ წლებში ტროცკისტულ ოპოზიციასთან პარტიის ბრძოლის ისტორია. ამასთან ერთად, აქ გამართულმა კამათმა პლენუმი მიიყვანა შემდეგ დასკვნამდე:

1. ოპოზიცია (ტროცკი, ზინოვიევი) ისეა დაბრმავებული ფრაქციულობით, რომ დგება ისეთ გზაზე, რომელსაც იმპერიალისტური ინტერვენციის წინააღმდეგ ბრძოლაში ის მიყავს სსრ კავშირის უცილობელი და უსიტყვო დაცვის წინააღმდეგ, ამასთან ოპოზიცია ცდილობს ეს თავისი შემცდარი ხაზი იმით დაასაბუთოს, რომ საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) და სსრ კავშირის ხელმძღვანელი ორგანოები ვითომ თერმიდორიანელები არიან და ამის გამო, ოპოზიციის აზრით, უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია ამ ორგანო-

31 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. II, საქ. 2267, ფ. 303—312.

32 იქვე, საქ. 2250, ფ. 96, 97.

33 იქვე, საქ. 2264, ფ. 6—12.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ების შეცვლა, რომ შემდეგ მოვაწყოთ სსრ კავშირის თავდაცვა (ტროცკის თეზისი კლემანსოს შესახებ)“[34]. 2. ოპოზიცია (ტროცკი, ზინოვიევი) დგება კომუნისტური ინტერნაციონალის პირდაპირი გათიშვის გზაზე. 3. ოპოზიცია (ტროცკი, ზინოვიევი) დგება საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) წინააღმდეგ ახალი პარტიის შექმნის გზაზე, პარტიის აშკარა გათიშვის გზაზე[35].

ყველა ეს დებულება, რომელიც დაადასტურა პლენუმმა, პარტიას აყენებდა იმ აუცილებლობის წინაშე, რომ გამოეყენებინა ოპოზიციის წინააღმდეგ პარტიის ერთიანობის შესახებ X ყრილობის მიერ მიღებული ლენინური დადგენილება, რომელიც ავალებდა პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებს პარტიის აშკარა გამთიშველებისა და დეზორგანიზატორების პარტიიდან გარიცხვას. მაგრამ პარტია ამ ნაბიჯს არ დგამდა, ჯერ კიდევ მოელოდა რომ ოპოზიციის ლიდერები გამოასწორებდნენ თავიანთ შეცდომებს და დაკმაყოფილდა წინადადებით ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან ტროცკისა და ზინოვიევის გარიცხვის შესახებ. მაგრამ პარტიის ხელმძღვანელმა ორგანოებმა იმისათვის, რომ შეენარჩუნებინათ ტროცკი და ზინოვიევი ცენტრალურ კომიტეტში, წინადადება მისცეს მათ მიეღოთ რამდენიმე ელემენტარული პირობა, რომლებიც სავსებით სავალდებულო იყო პარტიის წევრისათვის და აუცილებელი პარტიაში მშვიდობის დასამყარებლად. სახელდობრ:

1. ომის საფრთხის წინაშე ტროცკის ნახევრად პორაჟენცული თეორიის (ტროცკის თეზისი კლემანსოს შესახებ) უარყოფა, პარტიული და საბჭოთა ხელისუფლების თერმიდორული გადაგვარების შესახებ ოპოზიციური ცილისწამების დაგმობა; 2. კომინტერნის გათიშვის პოლიტიკის უარყოფა. კომინტერნის ყველა გადაწყვეტილების განხორციელება; 3. საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) გათიშვის პოლიტიკის უარყოფა, მეორე პარტიის შესაქმნელად მიმართული ცდების დაგმობა, ფრაქციის დაშლა, პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის ყველა გადაწყვეტილების განხორციელება“[36].

ოპოზიციის ლიდერებმა, მიუხედავად პლენუმის დამთმობლობისა, უარი განაცხადეს აღნიშნული პირობების მიღებაზე. მაგრამ, მხოლოდ მის შემდეგ, რაც პლენუმმა მიიღო რეზოლუცია ცენტრალური კომიტეტიდან ტროცკისა და ზინოვიევის გარიცხვის შესახებ, ისინი იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ, მიეღოთ ძირითადად აღნიშნული პირობები და გამოექვეყნებინათ სათანადო „განცხადება“. ამასთან დაკავშირებით პლენუმმა მოხსნა საკითხი ცენტრალური კომიტეტიდან ტროცკისა და ზინოვიევის გარიცხვის შესახებ[37]. მიუხედავად ამისა, პლენუმს არ ჰქონდა მტკიცე საფუძველი დაეჯერებინა ოპოზიციის „განცხადების“ გულწრფელობა, მითუმეტეს აღნიშნული „განცხადება“ როდი იყო უშენიშვნოდ გამოქვეყნებული, რაც მიუთითებდა იმაზე, რომ ოპოზიცია ჯერ კიდევ არ იღებდა ხელს პარტიის წინააღმდეგ ბრძოლაზე. ამის საუკეთესო დადასტურებაა ჩვენს განკარგულებაში არსებული ერთ-ერთი წერილი ანონიმი ავტორისა, რომელიც პასუხობს თავის ამხანაგს შეკითხვაზე, თუ როგორ უყურებს იგი პლენუმის მიერ ტროცკისა და

---

34 სკპ რეზოლუციებში, ნაწ. II, 1955, გვ. 504.

35 იქვე, გვ. 504.

36 იქვე, გვ. 505—506.

37 იქვე, გვ. 506.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზინოვიევის დატოვებას ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში: „ტროცკისა და ზინოვიევის ცენტრალური კომიტეტიდან გარიცხვაზე უარის თქმა არის ოპოზიციის უდიდესი გამარჯვება და სტალინური ფრაქციის უკანდახევა. ოპოზიცია ამ „განცხადებაში“ ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ მას არა აქვს განზრახვა დათმოს ერთი მტკაველიც კი უბრძოლველად, რომ არ წავა „დამპალ კომპრომისზე“. რომ არ დაუთმობს თავის ლენინურ პოზიციებს წვრილ-ბურჟუაზიულ გარემოცვას“[38]. როგორც ჩანს, სრულიად მართებულად მოქცეულა პლენუმი, როდესაც დაავალა ოპოზიციას ფრაქციის დაუყოვნებლივი დაშლა და, როდესაც მოუწოდა პარტიის ყველა ორგანიზაციას და ყველა წევრს ფრაქციულობის, ფრაქციული გამოსვლებისა და ფრაქციული დაჯგუფებების ალსაკვეთად გადამწყვეტი ზომების მიღებისაკენ[39].

საქ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის 1927 წლის ივლის-აგვისტოს გაერთიანებული პლენუმის შედეგები ფართოდ განიხილეს საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში. ამ პლენუმის შედეგებს მიეძღვნა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის იმავე წლის 24—25 აგვისტოს გაერთიანებული პლენუმი. პლენუმზე პარტიის ივლის-აგვისტოს პლენუმის შედეგების შესახებ მოხსენებით გამოვიდა მამია ორახელაშვილი, ხოლო ადგილობრივი ოპოზიციის ანტიპარტიული საქმიანობის შესახებ მოხსენება გააკეთა ანდრო დოლიძემ. პლენუმმა დაგმო ოპოზიციონერთა ანტიპარტიული საქმიანობა და მხარი დაუჭირა პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს. ოპოზიციის დასაცავად გამოვიდა მხოლოდ ნ. აქირთავა[40].

საქ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1927 წლის ივლის-აგვისტოს პლენუმის შედეგები საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმის შემდეგ განიხილეს საოლქო, სამაზრო და სათემო პარტიული ორგანიზაციების კრებაზე. 1927 წლის 3 სექტემბერს აფხაზეთის სამაზრო კომიტეტთა მდივნების თათბირმა მოისმინა მოხსენება პარტიის ივლის-აგვისტოს პლენუმის შედეგების შესახებ. თათბირმა დაგმო ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიცია და მხარი დაუჭირა პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს. ასეთივე გადაწყვეტილება მიიღეს კომუნისტებმა გუდაუთის მაზრაში ჩალმაზის, გალის მაზრაში პ. ბიგვავას, კოდორის მაზრაში ზანთარიას მოხსენებათა მოსმენის შემდეგ, ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიცია დაგმეს აგრეთვე ძველი სენაკის, ახალქალაქის, აბაშის, ნოქალაქევის, ლუქსემბურგის, დუშეთის, დიდიჭყონის მარტვილისა და სხვა პარტიულ ორგანიზაციებში[41].

საქ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის 1927 წლის ივლის-აგვისტოს გაერთიანებული პლენუმის შემდეგაც არ წყვეტდნენ ოპოზიციონერები ფრაქციულ, არალეგალურ საქმიანობას. პირიქით, ადგილობრივმა ოპოზიციამ კიდევ უფრო გააძლიერა მუშაობა. მათ შექმნეს თავიანთი არალეგალური ორგანიზაციები: ქუთაისში, ფოთში, სენაკში, შორაპანში და სხვ. კრეფდნენ პარტიის საწევრო ანარიცხებს და ა. შ.

38 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. II, საქ. 2271, ფ. 5, 6.
39 სკკპ რეზოლუციებში, ნაწ. II, 1955, გვ. 508.
40 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. II, საქ. 2480, ფ. 225—226.
41 იქვე, საქ. 1927, ფ. 1—60, 89, 92.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქონდათ თავიანთი ტექნიკური აპარატი, ვ. ცინცაძის, კ. იაშვილის, მ. სოლ[illegible]ანის, რ. გლადკოვისა და სხვათა შემადგენლობით. ამ აპარატის ფუნქციაში შედიოდა ანტიპარტიული, ტროცკისტული ლიტერატურისა და დოკუმენტების ბეჭდვა-გავრცელება[42].

ადგილობრივი ტროცკისტული ოპოზიცია შეეცადა კომკავშირული ახალგაზრდობის გადაბირებას. მას იმედი ჰქონდა რომ მოატყუებდა პოლიტიკურ ბრძოლაში ნაკლებად გამოწრთობილ ახალგაზრდობას, მათ წინაშე ოპოზიციონერები მლიქვნელობდნენ კიდეც, მაგრამ სასურველ შედეგს მაინც ვერ მიაღწიეს. ახალგაზრდობის ლენინური კომკავშირი მტკიცედ მიყვებოდა ბოლშევიკურ პარტიას[43].

1927 წლის 12 სექტემბერს აღმოაჩინეს ტროცკისტულ-ზინოვიევური ცენტრის არალეგალური სტამბა, სადაც იბეჭდებოდა ოპოზიციური ცენტრის ანტიპარტიული დოკუმენტები. არალეგალურ სტამბაში და მასთან დაკავშირებით დააპატიმრეს 12 უპარტიო მოქალაქე ვინმე ტ. ვ. შჩერბაკოვი, პ. ი. ტვერსკოი და სხვები[44]. ოპოზიციონერებმა ე. პრეობრაჟენსკიმ, ლ. სერებრიაკოვმა და ი. შაროვმა 15 სექტემბრის თარიღით დაწერილი განცხადება 19 სექტემბერს შეიტანეს პარტიის ცენტრალურ კომიტეტში. ისინი ამ განცხადებით თითონ კისრულობდნენ სტამბის მოწყობისათვის პოლიტიკურ პასუხისმგებლობას და მოითხოვდნენ დაპატიმრებულ უპარტიო მოქალაქეთა დაუყოვნებლივ განთავისუფლებას[45]. მეორე დღესვე, 1927 წლის 20 სექტემბერს, გ. ზინოვიევმა და ა. პეტერსონმა ძველი ისტორია გაიხსენეს და ახალი განცხადება აფრინეს პარტიის ცენტრალურ კომიტეტში. ამ განცხადებაში ისინი წერდნენ: „ლენინი, ანდერძში მიუთითებდა რა სტალინის „უხეშობასა და არალოიალობაზე“, გამოთქვამდა შიშს, რომ ვერ შესძლებს სწორად გამოიყენოს ის დიდი ძალაუფლება, რომელსაც მან თავი მოუყარა თავის ხელში. სტალინმა გადაჭარბებით დაადასტურაო ეს შიში“[46]. ოპოზიციამ ამ „განცხადებით“ ვერაფერს ვერ მიაღწია. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ტროცკისტული არალეგალური სტამბის აღმოჩენის შესახებ ინფორმაცია სასწრაფოდ (22 სექტემბერს) დაუგზავნა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს.

საქართველოს საქალაქო და სამაზრო პარტიული ორგანიზაციების კრებებზე მოხსენებით გამოდიოდნენ. ი. რუძუტაკი, მ. ორახელაშვილი, ფ. მახარაძე, გ. სტურუა, ნ. ლაკობა და სხვები. რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა ერთხელ კიდევ დაგმეს ოპოზიციის გამთიშველი საქმიანობა.

1927 წლის 4 ოქტომბერს შედგა სოხუმის საერთო საქალაქო დახურული პარტიული კრება, რომელსაც დაესწრო პარტიის 410 წევრი და კანდიდატი, აგრეთვე 105 კომკავშირელი. კრების დღის წესრიგში იყო ორი საკითხი: 1. საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ცნობა ტროცკისტული არალეგა-

---

[42] ლ. თოიძე, „ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის წინააღმდეგ საქართველოს კომუნისტების ბრძოლის ისტორიიდან (1926—1927 წწ.)“, (კრებ. „საქართველოს კომპარტიის ისტორიის საკითხები“, № 5, 1967, გვ. 90) და „მასალები საკ. კპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო საკონტროლო კომისიისა ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების V ყრილობას“, გვ. 40—41 (რუს.).

[43] „საქართველოს კომპარტიის ისტორიის ნარკვევები“. ნაწ. II, 1963, გვ. 74—75.

[44] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. II, საქ. 2267, ფ. 211—212.

[45] იქვე, ფ. 216—217.

[46] იქვე, ფ. 221.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლური სტამბის აღმოჩენის შესახებ და 2. შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ. ამ უკანასკნელ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ი. რუძუტაკი. მოხსენების წინააღმდეგ გამოვიდნენ ს. მეძმარიაშვილი და ტოლკაჩევი. მაგრამ კრებამ სათანადო რეზოლუციით დაგმო ტროცკისტული ოპოზიცია და მოიწონა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხაზი[47]. კრებაზე ჭარბად იყო ტროცკისტული ხასიათის შეკითხვები, რომლებზედაც პასუხს აძლევდა მომხსენებელი, კრება კმაყოფილი იყო მომხსენებლის პასუხებით. ბევრი შეკითხვა პირადად ი. ბ. სტალინის წინააღმდეგ იყო მიმართული, ერთ-ერთ ასეთ შეკითხვაზე ი. რუძუტაკმა უპასუხა: „ამხანაგი ლაპარაკობს, რომ უკეთესი იქნებოდა პარტიის ერთიანობის ინტერესებისათვის სტალინის მოხსნა გენერალური მდივნის პოსტიდან. ჩვენ ამას გავაკეთებდით, რომ ამას შეეძლოს მშვიდობის უზრუნველყოფა პარტიაში. მაგრამ საქმე სტალინში როდია, არამედ ტროცკში, ზინოვიევში და კამენევშია. სტალინი ერთხელაც არ წასულა უმრავლესობის წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ იგი ხშირად რჩება უმცირესობაში, ის ემორჩილება ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას. რატომ უნდა მოვხსნათ სტალინი, რომელიც ემორჩილება ცენტრალურ კომიტეტს და დავტოვოთ ტროცკი და ზინოვიევი, რომლებიც არ ემორჩილებიან ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებს? სანამ სტალინს მოვხსნიდეთ, უნდა ვიკითხოთ, რისთვის მოვხსნათ იგი? თუ უხეშობისათვის, მაშინ მე მგონია, რომ ნაზი საინსტიტუტო განათლება ჩვენთან არავის მიუღია. ამიტომ მე ვფიქრობ ჩვენ უნდა ვუსმინოთ არა იმას თუ როგორაა ნათქვამი, არამედ იმას თუ რა არის ნათქვამი“[48].

ტროცკისტული ოპოზიციის არალეგალური სტამბის აღმოჩენის შემდეგ პარტიას და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს უკვე არაფერი დარჩენოდათ, გარდა გადამჭრელი ზომების მიღებისა ფრაქციონერთა წინააღმდეგ. 1927 წლის 19 სექტემბერს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტიდან მიიღო მითითება პარტიიდან ფრაქციონერთა გარიცხვის შესახებ[49]. მაგრამ ასეთ გადამწყვეტ ზომებს ფრაქციონერთა წინააღმდეგ აქ ჯერ კიდევ არ ღებულობდნენ. კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ პასუხსაგებ თანამდებობებიდან მათი გადაყენებით, რესპუბლიკის გარეთ სამუშაოდ გაგზავნით და სხვ[50]. მიუხედავად ამისა, ყველა ამ ღონისძიებას გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდა ოპოზიცია.

ასეთ დაძაბულ შინაპარტიულ ვითარებაში საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმმა 1927 წლის 27 სექტემბერს პარტიის ყველა წევრს და კანდიდატს, პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციებს, მიმართეს წერილით, რომელშიც საბოლოოდ ამხილეს ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის მტრული ხასიათი. ამ წერილში აღნიშნულია, რომ ოპოზიცია არა მარტო დაეშვა ბურჟუაზიული დე-

---

47 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. II, საქ. 1927, ფ. 60.

48 იქვე, საქ. 1967, ფ. 57—58.

49 იქვე, საქ. 2264, ფ. 1.

50 საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა 1927 წლის 13 ოქტომბერს მიიღო გადაწყვეტილება ნ. აქირთავას საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის კონტროლიორად როსტოვში და ასეთივე თანამდებობაზე ხარკოვში ლ. დუმბაძის დანიშვნის შესახებ, (პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 2254, ფ. 383).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკრატიის პოზიციებზე, არამედ იგი უფრო და უფრო აღრმავებს ტროცკის თეზისს კლემანსოს შესახებ[51], რომ ოპოზიცია არამარტო დაადგა მეორე პარტიის შექმნის გზას, არამედ იგი სსრ კავშირის აშკარა მტრების დაცვის გზასაც დაადგა, რომ მან, ოპოზიციამ, მეორეჯერაც მოატყუა პარტია, როდესაც უხეშად დაარღვია თავისი 8 აგვისტოს „განცხადება“ და ბოლოს, შეჯამებულია რა ყოველივე ეს, ცენტრალური კომიტეტის წერილში ნათქვამია: „ამრიგად, ოპოზიცია ამხელს თავის თავს, როგორც ძალას, რომელიც ობიექტურად ეხმარება ჩემბერლენსა და ბრიანს ძირი გამოუთხარონ პროლეტარიატის დიქტატურის რეჟიმს“[52].

ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის წინააღმდეგ გადამწყვეტი ზომების მიღებამ მეტისმეტად შეაშფოთა ადგილობრივი ოპოზიციის ლიდერები. მათ 1927 წლის 13 ოქტომბერს საპროტესტო წერილით მიმართეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს „83-ის პლატფორმაზე“ ხელის მომწერთა წინააღმდეგ გადამჭრელი ზომების მიღების გამო და მოითხოვეს პარტიული ორგანოების საგადარჩევნო კომპანიის შედეგების გაუქმება და ხელახალი არჩევნების ჩატარება, რომელიც თითქოს უზრუნველყოფდა ოპოზიციონერთა წარმატებას. ამასთან ერთად არ დაერიდნენ ცილისწამებასა და შეურაცხყოფას პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის მისამართით. აი რას წერდნენ ისინი: „ჩვენი პარტიის ხელმძღვანელი სტალინური ფრაქცია უფრო და უფრო შორდება ლენინიზმს თავის პოლიტიკაში, უფრო და უფრო დაჟინებით ცვლის ლენინური იდეების რევოლუციურ აზრს სტალინშჩინის წვრილბურჟუაზიული ცენტრისტული შინაარსით“[53]. ამ დოკუმენტზე ხელს აწერდა 15 ოპოზიციონერი: მ. ოკუჯავა, კ. ცინცაძე, ლ. დუმბაძე, ა. თუმანოვი, რ. ჯლამაძე, დ. ლორთქიფანიძე, ნ. აქირთავა, ბ. კალანდაძე, ლ. მიროტაძე, კ. ოკუჯავა, გ. ლაფანაშვილი, პ. გაზარიანი, ნ. კიკნაძე და სხვ.

ოპოზიციონერები, არ დაჯერდნენ რა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელთა შეურაცხყოფას, მეორე დღესვე, 14 ოქტომბერს განცხადება შეიტანეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში კოტე ცინცაძის ხელისმოწერით. ისინი პოლიტიკურ უნდობლობას უცხადებდნენ საქართველოს მთავრობისა და პარტიის, ქართული პრესისა და კულტურულ დაწესებულებათა, თითქმის მთელ მაშინდელ ხელმძღვანელობას. განცხადების ავტორი „გუშინდელ მენშევიკთა“ და „გუშინდელ ფედერალისტთა“ შორის ასახელებდა: ცენტრალური კომიტეტის მდივანს მ. კახიანს, ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარეს შ. ელიავას, ა. ურუშაძეს, ა. გიორგაძეს, ს. მამულიას, გ. მუშიშვილს, ა. თათარაშვილს, თ. ღლონტს, ნ. მიწიშვილს, კ. ქიქიკაშვილს და სხვებს[54]. ამით ადგილობრივ ოპოზიციას სურდა ერთადერთ

---

[51] ტროცკის განუცხადებია, რომ იმპერიალისტური ომის დროს საფრანგეთის მთავრობაში იყვნენ მერყევი ადამიანები. მაშინ მოვიდა ისეთი გადამწყვეტი კაცი როგორიც იყო კლემანსო და, როცა გერმანელები პარიზს 70 კილომეტრით მიუახლოვდნენ, მან დაამხო მთავრობა და ხელში აიღო ძალაუფლება. იგივე უნდა გავაკეთოთო ჩვენ, როდესაც მტერი 70 კილომეტრით მოუახლოვდებაო მოსკოვს (ი. რუძუტაკის მოხსენებიდან სოხუმის საქალაქო პარტიულ კრებაზე 1927 წლის 4 სექტემბერს).

[52] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. II, საქ. 2267, ფ. 201.

[53] იქვე, საქ. 2265, ფ. 64.

[54] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. II, საქ. 2265, ფ. 69—75.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭეშმარიტ პროლეტარულ რევოლუციონერებად დაესახათ თავიანთი თავი, რომელთა ჩამოშორება ხელისუფლების ორგანოებისაგან, მათი აზრით, რევოლუციის მოხაპოვართა განწირვა იქნებოდა, პარტიისა და ხელისუფლების თერმიდორიანული გადაგვარება იქნებოდა.

ადგილობრივი ოპოზიციის 13 ოქტომბრის განცხადების საპასუხოდ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ძირეულ პარტიულ ორგანიზაციებს 19 ოქტომბერს დაუგზავნა მიმართვა, სადაც საფუძვლიანადაა მხილებული ოპოზიციონერთა განცხადების ნამდვილი აზრი[55].

მიუხედავად ამისა, ადგილობრივი ოპოზიციის ლიდერთა ერთმა ჯგუფმა (ლ. დუმბაძე, ბ. კალანდაძე, ნ. აქირთავა და კ. ოკუჯავა) იმავე 19 ოქტომბერს ახალი „განცხადება“ შეიტანა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, იმასთან დაკავშირებით, რომ მათ მიიღეს ცენტრალური კომიტეტისა და სამხარეო კომიტეტის მოწერილობა ახალ სამუშაო ადგილებში დაუყოვნებლივ გამგზავრების შესახებ. ოპოზიციონერები თავიანთ განცხადებაში ამ ფაქტს ადარებდნენ „პოლიტიკურ გასახლებას“, და შემდეგ, ისევ ძველი ბრალდებებით თავს ესხმოდნენ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, და პირადად ი. ბ. სტალინს. მათი აზრით, „სტალინის ფრაქციამ“, თითქოს მთელი რიგი ზიანი მიაყენა პროლეტარიატს. მათ შორის ისინი ასახელებდნენ: ჩინეთის რევოლუციის დამარცხებამდე მიყვანას, ერთიანი ფრონტის ტაქტიკით სერიოზული დარტყმების მიყენებას საერთაშორისო მუშათა მოძრაობისათვის, სოფლად კულაკობის ზრდას და ღარიბთა ხვედრითი წონის შემცირებას, სახალხო მეურნეობაში კერძო კაპიტალის ზრდას და ეროვნულ შემოსავალში მუშათა კლასის წილის შედარებით შემცირებას ,ინდუსტრიალიზაციის ტემპის შენელებას, უმუშევრობის ზრდას, თერმიდორიანული ძალების გამოცოცხლებასა და ზრდას, პროლეტარიატის პოზიციების შესუსტებას, პარტიის შიგნით მემარჯვენე ფრთის გაძლიერებასა და მემარცხენე ფრთის დასუსტებას, პარტიის დაყენებას განხეთქილების საფრთხის წინაშე[56]. ასეთივე „განცხადება“ შეიტანეს მათ 21 ოქტომბერს პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტშიც[57].

ტროცკისტული ოპოზიცია, სისტემატურად არღვევდა რა პარტიის წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს, „მესამე ძალისადმი“, უპარტიო მასებისა და საბჭოთა წყობილების მტრებისადმი მიმართვის გზას დაადგა. ამიტომ საქ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის 1927 წლის ოქტომბრის გაერთიანებული პლენუმი იძულებული გახდა 23 ოქტომბერს გაერიცხა ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან ტროცკი და ზინოვიევი[58]. იმავე პლენუმმა მიიღო დადგენილება პარტიის XV ყრილობის დღის წესრიგის საკითხებზე, კერძოდ, პირველი ხუთწლიანი გეგმის შესახებ თეზისების გამოქვეყნებისა და მათზე საერთო-პარტიული დისკუსიის გაშლის შესახებ[59].

---

55 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. II, საქ. 2254, ფ. 411—412.

56 იქვე, საქ. 2265, ფ. 74—77.

57 იქვე, ფ. 83.

58 სკკპ რეზოლუციებში, ნაწ. II, 1955, გვ. 557.

59 იქვე, გვ. 555—556.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში, ისე როგორც ყველგან, ნოემბრის პირველ რიცხვებიდანვე დაიწყო საერთო პარტიული დისკუსია, რაც ოპოზიციას არაფერს სასიკეთოს არ უქადდა. მათ, ოპოზიციონერებმა გადაწყვიტეს მიემართათ „მესამე ძალისადმი". „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეათე წლისთავის დღეს ტროცკისტებმა ანტისაბჭოთა გამოხდომა მოაწყეს. მასების მძლავრი დემონსტრაციის საწინააღმდეგოდ, რომელიც ლენინიზმის ლოზუნგებით მიმდინარეობდა, ერთმა მუჭა ტროცკისტებმა ტროცკის, ზინოვიევის, კამენევის მეთაურობით უხეშად დაარღვიეს საბჭოთა კანონები და მოსკოვისა და ლენინგრადის ქუჩებში გამოვიდნენ ანტიპარტიული და ანტისაბჭოთა ლოზუნგებით"[60].

ტროცკისტული ოპოზიციის ლიდერებმა „მესამე ძალაზე" მიმართვით ფაქტიურად პარტიის გარეშე დააყენეს თავიანთი თავი. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ პარტიიდან გარიცხეს ტროცკი და ზინოვიევი. ოპოზიციის საკითხი განსახილველად გადაეცა პარტიის XV ყრილობას.

სადისკუსიო კრებებზე კომუნისტები იხილავდნენ არა მარტო პირველი ხუთწლიანი გეგმისა და XV ყრილობის დღის წესრიგის სხვა საკითხებს, არამედ იხილავდნენ ტროცკისტული ოპოზიციის, პარტიიდან ტროცკისა და ზინოვიევის გარიცხვის საკითხებსაც. ამ დისკუსიაში პარტიულმა მასებმა გამოავლინეს მაღალი პოლიტიკური შეგნებულობა და ლენინიზმის იდეებისადმი ერთგულება. ეს აშკარად ჩანს დისკუსიის მასალებიდან, რომლებსაც საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ღებულობდა სამაზრო პარტიული ორგანიზაციებიდან საერთო-პარტიული დისკუსიის შედეგების შესახებ.

1927 წლის 18 ნოემბერს სოხუმის ქალაქის პარტაქტივის კრებამ მოისმინა ვ. ლადარიას მოხსენება ოპოზიციის ლიდერთა უკანასკნელი გამოსვლისა და შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ. კრებამ მოიწონა პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი და მხარი დაუჭირა ადგილობრივი ოპოზიციის მონაწილეთა — არდაშელიასა და ავთანდილოვის გარიცხვას პარტიის რიგებიდან. პარტაქტივის კრებამ გააფრთხილა და პარტიული ერთიანობის დაცვისაკენ მოუწოდა მეძმარიაშვილს, საჯაიას, ბენიას, გოგოხიას, ქაქუჩაიას, ხიოტის, დალნაიას და სხვებს[61].

თელავის სამაზრო კომიტეტი თეზისების განხილვას შეუდგა 8 ნოემბრიდან. ძირეულ პარტიულ ორგანიზაციებში მომხსენებლად იგზავნებოდნენ სამაზრო პარტიული კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები, რომლებიც პარტიის ყველა წევრსა და კანდიდატს უქმნიდნენ თავისუფალ პირობებს საკუთარი აზრის გამოთქმისათვის განსახილველი საკითხების გარშემო. თელავის მაზრაში მთლიანად მოიწონეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი და დაგმეს ოპოზიციონერთა ანტიპარტიული საქმიანობა[62]. წარმატებით ჩატარდა დისკუსია გურიის პარტიულ ორგანიზაციებშიც, აქ ოპოზიციას მხარი დაუჭირა პარტიის წევრ-კანდიდატთა მხოლოდ 4,4 პროცენტმა ან 34 კაც-

---

[60] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია, 1959, გვ. 511—512.

[61] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. II; საქ. 1967.

[62] იქვე, საქ. 1967, ფ. 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა[63]. ფოთის რაიონში სადისკუსიო კრებებს ესწრებოდა პარტიული ორგანიზაციის მთელი შემადგენლობის 62,2 პროცენტი, ან 474 კაცი. ტროცკისა და ზინოვიევის პარტიიდან გარიცხვის წინააღმდეგ ხმა მისცა მხოლოდ ერთმა კაცმა, პარტიის თეზისებს კი ხმა მისცა ყველა კომუნისტმა. ფოთის რაიონში დისკუსიაში მონაწილეობა მიიღო სულ 6 ოპოზიციონერმა, მაგრამ ბოლოს ესენიც საერთო ერთსულოვნების გამო იძულებული გახდნენ ხმა მიეცათ პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეზისებისათვის[64].

სენაკის პარტიულ ორგანიზაციებში დისკუსია დაიწყო 9 ნოემბრიდან და დასრულდა 26 ნოემბერს. პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეზისების წინააღმდეგ არც ერთ კომუნისტს და არც ერთ ოპოზიციონერს არ მიუცია ხმა. ყველგან იწონებდნენ თეზისებს და პარტიის კურსს ოპოზიციის მიმართ. ასე მაგალითად, 15 ნოემბერს ბანძის თემის (სენაკის მაზრა) პარტორგანიზაციის კრებამ, რომელსაც ესწრებოდა პარტიის 23 წევრი და კანდიდატი და 8 კომკავშირელი მოიწონა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეზისები და დაგმო ოპოზიციის ანტისაბჭოთა საქმიანობა[65]. ასეთივე ვითარება იყო მთლიანად სენაკის მაზრაში, რასაც ადასტურებს სამაზრო კომიტეტის მდივნის ს. მამულიას მიერ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაგზავნილი მოხსენებითი ბარათი[66].

1927 წლის 16 ნოემბერს შედგა ქუთაისის ქალაქის პარტიული ორგანიზაციის გაერთიანებული კრება, რომელსაც 511 კაცი დაესწრო. მოხსენება: „ოპოზიციონერთა მუშაობისა და ტროცკისა და ზინოვიევის პარტიიდან გარიცხვის შესახებ“ გააკეთა ი. გვასალიამ. კრებამ მოიწონა ტროცკისა და ზინოვიევის გარიცხვა პარტიიდან. ამავე კრებამ მოიწონა აგრეთვე საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის დადგენილება ლ. დუმბაძის, ბ. კალანდაძის, ნ. აქირთავას, ნ. ოკუჯავას და ნ. კიკნაძის პარტიიდან გამორიცხვის შესახებ. ამასთანავე მოითხოვა მ. ოკუჯავას, კ. ცინცაძის, დ. ლორთქიფანიძის, ლ. მიროტაძის, რ. ჯლამაძის, ს. თუმანიშვილის, გ. ლაფახაშვილის, პ. გაზარიანის და პ. ვირაპის გარიცხვა პარტიიდან[67].

დუშეთის მაშინდელი სამაზრო კომიტეტის მდივნის ვ. ბაქრაძის ცნობით საერთო-პოლიტიკური დისკუსია მაზრაში დაიწყო 10 ნოემბრიდან და დამთავრდა 28 ნოემბრისათვის. დუშეთის პარტიული ორგანიზაციის გაერთიანებულმა კრებამ მოისმინა ვ. ბაქრაძისა და გ. კარანაძის მოხსენებები პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეზისების შესახებ — პირველი ხუთწლიანი გეგმისა და სოფლად მუშაობის საკითხებზე. კრებამ მოიწონა ცენტრალური კომიტეტის თეზისები და დაგმო ტროცკისტული კონტრთეზისები[68]. დისკუსიის მიმდინარეობამ და მისმა შედეგებმა აჩვენეს, რომ მაზრაში „უჯრედების იდეური შეკავშირება საკმაოდ მტკიცეა და რამდენადმე შესამჩნევ ოპოზიციურ დაჯგუფებას უჯრედებში, და საერთოდ, ორგანიზაციაში ადგილი არა აქვს. ის ფაქტი, რომ 291 კომუნისტიდან, რომელნიც დაესწრნენ კრებებს, მხო-

63 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. II, საქ. 1967, ფ. 64.
64 იქვე, ფ. 80.
65 იქვე, ფ. 94.
66 იქვე, ფ. 94—118.
67 იქვე, ფ. 134—135.
68 იქვე, ფ. 203.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდ 6 კომუნისტმა მისცა ხმა ცენტრალური კომიტეტის თეზისების წინააღმდეგ... აშკარა დამამტკიცებელია ორგანიზაციის იდეური სიმტკიცის"[69].

დუშეთის პარტიულ ორგანიზაციაში იყო მხოლოდ ერთი შემთხვევა, როდესაც პარტიულ კრებაზე წამოყენებულ იქნა ტროცკისტული ოპოზიციისადმი შემრიგებლური რეზოლუცია, ეს იყო სოფელ ნატახტარისა და მისაქციელის გაერთიანებულ პარტიულ კრებაზე[70].

საქართველოში პარტიული დისკუსიის მიმდინარეობის დროს პირველი ხუთწლიანი გეგმის დირექტივები განიხილა 591 პირველადმა ორგანიზაციამ. სოფლად მუშაობის საკითხი—586 პირველადმა ორგანიზაციამ. პირველი ხუთწლიანი გეგმის დირექტივების განხილვისადმი მიძღვნილ პარტიულ კრებებს ესწრებოდა 18 869 კომუნისტი, აქედან კამათში მიიღო მონაწილეობა 1707 კომუნისტმა. საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის თეზისებს მხარი დაუჭირა მოკამათეთაგან 1506 კომუნისტმა (88,3%), ოპოზიციონური ცენტრის თეზისებს — 201 კაცმა (11,7%). კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 16 733 კომუნისტმა. აქედან პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეზისებს მხარი დაუჭირა 16 381 კომუნისტმა (97,9%), ოპოზიციური ცენტრის თეზისებს — 272 კაცმა (1,6%), ხოლო დანარჩენმა (0,5%) თავი შეიკავა. სოფლად მუშაობის საკითხების განხილვისას ოპოზიციამ ძლივს მოაგროვა ხმების 1,6 პროცენტი[71].

ამრიგად, როგორც საქართველოში, ისე მთელ საბჭოთა კავშირში „სადისკუსიო კრებებმა ცხადყო პარტიის წევრთა პოლიტიკური სიმწიფე, მათი დარაზმულობა ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო... ანტიპარტიული ბლოკი სასტიკად დამარცხდა. გაიმარჯვა პარტიის ლენინურმა პოლიტიკამ"[72] ეს ერთხელ კიდევ დადასტურდა საქართველოს კომუნისტური პარტიის V ყრილობაზე, რომელიც მიმდინარეობდა 1927 წლის 12—19 ნოემბერს. ყრილობა კომუნისტური ინტერნაციონალისადმი გაგზავნილ მისალმებაში აღნიშნავდა, „ჩვენ, საქართველოს ბოლშევიკების V ყრილობის დელეგატები, ვაცხადებთ, რომ მტკიცედ ვდგავართ ლენინის მიერ ნაჩვენებ გზაზე, მუდამ მზად ვართ იმ დიდი საქმის ყოველმხრივი დახმარებისათვის, რომელსაც კომუნისტური ინტერნაციონალი და მისი მოწინავე რაზმი — საკავშირო კომუნისტური პარტია ახორციელებს.

ყველა მათ, ვისაც სურს ლენინიზმი შესცვალოს ტროცკიზმით, ვინც ლამობს მსოფლიო რევოლუცია ოპორტუნისტულ ჭაობში ჩაალრჩოს... ჩვენ ვეუბ-

---

[69] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14. აღწ. I, ნაწ. II, საქ. 1967, ფ. 163.

[70] ინტერესს მოკლებული არ იქნება გავეცნოთ აღნიშნულ რეზოლუციას: „მოვისმინეთ რა მოხსენება დუშეთის მაზრის პარტკომის წარმომადგენელ მიშა როყვასი სოფლად მუშაობის და ოპოზიციის შესახებ, კრება აღუთქვამს საკავშირო ცეკას, რათა ოპოზიცია და პოზიცია მე-15 ყრილობაზე შეთანხმდებიან და მიღებულ იქნებიან პარტიაში ის ამხანაგები, რომლებიც გამორიცხული არიან და მიეცემათ ნებართვა მათ მე-15 ყრილობაზე გადამჭრელი ხმის უფლებით დასწრებისა: ზინოვიევს, ტროცკის, კამენევს და სხვებს და იმუშავებენ ერთსულოვნად ლენინიზმის და პარტიის მთლიანობის გზით. გაუმარჯოს პარტმთლიანობას და გაუმარჯოს ლენინიზმის გზას" (პარტიული არქივი, (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. II, საქ. 1967, ფ. 204). ეს რეზოლუცია. ვ. ბაქრაძის ცნობით, უარუყვიათ „ყველა ხმებით ორის წინააღმდეგ" (იქვე, ფ. 163).

[71] ლ. თოიძის დასახელებული ნაშრომი („საქართველოს კომპარტიის ისტორიის საკითხები", № 15, 1967, გვ. 96.

[72] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია. 1959, გვ. 511.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხებით: „ჩვენ და თქვენ ერთი გზა არ გვაქვს, ჩამოდექით კომინტერნის მებრძოლი რაზმების გზიდან“[73].

საქართველოს კომუნისტური პარტიის V ყრილობამ სერიოზული დარტყმები მიაყენა ტროცკისტულ-ზინოვიევურ ანტიპარტიულ ბლოკს, განსაკუთრებით კი ადგილობრივ ოპოზიციას. ყრილობამ პარტიიდან გარიცხა ადგილობრივი ოპოზიციის ლიდერები: კ. ცინცაძე, ს. თუმანოვი, პ. გაზარიანი, დ. ლორთქიფანიძე, რ. ჯღამაძე, გ. ლაფანაშვილი, ლ. მიროტაძე და სხვ. პარტიის ცენტრალურ ორგანოებს დაავალა ყოველგვარი ჯგუფებისა და ფრაქციების დასაშლელად გადამჭრელი ზომების მიღება.

ადგილობრივი ოპოზიცია მაინც არ ყრიდა იარაღს. მას ამხნევებდა ტროცკისტული ოპოზიციის ლიდერთა აქტიური ბრძოლა პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ. ასე მაგალითად, 1927 წლის 11 ნოემბერს ტროცკიმ და ზინოვიევმა განცხადებით მიმართეს პარტიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმს. ამ განცხადებაში ისინი პროტესტს აცხადებდნენ პარტიიდან მათი XV ყრილობამდე გარიცხვის გამო[74].

1927 წლის 14 ნოემბერს ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის ლიდერებმა და აქტიურმა მონაწილეებმა ახალი განცხადებით მიმართეს პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და მის ცენტრალურ საკონტროლო კომისიას. ისინი კვლავ აცხადებდნენ პროტესტს ტროცკისა და ზინოვიევის პარტიიდან გარიცხვის გამო. მოსალოდნელ დაპატიმრებებთან დაკავშირებით ისინი წერდნენ, რომ ასეთი ღონისძიებები ვერ დააფრთხობს ოპოზიციას, ხელს ვერ ააღებინებს მას საკუთარ შეხედულებათა დაცვაზე. „ვერავითარი რეპრესიები... — წერდნენ ისინი, — ვერ გვაიძულებენ ჩვენ უკან დავიხიოთ ჩვენი პრინციპული პოზიციებიდანო“[75]. ამ განცხადებაზე ხელი მოუწერია ლ. ტროცკის, გ. ზინოვიევს, ლ. კამენევს, გ. ევდოკიმოვს, ი. სმილგას, კ. რადეკის, ს. ქავთარაძეს და სხვებს, სულ 31 კაცს.

ტროცკისტულ-ზინოვიევური ცენტრის ხელმძღვანელთა აღნიშნული ორივე განცხადების ასლი საქ. კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მისი პოლიტბიუროსა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის ერთობლივი პასუხით დაუგზავნა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ცენტრალურ ხელმძღვანელ ორგანოებს, მათ შორის საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. ამ „პასუხ-შეტყობინებაში“ აღნიშნულია, რომ 7 ნოემბრის ტროცკისტული „დემონსტრაციის“ შემდეგ, 11 ნოემბერს პარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის გაფართოებულმა სხდომამ ოპოზიციის ლიდერებს წაუყენა მოთხოვნა: 1. დაუყოვნებლივ შეწყვიტონ არალეგალური, ანტიპარტიული კრებების მოწყობა, 2. დაუყოვნებლივ უარი თქვან შინაპარტიული დავის პარტიის გარეშე გატანაზე, ე. ი. უარი თქვან „მესამე ძალისადმი“ მიმართვაზე. მიუხედავად ამ მოთხოვნათა პარტიული ელემენტარულობისა და პარტიის ყველა წევრისათვის უთუო სავალდებულობისა, მის შესრულებაზე ტროცკიმ და ზინოვიევმა უარი განაცხადეს და სხდომა დატოვეს დემონსტრაციულად. მის შემდეგ, რაც პრეზიდიუმის სხდომამ მიიღო დადგენილება ტროცკისა და

73 საქართველოს კომუნისტური პარტიის V ყრილობა, (სტ. ანგ.), 1927, გვ. 1—2.

74 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. II. საქ. 2267, ფ. 15—16.

75 იქვე, საქ. 2267, ფ. 20.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზინოვიევის პარტიიდან გარიცხვის შესახებ, მათ გამოგზავნეს ზემოთ აღნიშნული 11 ნოემბრის განცხადება, რომელშიც პარტიიდან XV ყრილობამდე მათი გარიცხვა მიჩნეულია დანაშაულად და მოითხოვდნენ პარტიაში დატოვებას XV ყრილობამდე. მაგრამ უკვე გვიან იყო. მათი პარტიიდან გარიცხვის შესახებ პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის დადგენილება, „საკდესის“ საშუალებით, უკვე მიღებული ჰქონდათ პრესის ორგანოებს.

ოპოზიციონერთა 14—15 ნოემბრის განცხადება გაჟღენთილი იყო ფრაქციული შეურიგებლობის, პარტიისადმი მტრობის სულისკვეთებით, სიტყვიერად მიდიოდნენ ნახევარკაპიტულაციამდე, რასაც პარტიამ მიაღწია მხოლოდ მის შემდეგ, რაც თავის რიგებიდან გააძევა ოპოზიციის ლიდერები — ტროცკი და ზინოვიევი. ამიტომ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ოპოზიციის 14—15 ნოემბრის განცხადება ჩათვალა არადამაკმაყოფილებლად და დაურთო პარტიის XV ყრილობისათვის გადასაცემ მასალებს[76].

ტროცკისტულ-ზინოვიევურმა ადგილობრივმა ოპოზიციამ სერიოზული მარცხი განიცადა ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების V ყრილობაზე (1927 წლის 21—25 ნოემბერი). აქ ტროცკისტებმა კვლავ დააყენეს საკითხი ამიერკავკასიის ფედერაციის ლიკვიდაციის შესახებ, მაგრამ ყრილობამ ამ საკითხშიც უკუაგდო მათი მოთხოვნა და აღიარა, რომ ამიერკავკასიის ფედერაცია სიცოცხლისუნარიანი სახელმწიფოებრივი გაერთიანებაა, რომელიც მთლიახად შეესაბამებათ ამიერკავკასიის ხალხთა პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ინტერესებს[77].

ტროცკისტულ-ზინოვიევურმა ოპოზიციამ სრული და საბოლოო მარცხი განიცადა პარტიის XV ყრილობაზე (1927 წლის 2—19 დეკემბერი). ყრილობამ, მოისმინა რა სპეციალური კომისიის მოხსენება, დაადასტურა:

1. რომ ოპოზიცია იდეოლოგიის დარგში ტაქტიკური ხასიათის უთანხმოებიდან გადავიდა პროგრამული ხასიათის უთანხმოებაზე, რითაც იგი დაქანდა მენშევიზმის პოზიციისაკენ და იქცა წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის იარაღად საბჭოთა ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის დამხმარე რაზმად საზღვარგარეთ;

2. რომ ოპოზიციამ ტაქტიკურ დარგში გაამწვავა მუშაობა პარტიის წინააღმდეგ, გადალახა არა მარტო პარტიის წესდების ფარგლები, არამედ, საერთოდ, საბჭოთა ლეგალობის ფარგლებიც, რითაც იგი ფაქტიურად დადგა პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყნის აშკარა მტრების გვერდით;

3. რომ ოპოზიცია ორგანიზაციული საკითხების დარგში ფრაქციული მუშაობიდან გადავიდა საკუთარი ტროცკისტული პარტიის შექმნაზე, ასეთმა ორგანიზაციულმა პრაქტიკამ ტროცკისტული ოპოზიცია მიიყვანა უპარტიო ბურჟუაზიულ ინტელიგენტებთან კავშირამდე, ყველა ქვეყნის ბურჟუაზიის მხრივ მხარდაჭერამდე[78]. ამის შემდეგ ყრილობამ შეუძლებლად სცნო ოპოზიციის მონაწილეთა დატოვება პარტიის რიგებში და მისი 75 აქტიური მონაწილე გარიცხა პარტიიდან, მათ შორის, ი. ბაკაევი, ი. ვარდინი, გ. ევდოკიმოვი,

---

[76] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. II, საქ. 2267, ფ. 11—14.

[77] V съезд партийных организаций Закавказья, (стен. отчет), Тбилиси, 1928, стр. 285.

[78] სკკპ რეზოლუციებში, ნაწ. II, 1955, გვ. 630—632.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პ. ზალუცკი, ლ. კამენევი, ს. ქავთარაძე, მ. ლაშევიჩი, ნ. მურალოვი, ა. პეტერსონი, ი. პიატაკოვი, კ. რადეკი, ქრ. რაკოვსკი, ი. სმილგა, ი. ნ. სმირნოვი, ო. თარხანოვი, ე. აზბა და სხვ. მათთან ერთად გარიცხეს პარტიიდან საპრონოვის ჯგუფი, როგორც აშკარა ანტირევოლუციური, სულ 23 კაცის შემადგენლობით[79].

პარტიის XV ყრილობამ წინადადება მისცა პარტიულ ორგანიზაციებს ადგილებზე გაეწმინდათ თავიანთი რიგები ტროცკისტული ოპოზიციის „ყველა აშკარად გამოუსწორებელი ელემენტისაგან“ და ჩაეტარებიათ იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა ტროცკისტული ოპოზიციის რიგით მონაწილეებთან.

პარტიის XV ყრილობის დამთავრებიდან არ გასულა დიდი ხანი და დაიძრა განცხადებების ნაკადი ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციიდან. მისი აქტიური მონაწილენი, რომლებიც გარიცხული იყვნენ პარტიიდან, თავიანთ განცხადებაში პარტიას აღუთქვამდნენ ტროცკიზმთან კავშირის გაწყვეტას და თხოულობდნენ პარტიაში დაბრუნებას. მაგრამ პარტიას არ შეეძლო დაეჯერებინა მათთვის და ხელაღებით დაებრუნებინა ისინი პარტიაში. მათგან მსგავსი დაპირებები ბევრი სმენია პარტიას, მაგრამ მათ ერთხელაც არ შეუსრულებიათ საკუთარი დაპირებანი. ამიტომ პარტიამ მათ მოსთხოვა სრული იდეური და ორგანიზაციული განიარაღება, საკუთარ შეხედულებათა აშკარად დაგმობა, როგორც ანტილენინური შეხედულებებისა, პარტიისა და მისი ცენტრალური ორგანოების გადაწყვეტილებათა დაცვა და ცხოვრებაში გატარება. ამასთან ერთად, განცხადების შემომტანისათვის დაწესდა ექვსი თვის გამოსაცდელი ვადა, რომლის გასვლის შემდეგ, თუ დარწმუნდებოდა პარტია განმცხადებელმა შეასრულა და ასრულებს ზემოთ აღნიშნულ პირობებს, დასვამდა საკითხს თითოეული განცხადების პერსონალურად განხილვის შესახებ.

„გარიცხულთა უმრავლესობამ შეასრულა ეს ვალდებულებანი და აღდგენილ იქნა პარტიის წევრთა უფლებებში, მაგრამ, როგორც შემდგომმა ამბებმა ცხადყო, ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის ლიდერების ქცევა თვალთმაქცური იყო. ისინი პარტიაში დაბრუნდნენ იმავე პროვოკაციული მიზნით — შიგნიდან გაეხრწნათ პარტია, დაემხოთ ლენინური ცენტრალური კომიტეტი, ხელთეგდოთ ხელმძღვანელობა პარტიაში და ჩაეშალათ სსრ კავშირში სოციალიზმის აშენების საქმე“[80].

ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის საქმიანობა კვლავ გრძელდებოდა, უფრო შენიღბულად, უფრო თვალთმაქცურად, მაგრამ არა მონოლითურად. ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის მონოლითურობა თავიდანვე იყო გამორიცხული, როგორც სხვადასხვა პოლიტიკური რწმენისა და შეხედულების ადამიანთა უპრინციპო ბლოკისა. ამ ბლოკში თავი მოიყარა ყველა ანტილენინურმა ჯგუფმა თუ მიმდინარეობამ, მათ აერთიანებდა საერთო სიძულვილი ლენინიზმისადმი, ლენინური ცენტრალური კომიტეტისადმი და მისი გენერალური მდივნისადმი — ი. ბ. სტალინისადმი, რომელიც მტკიცედ ხელმძღვანელობდა პარტიის ბრძოლას ტროცკიზმის წინააღმდეგ.

ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკის უპრინციპობა მაშინვე გამომჟღავნდა, როგორც კი სერიოზული მარცხი განიცადა ჯერ პარტიის XV ყრილობამდე და ყრილობის შემდეგ. ოპოზიციურ ბლოკში გაჩნდა ბზარი, რომელიც

[79] სკკპ რეზოლუციებში, ნაწ. II, 1955, გვ. 633.

[80] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია, 1959, გვ. 526.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანდათან იზრდებოდა, თუმცა მათ ერთხელ კიდევ შეძლეს გაერთიანება პარტიის წინააღმდეგ, რაც გედის სიმღერა აღმოჩნდა მხოლოდ. კ. ცინცაძე ბახჩისარაიდან ტროცკისადმი 1928 წლის 17 მაისს მინაწერ ბარათში უკმაყოფილებას გამოთქვამდა „მათი სარუსეთო ლიდერების“ მოქმედების გამო, მათი „აჩქარებულობისა“ და „ინდივიდუალიზმის“ გამო. ეს აღშფოთება, როგორც წერილიდან ჩანს, გამოუწვევია სარქისის განცხადებას, რომელიც ცინცაძის აზრით, არის „არსებითად — სისულელე, ფორმით — საძაგლობა და საერთოდ კი რაღაც აბდაუბდა“. ცინცაძე ზინოვიევსაც გადაწვდა თავის წერილში. იგი წერდა ადრესატს: „თქვენ იცით ჩემი დამოკიდებულება ზინოვიევისადმი საერთოდ: მე მას და მის მომხრეებს არ ვენდობი არც ერთი იოტით. ისინი უხერხემლო ხალხია ყოველმხრივ“[81]. მიუხედავად იმისა, რომ ტროცკისტულ-ზინოვიევურ ოპოზიციაში არსებობდა ასეთი „ნდობის ატმოსფერო“, ისინი მაინც ახერხებდნენ თავიანთი ძირგამომთხრელი, ფრაქციული მუშაობის გაგრძელებას გადასახლების ადგილებიდანაც კი, იგივე კოტე ცინცაძე ყირიმიდან სერგო ორჯონიკიძისადმი მოწერილ ბარათში ლაფში სვრიდა პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებს. პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, და საერთოდ პარტიის ლენინურ უმრავლესობას.

კოტე ცინცაძის მიერ აღნიშნული ბარათი იწერებოდა მაშინ, როდესაც პარტიაში გაძლიერებას იწყებდა მემარჯვენე საფრთხე. კ. ცინცაძე კარგად ხედავდა, რომ პარტია მემარჯვენე საფრთხის წინააღმდეგაც ეწეოდა შეურიგებელ ბრძოლას, მაგრამ მას არ სურდა ამის აღიარება, პირიქით, იგი ირწმუნებოდა, რომ პარტიის ლენინურ უმრავლესობას არ შესწევსო უნარი „ტერმიდორიანული ელემენტების“ წინააღმდეგ საბრძოლველად. შემდეგ კ. ცინცაძე თავის წერილში ცდილობს დაამტკიცოს, რომ ოპოზიცია ისტორიული განვითარების ტენდენციებს პარტიაზე ადრე და პარტიაზე ზუსტად განსაზღვრავდა, ხოლო პარტია, თითქოს, გვიან მოდიოდა გონს. ამის დასამტკიცებლად კ. ცინცაძე თავის წერილში მოაგონებდა ს. ორჯონიკიძეს:

1. რომ ოპოზიცია ორი წლის წინ იძლეოდა წინადადებას ინდუსტრიალიზაციის ტემპის გაძლიერების შესახებ, თქვენ კი ეს მხოლოდ ორი წლის შემდეგ აღიარეთ, ისიც სიტყვიერად;

2. რომ ოპოზიცია ორი-სამი წლის წინ აკეთებდა გაფრთხილებას მემარჯვენეების გაძლიერების შესახებ და წინადადებას იძლეოდა გვეწარმოებია მათთან დაუნდობელი ბრძოლა, თქვენ კი ეს ორი წლის შემდეგ აღიარეთ, ისიც სიტყვიერად;

3. რომ ოპოზიციამ ორი წლის წინ ნახა კულაკური საფრთხე და იძლეოდა წინადადებას გვეწარმოებია მასთან დაუნდობელი ბრძოლა, თქვენ კი ორი წლის შემდეგ შენიშნეთ კულაკი და აღიარეთ კულაკური საფრთხის არსებობა, ისიც სიტყვიერად;

4. რომ ოპოზიცია ორი წლის წინ იძლეოდა წინადადებას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განვითარების გაძლიერების შესახებ, თქვენ კი ეს ორი წლის შემდეგ გაიგეთ და აღიარეთ, ისიც სიტყვიერად, ასევე შინაპარტიული დემოკრატიისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ და სხვ[82]. ყოველივე ეს იმაზე კი არ მიუთითებს, როგორც ამას მისი ავტორი ფი-

81 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. II, საქ. 2271, ფ. 79.

82 იქვე, საქ. 2265, ფურ. 29.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრობდა, რომ ოპოზიცია სხვაზე ადრე და სხვაზე შორს, სხვაზე უკეთ ხედავდა, არამედ, მხოლოდ იმაზე, რომ ოპოზიციას და მის ლიდერებს, თუ უფრო მეტი არა, ისტორიული რეალობის — დროის, ადგილისა და პირობების აღქმის უნარი ჰქონიათ დაკარგული. სხვათა შორის, უადგილო არ იქნება მოვიგონოთ, რომ ასეთ ვითარებაში ადრეც ჩავარდნილა კ. ცინცაძე, როდესაც სახალხო მეურნეობის აღდგენით პერიოდში, ძას საგარეო ვაჭრობის საკითხებზე ჰქონდა დავა ს. ორჯონიკიძესთან. ს. ორჯონიკიძის მაშინდელი პასუხი კ. ცინცაძისადმი ამ შემთხვევაშიც გამოდგება. აი, რას ეუბნებოდა მაშინ სერგო ორჯონიკიძე კოტე ცინცაძეს: „სწორედ იმაშია შენი უბედურება, რომ არ გესმის სად რა უნდა აკეთო. როდესაც ჩვენ საბჭოთა ხელისუფლებას ვქმნიდით საქართველოში, ამხ. ლენინმა მოგვცა დირექტივა, გამოგვეყენებინა ბათუმის ღია კარები და გაგვეცა უცხოელებზე კონცესიები. ჩვენ ეს შევასრულეთ. განვლო საკმაო დრომ და ჩვენ ცოტ-ცოტად დავიწყეთ საკუთარ ფეხებზე დგომა, საჭირო იყო ხაზის მოსკოვისაკენ, რუსეთის მრეწველობისაკენ მობრუნება... და როცა ჩვენ ვლაპარაკობთ დროა ეს გავაკეთოთ, თქვენ ლაპარაკობთ, ჯერ კიდევ ადრეა, უკეთესია ორიენტაცია ავიღოთ იაფ საქონელზე“[83].

ასეთი „მეცნიერული თეორიით“ აღჭურვილი ტროცკისტები — გასახლებულნი თუ გაუსახლებელნი ისევ ცოდვილობდნენ, ისევ აკოწიწებდნენ რაღაც არალეგალური პარტიის მაგვარს თავის ცენტრებითა და ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოებით.

საქართველოში ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის ადგილობრივი ცენტრები სოკოებივით აღმოცენდებოდა ხოლმე. დ. ლორთქიფანიძის, ვ. წივწივაძის და სხვათა ხელმძღვანელობით არსებული ცენტრების ლიკვიდაციის შემდეგ კვლავ წარმოიშვა 1928 წლის ნოემბერ-დეკემბერში რიგით მეოთხე ცენტრი, რომელშიც შედიოდნენ ვალოდია ხუტულაშვილი, თეოფანე გორგასლიძე, იონა ჯავახია, სევასტი თალაკვაძე, არაქელა ოქუაშვილი, ლეო ჩანტლაძე, მიხეილ მეძმარიაშვილი და სხვ. თბილისის ტროცკისტული ორგანიზაცია გაყოფილი იყო ოთხ რაიონად თითოეულს სათავეში ედგა სამეული, ჰქონდა ორი საბეჭდი მანქანა და სტეკლოგრაფი, ავრცელებდნენ ტროცკისტულ ლიტერატურას[84]. საქართველოში არსებობდა ტროცკისტული ცენტრალური კომიტეტი და მათი ორგანიზაციები. ასე მაგალითად, ახალი სენაკის ტროცკისტულ ორგანიზაციას ცენტრიდან ხელმძღვანელობდნენ მ. კაჭარავა, ვ. ნადარეიშვილი, ა. კოკაია, თ. ფრანგიშვილი და ი. ხუხია. 1927 წლის 29 სექტემბერს ცენტრიდან ჩასულ ლ. დუმბაძის, ბ. კალანდაძის და სხვათა ხელმძღვანელობით ქობულეთში ჩამოყალიბდა გურიის ტროცკისტული კომიტეტი[85]. ტროცკისტული ცენტრალური კომიტეტის მდივანი იყო მ. ოკუჯავა[86]. ტროცკისტული ოპოზიცია უფრო ადრე, 1927 წლის

---

83 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 976, ფ. 122—123.

84 იქვე, საქ. 2760, ფ. 14—21.

85 ლ. თ ო ი ძ ი ს დასახელებული ნაშრომი (იხ. „საქართველოს კომპარტიის ისტორიის საკითხები“ № 15, 1967, გვ. 95.

86 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. II, საქ. 2254, ფ. 196—199.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაფხულში, ამიერკავკასიის მასშტაბითაც გაერთიანებულა ბ. მდივნისა და მ. ოკუჯავას ინიციატივით[87].

ადგილობრივი ტროცკისტული ოპოზიცია ასეთ მუშაობას ეწეოდა არა მარტო პარტიის XV ყრილობამდე, არამედ ამ ყრილობის შემდეგაც. სხვაგვარად მათგან არც იყო მოსალოდნელი. საქართველოდან გასახლების შემდეგაც არ წყვეტდნენ ტროცკისტები და ანტისაბჭოთა პარტიების წევრები კავშირს თავიანთ თანამოაზრეებთან. ისინი ხშირად უგზავნიდნენ თავიანთ თანამოაზრეებს გამამხნევებელ წერილებს. ერთ-ერთი ასეთი წერილია ა. ბზეკალავას მიერ გამოგზავნილი ყაზახეთიდან[88] თბილისში[89] ინჟინერ ნიკოლოზ მიხეილის ძე ჩაჩიკაშვილის სახელზე. ამ ბარათში სხვათა შორის, ვკითხულობთ: „ჩვენი გასახლების ვადა სამი წელია, მაგრამ დარწმუნებული ვარ მასში, რომ ჩვენი თანამემამულე[90] ამ პოლიტიკას ვერ შეინარჩუნებს სამი წლის მანძილზე, ყოველ შემთხვევაში ამას მომავალი გვიჩვენებს“[91]. მომავალმა მართლაც გვიჩვენა... მაგრამ არა ლენინური პარტიის პოლიტიკის კრახი, არამედ ანტილენინური ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის იდეური გაკოტრება და ორგანიზაციული განადგურება.

ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის მიერ ანტიპარტიული მუშაობის გაძლიერებამ აიძულა პარტია გაეძევებინა საბჭოთა ქვეყნიდან მათი ლიდერი ტროცკი. მაგრამ ტროცკი ახლა საზღვარგარეთ აგრძელებდა ბრძოლას კომუნისტური პარტიის ლენინური ერთიანობის წინააღმდეგ. 1928 წლის თებერვლიდან ტროცკი იწყებს სტატიების ბეჭდვას ბურჟუაზიულ პრესაში, კერძოდ, კონსერვატიულ გაზეთ „დეილ ექსპრესში“. ამით არ კმაყოფილდება და საბჭოთა კავშირშიც გზავნის წერილებს. ერთ-ერთი ასეთი წერილი — „საბჭოთა კავშირის ყველა მუშას“ — მან კონსტანტინოპოლიდან შემოგზავნა. იგი გამოსცა და გაავრცელა ოპოზიციონერთა მოსკოვის ჯგუფმა.

ყველა დოკუმენტი, რაც კი ტროცკისა და ტროცკისტების სახელთანაა დაკავშირებული, წარმოადგენს აშკარა ცილისწამებას პარტიისა და მისი ხელმძღვანელობის მიმართ. ამიტომ მათი პოლიტიკური ქმედითობა არარაობამდე უმნიშვნელო იყო. 1928 წლის 28 თებერვლის სტატიაში — „რას ვფიქრობ მე სტალინის შესახებ“, რომელიც „დეილ ექსპრესმა“ გამოაქვეყნა, ტროცკი — ბოროტი ცილისწამების გროვას ახვავებს ი. ბ. სტალინის წინააღმდეგ. იგი ცდილობს გააბიაბრუოს სტალინის ცნობილი ნაშრომი „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“. ი. ბ. სტალინმა სწორედ აღნიშნულ ნაშრომში ამხილა და თეორიულად გაანადგურა ტროცკიზმი, დაიცვა ლენინიზმი. ტროცკი უსუსური ბრალდებების წამოყენებასაც არ მოერიდა სტალინის წინააღმდეგ, თურმე სტალინს უცხო ენები არ სცოდნია და ამიტომ იგი სხვა ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში ვერ ერკვევაო, ირწმუნებოდა ტროცკი. კიდევ უფრო გასაკვირია ტროცკის მიერ სტალინისადმი წაყენებული ბრალდება იმის შესახებ, რომ სტალინს არ გააჩნდა „პოლიტიკური გამოცდილება საკუთარი პარ-

---

87 ლ. თოიძე, დასახელებული ნაშრომი (იხ. „საქართველოს კომპარტიის ისტორიის საკითხები № 15, 1967, გვ. 94).

88 ყაზახეთის სსრ, პავლოდარის ოლქი, სოფ. ბარანასელიდან.

89 სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამრეწველო განყოფილებაში.

90 ი. ბ. სტალინი.

91 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. II, საქ. 2265, ფ. 31.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიის გარეშე“. აქ ძნელია შეეკამათო ტროცკის, მართალია, სტალინი მენშევიკური პარტიიდან ან სხვა რაიმე პოლიტიკური დაჯგუფებებიდან არ მოსულა ლენინის პარტიაში ტროცკივით „პოლიტიკური გამოცდილებით“ დატვირთული! ტროცკის არ მოსწონდა ი. ბ. სტალინის შემოქმედებითი მიდგომაც პრაქტიკული ცხოვრების საკითხებისადმი, ტროცკის აზრით, „ყოველი სიტუაციისათვის ის იგონებდა შესაბამის თეორიას“. ტროცკი არ მოერიდა ვ. ი. ლენინის „ანდერძის“ შინაარსის დამახინჯებასაც კი, ოღონდ სტალინისათვის ჩრდილი მიეყენებინა[92].

92 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. II, საქ. 2271, ფურ. 131.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ემზარ ზენაიშვილი

# თავრიზის რუსულ-სპარსული სკოლის ისტორიიდან

XIX საუკუნის 70-იან წლებამდე განათლება ირანში ატარებდა შუასაუკუნეობრივ ხასიათს. ქვეყნის მთელი სახალხო განათლების სისტემა მოქცეული იყო მუსლიმური რელიგიის ხელში. სწავლების ძირითადი საგანი იყო ღვთისმეტყველება. ყურანის, ფეყჰის, შარიათისა და ჰადისების გარდა მოსწავლეები ეცნობოდნენ ლიტერატურას, ისტორიას, გეოგრაფიას, არითმეტიკას. ლიტერატურის ცოდნა ამოიწურებოდა კლასიკოსების — ფირდოუსის, საადის, ჰაფეზის ნაწარმოებების გაცნობით. ისტორიის სწავლებისას მთავარი ყურადღება ექცეოდა „უდიდეს პიროვნებათა“ — შაჰების, ამირების, სულთნების, იმამებისა და სხვათა ისტორიების შესწავლას. სკოლაში სწავლება მიმდინარეობდა ხონდემირის, მირხონდის და სხვა შუასაუკუნეობრივი ავტორების მიხედვით. გეოგრაფიას სწავლობდნენ არაბ და ირანელ ავტორთა ნაწარმოებებით, ეცნობოდნენ ირანს, არაბეთს, მცირე და შუა აზიის ქვეყნებს, ინდოეთს, ამიერკავკასიას, რუსეთსა და რამდენიმე ევროპულ სახელმწიფოს.

ძირითადად ირანში იყო ორი ტიპის სკოლა: მექთები — დაწყებითი სასულიერო სკოლა ჯერ კიდევ არაბთა სახალიფოს დროიდან, სადაც ასწავლიდნენ კითხვას, წერას, ისლამის საფუძვლებსა და არითმეტიკას[1], და მედრესე — უმაღლესი ტიპის სკოლა, რომელიც აგრეთვე არაბთა სახალიფოს დროიდან არსებობდა. იქ ამზადებდნენ „მოდარესებს“, ანუ მედრესეს მასწავლებლებს, მოსამართლეებს და სხვ.[2] ქვეყნის მოსახლეობის 95%-მა არ იცოდა წერა-კითხვა. ჯერ კიდევ 1818 წელს ერმოლოვი წერდა ნესელროდეს, რომ შაჰს, მმართველებსა და თვით მუსლიმურ რელიგიას ეშინია ხალხის განათლებისა[3]. 1864 წელს ირანის აზერბაიჯანიდან ერთ-ერთი რუსი დიპლომატი იტყობინებოდა: „რელიგია არის უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ ქვეყნისათვის უცხოა ცივილიზაცია და გონებრივი განვითარება“. მასში განსაკუთრებით ხაზგასმული იყო ახალგაზრდობის განათლების საქმისადმი ირანის მმართველი წრეების სრულიად გულგრილი დამოკიდებულება[4].

---

1 ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. ი. ს ა დ ი ყ ი, სეირე ფარჰანგ დარ ირპნ ვა მაღრებ ზამინ, თეირანი, 1332 (სპარსულ ენაზე).

2 Н. Остроумов, Мусульманская высшая школа (Мадраса), журнал Министер, Народн. Образования, новая серия, ч. 5, 1906, октябрь, СПб, გვ. 58.

3 Акты, собранные Кавк. арх. комиссией (архив Главного управления наместника Кавказского) (АКАК), Тифлис, 1874, т. 5. ч. 1, გვ 187.

4 Архив внешней политики России МИД СССР (АВПР), ф. „Персидский стол“, საქმე 468, ფ. 64.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა იყო სწავლა-განათლების მხრივ ირანის პროვინციებში. თუ თეირანში 1911 წლისათვის იყო 123 დაწყებითი სკოლა 10531 მოსწავლით, ქვეყნის პროვინციებში სულ სწავლობდა 10 000-მდე კაცი. ირანის კულტურის ისტორიის მკვლევარის ი. სადიყის გაანგარიშებით, 7-დან 13 წლის ასაკის ყოველი ათასი ბავშვიდან სკოლაში დადიოდა მხოლოდ ორი[5]. სტატისტიკური მონაცემებით 1917—1918 წლებისათვის ქვეყნის დაწყებით სკოლებში იყო სულ 24 033 მოსწავლე[6].

იყენებდნენ რა ქვეყნის რთულ საშინაო და საგარეო მდგომარეობას, უცხოეთის სახელმწიფოები ცდილობდნენ გაეძლიერებინათ პოლიტიკური გავლენა ირანში. მოსახლეობაში გავლენის გაძლიერების ერთ-ერთი გზა იყო სკოლების გახსნა, რომლის მოსწავლეთა უმრავლესობას ეროვნული უმცირესობანი შეადგენდნენ. ეს აიხსნებოდა იმით, რომ ირანის ტერიტორიაზე მცხოვრები არამუსლიმური მოსახლეობა ფაქტიურად მოკლებული იყო განათლებას, ქვეყანაში არ იყო საერო სასწავლებლები და სკოლები ეროვნული უმცირესობისათვის. მეორე მხრივ მუსლიმური რელიგია სასტიკად უკრძალავდა ირანელ შიიტებს უცხოეთის მისიონერულ სკოლებში შესვლას.

უცხოეთის სახელმწიფოების და საერთოდ უცხოური ხასიათის სასკოლო განათლების მქონე ორგანიზაციები ირანში XIX საუკუნის II ნახევარსა და XX ს-ის დასაწყისში პირობითად შეიძლება ორად გავყოთ: 1. სასკოლო-საგანმანათლებლო ორგანიზაციები, რომლებიც აღმოცენდნენ უშუალოდ უცხოეთის სახელმწიფოების საქმიანობის შედეგად; თავისი მოცულობისა და ხასიათის მიხედვით შეიძლება განვიხილოთ ორი ძირითადი დაჯგუფება: ა) აშშ, ინგლისის, რუსეთისა და საფრანგეთის საგანმანათლებლო მისიები და ბ) იტალიის, შვეციის და XIX—XX სს-ის მიჯნიდან ძალზე სწრაფი ტემპებით ზეაღმავალი გერმანული მისიები. 2. სასკოლო ხასიათის დაწესებულებანი და ორგანიზაციები, რომლებიც ირანში სხვადასხვა დროს შეიქმნა ეროვნული უმცირესობის ინიციატივით; მათ რიცხვს მიეკუთვნება სომხური, ებრაული, ბერძნული სკოლები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეტად მრავალფეროვანი იყო ის გზები და საშუალებები, რომლებითაც XIX საუკუნის დასაწყისიდან აშშ, ინგლისი, საფრანგეთი და უფრო მოგვიანებით კი გერმანია ცდილობდნენ გაეძლიერებინათ და განემტკიცებინათ თავიანთი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული გავლენა ირანში. ამ მხრივ არც თუ ისე უმნიშვნელო როლი ენიჭებოდა უცხოეთის სახელმწიფოების საგანმანათლებლო, სამედიცინო, რელიგიურ და სხვა საქველმოქმედო ორგანიზაციების საქმიანობას. როგორც ვ. ი. ლენინი შენიშნავდა, კაპიტალისტური სახელმწიფოები „ფარისევლურად ფარავდნენ ძარცვა-გლეჯის პოლიტიკას ქრისტიანობის გავრცელების მომიზეზებით"[7]. ამ პერიოდიდან ირანში მოქმედებდნენ ინგლისური კათოლიკური და ბაპტისტური, ამერიკული პრესვიტორიანული, ფრანგული კათოლიკური, ხოლო XIX ს-ის დასასრულიდან კი რუსული მართლმადიდებლური მისიები.

---

[5] ე. სადიყი, თარიხე ფარჰანგ დარ ირან, თეირანი. 1336, გვ. 338 (სპარსულ ენაზე).

[6] The World Year book of education 1965, The education explosion, New-York, 1965, გვ. 339.

[7] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 4, გვ. 458.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპულ სახელმწიფოებს მოღვაწეობის პირველ ეტაპზე თავიანთი საქმიანობის სიმძიმის ცენტრები გადაჰქონდათ ირანში მცხოვრებ არამუსლიმ ეროვნულ უმცირესობებზე (სომხები, ასირიელები, ბერძნები, ებრაელები და სხვ.). ეს უკანასკნელნი კი ცდილობდნენ მოხვედრილიყვნენ უცხოეთის ქვეყნების მფარველობის ქვეშ, რაშიც ისინი ხედავდნენ შაჰის დესპოტიზმისა და ისლამისაგან ხსნის საშუალებას. სწორედ ისინი იყვნენ ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული ხაზის გამტარებლები. შენიშნავდა რა ამ ფაქტს ფრანგი მკვლევარი ო. ლ. ვილმორენი, წერდა: „ევროპული სახელმწიფოების უმრავლესობა აიძულებს ადგილობრივ ქრისტიანებს გაატარონ თავიანთი პოლიტიკა ამ ქვეყანაში“[8].

უცხოეთის სახელმწიფოების მიერ გახსნილ სკოლებში ძირითადად სწავლობდნენ ვაჭარ-კომპრადორების, მოხელეების, წვრილი ვაჭრებისა და ხელოსნების შვილები, რომლებსაც უკვე აღარ აკმაყოფილებდათ ირანულ მექთებსა და მედრესეში მიღებული ცოდნა.

1804 წელს სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე ნაპოლეონმა შემდეგნაირად დაახასიათა ბურჟუაზიისა და მისიონერების ურთიერთობა: „მე განზრახული მაქვს საზღვარგარეთ აღვადგინო რელიგიური მისიების საქმიანობა. რელიგიის მსახურნი ჩემთვის იქნებიან ძალზე სასარგებლონი აზიაში, აფრიკასა და ამერიკაში. მე გავაგზავნი მათ იქ, რათა შეაგროვონ ცნობები სხვადასხვა ქვეყნის მდგომარეობაზე. მღვდლის ტანსაცმელი იფარავს მათ კომერციულ და პოლიტიკურ ზრახვებს. მათი მუშაობა ჩვენ გვიჯდება იაფი, ხოლო ბარბაროსები პატივს სცემენ მღვდლებს. ...რელიგიური სამოსელი ნებას მისცემს მათ მოახდინონ ისეთი საქმეები და გადალახონ ისეთი საშიში ზღუდეები, რომლის წინაშეც უკან დაიხევენ მთავრობის საერო აგენტები“[9]. აშშ პრეზიდენტის ტაფტის სიტყვებით „ისინი არა მარტო ეპისკოპოსები და პასტორებია, ისინი სახელმწიფოს მოხელეებიცაა“[10].

აშშ, ინგლისის, საფრანგეთის, ხოლო XIX ს-ის ბოლო მეოთხედიდან გერმანიის მმართველ წრეებს კარგად ჰქონდათ შეგნებული თუ რა სარგებლობის მოტანა შეეძლო მათ საგანმანათლებლო და სამედიცინო საქმიანობას ირანში. აშშ-ის რელიგიურ მისიათა წარმომადგენლები ირანში ჯერ კიდევ 1830 წელს გამოჩნდნენ, მაშინ როცა აშშ კონგრესმა მხოლოდ 1882 წლის 5 აგვისტოს მიიღო დადგენილება თეირანში საელჩოს დაარსების შესახებ[11].

1832 წელს „აშ-ის მისიონერთა საზოგადოების“ მიერ გაგზავნილი დუატი და სმიტი ჩავიდნენ ურმიაში, ხოლო ორი წლის შემდეგ თავრიზში ჩავიდა ი. პერკინსი მეუღლითურთ და ექიმი გრანტი, რომლებიც სპარსული ენის კარგად შესწავლის შემდეგ მხოლოდ 1835 წელს ჩავიდნენ ურმიაში. ი. პერკინსის მისია ცნობილია „ნესტორიანელებთან მომუშავე მისიის“ სახელით[12].

---

[8] A. L. de Vilmorin, La politique etrangere en Pers, Paris, 1894, გვ. 54.

[9] Ж. Сюрэ-Каналь, Африка; западная и централная, Москва, 1962, გვ, 140.

[10] И. Р. Лаврецкий, Колонизаторы уходят, миссионеры остаются, Москва, 1963, გვ. 23.

[11] მ. ქიანფარი, სია̄სათე ემრიქა̄ დარ ირა̄ნ, თეირანი, 1328, გვ. 36 (სპარსულ ენაზე).

[12] ე. ჯანი, თა̄რიხე მისიუნე ემრიქა̄ დარ ირა̄ნ, თეირანი, 1333, გვ. 4—5 (სპარსულ ენაზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

1836 წლის 18 იანვარს ი. პერკინსმა ირანში (ურმიაში) გახსნა პირველი ამერიკული სკოლა[13]. ამ ფაქტის ოფიციალური აღიარება იყო მოჰამედ-შაჰის 1836 წლის ფირმანი, რომელმაც შემდეგში გზა გაუხსნა არა მარტო ამერიკულ, არამედ სხვა ქვეყნების რელიგიურ მისიათა საქმიანობასაც[14].

1836 წლიდან აშშ-ის პრესვიტორიანული მისიების სასკოლო-საგანმანათლებლო საქმიანობის შეჯამების შედეგები დაახლოებით ასეთია:

| წლები | სკოლების რაოდენობა | ვაჟები | გოგონები | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1836 | 1 | 30 | — | 30 |
| 1850 | 35 | 531 | 196 | 727 |
| 1870 | 56 | ცნობ. არაა | ცნობ. არაა | 865 |
| 1890 | 147 | ცნობ. არაა | ცნობ. არაა | 2666 |

ასევე აქტიურ საქმიანობას ეწეოდა ანგლიკანური ეკლესიაც[15], რომლის სამოქმედო არე ძირითადად იყო სამხრეთი ირანი. 1898 წელს მათ ისფაჰანის მახლობლად გახსნეს სკოლები სომეხი ბავშვებისათვის — ვაჟთათვის 229 ადგილით და გოგონებისათვის 206 ადგილით[16]. 1887—1890 წლებში ინგლისელებმა უფასო სწავლებით გახსნეს 7 სკოლა 400 ბავშვისათვის. სასწავლო პროგრამები ძირითადად დგებოდა ინგლისური პროგრამების მიხედვით[17]. 1904 წელს ისფაჰანში გაიხსნა საერო სკოლა — „სტიუარტ მემორიალ კოლეჯი", ხოლო შემდეგ ანალოგიური სკოლები გაიხსნა შირაზში, ქერმანში, იეზდში[18]. საერთოდ 90-იანი წლებისათვის ინგლისის მისიონერულ სკოლებში ირანსა და თურქეთში სწავლობდა დაახლოებით 15000-მდე ბავშვი, რომლებსაც აერთიანებდა 72 სოფლის სკოლა[19].

ფრანგი მისიონერების საქმიანობის ძირითადი ასპარეზი იყო ოსმალეთის იმპერია, სადაც 1914 წლისათვის მათი სკოლების წრეში მოქცეული იყო 110000 ბავშვი[20]. ამასთანავე ისინი აქტიურ სასკოლო პოლიტიკას ეწეოდნენ ირანშიც. ფრანგულმა კათოლიკურმა მისიამ ირანში გახსნა 76 სკოლა, სადაც მთავარი ყურადღება ექცეოდა ფრანგული ენის შესწავლას[21]. ფრანგული სკოლები იყო თეირანში, ჰამადანში, რეშთში, ჯულფაში, სალმასში, ისფაჰანში და სხვ.

XIX—XX სს-ის მიჯნაზე ძლიერდება გერმანელთა მისწრაფება — დაიკავონ გაბატონებული პოზიციები ირანის ცხოვრების ყველა სფეროში. იმ პი-

13 დაწვრილებით ამ საკითხზე იხ. ე. ჯ ა ნ ი ს დასახ. ნაშრომი, გვ. 11—12.

14 აღნიშნული ფირმანის სპარსული ტექსტი იხ. მ. ქ ი ა ნ ფ ა რ ი ს დასახ. ნაშრ., გვ. 21.

15 R e z a A r a s t e h, Education and social avakening in Iran, Leiden, 1962, გვ. 121.

16 Е. А. Д о р о ш е н к о, Система просвещения в Иране, Москва, 1959, გვ. 13.

17 Н. О р л о в, Некоторые сведения о гебрских школах в Персии. „Записки Восточного отделения русского археологического общ." т. V, вып. 1, СПб, 1890, გვ. 100—101.

18 ა. ს ა დ ი ყ ი, თა̄რიხე ფარჰანგ დარ ირა̄ნ, გვ. 342.

19 M. P. C u r z o n, Persia and the Persian question, London, 1898, II, გვ. 544.

20 Ю. А. Б о е в, Ближний Восток во внешней политике Франции, Киев, 1964, გვ. 118

21 ჰ. ო მ ი დ ი, თა̄რიხე ფარჰანგე აზერბა̄იჯა̄ნ, 1332, გვ. 9 (სპარსულ ენაზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობათა შორის, რომლებიც გერმანიის მთავრობამ წაუყენა 1896 წელს ირანს, სესხის მიცემის საფასურად, იყო თეირანში გერმანულ-სპარსული სასწავლო დაწესებულების გახსნა, რომლის სათავეში გერმანელი პროფესორები უნდა ყოფილიყვნენ. სასწავლებლის აშენებისა და ორგანიზაციისათვის შაჰი ვალდებული იყო გამოეყო 500 თუმანი, გერმანელთა წილზე კი მოდიოდა დაახლოებით 18000 თუმანი[22]. სკოლის მთავარი ამოცანა იყო მოემზადებინა მოხელეები, თავისუფალი პროფესიის ადამიანები, აგრეთვე ირანის მომავალი საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოღვაწენი. შემდგომში ამ სკოლას ძალზე დიდი როლი უნდა ეთამაშა ირანის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

1913 წელს თეირანში რუსეთის საქმეთა რწმუნებული შეშფოთებით ატყობინებდა საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ ირანის დედაქალაქში გერმანული გავლენის გაძლიერებას სერიოზულად ხელს უწყობს მათი საქმიანობა მედიცინისა და სახალხო განათლების დარგში. „გერმანული სკოლა უკვე ითვლება პირველ საგანმანათლებლო დაწესებულებად თეირანში, როგორც საერთო მოწყობილობითა და მოსწავლეთა რაოდენობით, ისე ახალგაზრდა სპარსელების მომზადების სერიოზულობითაც“[23], წერდა ის. როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა იდგა საკითხი თეირანში გერმანული უნივერსიტეტის გახსნის შესახებაც.

აშშ, ინგლისისა და საფრანგეთის რელიგიურ-მისიონერული და საგანმანათლებლო საქმიანობის ფონზე რუსეთის სასკოლო პოლიტიკა ირანში შედარებით უმნიშვნელო იყო. ყოველ შემთხვევაში XIX—XX სს-ის მიჯნამდე ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესების მიუხედავად ამ საქმეს მეფის რუსეთის საგარეო პოლიტიკის მესვეურნი არ აქცევდნენ ჯეროვან ყურადღებას.

რუსეთის საგარეო-პოლიტიკური კურსი არ იყო მოქნილი და მრავალფეროვანი. XIX ს-ის ბოლო ოც წლეულამდე იმპერიის მმართველი წრეები თავიანთი პოზიციების განმტკიცებას ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში ახორციელებდნენ ე. წ. „ძალის პოზიციებიდან“. ინსტრუქციაში, რომელიც დათარიღებულია 1816 წლის 29 ივლისით, ინგლისელთა გავლენის გაძლიერებით შეშფოთებული იმპერატორი ალექსანდრე I ირანში გამგზავრების წინ წერდა ერმოლოვს: „ინგლისელებმა თავიანთი პოზიციები იქამდე გააძლიერეს სპარსეთში, რომ იგი ვრცელდება საშინაო მმართველობის ყველა სფეროზე“[24]. იგი გრძნობდა, რომ ინგლისელთა ასეთი მდგომარეობა ემუქრებოდა რუსეთის ინტერესებს არა მარტო ირანში, არამედ კავკასიაშიც. „ინგლისელთა გავლენის შესუსტება, შემდეგ კი მისი მოსპობა, თქვენი მისიის უმთავრესი ამოცანაა“[25], ასკვნის ის.

---

[22] А. К. Фукс, Германская политика в Персии, „Новый Восток“, 1928, №20—21, გვ. 116.

[23] Архив Внешней политики России МИД СССР, фонд „Персидский стол“, „Б“, საქმე 520, ფურც. 114 (შემდეგში: АВПР).

[24] Акты, собранные Кавк. Арх. Комиссией (Архив Главного управления наместника Кавказского), Тифлис, 1874, VI, II, გვ. 125.

[25] იქვე, გვ. 126.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ როგორ, რა გზით უნდა მიეღწიათ რუს დიპლომატებს სასურველი შედეგისათვის? ალექსანდრე ჰკარნახობს, რომ მას (ერმოლოვს — ე. ზ.) ხშირად შეეხსენებინა შაჰისა და მისი კარის წარმომადგენლებისათვის რუსეთის სამხედრო სიძლიერე, რადგან „შიში ამ ხალხზე ყველაზე მეტად მოქმედებს“[26].

საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ რუსეთის გენერალური საკონსულოს მოხელეები თეირანში, თავრიზში, რეშთში და სხვაგან კარგად ხედავდნენ და გრძნობდნენ თუ როგორი ძლიერი პროპაგანდისტული იარაღი იყო სკოლები უცხოეთის ქვეყნების ხელში. მათ საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი მოხსენებებში მოჰყავდათ უამრავი ფაქტები, რომლებიც ნათლად ადასტურებდნენ ინგლისის, აშშ-ის, საფრანგეთის და უფრო მოგვიანებით გერმანიის სასულიერო-საგანმანათლებლო მისიების პოლიტიკის ძირითად მიზნებსა და ამოცანებს. თავისთავად ასეთი სკოლები რუსეთის წინააღმდეგ იდეოლოგიური ბრძოლის ერთ-ერთი იარაღიც იყო. რუსეთის ასეთი პასიური საგანმანათლებლო პოლიტიკის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ქვეყნის არც თუ ისე მყარი ეკონომიური მდგომარეობაც.

მაგრამ რაც დრო გადიოდა რუსეთის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ინტერესები ირანში მოითხოვდნენ შეეცვალათ მმართველი წრეების დამოკიდებულება ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხისადმი. მომძლავრებული ბურჟუაზია, ინტელიგენცია და პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები აშკარად გამოხატავდნენ თავიანთ უკმაყოფილებას. „რუსული სკოლების გახსნისა და განვითარების საკითხები დაკავშირებულია ჩვენს პოლიტიკურ ინტერესებთან. რუსული სკოლის აღზრდილები იქნებიან საუკეთესო თანაშემწენი ჩვენი ინტერესების დაცვასა და შენარჩუნებაში“[27] — წერდა გაზეთი „Голос Москвы“. გაზეთს აუცილებლად მიაჩნდა, რომ ამ საქმით უნდა დაინტერესებულიყო არა მარტო საგარეო საქმეთა სამინისტრო, არამედ ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროც. „ჩვენი სავაჭრო ინტერესები ძალზედ მნიშვნელოვანია და ჩვენ არ შეგვიძლია უარვყოთ ისეთი აუცილებელი ფაქტორი, როგორიც სკოლაა“ — წერდა ის.

ასევე აქტიური და უფრო ნაყოფიერი პოლიტიკის გატარების მომხრე იყო რუსეთის სასულიერო მისიის ორგანო ურმიაში „Православная Урмия“. ჟურნალი გადაჭრით მოითხოვდა მკაცრი და წინდახედული პოლიტიკის გატარებას ურმიის მოსახლეობაში. „უცხოეთის მთავრობები, როგორც ჩვენ დავრწმუნდით სპარსეთის ცხოვრებაზე დაკვირვებით, ახორციელებენ თავიანთ გავლენას მასზე და გვეცილებიან მას ძალზე დაძაბულად და განუხრელად, ხოლო ჩვენს კულტურულ მიღწევებში გაჩნდა სერიოზული ბზარი“[28] — წერდა ჟურნალი.

სწორედ შენიშნავდა ფრანგი მკვლევარი რუირი, რომ XIX ს-ის ბოლო მეოთხედიდან თავისი პოლიტიკის გასაძლიერებლად რუსეთი ძალდატანებისა და იძულების პოლიტიკიდან გადადის „მშვიდობიანი მეთოდების გა-

---

[26] Акты, собранные Кавк. Арх. Комиссией (Архив Главного управления наместника Кавказского), Тифлис, 1874, VI, II, გვ. 126.

[27] „Голос Москвы“, 23. XII, 1910.

[28] „Православная Урмия“, 1913, №13, გვ. 2—3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოყენებაზე“[29]. ამ პოლიტიკური ხაზის ერთ-ერთი გამოხატულება იყო აქტიური სასკოლო საქმიანობის დაწყება ირანის აზერბაიჯანში.

ირანის აზერბაიჯანის რუსეთთან ტერიტორიული სიახლოვე და ცხოველი სავაჭრო ოპერაციები აუცილებელს ხდიდა დადებითად გადაჭრილიყო რუსულ-სპარსული სკოლის გახსნის საკითხი.

აქ გასათვალისწინებელია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ XIX—XX სს-ის მიჯნაზე ირანში დიდი რაოდენობით დაგროვდა უმუშევარი ხალხი — ხელოსნები, მუშები, გლეხები; ისინი სამუშაოდ მიდიოდნენ რუსეთში, ძირითადად ამიერკავკასიასა და ამიერკასპიისპირეთში. XX ს-ის პირველი ათწლეულის დასასრულისათვის ირანიდან წასულთა რიცხვი რუსეთში ყოველწლიურად აღწევდა დაახლოებით 200 000 კაცს[30]. 1902 წლიდან სპარსული ენის კარგი მცოდნე დ. ს. პოხიტინოვის თავრიზში გენერალურ კონსულად დანიშვნამ კიდევ უფრო დააჩქარა სკოლის გახსნა.

1903 წლის დეკემბერში ფინანსთა მინისტრი წერდა გრაფ ლამზდორფს — საგარეო საქმეთა მინისტრს, რომ პოხიტინოვის ინიციატივით ნავარაუდევია თავრიზში სავაჭრო ხასიათის რუსულ-სპარსული სკოლის გახსნა. ფინანსთა სამინისტრო პრინციპში არ იქნებოდა წინააღმდეგი გაეწია ფინანსური დახმარება აღნიშნული სკოლისათვის ყოველწლიურად 1 000 მანეთის რაოდენობით, რადგანაც მისი აზრით „სწორედ დაყენებულ სწავლებას ამ სკოლაში შეუძლია ხელი შეუწყოს რუსეთის პოლიტიკური გავლენის გაძლიერებას ჩვენ მეზობელ ქვეყანაში“[31].

XX ს-ის დასაწყისისათვის თავრიზის სხვადასხვა სკოლებში, მათ შორის ევროპულებშიც, რუსულ ენას სწავლობდა 600 ვაჟი. (მხედველობაში არაა იმ ორი სომხური სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებიც რუსული ენის სწავლების საფასურად კავკასიის ხელმძღვანელობისაგან ღებულობდნენ ყოველწლიურ სუბსიდიას 1 000 მანეთის ოდენობით)[32].

უცხოეთის საგანმანათლებლო მისიების მესვეურნი თავრიზში კარგად ხედავდნენ რუსული ენის სწავლების აუცილებლობას. XIX—XX სს-ის მიჯნიდან თითქმის ყველა მისიონერულ სკოლაში ასწავლიდნენ რუსულ ენას. 1905 წელს თავრიზის ფრანგული სკოლის „ლოყმანიეს“ დირექტორი რენარი სთხოვდა რუსეთის სახალხო განათლების სამინისტროს, გაეწია აღნიშნული სკოლისათვის ფინანსური დახმარება იმ მოტივით, რომ თითქოსდა „ლოყმანიე“ დაარსებულა „ფრანგული და რუსული ენების პოპულარიზაციის მიზნით[33]. საგარეო საქმეთა სამინისტროს შეკითხვის პასუხად აზერბაიჯანის გენერალური საკონსულოდან ატყობინებდნენ, რომ „ლოყმანიე“ გაიხსნა 1899 წელს და იმავე წლიდან წარმოებს რუსული ენის სწავლება, რომელსაც ასწავლის უცოდინარი ადამიანი. „რუსულ ენას აქ უკავია სრულიად დაქვემდე-

[29] Д—р Руир, Англо-Русское соперничество в Азии в XIX веке, Москва, 1924, გვ. 42.

[30] Л. А. Собоцинский, Персия, Статистико-экономический очерк, СПб, 1913, გვ. 289.

L. Enter, Russo-Persian commercial relations 1828—1914, Florida, 1965, გვ. 60.

[31] АВПР, ф. „Персидский стол“, “Б“, საქმე, 520, ფ. 2

[32] იქვე, ფ. 5.

[33] АВПР, ф. „Персидский стол“ (осн.) საქმე 599, ф. 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარებული მდგომარეობა. სასწავლებელი „ლოყმანიე“ ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ იმ ქვეყნის (ე. ი. საფრანგეთის — ე. ზ.) ინტერესებს“[34] იწერებოდნენ საკონსულოდან. რუსი დიპლომატების დაჟინებული მოთხოვნით რენარს უარი ეთქვა დახმარებაზე.

პოხიტინოვი სკოლის დასაარსებლად ეკონომიური მხარის განხილვის დროს ძირითადად ემყარებოდა ირანში რუსეთის სააღრიცხვო-გამსესხებელი ბანკის თავრიზის განყოფილებას. მაგრამ ამავე დროს გენერალური კონსული სთხოვდა კავკასიის ხელმძღვანელობას, გამოეყო ამ სკოლისათვის თანხა იმ რაოდენობით, რომლითაც ისინი ეხმარებოდნენ სომხურ სკოლას[35].

მაგრამ, როგორც ჩანს, რუსეთის საგარეო პოლიტიკის მესვეურებს არ ჰქონდათ მყარი სამოქმედო გეგმა ირანის მიმართ. მაშ რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ზუსტად 2 თვის შემდეგ, 1904 წელს თებერვალში ფინანსთა მინისტრი გრაფ ლამზდორფს ახალი წერილით ატყობინებდა, რომ „სპარსეთში ჩვენი მომავალი ეკონომიური პოლიტიკის საკითხის გარკვევამდე მე მიძნელდება ფინანსების გაცემის ნება დავრთოო“[36] (რუსულ-სპარსული სკოლისათვის — ე. ზ.).

თავრიზში რუსულ-სპარსული სკოლის გახსნას წინ უსწრებდა ილია სუსახოვის რუსულ-სპარსული სასწავლებლის საქმიანობა. ი. სუსანოვი რომელიც წარმოშობით თბილისელი ყოფილა, 1897 წელს ჩავიდა თავრიზში და თავდაპირველად მუშაობდა აზერბაიჯანში რუსეთის გენერალური კონსულის ა. პ. პეტროვის ბავშვების აღმზრდელად. „მე როგორც ჭეშმარიტმა რუსმა მოქალაქემ გადავწყვიტე ამერჩია მშვიდობიანი საშუალება სპარსელ ხალხში რუსული კულტურის დასანერგავად“ — წერდა ის რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს[37].

ი. სუსანოვის ინიციატივით 1902 წელს გაიხსნა კერძო ხასიათის რუსული საქალაქო სამკლასიანი სასწავლებლის ტიპის სკოლა. სწავლა მიმდინარეობდა რუსულ ენაზე შემდეგი პროგრამით: რუსული ენა, არითმეტიკა, გეოგრაფია, რუსეთის ისტორია, ხატვა, სუფთა წერა, ხოლო 1905—1906 წლებიდან მას დაემატა ალგებრა, გეომეტრია, კომერციული არითმეტიკა და ბუნებისმეტყველების ისტორია[38]. 1906 წლისათვის სუსანოვის სკოლაში სწავლობდა 120 ვაჟი და 18 გოგონა. სკოლის შენობა შედგებოდა ხუთი პატარა ოთახისაგან, სკოლის ბიბლიოთეკაში იყო დაახლოებით 600 წიგნი. სულ იყო 5 მასწავლებელი — თვით სუსანოვი, მისი მეუღლე, რომელსაც დამთავრებული ჰქონდა ქალთა გიმნაზია რუსეთში და სამიც მოწვეული[39].

პოხიტინოვის მიერ თავრიზში სკოლის გახსნის კამპანიის დაწყებას ძალზე მტრულად შეხვდა სუსანოვი. მას შეგნებული ჰქონდა, რომ მისი სკოლა ვერ გაუწევდა კონკურენციას ოფიციალურ სასწავლებელს, რომელიც იქნებოდა გენერალური საკონსულოს მფარველობის ქვეშ და რომელიც მიიღებდა რუსეთის მთავრობისა და რიგი სამინისტროების ოფიციალურ აღიარებას.

---

[34] АВПР, ф. „Персидский стол“, (осн.) საქმე 559, ფ. 3.
[35] АВПР, ф. „Персидский стол“, “Б“, საქმე 520, ფ. 6.
[36] იქვე, ფ. 8.
[37] იქვე, ფ. 50.
[38] იქვე, ფ. 51.
[39] იქვე, ფ. 51.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ ეს უნდა ყოფილიყო მიზეზი, რომ უკვე 1905 წელს სუსანოვი მიდის პეტერბურგში და ცდილობს მიაღწიოს სკოლისათვის ფინანსური დახმარების მიღებას და რუსეთის მმართველი წრეების მხრივ სკოლის ოფიციალურ აღიარებასაც კი. სწორი არ უნდა იყოს ი. სუსანოვის მტკიცება, რომ „მე ან სულ არ ვიღებ სწავლის ქირას, ან კიდევ ის ძალზე უმნიშვნელოა". ძნელად საფიქრებელია, რომ სუსანოვს რამდენიმე წლის განმავლობაში საკუთარი ხარჯებით შეენახა რუსულ-სპარსული სკოლა. ამასვე ადასტურებდა პოხიტინოვი, როცა თავის საიდუმლო დეპეშაში იტყობინებოდა, რომ „მისი სკოლა (სუსანოვის — ე. ზ.) არსებობს მოსწავლეთა შესატანი სახსრებით"[40].

ფინახსური დახმარების თხოვნით ი. სუსანოვმა მიმართა ფინანსთა, სახალხო განათლების, ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროებს, შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარ შტაბს. სუსანოვმა მიაღწია საწადელს: 1905 წლის სექტემბერში ფინანსთა მინისტრმა ნება დართო სპარსეთის სააღრიცხვო-გამსესხებელ ბანკს გამოეყო ყოველწლიურად სუსანოვის სკოლისათვის 1000 მანეთი იმ პირობით, რომ „ბანკის თავრიზის განყოფილება შეუთანხმდებოდა გენერალურ საკონსულოს, რათა დაემყარებინათ კონტროლი სკოლაზე, იმ მიზნით, რომ სუსანოვის საგანმანათლებლო მოღვაწეობა შეესაბამებოდეს ჩვენი მთავრობის ინტერესებს"[41].

სუსანოვი თავრიზში რუსულ-სპარსული ოფიციალური სკოლის გახსნის სასტიკი მოწინააღმდეგე იყო. მისი აზრით, ასეთი სკოლის გახსნა აუცილებლად გამოიწვევდა აღშფოთებას რელიგიისა და ხალხის მხრით. ამ სკოლას არამცთუ ექნება წარმატება, არამედ დაღუპავს ჩემს მიერ წამოწყებულ საქმესო — წერდა ის 1905 წლის აგვისტოში ლამზდორფს.

მომწიფდა რა ნიადაგი ოფიციალური რუსულ-სპარსული სკოლის გახსნისათვის, პოხიტინოვი ერთხელ კიდევ ასაბუთებდა თავრიზში ასეთი ტიპის სკოლის გახსნის აუცილებლობას და წერდა: „მე არ შემიძლია არ აღვნიშნო სასიამოვნო მისწრაფება ადგილობრივ მუსლიმურ მოსახლეობას შორის რუსული ენის შესწავლისადმი, დაწყებული თვით ირანის ტახტის მემკვიდრიდან[42].

პოხიტინოვისა და სუსანოვის ამ დავაში გაიმარჯვა პირველმა. უკვე 1906 წლის დეკემბრის ბოლოს ფინანსთა სამინისტროდან ატყობინებდნენ საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ პოხიტინოვი წინააღმდეგია სუსანოვის სკოლის საქმიანობისა და ამდენად აუცილებელია შეუწყვიტოთ მას ფინანსური დახმარება. მაგრამ საგარეო საქმეთა სამინისტროში საქმეებს უფრო რეალურად უყურებდნენ. ცხადი იყო, რომ თავრიზში მოქმედი, უკვე გახმაურებული სუსახოვის სკოლისათვის უცაბედად დახმარების გაწევის შეწყვეტა არც თუ ისე სახარბიელო გამოძახილს დატოვებდა. საგარეო საქმეთა მინისტრი ამის თაობაზე წერდა კოკოვცოვს: „მე მაინც ვფიქრობ, რომ რუსული საქმეების ინტერესები თავრიზში დაზარალდება ნაკლებად, თუ ჩვენ გავუწევთ სუსანოვს დახმარებას მიმდინარე სასწავლო წლის ბოლომდე, ვიდრე მაშინ თუ დახმარების უეცარი შეწყვეტით ის (სუსანოვი) იძულებული იქნება სასწავლო წლის შუა პერიოდში დახუროს თავისი სასწავლებელი. ამან შეიძლება ადვილად გაუტეხოს ნდობა რუსულ საგანმანათლებლო ორგანიზაციებს ადგილობრივი მოსახ-

[40] АВПР, ф. „Персидский стол", (осн.) საქმე, 599, ფ. 33.

[41] იქვე, ფ. 12.

[42] იქვე, ფ. 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეობის თვალში, რადგანაც უეჭველია, რომ სუსანოვის სკოლის სუბსიდირების ფაქტი საყოველთაოდაა ცნობილი თავრიზში და მას აძლევენ მთავრობის დაწესებულების მნიშვნელობას“[43].

მაგრამ არც ფინანსთა სამინისტრო, არც თავრიზის გენერალური საკონსულო და არც იმპერატორის წარგზავნილი თეირანში არ იყვნენ დაინტერესებულნი ორი სკოლის არსებობით. 1907 წელს ფინანსთა მინისტრი წერდა ა. პ. იზვოლსკის, რომ „ხაზინის ხარჯზე გავუწიოთ თავრიზის ორივე სკოლას მხარდაჭერა, მათ შორის არსებული კონკურენციის პირობებში, არაა მიზანშეწონილი“-ო[44]. ხოლო გარტვიგი თავის საიდუმლო დეპეშაში წერდა, რომ „უკეთესია გვქონდეს ისეთ აუცილებელ პუნქტში, როგორც თავრიზია, ერთი სანიმუშო სასწავლებელი, ვიდრე რამდენიმე საცოდავი სკოლა“[45].

რუსული 6-კლასიანი საქალაქო სასწავლებლის ტიპის სკოლა გაიხსნა 1906 წლის 6 დეკემბერს. სკოლის დანიშნულება იყო ყოფილიყო „რუსული კულტურული საწყისების გამტარებელი ადგილობრივ მოსახლეობაში, აგრეთვე ორივე ქვეყნის ურთიერთდაახლოების მიზნით, სავაჭრო და ეკონომიურ ნიადაგზე, გაევრცელებინა რუსული ენა“[46].

როგორც საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივის მასალებიდან ირკვევა, პოხიტინოვთან ერთად ამ სკოლის გახსნის ინიციატორი და ორგანიზატორი იყო რუსეთის სააღრიცხვო-გამსესხებელი ბანკის თავრიზის განყოფილების მმართველი კ. ნ. ბუდიდოვიჩი[47].

სკოლაში სწავლების პროცესს კონტროლს უწევდა გენერალური საკონსულოს დრაგომანი ვვედენსკი. მასწავლებლები, რომლებსაც დამთავრებული ჰქონდათ სპეციალური კურსები, გამოიძახეს კავკასიიდან. თავრიზის რუსულ-სპარსულ სკოლაში სწავლების ქირა უდრიდა 6-10 ყრანს თვეში, თუმცა მოსწავლეთა უმრავლესობა განთავისუფლებული იყო ქირისაგან. ისინი კი ვისაც სურდათ მიეღოთ კერძო გაკვეთილები რუსულ ენაში ყოველთვიურად იხდიდნენ 20 ყრანს. სკოლის წესდების თანახმად შესვენებების დროს ნებადართული იყო ლაპარაკი მხოლოდ რუსულ ენაზე (მოსამზადებელი კლასების გარდა). მოსწავლეები ვალდებულნი იყვნენ პარასკეობით ევლოთ მეჩეთში. როგორც სკოლის წესდებაშია ჩაწერილი, მას უნდა მიეცა მოსწავლეებისათვის ზოგადი და კომერციული განათლება. იგი შედიოდა ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს განმგებლობაში, ხოლო სასწავლო და ადმინისტრაციულ დარგში უშუალოდ ემორჩილებოდა აზერბაიჯანში რუსეთის გენერალურ საკონსულოს. სასწავლებლის კურსდამთავრებულნი სარგებლობდნენ რუსეთის რეალური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა უფლებებით[48].

სკოლაში 1906 წელს სწავლობდა 60 კაცი, მათ შორის რუსეთის ქვეშევრდომი 13, ირანისა კი 47. მომდევნო 1907—1908 სასწავლო წელს სკოლის 72 მოსწავლიდან რუსეთის მფარველობის ქვეშ იყო მხოლოდ 15. საინტერესოა

---

43 АВПР, ф. „Персидский стол,“ (осн.) საქმე, 599, ფ. 36.

44 იქვე, ფ. 44 .

45 იქვე, ფ. 46.

46 АВПР, ф. „Персидский стол“, საქმე 65, ფ. 3.

47 საქართველოს სსრ ცსა, ფონდი 422, № 18664, ფ. 4—5.

48 АВПР, ф. „Персидский стол“, “Б“, 1908—15, საქმე 521, ფ. 23, 24, 79, 81.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის ფაქტი, რომ ამავე სასწავლო წელს მოსამზადებელ ჯგუფში მიღების 58 მსურველიდან უარი ეთქვა 48 ბავშვს. მიღებული 12 მოსწავლე იყო თავრიზის მკვიდრი. სკოლის ხუთი მასწავლებლიდან ორს დამთავრებული ჰქონდა ერევნის სამასწავლებლო სემინარია, ერთს გორის სემინარია, ერთს მექთები თავრიზში და ერთსაც თავრიზის ერთ-ერთი სასწავლებელი[49]. სკოლის სასწავლო პროგრამა შედგებოდა შემდეგი საგნებისაგან: საღვთო სჯული, რუსული ენა, ქიმია და საქონელმცოდნეობა, ბუნებისმეტყველების ისტორია, რუსეთის ისტორია, ფიზიკა, გეოგრაფია, ბუხჰალტერია, არაბული ენა, სპარსული ენა, ფრანგული ენა, ანგარიში, პოლიტიკური ეკონომია, კალიგრაფია (რუსული და სპარსული), ხატვა, ტანვარჯიში, კანონთმცოდნეობა (ძირითადად სავაჭრო და სამრეწველო), კომერციული გეოგრაფია; არასავალდებულო საგნებად შეიძლებოდა ყოფილიყო რომელიმე უცხო ენა, სტენოგრაფია, სიმღერა, მანქანაზე ბეჭდვა[50].

სკოლაში უპირატესობა ენიჭებოდა რუსული ენის სწავლებას. მაგალითად, ყოველკვირეულად რუსულ ენას ეთმობოდა პირველ კლასში 14 საათი, სპარსულს კი მხოლოდ 6, II კლასში შესაბამისად 12 და 4, III კლასში 6 და 3. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ერთი მოსწავლის სწავლების ღირებულება თავრიზის სკოლაში უდრიდა 103 მანეთს, მაშინ როცა ამ მიზნით ელიზავეტოპოლში იხარჯებოდა 187 მანეთი, ერევანში 145, ვლადიკავკაზში კი 192[51].

1908 წლის პირველი ნოემბრიდან სასწავლებელთან შეიქმნა მეორე თანრიგის მეტეოროლოგიური სადგური. სკოლის მოსწავლეების მიერ რუსულიდან სპარსულად ითარგმნა ლ. ტოლსტოის „აღმოსავლური ლეგენდა“ და სხვა ნაწარმოებები.

თავრიზის რუსულ-სპარსული სკოლა წარმატებით საქმიანობდა 1908 წლის 1 ივლისამდე, შემდეგ თავრიზის ამბებთან დაკავშირებით სკოლა გაძარცვეს და დაწვეს. მან მხოლოდ 1909—1910 სასწავლო წელს გააგრძელა თავისი საქმიანობა. სწორედ ამ პერიოდიდან განიცდის სკოლა მძიმე კრიზისულ პერიოდს. „ვითვალისწინებთ რა თავრიზში ბრწყინვალედ მოწყობილ ამერიკელი და ფრანგი მისიონერების სკოლების არსებობას, რუსული სასწავლებლისადმი დახმარება იქნებოდა ძალზე სასურველი, მითუმეტეს როდესაც მისი აუცილებლობა რუსეთთან მეზობლობის გამო ჯეროვნად არის შეფასებული თავრიზის სავაჭრო კლასის მიერ“[52] — წერდნენ თეირანში იმპერატორის წარგზავნილს თავრიზის გენერალური საკონსულოდან. აუცილებელი შეიქმნა სკოლისათვის შესაფერისი შენობის გამონახვა; დ. ს. პოხიტინოვი სთავაზობდა ეყიდათ სახლი ეზოთი, რომლის ღირებულება უდრიდა დაახლოებით 10000 თუმანს. ამ თანხის ნაწილს დაფარავდნენ სააღრიცხვო-გამსესხებელი ბანკის თავრიზის განყოფილების სახსრებით და იმ თანხით, რომელიც სჭირდებოდა არსებული სასკოლო შენობის ყოველთვიური ქირის გადახდას (224 თუმანი). გარდა ამისა, ამ თანხის ნაწილი უნდა დაეფარა ირანის მთავრობას[53].

---

[49] АВПР, ф. „Персидский стол“, “Б“, საქმე 522, ფ. 5.

[50] АВПР, ф. „Персидский стол“, “Б“, 1908—15, საქმე 521, ფ. 79.

[51] იქვე, ფ. 13.

[52] АВПР, ф. „Персидский стол“, “Б“, საქმე 520, ფ. 78ª.

[53] იქვე, ფ. 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნულ სასწავლებელში მოსწავლეთა რიცხვი 1909—1910 სასწავლო წელს გაიზარდა 85-მდე. ოთხივე მასწავლებელი, რომლებიც ამ პერიოდში ასწავლიდნენ თავრიზის სკოლაში, მუსლიმური სარწმუნოებისა იყო. მათგან ორს დამთავრებული ჰქონდა ერევნის სამასწავლებლო სემინარია, ერთს თბილისის რეალური სასწავლებელი და ერთსაც თავრიზის მედრესე. მასწავლებელთა საშუალო ხელფასი წლიურად აღწევდა 264 მანეთიდან 780 მანეთამდე.

რუსულ ენას კვირაში ეთმობოდა 38 საათი, საღვთო სჯულს 5 საათი, არითმეტიკას 24 საათი, ბუნებისმეტყველებას 3 საათი, რუსეთის ისტორიას 3 საათი, გეოგრაფიას 10, არაბულ ენას 7, სპარსულ ენას 16, ანგარიშს 2, გეომეტრიას 2, კალიგრაფიას 4, აქედან ბოლო სამ საგანში არ გააჩნდათ სახელმძღვანელოები[54].

სკოლას აფინანსებდა ირანის სააღრიცხვო-გამსესხებელი ბანკის თავრიზის განყოფილება თვეში 50 თუმნის ოდენობით, აგრეთვე თავრიზის რკინიგზის სამმართველო. მოსწავლეებისაგან ქირის სახით შემოსული თანხა ყოველწლიურად აღწევდა 3000 თუმნამდე[55].

სკოლაში გამოსაშვებ გამოცდებს ესწრებოდნენ თავრიზის გენერალურ-საგუბერნატოროს ოფიციალური წარმომადგენლები. როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, სკოლადამთავრებულთა ერთი ნაწილი მიდიოდა ერევნის სემინარიაში სწავლის გასაგრძელებლად, ხოლო დანარჩენები კი რჩებოდნენ თავრიზში სხვადასხვა სავაჭრო დაწესებულებებში სამუშაოდ.

ირანის მთავრობა, ხედავდა რა თავრიზში რუსულ-სპარსული სკოლის არსებობის აუცილებლობას, იძულებული იყო 1914 წლიდან დაენიშნა ამ სკოლისათვის ყოველთვიური ბიუჯეტი 100 თუმნის რაოდენობით[56]. თავრიზში სახალხო სასწავლებლების დირექტორის მითითების შესაბამისად, რუსული ენა ქალაქის ყველა სკოლაში უნდა ყოფილიყო სავალდებულო საგანი და მისი სწავლებისათვის უნდა მიექციათ განსაკუთრებული ყურადღება, მოეწვიათ საუკეთესო რუსი მასწავლებლები. რუსული ენის შემდეგ შეიძლებოდა ფრანგული ენის სწავლება. რაც შეეხება ინგლისურს, დირექტორმა იგი მიიჩნია სრულიად ზედმეტად და არასაჭიროდ. ამავე პერიოდიდან ირანში სკოლების გეგმიური დაარსებით ინტერესდება კავკასიის ოლქის ხელმძღვანელობაც. „რუსეთის მთავრობა აქამდე იფარგლებოდა მხოლოდ საგარეო საქმეთა სამინისტროს ხაზით სასკოლო საქმის შემთხვევითი დაფინანსებით და თანაც კონსულთა შუამდგომლობის შემდეგ. სასკოლო საქმეში ასეთ შემთხვევით ორგანიზაციას იმპერიის მოსაზღვრე რაიონებში რუსეთის მთავრობის მიერ მომავალში ადგილი არ უნდა ჰქონდეს“[57] — წერდა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი კავკასიის ნაცვალს.

თავრიზის გენერალურმა საკონსულომ აღძრა შუამდგომლობა, რათა თავრიზის რუსულ-სპარსული სკოლის მასწავლებლებს ესარგებლათ სახელმწიფო მოსამსახურის უფლებებით და მიეწერათ ისინი ერევნის სახალხო სასწავლებლების დირექციაზე. ეს თხოვნა არ დააკმაყოფილეს. როგორც კავკასიის

---

[54] АВПР, ф. „Персидский стол“, „Б“, საქმე 520, ფ. 5.
[55] АВПР, ф. „Персидский стол“, საქმე 520, ფ. 122, საქმე 521, 1908—15, ფ. 87.
[56] იქვე, ფ. 139
[57] АВПР, ф. „Персидский стол“, „Б“, საქმე 525, ფ. 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაცვალი წერდა საზონოვს, მას „აღნიშნული საკითხის დადებითად გადაჭრა მიაჩნია შეუძლებლად, რადგანაც რუსულ-სპარსული სასწავლებელი თავრიზში წარმოადგენს კერძო ხასიათის სასწავლო დაწესებულებას და თანაც დაარსებულს იმპერიის ფარგლებს გარეთ“[58].

მაშინ დაისვა საკითხი თავრიზის საქალაქო ტიპის სასწავლებლის უმაღლეს დაწყებით სასწავლებლად გარდაქმნის შესახებ, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეეძლოთ ამ სკოლის პედაგოგებს მიეღოთ სახელმწიფო მოსამსახურის უფლებები. რადგანაც 1912 წლის 25 ივნისის კანონის თანახმად ასეთი ტიპის სასწავლებლების გახსნა გათვალისწინებული იყო მხოლოდ იმპერიის ტერიტორიაზე, სახალხო განათლების მინისტრი სთავაზობდა საზონოვს განეხილათ თავრიზში უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლის გახსნის საკითხი მინისტრთა საბჭოს სხდომაზე. მთავრობის მითითების შედეგად გამონაკლისის სახით, შეიძლებოდა აღნიშნული კანონის მოქმედება თავრიზშიც გავრცელებულიყო[59].

მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანში რუსული ენის გავრცელება მშვიდობიანი გზით წარმოადგენდა საუკეთესო საშუალებას რუსეთის ეკონომიური ინტერესებისათვის, რადგანაც, როგორც ერთ-ერთ საარქივო დოკუმენტში ვკითხულობთ: „რუსული სკოლის აღზრდილთა უმრავლესობა რუსული ორიენტაციის მომხრე იქნებოდა და ჩვენ დავეყრდნობოდით არა მარტო სამხედრო ძალას, არამედ მათ მხარდაჭერასაც“-ო[60]. 1916 წელს აღნიშნული სკოლა დაიხურა და თავრიზში აღარ იყო რუსული კულტურისა და ენის გამავრცელებელი დაწესებულება.

---

[58] АВПР, ф. „Персидский стол“, „Б“, საქმე, 525, ფ. 144.
[59] АВПР, ф. „Персидский стол“, საქმე 520, ფ. 148.
[60] საქართველოს სსრ ცსა, ფ. 422, ტ. 27, № 3565, ფ. 244.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რუსუდან მეფისაშვილი

# სოფელ ხეითის ძეგლი — საბა-წმინდა

ხეითის ტაძარი აგებულია იმ ხანაში, რომელიც საქართველოს წარსულ ცხოვრებაში მძაფრი შემოქმედებითი ძიებით აღინიშნება. აგებულების თავისებურებით და მთელი რიგი დეტალების გადაწყვეტით ნაგებობა ამ საინტერესო პერიოდის ძეგლთა ღირსშესანიშნავი წარმომადგენელია. იგი ჩვენამდე მოღწეულ ტაძართაგან განსაკუთრებულ ადგილს იკავებს და ამდენად საგანგებო ყურადღების ღირსია.

ეკლესიის აღმოსავლეთით, მისგან სულ რამდენიმე მეტრის დაშორებით წყარო მოედინება. ამ წყაროს საბედისწერო შედეგი მოაქვს ძეგლისათვის. წყალი შენობის საძირკველის ქვეშ იჟღინთება, გადის და რეცხავს ნიადაგს. ნაგებობის საძირკველი აღმოსავლეთის ნაწილში საგრძნობლად დაიწია და მთელი შენობა დასავლეთიდან აღმოსავლეთით გადაიხარა. ამას კედლებში დიდი ბზარების გაჩენაც მოჰყვა. რღვევის პროცესი დიდი ხანია მიმდინარეობს და დღესაც შეჩერებული არ არის.

საბა-წმინდის ტაძარი სოფ. ხეითის რომელაანთ უბანის განაპირას დგას, ცხინვალიდან 5-ოდე კმ მანძილზე, მდ. დიდი ლიახვის ხეობაში. ძეგლი მთის მოკავებულ ფერდობზეა აგებული და შემოვლებულია, დღეს ძალიან დაზიანებული ქვითკირის გალავნით. გალავანს შესასვლელი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს აქვს. სამხრეთით გალავნის კედელთან მრგვალი, ყორე-ქვით ნაგები, ორსართულიანი კოშკია ამართული. სხვა ნაგებობები გალავანში დაცული არ არის[1].

---

1 ცნობას საბა-წმინდის მონასტრის შესახებ პირველად ვახუშტი გვაწვდის: „კვალად ერედვის ჩრდილოთ, ამავე მთასა შინა, არს, ქრცხილვანისაკენ, მონასტერი გუნბათიანი, კეთილშენი. კარგს ადგილსა და შვენიერსა, საბაწმინდა, დიდნაშენი, და აწ ხუცის სამარ" (ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 76). 1848 წელს ძეგლი ინახულა მ. ბროსემ, რომელსაც მოჰყავს დასავლეთის ფასადზე დაცული რამდენიმე წარწერა და აღნიშნავს, რომ მათი გაშიფრვა ვერ ხერხდება. მ. ბროსე იხსენიებს ეკლესიის კანკელზე დაცულ ჭედურობის ნიმუშებს და შიგნით ზაალ მაჩაბელის საფლავის ქვას. ბოლოს დასძენს: და ასე ძეგლს, რომელსაც დანგრევა ემუქრება, საუკუნეზე კიდევ უფრო ადრე მომსვლელი ჰყავდა (M. Brosset, Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, VI, SPb, 1851, გვ. 62. დ. ბაქრაძეს მ კლე ანოტაციაში, ვახუშტის და ბროსეს ცნობები აქვს გამეორებული (Дм. Бакрадзе, Записки общества любителей Кавказской археологии, кн. I, Тифл., 1875, გვ. 125). პ. უვაროვა უფრო ვრცლად ე ება ხეითს. ავტორი აღნიშნავს, რომ ეკლესიაში დაცულია კანკელის მოჩუქურთმებული ფრაგმენტები, მწვანე ფერის ქვებზე შესრულებული, აგრეთვე მაჩაბელთა საგვარეულოს საფლავის ქვები, ძეგლის სახურავზე კი კრამიტის ნაშთები (П. Уварова, Материалы по археологии Кавказа, IV, М., 1894, გვ. 177, ტაბ. LIX). ი. მეგრელიძე წერს, რომ ეს ადგილი ცნობილია ქართულ ისტორიულ-არქეოლოგიურ ლიტერატურაში ხეითის— საბა-წმინდის ეკლესიით (X ს.), დედათა სავანითა და სხვ. ავტორი ეკლესიის მოკლე აღწერას იძლევა. მოჰყავს მის ფასადებზე და საფლავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძეგლისათვის სხვადასხვა სააღმშენებლო მასალაა გამოყენებული. გარედან ნაგებობის კედლები მოპირკეთებულია მუქი წითელი-ღვინისფერი, სუფთად ნათალი კვადრებით. შიგნით თლილი ქვა მოხმარებულია გარშემოსავლელის კედლებისათვის და თვით ეკლესიის ყველა კონსტრუქციული ნაწილებისათვის, ხოლო კედლები აქ ყორე-ქვითაა ნაგები.

ეკლესიის მაღალ, წაგრძელებულ, აღმოსავლეთით აბსიდით დამთავრებულ დარბაზულ შიდა სივრცეს სამხრეთის და ჩრდილოეთის მხრიდან ეკვრის უფრო დაბალი, ღრმა უბეები. უბეები სივრცის სწორკუთხა მოხაზულობიდან გარეთ იჭრება და ქმნიან გეგმაში ჯვრისებურ კომპოზიციას. აბსიდის მომიჯნავედ სამსხვერპლო და სადიაკვნე იყო აგებული. ეკლესიის დასავლეთის ნაწილს სამი მხრიდან (სამხრეთის, დასავლეთის და ჩრდილოეთის) შემოვლებული აქვს სტოა. სტოას კედლები ნაგებობის სამხრეთის და ჩრდილოეთის მკლავების გასწვრივ მიიმართება, და ამგვარად, ძეგლის გეგმა სწორკუთხედში იწერება. ამ სწორკუთხედს მცირედ არღვევს დასავლეთის გარშემოსავლელის შუა, წინწამოწეული ნაწილი (ტაბ. 1).

ძეგლის გარეგან ხუროთმოძღვრულ ფორმათა აგებულება ასეთია: ძირითად მოცულობას წარმოადგენს შუა, მაღალი, ორქანობიანი სახურავით გადახურული მასივი. მასთან შერწყმული გვერდითი მკლავები უფრო დაბალია და საკუთარი ორქანობიანი სახურავით არიან გადახურული. აღმოსავლეთის სათავსები და გარშემოსავლელი კიდევ ერთი, უფრო დაბალ, საფეხურს ქმნიან. ისინი ცალფერდა სახურავით იყვნენ გადახურული (ტაბ. 4, 5, $6_1$, 7)[2].

ნაგებობის სამხრეთ-დასავლეთის კუთხეში დაცულია ცოკოლი. იგი ორი საფეხურისაგან შედგება, ზედა საფეხური უფრო მაღალია. თაღების მალებში ცოკოლს სამი საფეხური აქვს.

ტაძრის შიგნით ძირითადი დარბაზული სივრცე შეისრული კამარითაა გადახურული. ტრიუმფალური თაღი უფრო დაბალია, ამიტომ მის თავზე შუბლია შექმნილი (ტაბ. 2, $8_1$)[3]. ეს თაღი ნახევარწრიული მოყვანილობისაა. კონქი გამოყვანილია თლილი ქვის სწორი კვადრებით. აფსიდის ქვები კუთხეებ-

---

ქვებზე დაცული წარწერები (ი. მეგრელიძე, მდინარე ლიახვის მარცხენა ნაპირის სიძველეები და მათი წარწერები, პუშკინის სახელობის თბილისის პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. XI, 1957, გვ. 81). წარწერები წაკითხული აქვს თ. ბარნაველს და შეტანილი ქართლის ეპიგრაფიკული ძეგლების კრებულში.

ვახუშტის საბა-წმინდა გუმბათიან ეკლესიად აქვს ნახსენები. მ. ბროსე აღნიშნავს, რომ ძეგლი გადახურულია კამარებით. პ. უვაროვა ხაზს უსვამს ძეგლის აგებულების თავისებურებას, მის სწორმკლავებიანი ჯვრის სახეს, ოთხ (?) მხარეს ფრონტონებით შემკობას და ამბობს, რომ ვარაუდი გუმბათის არსებობის შესახებ თავისთავად აღიძვრის. ი. მეგრელიძის აზრით ეკლესია გუმბათიანი ყოფილა. ჯვრის ფორმას მას სამ მხარეს მერმინდელი მინაშენები უქმნიან.

ხეითის საბა-წმინდის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ძეგლს საფუძვლიანი გადაკეთება არ განუცდია და მისი ხუროთმოძღვრული ფორმების აგებულება თავდაპირველი სახითაა მოღწეული ჩვენს დრომდე.

ხეითის ტაძარი აიზომა და ნახაზები თეთრად შესრულდა 1945 წელს ვახ. ცინცაძის და ჩემს მიერ. ცალკეული ნაწილების ძლიერი დეფორმაცია ძეგლის ზუსტი აზომვის საშუალებას ზღუდავდა.

2 სახურავის კეხის დასავლეთის ბოლოზე ქვაში გამოკვეთილი ეკლესიის მოდელია დადგმული. 6 სურათი (იზომეტრია) ძეგლის აღდგენილ სახეს იძლევა.

3 აბსიდის თავზე მცირე, ოთხკუთხა სათავსის ნაწილია დარჩენილი. ასასვლელი ამ სამალავში აბსიდის გვერდითი ოთახიდან უნდა ყოფილიყო მოწყობილი (ტაბ. 3).

ეროვნული ბიბლიოთეკა



მომრგვალებულია და წინა პირი უხეშად წათლილი აქვთ. ქვები თითქმის თანაბარი ზომისაა შერჩეული და ისინი სწორ ჰორიზონტალურ რიგებად არიან დალაგებული.

ორი დიდი უბის გარდა, მათგან აღმოსავლეთით და დასავლეთით, შუა სივრცის სამხრეთის და ჩრდილოეთის მხარეს კედლის თაღებია გამოყვანილი. დასავლეთის წყვილი თაღი უფრო დიდი ზომისაა, ვიდრე აღმოსავლეთისა. ისინი დასავლეთის მონაკვეთს მთლიანად იკავებენ (ტაბ. 3).

აღმოსავლეთის წყვილი თაღი ვიწრო და მაღალია. მათი სიღრმე 25—30 სანტიმეტრს უდრის. ეს თაღები აბსიდის წინ ბემას ქმნიან. ისინი სხვა თაღებთან ერთ სიბრტყეში კი არ არიან ამოყვანილი, არამედ რამდენადმე უკანაა დაწეული, ამიტომ აბსიდის თაღის მალი აღემატება კამარის მალს და ბემა უფრო განიერი გამოდის ვიდრე დანარჩენი სივრცე (ტაბ. 1). თაღებს შორის სამსაფეხურიანი პილასტრებია გამოყვანილი, რომელთა წინა საფეხური კამარის საბჯენ თაღებს ემსახურება, ხოლო ორი უკანა კედლის თაღებს. თაღების ქუსლები იმპოსტებითაა გამოყოფილი. იმპოსტები შედგება თაროსა და ქვედა ირიბი სიბრტყისა ან წრეთარგისაგან (ტაბ. 2, 3, $8_1$).

უბეების გადამხურავი კამარა შუა სივრცის კამარის პერპენდიკულიარულად მიიმართება. კამარებს ნახევარწრიული ფორმა აქვთ. ჩრდილოეთის უბის კედლებისა და კამარის შერჩენილი ნაწილის წყობა იგივეა, რაც შუა სივრცისა, ე. ი. აქ მოხმარებულია უხეშად თლილი, საშუალო ზომის კვადრები. წყობა შესრულებულია ჰორიზონტალური რიგების დაცვით[4]. სამხრეთის უბე უფრო ღრმაა ვიდრე ჩრდილოეთისა. იგი განსხვავდება ძეგლის ჩრდილოეთის უბისაგან: კამარა შუაში შემაგრებულია საბჯენი თაღით კონსოლებზე, სამხრეთ-აღმოსავლეთის და სამხრეთ-დასავლეთის კუთხეებში ამოყვანილია პილასტრები, რომლებსაც კედლის თაღი ეყრდნობა, კედლის წყობა, იქ, სადაც იგი კარგად ჩანს, შესრულებულია, ძირითადად, თლილი ქვის დიდრონი კვადრებით, ქვები მჭიდროდაა მიდგმული ერთმანეთთან, კამარაც თლილი ქვებით არის ნაგები (ტაბ. 2)[5].

აბსიდის მომიჯნავე სათავსებიდან დღეს მიწის პირზე თითქმის აღარაფერია დარჩენილი[6]. ეს სათავსები კარით უბეებს უკავშირდებოდნენ. ორივე კარი დღეს ამოშენებულია. ჩრდილოეთის კარი გადახურულია თაღით, შუაში ტიმპანით. კარი კარგად არის გამოყვანილი ქვის დიდრონი კვადრებით. სამხრეთი უბის კარი ფართოა. იგი უფრო თაღოვან გასასვლელს წააგავს, ვიდრე კარს. აქ გამოყენებულია მცირე ზომის და არასწორი მოყვანილობის ქვები. კარის მარჯვენა წირთხლი თაღის ნაწილითურთ დღეს აღარ შეიმჩნევა.

---

4 ჩრდილოეთის მკლავის ჩრდილო-დასავლეთის კუთხეში ამოსულია დიდი ცაცხვის ხე. ხის ფესვებმა გასწიეს ნაგებობის კედლები და დამატებითი ბზარებიც გაუჩინეს.

5 ორივე უბე ნაგებობის ძირითადი სივრცისაგან სქელი კედლებითაა გამოყოფილი. კედლებში გასასვლელებია დატოვებული. კედლები თაღების შესამაგრებლად ააგეს. თაღებშიც კედლები ჩააშენეს. დღეს თაღებიც და ჩაშენებული კედლებიც დამსკდარია (ტაბ. $8_2$).

6 სამსხვერპლოს კედლები მიწის გათხრა-გაწმენდის შემდეგ გამოჩნდა, სათავსის აღმოსავლეთით აბსიდი აქვს, მცირე სარკმლით, სადიაკვნეს გეგმის მოხაზულობის დადგენაზე თავი შევიკავეთ, რადგან ამ ადგილზე ამოსულია დიდი ხე და მისი ფესვების ამოღებას შეიძლება ძეგლის კედლების უფრო მეტი დაზიანება მოჰყოლოდა. ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში, სამხრეთი მკლავის აბრისიდან გარეთ იჭრება კედლის მოპირკეთების ორი ქვა. ეს ქვები სადიაკვნეს სამხრეთი კედლის ნაწილს წარმოადგენს. სადიაკვნეს გეგმა ნახაზზე სამსხვერპლოს გეგმის მიხედვით არის აღდგენილი (ტაბ. 1, 4).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაძარს ერთი განიერი და მაღალი შესასვლელი აქვს დასავლეთიდან. კარი თაღოვანია ორივე მხრიდან, შუაში ტიმპანით. შერჩენილია სამი სარკმელი — ორი სამხრეთის კედელში — უბის ცენტრში და დასავლეთის თაღში და მესამე სარკმელი დასავლეთის კედელში, კარის თავზე. აბსიდიც უეჭველია, სარკმლით ნათდებოდა, მაგრამ კედელი აქ გამონგრეულია და სარკმელიც დაკარგული. საფიქრებელია, რომ ჩრდილოეთის უბესაც სარკმელი გააჩნდა, მაგრამ კედელი აქაც დანგრეულია.

ძეგლის გარშემოსავლელიდან გადარჩენილია მხოლოდ მისი სამხრეთის და ნაწილობრივ დასავლეთის მონაკვეთები. ჩრდილოეთის მონაკვეთის ადგილზე გვიანდელი ნაგებობაა ჩაშენებული[7].

სტოას დღეს აქვს ორი შესასვლელი. დიდი კარი დასავლეთის მხრიდან და ორმალიანი თაღედი სამხრეთიდან. სტოა გადახურული იყო კამარით საბჯენ თაღებზე. გადახურვა მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთის მონაკვეთს ჰქონდა შერჩენილი. კამარები კუთხეში გაერდანით იყო შეერთებული. სტოას დასავლეთის შუა ნაწილი გადახურული იყო განივი, მაღალი კამარით. ამ კამარის მოხაზულობა აღბეჭდილია თვით ეკლესიის დასავლეთის კედელზე. კამარის საბჯენი თაღები აქ ორსაფეხურიანი იყო. საბჯენი თაღებიდან ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ერთმა თაღმა სამხრეთის მონაკვეთში, დანარჩენი თაღების მხოლოდ ქუსლის ქვები და იმპოსტებია დაცული[8].

სამხრეთის კედელში, დასავლეთის კუთხესთან გაკეთებულია ოდნავ ჩაღრმავებული ჩარჩოთი შემოვლებული თახჩა.

ეკლესიის ძირითადი კორპუსის დასავლეთის კედელს თითქმის მთელ სიგრძეზე გამოწეული თარო გასდევს (ტაბ. $11_3$, $11_5$). ამ თაროს კონსტრუქციული მნიშვნელობა არა აქვს. ვერც დეკორატიულ ელემენტად მივიჩნევთ მას, რადგან ამ თაროს დიდი ნაწილი კამარით იფარებოდა. ასეთივე თაროები გაყოლებული აქვს ძეგლის სამხრეთის და ჩრდილოეთის კედლებს, რომლებიც აბსიდის გვერდითი სათავსების შიგნით ხვდებოდა (ტაბ. 4).

გარშემოსავლელის შიგა მოპირკეთება თვით ეკლესიის შიგა მოპირკეთებისაგან განსხვავებით თლილი ქვით არის შესრულებული. კარგად გათლილი, საგანგებოდ შერჩეული ქვებით გამოყვანილი იყო სტოას სამხრეთ-დასავლეთის კუთხის კამარაც.

ძეგლის ფასადთაგან შერჩენილია მხოლოდ სამხრეთის და დასავლეთისა. აღმოსავლეთის ფასადმა დაკარგა კედლის შუა ნაწილი, სარკმლითურთ და გვერდითი სათავსების კედლებიც. ჩრდილოეთის ფასადს თითქმის სრულიად ჩამოცლილი აქვს საპირე ქვები.

7 გარშემოსავლელის ჩრდილო-დასავლეთის კუთხის გაწმენდამ მიწისაგან გვიჩვენა, რომ სტოას ჩრდილო-დასავლეთის მონაკვეთი, გეგმაში, მსგავსი უნდა ყოფილიყო სამხრეთ-დასავლეთის მონაკვეთისა. ახლად გახსნილი კუთხის ჩრდილოეთის კედელი უპირისპირდება მერმე ჩაშენებული სათავსის ჩრდილოეთის კედელს და ორივე ერთად რამდენადმე წინ არიან გამოწეული თვით ეკლესიის ჩრდილოეთის კედელთან შედარებით. შესაძლებელია ეს შეუსაბამობა ძეგლის ძლიერი დეფორმაციის ბრალია.

8 შერჩენილი თაღების ქუსლები და იმპოსტები გვიჩვენებენ, რომ დასავლეთის შუა ნაწილის თაღს, რომელიც სამხრეთისკენაა, გვერდზე მეორე თაღი ჰქონდა გადაყვანილი. ამავე მონაკვეთის ჩრდილოეთის თაღის ქვეშ, დაბლა, მეორე თაღი იყო გადაყვანილი. ორივე ამ თაღის დანიშნულებაზე, ვიდრე აქ მიწა არ გაიწმინდება, ძნელია რაიმეს თქმა (ტაბ. $11_5$, $11_4$).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხრეთის, დასავლეთის და ჩრდილოეთის ფასადების აგებულება ემსგავსება ერთმანეთს: ქვედა შუა ნაწილი ამაღლებულია და დაგვირგვინებულია ფრონტონით, გვერდითი ნაწილები უფრო დაბალია და ცალფერდა სახურავითაა გადახურული. უკანა მაღალი ნაწილი აღმოსავლეთით და დასავლეთით ფრონტონით მთავრდება (ტაბ. 4, 5).

სამხრეთი ფასადის ფრონტონით გამოყოფილ ნაწილს სარკმლის ფართო საპირე და ორი მოჩუქურთმებული, ორმაგი ლილვით შემოვლებული ბირთვი ამკობს (ტაბ. 4, $12_1$). მარცხენა დაბალი ნაწილი მთლიანად მორღვეულია. უკანა კედელი სადაა. მოურთველადაა დატოვებული სარკმელიც (ამ სარკმლის ზედა ქვა ჩამოვარდნილია და დევს სამხრეთის სტოაში). სარკმლის თავზე, კარნიზთან რელიეფური, ტოლმკლავებიანი ჯვარია გამოკვეთილი. ფასადის ყველა კარნიზი ერთნაირი პროფილისაა. იგი შედგება თაროსა, მაღალი წრეთარგისა და ლილვისაგან.

შესასვლელის თაღებს ორსაფეხურიანი პროფილი აქვს. კედლებზე მათი ქუსლები ხაზგასმულია წვრილად პროფილირებული იმპოსტებით (ტაბ. $10_1$). თაღები ეყრდნობა რვაწახნაგოვან სვეტს[9]. სვეტი მთლიანი ქვისგან არის გამოკვეთილი. ბაზისი სქელი ლილვისა და ოთხკუთხა ბალიშისაგან შედგება (ტაბ. $9_3$). სვეტისთავს კუბური ფორმა აქვს (ტაბ. $10_2$). ზედა თაროს ნახევარწრეებისაგან შემდგარი ჩუქურთმა უვლის. ორი ვოლიუტი ფასადის მხარეს ხვეულითაა მორთული. ხვეულებს შორის ბრტყელფურცლიანი როზეტებია ამოკვეთილი. კაპიტელის უკანა მხარეს ოთხი ხვეულია. ხვეულები და როზეტები სარტყელით არიან შეერთებული ერთმანეთთან. ვოლიუტების გვერდითი მხარეები პარალელური ჭდეებით და სამკუთხედების მოტივით არის მორთული (ტაბ. $9_2$, $10_1$).

სარკმლის საპირე შედგება ლილვებისა და ოდნავ ამოზნექილი ფართო არესაგან. გარეგან შეწყვილებულ ლილვებს ქვედა კუთხეებში და თაღის ქუსლებთან კვადრატები აქვთ გამოყოფილი. ერთი დამატებითი კვადრატი ქვედა ჰორიზონტალური ნაწილის შუაშია გამოკვეთილი. ლილვებს კვადრატებთან ბურთულები ამკობს. საპირის რელიეფი ბრტყელია. ბურთულებს წაგრძელებული ფორმა აქვთ. სარკმლის საპირე და მოჩუქურთმებული ბურთულები, ისევე როგორც ფასადის მთელი ამ ნაწილის კედლის წყობა შესრულების ერთგვარი სიმშრალით ხასიათდება და გამოირჩევა ნაგებობის სხვა, ძირითადი ნაწილებისაგან.

დასავლეთი ფასადის ქვედა ნაწილის მცირედ წინ გამოწეულ მონაკვეთში მოთავსებული ფართო და მაღალი თაღოვანი შესასვლელი ეკლესიის კარის პირდაპირაა მოქცეული (ტაბ. 5). თაღი ორსაფეხურიანია. თაღის ქუსლებთან იმპოსტებია გამოყოფილი. თაღის თავზე მრგვალი სარკმელია გაჭრილი. სარკმელს შემოვლებული აქვს მრგვალივე საპირე (ტაბ. $11_2$). იგი მოჩუქურთმებულია. ჩუქურთმის კვეთა ღრმა არ არის და საპირე კედლის სიბრტყიდან ოდნავ არის ამოწეული. ორნამენტის სახეობას ნახევარწრეების მოტივი შეადგენს. ჩუქურთმის არე შემოფარგლულია დასერილი ლილვით. ფრონტონის გასწვრივ დაცულია კარნიზის რამდენიმე ფილა. კარნიზი ვიწროა და წარმოადგენს თაროს, ორ ლილვს და მათ შორის მოთავსებულ ირიბ სიბრტყეს. კარ-

9 ორივე თაღი დაზიანებულია, დასავლეთის თაღიდან მხოლოდ ნაწილია დარჩენილი (ტაბ. $9_1$).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიზის ეს ფილები ერთადერთია თავდაპირველი ხანიდან დაცული მთელ ძეგლზე.

ფასადის ქვედა, სამხრეთის მონაკვეთი სადა და ყრუა. იგი დაგვირგვინებულია იმავე პროფილის კარნიზით, რითაც გარშემოსავლელის სამხრეთის ნაწილი.

ფასადის ზედა ნაწილში გაჭრილია სარკმელი. სარკმელს მოჩუქურთმებული სათაური ამკობს (ტაბ. $11_1$). სათაურის თაღი სარკმლის ხვრელისაგან მოცილებით კი არ არის შემოვლებული, არამედ უშუალოდ ეკვრის მას. სათაურს გრძელი მკლავები აქვს. სათაური ბრტყელზედაპირიანია და 4—5 სანტიმეტრითაა ამოწეული კედლის სიბრტყიდან. ზევით და ქვევით მას დასერილი ლილვები უვლის, შუა არე დაფარულია ჩუქურთმით, რომელიც ირიბად დალაგებული ფოთლების მწკრივისაგან შედგება. თაღის არე და მკლავების ნაწილი სხვაგვარი ჩუქურთმითაა დაფარული. თაღზე ამოკვეთილია ნახევარწრიული ზოლები, რომლებიც შეკრული თავთავების ე. ი. ძნის გამოსახულებას წააგავს. თავისუფალი არეები ნებისმიერი ფიგურებითაა შევსებული.

დასავლეთის ფასადის უკანა მაღალი კედელი იმავე კარნიზითაა დამთავრებული რითაც სამხრეთის კედელი.

ძეგლის ჩრდილო-დასავლეთის კუთხეში აგებული სათავსის გადახურვა ჩაქცეულია და არც კედლებია მთელ სიმაღლეზე დაცული. ნაგებობის კედლები ღრმადაა ჩაფლული მიწაში, ისე რომ კარის ხვრელი გარედან მთელს სიმაღლეზე მიწითაა დაფარული. კარის თავზე მრგვალი სარკმელია გაჭრილი. სარკმელს საპირე უვლის. აქეთ-იქით ორი ფილაა გამოწეული. ალბათ, ხატების დასადგმელად განკუთვნილი (ტაბ. $12_3$). სათავსს ჩრდილოეთიდან სამი, მცირე ზომის სარკმელი ანათებს. ამათგან ორი შეწყვილებულია, მესამე კი განცალკევებული. შეწყვილებული სარკმლები განიერი ლილვებითა და როზეტითაა მორთული (ტაბ. $12_2$). სათავსი გარედან მოპირკეთებულია დიდი ზომის, სწორი, ღვინისფერი თლილი კვადრებით. შიგნით კედლის წყობა უხეშად გათლილი და წვრილი ქვებით არის შესრულებული.

როგორც ჩვენ საბა-წმინდის ტაძრის აღწერისას შევეცადეთ გვეჩვენებინა, ძეგლმა შემოგვინახა თავდაპირველ ხუროთმოძღვრულ ფორმათა საერთო აგებულება, შიდა სივრცის გადაწყვეტის სისტემა და ფასადთა დეკორატიული მორთულობის მნიშვნელოვანი ნაწილი. ჩვენ ისიც აღვნიშნეთ, რომ ძეგლმა არა ერთი შეკეთება და გადაკეთება განიცადა.

ნაგებობის სამხრეთი უბის საამშენებლო თავისებურებანი გამოიყოფა ძეგლის სხვა ნაწილებისაგან. უბის კედლების მოპირკეთება შიგნით და გარედან სუფთად ნათალი კვადრებით შესრულებული — მშრალია, სარკმლის ზომა ძეგლისათვის უჩვეულოდ დიდია. სამხრეთი უბე ჩრდილოეთის უბისაგან მითაც განსხვავდება, რომ მისი კამარა თლილი ქვით გადაყვანილი საბჯენი თაღით არის შემაგრებული, დაბოლოს, სარკმლის საპირე ძლიერ გამოირჩევა ძეგლის სხვა დეკორიდან, რაც ნაგებობის ამ ნაწილის მერმინდელ შეკეთებას ააშკარავებს. საფიქრებელია, რომ აღმოსავლეთის გასასვლელი სადიაკვნეში, რომელიც თავდაპირველად ისეთივე იქნებოდა, როგორც სამსხვერპლოში, მერმედაა გადიდებული. ხელახლა გაკეთებულია ძეგლის კარნიზები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ განახლების დროის დასადგენად მივმართოთ ტერიტორიალურად ახლოს მდებარე ერედვის წმ. გიორგის ეკლესიას. ერედვის სამხრეთის კედლის წყობა, სარკმლის საპირე და კარნიზი, როგორც შესრულების საერთო ხასიათით, ისე მოხაზულობით ხეითის უახლოეს პარალელად გვევლინება. ერედვის ძეგლის შესწავლისას ჩვენ ამ რემონტის ხანად XIII ს-ის მეორე ნახევარი, XIV ს. დავადგინეთ[10]. იგივე პერიოდი სავარაუდებელია ხეითის რემონტისთვისაც.

ჩრდილო-დასავლეთის კუთხის სათავსი უფრო გვიან ხანას ეკუთვნის. მისი დეკორატიული ელემენტები გარკვეულ მსგავსებას XVII ს-ის დამლევის და XVIII ს-ის ძეგლებთან პოვებენ (მაგ., საგარეჯოს პეტრე-პავლე, ბოლნისის რაიონის დავით საგარეჯო და სხვ.)[11].

XVIII ს-ის დასაწყისში ხეითის ეკლესიის გალავანში ააგეს მრგვალი საცხოვრებელი კოშკი[12]. არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ჩრდილო-დასავლეთის ეკვდერი და ტაძრის შიგნით თაღების შემაგრება კედლებით ამავე პერიოდის საამშენებლო ღონისძიების შედეგია.

ნაგებობის კედლებზე რამდენიმე მერმინდელი ხანის წარწერაა დაცული. არის კრიპტოგრამებიც.

ტაძრის აგებულება, როგორც ზევით იყო აღნიშნული, ასეთია: მაღალ და გრძელ დარბაზულ შიდა სივრცეს სამხრეთის და ჩრდილოეთის მხრიდან უფრო დაბალი, განივი კამარებით გადახურული უბეები ემიჯნება. ეს უბეები ქმნიან მეორე, გრძივი ღერძის მიმართ პერპენდიკულიარულ, განივ ღერძს. იმის გამო, რომ უბეები ძირითად სივრცეზე უფრო დაბალია განივ ღერძს მეორადი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული. უბეების სიგანე უახლოვდება ძირითადი სივრცის სიგანეს, რის გამო მათ გადაჯვარედინებაზე გეგმაში თითქმის კვადრატი იქმნება, რაც დამახასიათებელია გუმბათოვანი ნაგებობის გადაწყვეტისათვის. მაგრამ ხეითში ჩვენ გვაქვს არა განვითარებული ოთხივე მხრივ ერთნაირი სივრცობრივი ფორმები, როგორც ეს ჯვრულ-გუმბათოვან ტაძრებშია მიღებული, არამედ მკვეთრად გამოვლენილი ძირითადი დარბაზოვანი სივრცე და შერწყმული მასთან უფრო დაბალი გვერდის მოცულობები. ერთადერთი კარის მოთავსებით დასავლეთის მხარეს ხუროთმოძღვარმა ხაზი გაუსვა თავის ჩანაფიქრს — დარბაზული სივრცის ფორმებს, განვითარებულს გრძივი ღერძის მიმართ.

უბეების გარდა ძეგლის ინტერიერში შეყვანილია ნიშები, განლაგებული უბეების აქეთ-იქით. ნიშები უბეებთან ერთად ქმნიან საერთო თაღოვან რითმს. მიუხედავად ძეგლის ინტერიერის ძლიერი სახეშეცვლილისა, ეს თაღოვანი ელემენტები, ტექტონიკური, ძლიერი ფორმებით შექმნილი, დღესაც დიდ შთაბეჭდილებას ტოვებენ. დასავლეთიდან შემსვლელის წინ დარბაზოვანი სივრცე ღრმა თაღედით გაფორმებული წარსდგება. ტრიუმფალური თაღი დადაბ-

---

[10] რ. მეფისაშვილი, ერედვის 906 წლის ხუროთმოძღვრული ძეგლი, Ars Georgica, 4, თბ., 1955, გვ. 119.

[11] ძეგლის ამ ნაწილის გაწმენდა ნაყარი მიწისა და ქვისაგან შესაძლოა დამატებით მასალას მოგვცემს აღნიშნული თარიღის დაზუსტებისათვის.

[12] ვ. ცინცაძე, საცხოვრებელი სახლის ერთი სახის დახასიათებისათვის საქართველოში (კოშკი სოფელ ხეითში), Ars Georgica, 4, თბ., 1955, გვ. 233.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებულია და მას კამარის შეისრული მოხაზულობისაგან განსხვავებით ნახევარწრიული ფორმა აქვს, რაც საგანგებოდ გამოჰყოფს საკურთხეველს. აბსიდის დადაბლებული თაღი ქმნის გადასვლას კამარიდან უფრო დაბალი გვერდითი თაღებისაკენ, განსაკუთრებით უბეების თაღებისაკენ და ხელს უწყობს შიდა სივრცის მხატვრული გაფორმების მთლიანობას.

ნაგებობა არ იყო უხვად განათებული: ერთი სარკმელი საკურთხევლის მხრიდან და ერთი დასავლეთიდან, თითო-თითო სარკმელი უბეებში და დამატებითი სარკმელი სამხრეთის კედლის დასავლეთის ნაწილში. არც კარი აწვდიდა ნაგებობას უხვ სინათლეს, რადგან იგი კარიბჭეში გადის.

ნაგებობის გარშემოსავლელი სამი მხრიდან უვლის ძეგლის დასავლეთის ნაწილს და ჰკრავს მას სწორკუთხედში. მოცულობითი ფორმების აგებულებით სტოა შეთანხმებულია დარბაზთან. იგი ორგანულად არის ჩაწერილი ნაგებობის საერთო გადაწყვეტაში, ართულებს და ავსებს მას. გარშემოსავლელის ამაღლებული და თაღით გახსნილი ნაწილი ხაზს უსვამს ეკლესიის შესასვლელს დასავლეთის მხრიდან.

რამდენადმე განსხვავებულ სურათს გვაძლევს სტოას სამხრეთი მონაკვეთის გადაწყვეტა. ორმალიანი შესასვლელი ძეგლის ფასადთა საერთო თავდაჭერილ მორთულობაში განსაკუთრებულად, პარადულად გამოიყურება. მაგრამ ამ ორმალიან შესასვლელს არსად არ მივყევართ. ორივე თაღი ყრუ კედლის პირდაპირაა მოქცეული. აქ შექმნილია ჩიხი და მნახველმა ეკლესიაში მოხვედრისათვის ისევ დასავლეთის გარშემოსასვლელის მხრიდან უნდა მოუაროს (ტაბ. 1). ამასთანავე სტოას სამხრეთ-დასავლეთის ნაწილი, შიგნით კედლების მოპირკეთებისა და გაერდანის გამოყვანის გულმოდგინეთ შესრულების წყალობით, ისევე როგორც თვით შესასვლელი, საზეიმო შთაბეჭდილებას ტოვებს.

ორმალიანი, მდიდრულად მორთული მოტივის გამოყენება სამხრეთის მხრიდან, ე. ი. ამ ფუნქციონალურად სრულიად გაუმართლებელი ადგილის აქცენტირება ყველაზე გამოჩენილი დეკორატიული ელემენტით, შეიძლება იყოს გაგებული მხოლოდ, როგორც ადრე არსებული ელემენტის ბრმა გამოყენების ცდა[13]. ორმალიანი შესასვლელი ხეითში გაუმართლებელია არა მარტო ფუნქციონალური თვალსაზრისით, არამედ მას ვერ უპოვა სათანადო ადგილი აღმშენებელმა ძეგლის სამხრეთის ფასადის კომპოზიციური აგების დროსაც.

საბა-წმინდის ხუროთმოძღვარი შიგა სივრცის გადაწყვეტისას ავლენს თავის თავს როგორც შემოქმედს, რომლის ძიებანი არ მისდევენ ადრე შემუშავებულ ხუროთმოძღვრულ ფორმებს, არამედ ქმნიან ახალს და ეს ახალი არქიტექტონიკის ძირითად კანონებს ემყარება. სამხრეთის შესასვლელის გადაწყვეტა მოულოდნელი ჩანს ხეითის ოსტატისათვის. შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ საქმე გვაქვს დამკვეთის მოთხოვნასთან[14].

ნაგებობის გარეგანი ასახულობა გამოირჩევა საერთო დამჯდარი და მშვიდი პროპორციებით. არქიტექტურული ფორმების აგებულებაში დომინირებს გრძელი და მაღალი მასივი, რომელსაც გარს უვლის უფრო დაბალი მასივი,

---

13 შეიძლება გვეფიქრა, რომ აქ გვაქვს შემთხვევა თავდაპირველი ჩანაფიქრის შეცვლისა მშენებლობის პერიოდში, მაგრამ ძეგლის ამ მონაკვეთში გადაკეთების არავითარი კვალი არ ჩანს და ამრიგად ეს ვარაუდი დაუშვებელია.

14 შესასვლელი გალავანს სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან აქვს და შესაძლებელია ქტიტორის სურვილიც ამითი იყო ნაკარნახევი.




1. ხეითი. საბაწმინდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა




2. ხეითი. საბაწმინდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა







3. ხეითი. საბაწმინდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა




4. ხეითი. საბაწმინდა

ეროვნული ბიბლიოთეკა





5. საბაწმინდა. ხობი



6. ხეითი. საბაწმინდა

ეროვნული ბიბლიოთეკა





7. ხეითი. საბაწმინდა

ეროვნული ბიბლიოთეკა





8. ხეითი. საბაწმინდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა







9. ხეითი. საბაწმინდა







10. ხეითი. საბაწმინდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა





11. ხეითი. საბაწმინდა

ეროვნული ბიბლიოთეკა



12. ხეითი. საბაწმინდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუა ამაღლებული და ფრონტინით დაგვირგვინებული მონაკვეთებით (ტაბ. 6). ამრიგად, შიდა სივრცის გადაწყვეტის თავისებურება მთლიანად გამოვლენილია გარეგან არქიტექტურულ ფორმებში, და აქ ისევე, როგორც ინტერიერში შექმნილია საქართველოსათვის ატიპიური გადაწყვეტა. შერწყმა დარბაზული სივრცის კომპოზიციური გადაწყვეტისა გუმბათოვანთან, სადაც დომინირებული როლი დარბაზულ ფორმებს აქვთ მინიჭებული, ხეითის ტაძრის ძირითად თავისებურებას შეადგენს.

გ. ჩუბინაშვილი კახეთის VIII—IX სს ხუროთმოძღვრული ძეგლების განხილვისას ე. წ. გარდამავალი პერიოდის ქართული ძეგლების თავისებურებათა გაგებისათვის მნიშვნელოვან დასკვნას აკეთებს, სახელდობრ, რომ ამ პერიოდში გვხვდება მაგალითები, სადაც გუმბათოვანი ფორმები გაერთიანებულია ბაზილიკური ტიპის ძეგლთა ხუროთმოძღვრულ ფორმებთან. შესაძლებელია, დასძენს ავტორი, ეს არის შედეგი გუმბათოვანი ფორმების ძიების ერთგვარი შენელებისა მისი პირველი, აყვავების პერიოდის მომდევნო ხანაში, რამაც გააცხოველა ბაზილიკური ტიპის ნაგებობათა განვითარება[15]. გუმბათოვანი და დარბაზული ფორმების ერთგვარ შერწყმას ქართლშიც ვხვდებით VIII—IX სს ძეგლში — თელოვანში[16].

ახალ ხუროთმოძღვრულ ფორმათა ძიების წყურვილს მიჰყავს ქართველი ოსტატები სხვა კომბინაციასთანაც, ე. ი. დარბაზული და გუმბათოვანი ფორმების შერწყმასთან, მაგრამ ისე, რომ ძირითადია დარბაზული სივრცე და გუმბათოვანი ფორმებისათვის დამახასიათებელი მხოლოდ განივი ღერძია მიღებული, თუმცა კი გაცილებით უფრო სუსტად გამოვლენილი ვიდრე გრძივი. ხეითის ხუროთმოძღვარი, ამრიგად, შიგა სივრცის აგებისას გვევლინება როგორც ოსტატი, რომელიც VIII—IX სს ახალი მხატვრული იდეების ძიების ავანგარდში დგას. ქართველ აღმშენებელთა მიერ ამ დროს შემუშავებულ დიდი რაოდენობის სხვადასხვა ხუროთმოძღვრულ ფორმებს იგი უმატებს კიდევ ერთ, ძალიან საინტერესო მაგალითს.

ხეითის ძეგლის საერთო ხუროთმოძღვრულ ფორმათა აგებულება, როგორც ვხედავთ, გვაძლევს უკვე გარკვეულ ქრონოლოგიურ ფარგლებს, რომელთა შუა ჩვენი ნაგებობის აგების თარიღი უნდა ვეძიოთ. მსგავსი აგებულების ძეგლი საძიებელ ხანაში ჩვენ მეორე არ ვიცით. ძალიან უახლოვდება საბა-წმინდას ხობის ტაძარი, მაგრამ ის სულ სხვა, სახელდობრ XIII—XIV სს მიჯნაზეა აგებული[17] და ჩვენი ძეგლის დათარიღებისათვის არ გამოგვადგება. მაგრამ ხეითს გააჩნია მთელი რიგი თვისებები; რომლებიც მას ვიწრო ქრონოლოგიურ ადგილს ანიჭებენ ქართული ხუროთმოძღვრების ევოლუციურ განვითარებაში.

შედარებისათვის მივმართოთ სოფ. ერედვის 906 წელს აგებულ წმ. გიორგის ეკლესიას და ზოგ სხვა მაგალითებსაც.

---

15 Г. Н. Чубинашвили, Пути грузинской архитектуры, Тб., 1936, გვ. 71 и Архитектура Кахетии, Тб., 1959, გვ. 271, 284.

16 ვ. ცინცაძე, თელოვანის ჯვარპატიოსანი, Ars Georgica, ტ. 5, თბ., 1959., გვ. 73.

17 თ. ვირსალაძის მიერ ნაგებობის ერთი ნაწილის მოხატულობა XIII—XIV სს მიჯნითაა დათარიღებული (იხ. თ. ვირსალაძე, შერგილ დადიანის დროინდელი მხატვრობა ხობში, თეზისები ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის 1 სამეცნიერო სესიისა, თბ., 1946, გვ. 8). ამავე პერიოდს მიაკუთვნა ლ. რჩეულიშვილმა, რომელიც მაშინ ძეგლის ხუროთმოძღვრებას სწავლობდა, თვით ნაგებობაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხეითისათვის გამოყენებული სააღმშენებლო მასალა — ღვინისფერი თლილი კვადრები, შირიმი და ყორე-ქვა ამავე შეხამებით გვხვდება ერედვში და დოდოთში[18]. დამახასიათებელია სამივე ძეგლისათვის ზოგი ადგილის წყობა შესრულებული უხეშად პირწათლილი, თითქმის ერთი ზომის და სწორი ჰორიზონტალური რიგებით დალაგებული ქვებით (ხეითი — აბსიდი, დოდოთი — ეკლესიის სამხრეთის კედელი, ერედვი — გარშემოსავლელის დასავლეთის და ჩრდილოეთის მონაკვეთები).

თლილი ქვის გამოყენება ნაგებობის მხოლოდ კონსტრუქციულად მნიშვნელოვანი ნაწილებისათვის ფართოდ იყო მიღებული საქართველოში. აღსანიშნავია ხერხი სუფთად ნათალი კვადრებით მოპირკეთებული კედლებით შენობის ინტერიერის ზოგიერთი მონაკვეთის გამოყოფისა (გარშემოსავლელის სამხრეთის მონაკვეთები ხეითში და ერედვში), იმ დროს, როდესაც ასეთი წყობა ფასადებისთვისაც კი ნაკლებადაა მიღებული.

გარშემოსავლელის კამარების გაერდანით გადაყვანის ხერხიც, ისე რომ ეს ელემენტი საგანგებო ყურადღებითაა შესრულებული, აგრეთვე ხეითს გარდა ერედვში გვაქვს.

გრძივი კედლების გასწვრივ ღრმა თაღედის მოტივი VIII—IX და X სს ხანას ხვდება[19]. ამავე პერიოდში ცნობილია თაღების მალების ცვალებადი რითმის გამოყენების მაგალითები[20].

IX—X სს-ში საკმაოდ ხშირად ვხვდებით აბსიდის თავზე შუბლის კედელს (ერედვი, ბიეთი, სანაგირე, სვეტი, ნესგუნი, ჩვაბიანი, ზემოკრიხი და სხვ.). ამ ელემენტის გადაწყვეტა ხეითში ისევე, როგორც ერედვში, დამატებით ხაზგასმულია მით, რომ ტრიუმფალურ თაღს და კამარას სხვადასხვა მრუდი აქვთ.

ქართული ძეგლების გარშემოსავლელები VI—VII სს-დან მოყოლებული წარმოადგენენ ერთიან გალერეას. ერედვის წმ. გიორგის ეკლესიის გარშემოსავლელი, მათგან განსხვავებით ცალკეულ მონაკვეთებად არის დაყოფილი. ამასთანავე სამხრეთისა და აღმოსავლეთისას პარადული სახე აქვთ მინიჭებული, ე. ი. ამ ძეგლში მკვეთრადაა გამომჟღავნებული გარშემოსავლელთა, როგორც ერთიანი ორგანიზმის თანდათანი გაქრობისა და მათი ცალკეული ეკვდერებით და კარიბჭეებით შეცვლის პროცესი. ხეითის ხუროთმოძღვარი გარშემოსავლელს არ უკარგავს ერთიანი გალერეის სახეს, მაგრამ სამხრეთის მონაკვეთის გადაწყვეტით ოსტატი მას IX—X სს ძეგლებისათვის დამახასიათებელ თავისებურებას ანიჭებს.

ორმალიანი შესასვლელი ადრინდელ ხანაში გამოყენებული იყო ორ და ზოგჯერ სამ — სამხრეთის, დასავლეთის და ჩრდილოეთის, მხარესაც. IX—X სს-ში ამ ელემენტის ადგილი სამხრეთის მხარეს მკვიდრდება და ხეითიც აღნიშნული პერიოდის ძეგლთა რიგში დგება.

---

18 დოდოთის ეკლესია, სავარაუდოა, ორ ქრონოლოგიურ ფენას შეიცავს. თვით ეკლესია X ს-ის დასაწყისის ხანას უნდა ეკუთვნოდეს, ხოლო სამხრეთის მინაშენი X—XI სს მიჯნას. ამ ვარაუდის საბოლოო დადასტურება, მხოლოდ, ძეგლის გათხრა-გაწმენდის შედეგად იქნება შესაძლებელი.

19 რ. მეფისაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 125.

20 რ. შმერლინგი, უბისის ტაძრის დათარიღების საკითხისათვის, საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. XVI, № 2, 1955, გვ. 170.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასავლეთის შესასვლელის ხაზგასმისათვის ხეითის ხუროთმოძღვარმა მიმართა იმავე ხერხს, რაც IX ს-ის ვაჩნაძიანის ყველაწმინდის ოსტატმა[21]. კარის წინ მოთავსებული გარშემოსავლელის მონაკვეთი ორივე ძეგლში გაფართოებულია და გადახურულია გარდიგარდმო კამარით. გარშემოსავლელის მცირე მონაკვეთის გამოყოფის მსგავსი შემთხვევა ერედვშიც გვაქვს, მაგრამ იქ, აღმოსავლეთის მხარეს, საკურთხევლის სარკმლის წინ. ამავე ხერხს დოდოთის გარშემოსავლელის სამხრეთი ნაწილის აღმშენებელიც მიმართავს[22].

ძეგლის გარეგანი ასახულობა, როგორც ზევით იყო აღნიშნული, საგრძნობლად სახეშეცვლილია. სრულიად დანგრეულია აღმოსავლეთის კუთხის სათავსები, ძალიან დაზიანებულია აღმოსავლეთის და ჩრდილოეთის ფასადები, ხელმეორედ მოპირკეთებულია სამხრეთის ფასადის მთელი შუა ნაწილი, სარკმელს შემოვლებული აქვს ახალი საპირე, დალაგებულია ახალი, მაღალი კარნიზები. მაყურებლის წინ მხოლოდ დასავლეთის ფასადი წარსდგება მთლიანად, თავისი პირვანდელი სახით. ის, რაც დარჩენილია მორთულობიდან, გვაფიქრებინებს, რომ ძეგლი არც თავდაპირველად გამოირჩეოდა მდიდარი დეკორით. მოსალოდნელია აგრეთვე, რომ აღმოსავლეთის და სამხრეთის ფასადების სარკმლებს სათაურები ამშვენებდა.

დასავლეთის ფასადი არქიტექტურულ ფორმათა აგებულებით გამოირჩევა. მასზედ მკვეთრად გამოყოფილია თაღოვანი შესასვლელი (ტაბ. 5, 7). თაღის თავზე მოთავსებული მრგვალი, საპირით შემკული სარკმელი ოდნავ გამოიყოფა კედლის სიბრტყიდან და ფასადის გაფორმებაში სუსტ აქცენტად გვევლინება. სარკმელი თაღს აზის, ხოლო მის ზევით კედლის დიდი ნაწილია დარჩენილი. ასევე ფასადის საერთო კომპოზიციურ გადაწყვეტაში არ გამოიყურება სასიამოვნოდ ზედა სარკმელიც. იგი გარშემოსავლელის სახურავის თავზეა მოქცეული და მის ზევით მაღალი ყრუ კედელია ამართული. სარკმლის სათაური, ისევე როგორც თვით სარკმელი, იმდენად მცირე ზომისაა, რომ ისინი ფასადის საერთო მხატვრულ აღქმაში ძალიან მცირე როლს ასრულებენ. დიდი კედელი მაინც რჩება ბრტყელი და ყრუ. თუ გავიხსენებთ, რომ სამხრეთის ორმალიანი შესასვლელისათვის, რომელიც მოთავსებულია გვერდით, დაბალ მონაკვეთში, ფასადის კომპოზიციურ აგებაში ადგილი მონახული არ არის, აშკარა გახდება, რომ ხეითის ხუროთმოძღვრის შემოქმედებითი ენერგია ფასადთა დეკორატიული მორთულობის გადაწყვეტისაკენ არ იყო მიმართული. იგი ძლიერ დაშორდა მცხეთის ჯვრისა (590—604/5)[23] და წრომის (626—634)[24] მშენებელთა მიღწევებს, რომლებმაც ფასადთა სრულიად დამთავრებული სურათი შექმნეს. ხეითის ოსტატი საერთო ხუროთმოძღვრულ ფორმათა აგებულების და შიგა სივრცის გაფორმების პრობლემებით იყო გატაცებული, პრობლემებით, რომლებიც IX—X სს ხანას ახასიათებს და რომლებიც საბა-წმინდას სწორედ ამ საუკუნეების ძეგლებთან და კერძოდ ისევ ერედვის წმ. გიორგის ეკლესიასთან აახლოვებს.

---

[21] Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, გვ. 287.

[22] შესასვლელის წინ სტოას გადახურვა გარდიგარდმო ცილინდრული კამარით გამოყენებას პოულობს მომდევნო ხანაშიც (მაგ. მაღალაანთ ეკლესიაში).

[23] Г. Н. Чубинашвили, Памятники типа Джвари, Тб., 1948.

[24] Г. Н. Чубинашвили, Цроми, М., 1969.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხეითის საბა-წმინდის ტაძრის დეკორატიული ელემენტების გადაწყვეტას ისევე, როგორც ძეგლის სხვა ამოცანების გადაწყვეტას, ოსტატის საკუთარი შემოქმედებითი მიდგომა ახასიათებს.

დავიწყოთ სამხრეთის თაღედიდან. ჩვენ მიერ ადრე იყო აღნიშნული, რომ საქართველოში სვეტების მორთულობის სისტემა შემუშავებული არ იყო და თითოეული მაგალითი ინდივიდუალური შემოქმედების ნაყოფია. ვოლიუტის მოტივი შემოსული ჩვენში, ალბათ, ჯერ ანტიკურ ხანაში, შემდეგ მრავალნაირ სახეცვლილებას განიცდის. ვოლიუტებიანი სვეტისთავები შემონახულია საქართველოში, როგორც ადრეული VII ს. ძეგლებში — ბანა, იშხანი, წრომი, ისე IX—X სს. ძეგლებში — უბისი, ურტა, ბურნაშეთი. ხეითის სვეტისთავის თავისებურება, რომელიც გამოყოფს მას ყველა სხვა ცნობილი მაგალითებიდან არის ის, რომ ვოლიუტებს შორის როზეტებია გამოკვეთილი (ტაბ. 10). ვოლიუტების წინა და უკანა, ხვეულებით მორთული პირი ხეითში — ბრტყელია, გამარტივებული ბანასა და იშხანის პლასტიკურ ფორმასთან შედარებით და მსგავსია რამდენადმე უხეშად შესრულებული ურტას და ბურნაშეთის სვეტისთავების ვოლიუტებისა. ბრტყელზედაპირიანი ფოთლებით მოდელირებული როზეტების მაგალითები IX—X სს ძეგლებშია ცნობილი (ბიეთი, გარბანი, ახალციხე)[25]. მცირე თაღების მწკრივი, რომელიც ხეითში ამკობს სვეტისთავის თაროს და სტოას დასავლეთის სარკმელს თელოვანის არქიტრავის მორთულობის და ერედვის წმ. გიორგის ეკლესიის სვეტის სარტყელის ჩუქურთმის ვარიანტად გვევლინება. ვოლიუტების გვერდითი ზედაპირების მარტივი მორთულობა პარალელური ჭდეების სახით ხეითს გარდა უბისის კანკელზეა წარმოდგენილი.

ოსტატის შეზღუდულ შესაძლებლობას ძეგლის დეკორატიული მორთვის მხრივ დასავლეთის ფასადის დეტალები ნათლად ასახავს. მრგვალი სარკმლის საპირე ორ ქვაზეა გამოკვეთილი (ტაბ. $12_2$). თითოეული ნახევარი შემოზღუდულია ლილვით. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ აქ სარკმლის ორი სათაურია ერთმანეთზე მიდებული — ორივე ნახევარი ერთი ზომისაა და ზუსტად მორგებული ერთმანეთთან. ფასადთა დეკორატიულ მორთულობაში სარკმლის საპირის მოტივი IX—X სს მანძილზე იჭრება. სწორედ ამ ხანისთვისაა დამახასიათებელი საპირის ისეთი თავისებური სახეები, როგორიცაა წირქოლის სამხრეთის ორმაგი სარკმლის, ანდა ერედვის დასავლეთის მრგვალი სარკმლის საპირეები. ორივე შემთხვევაში, ხეითის მსგავსად, საპირეთა აგებულება მათი .ფორმის ძიების აშკარა ნიშნებს ატარებს. ხეითის საპირეზე ჩუქურთმის ნახევარწრეებს შორის თავისუფალ არეებზე გამოკვეთილი ფიგურები, სრულიად ნებისმიერი კონფიგურაციისა, ერედვის დასავლეთის სარკმლის ჯვრის განაპირა არეების გამოსახულებებს ემსგავსება.

ხეითის ზედა სარკმლის სათაურს გრძელი მკლავები აქვს ისევე, როგორც ერედვის აღმოსავლეთი და სამხრეთი სარკმლების სათაურებს. ჩვენი ძეგლის სათაურის თაღი მჭიდროდ უვლის სარკმლის თაღს, როგორც ეს თელოვანშია. ნიშანდობლივია ხეითის სათაურის ჩუქურთმა (ტაბ. $11_1$). მკლავები ფოთლების მწკრივითაა მორთული, შიგა თაღოვან არეზე კი, გასაოცარი უშუალობით, თითქოს ძნაა გამოსახული. თავისუფალი არეები კუთხეებში აქაც ნებისმიერი ფიგურებითაა შევსებული.

25 ვ. დ ო ლ ი ძ ე, გარბანი, თბ., 1958, ტაბ. 43, 44.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძეგლის ჩვენამდე მოღწეული დეკორატიული მორთულობა, როგორც ვხედავთ, ძუნწია, მაგრამ იგი ოსტატის საინტერესო ინდივიდუალობას ავლენს ამ მხრივ.

ამრიგად, ძეგლის შესწავლამ, მისმა მხატვრულმა ანალიზმა და სააშენებლო თავისებურებათა გამოვლინებამ დაგვანახვა, რომ ხეითის საბა-წმინდის ტაძარი ხუროთმოძღვრულ ფორმათა აგებულებით წარმოადგენს სრულიად თავისებურ ნაგებობას, რომლის გადაწყვეტაში აისახა VIII—X სს-თვის დამახასიათებელი მისწრაფება ახალი ხუროთმოძღვრული ფორმების შექმნისადმი. ეს ძიებანი ხეითში, პირველ რიგში, გამოვლენილია ორი სხვადასხვა — დარბაზული და გუმბათოვანი სივრცობრივი ფორმების ერთგვარ შერწყმაში, დარბაზული სივრცისათვის სრული უპირატესობის მინიჭებით. ინტერიერში ღრმა თაღედის გამოყენებით, მათი მძლავრი ტექტონიკური ფორმებით აღმშენებელმა ხაზი გაუსვა სივრცობრივი პრობლემების გადაწყვეტის მნიშვნელობას. ხეითის ტაძარი აიგო იმ პერიოდში, რომელმაც ნიადაგი მოუმზადა მოწიფული შუა საუკუნეების ძეგლთა ფასადების დეკორატიული მორთვის ჩამოყალიბებას და ორნამენტული რეპერტუარის გამდიდრებას და დახვეწას.

ხეითის თავისებურებათა არაერთგზისი დამთხვევა მასთან ტერიტორიულად ახლომდებარე ერედვის წმ. გიორგის ეკლესიასთან, რომელიც 906 წელს აიგო[26], ნებას გვაძლევს საბა-წმინდის თარიღი X ს-ის დამდეგით შევზღუდოთ.

როგორც ზევით იყო აღნიშნული, ხეითის ტაძარს ხუროთმოძღვრულ ფორმათა აგებულების მხრივ მხოლოდ ერთი პარალელი გააჩნია. ეს გახლავთ XIII—XIV სს მიჯნაზე აშენებული ხობის ეკლესია (ტაბ. $6_2$, დიმეტრია). ხობის მთავარ, მაღალ და გრძელ სივრცეს სამხრეთით და ჩრდილოეთით ღრმა უბეები ემიჯნება. ეს უბეები თაღებითაა გახსნილი სამკვეთლოში და სადიაკვნეში. დასავლეთის კუთხის მონაკვეთები გამოყოფილია და დამოუკიდებელ ეკვდერებს წარმოადგენენ. ხობის ძეგლი ხეითის მექანიკურ გამეორებას არ წარმოადგენს. მასში ისევე, როგორც ხეითში, აისახა ეპოქის მხატვრული მოთხოვნილებები და ამდენად ამ ორი ძეგლის შედარება საინტერესო სურათს გადაგვიშლის.

ხეითი და ხობი დაახლოებით ერთი ზომის ძეგლებია. ხობის შიდა სივრცეში არ არის გამოყენებული ღრმა თაღედის მოტივი, აქ კედლის დიდ სიბრტყეებს პირველადი მნიშვნელობა ენიჭება. კედლის მხატვრობა დიდი და რთული კომპოზიციებით, რომელიც ფარავს ხობის კედლებს, ხოლო რომელსაც იმ ხანაში, როდესაც ხეითის ძეგლი აიგო მხოლოდ კედლების შელესილობაზე ერთფეროვანი, მარტივი ნახატების სახე ჰქონდა, ნათელს ხდის ამ ორი ძეგლის ინტერიერისადმი გადაწყვეტის სხვადასხვა მიდგომას. შიგა სივრცის გადაწყვეტა რთული, მრავალსახოვანი ფორმებით ხეითში და ცხოველხატული, ფერადოვანი ეფექტების შემცველი კედლის მხატვრობის გათვალისწინებით ხობში. თუ ხეითში ძირითადი გრძივი ღერძისადმი განვითარებულ სივრცეში იგრძნობა მისწრაფება განივი ღერძის გამოვლინებისა, ე. ი. ხუროთმოძღვარი თითქოს არ არის განთავისუფლებული ცენტრალურ-გუმბათოვანი გადაწყვე-

---

26 მ. ლორთქიფანიძის ვარაუდით, ერედვის წმ. გიორგის ეკლესია 906—907 წლებშია აგებული (იხ. მისი ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963, გვ. 246).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტის თავისებურებისაგან, ხობში სივრცე მთლიანად დარბაზული ფორმებისათვისაა დაქვემდებარებული, გრძივი ღერძის ძლიერი ხაზგასმით.

განსხვავდება ეს ორი ძეგლი გარეგანი მასების აგებულებითაც[27]. ოთხკუთხედში ჩაწერილი, მშვიდი პროპორციების მქონე ხეითის ტაძრის ზედა მასივი გარშემოვლებულია ქვედა თანაბარი მასივით, რომელსაც მცირედ არღვევს ორქანობიანი სახურავით დაგვირგვინებული ფრონტონებიანი მონაკვეთები. ხობში აღმოსავლეთის მხარეს წახნაგოვანი აფსიდია გამოწვდილი. ქვედა — სამხრეთის და ჩრდილოეთის მასივები დასავლეთის კედელთან წყდება და ადგილს უთმობენ სამ მხარეს თაღებით გახსნილ კარიბჭეს. ხეითის ქვედა მასივის მშვიდი ფორმები ხობში შეცვლილია ცალკეული, საფეხურებად განლაგებული, ამაღლებული და დადაბლებული ფორმებით. ძირითადი მაღალი მასივის ირგვლივ განლაგებული ეს ცალკეული მასივები ქმნიან მრავალნაირ და მოუსვენარ გადასვლებს. აქ მკვეთრად ისახება ორი განსხვავებული ეპოქა: ერთი მხრივ ადრინდელი — ახალი, მძლავრი ტექტონიკური ხუროთმოძღვრული ფორმების ძიებით გატაცებული ხანა ხეითში, როდესაც მასათა ცხოველხატულ აგებულებას ახასიათებდა მკვეთრი ფორმების თანაფარდობა, მათი მშვიდი პროპორციული აგებულებით და მეორე მხრივ გვიანა პერიოდისა კედლის მხატვრობის ფეროვან ეფექტებზე გათვლილი და დაძაბული პროპორციებით და ფასადთა მდიდარი დეკორატიული მორთულობით გამორჩეული — ხობში.

როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, ხეითის წმინდა-საბას სახელობის ტაძარი თარიღდება X ს-ის დასაწყისით და მთელი რიგი თავისებურებებით მჭიდროდ უკავშირდება ერედვის წმ. გიორგის ეკლესიას, ერედვის „ბერის საყდარს“, დოდოთის „ცხრაკარას“, ნიქოზის მცირე ეკლესიას, და ბოლოს, გარკვეულ მსგავსებას იჩენს ტბეთის ეკლესიის ჩვენამდე მოღწეულ ზოგიერთ ფრაგმენტთან. ამრიგად, ჩვენს წინაშეა ტბელი ფეოდალების საამშენებლო მოღვაწეობის კიდევ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი და თვალსაჩინო ძეგლი.

Р. С. МЕПИСАШВИЛИ

## ЦЕРКОВЬ СВ. САВВЫ В СЕЛ. ХЕИТИ

Памятник в сел. Хеити относится к периоду, который в архитектуре Грузии отмечен большим творческим подъемом. Интересным и своеобразным своим решением церковь св. Саввы, в процессе развития зодчества в нашей стране, занимает особое место.

Сел. Хеити расположено в ущельи р. Большой Лиахви, в 5 км от г. Цхинвали (Грузинская ССР). Памятник ныне сильно поврежден: разрушены боковые приабсидные помещения, в абсиде образовалась большая брешь, отсутствует северо-западная часть обхода, утеряна облицовка восточного и северного фасадов, сохранившиеся части здания имеют большие трещины (табл. 1, 2, 3, 4, 5, 7, 8, 9,).

Материалом для фасадов здания и интерьера обхода служит темно-красного цвета тесаный камень, внутри церкви же тесаные плиты при-

27 მე-$6_2$ ტაბულაზე ხობის ტაძარი, წარმოდგენილია არქიტექტორ ნ. სევეროვის მიერ აღდგენილი სახით. მოხსენებაში, რომელიც მან წაიკითხა 1944 წელს, აღნიშნული იყო ძეგლის თავდაპირველი ფორმების თავისებურება და მოყვანილი აღდგენის დასაბუთება (იხ. ნ. სევეროვი, ჯვაროვანი გეგმის ახალი ტიპი საქართველოს ტაძრებში, თეზისები საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების XVI სამეცნიერო სესიისა, თბ., 1944, გვ. 8).

ეროვნული ბიბლიოთეკა

менены только для конструктивных частей, а стены облицованы бутовым камнем (табл. 7, 8).

Памятник пережил несколько ремонтов. Во второй половине XIII или в XIV веках была переоблицована южная средняя часть здания, окно украшено большим наличником с шишками над ним, стены сооружения увенчаны новым, высоким карнизом (табл. 7,$12_1$). Первоначальный карниз сохранился только над аркой западного входа (табл. 5,7). Около XVIII века на месте северной части обхода был возведен придел, ныне сильно поврежденный (табл. 1,$12_2$, $12_3$).

Построение архитектурных форм храма такое: к основному высокому и длинному зальному пространству с юга и с севера примыкают глубокие, покрытые поперечными сводами, карманы (рис. 1, 2, 3, $6_1$). Эти карманы создают вторую, перпендикулярную основной продольной оси, поперечную ось. Ширина карманов приближается к ширине главного пространства и на их перекрестке, в плане, создается почти квадрат, характерный для купольных зданий. Но в Хеити мы имеем не развитые во все четыре стороны, одинаковые пространственные формы, а четко выраженное зальное пространство и слитые с ним, более низкие, боковые пространственные объемы. Стенные арки, расположенные по бокам карманов, создают вместе с последними общий арочный ритм, завершенный к востоку триумфальной аркой абсиды.

От первоначального декоративного убора здания сохранился южный арочный вход и украшение западного фасада, в виде орнаментированного наличника круглого окна и навершия верхнего окна (табл. 10, $11_{1,2}$).

Южный вход, этот самый богатый декоративный элемент здания, расположен напротив глухой стены (рис. 1). Место его здесь функционально не оправдано и может быть воспринято, как стремление автора оттенить ту часть храма, которая находится напротив входа в ограду, с юго-западной стороны.

Декоративные пятна западного фасада лишь слабо акцентируют большие глади стен и вместе с южным входом указывают на то, что архитектор Хеити, в значительной мере, отошел от достижений грузинских мастеров, создавших храмы Джвари в Мцхета (590—604/5 г.) и Цроми (626—634 г.), с законченными композиционными построениями своих фасадов. В творческих исканиях архитектора Хеити на первый план выдвинута проблема построения новых архитектурных форм и внутреннего пространства, т. е. проблема, решением которой было проникнуто творчество грузинских зодчих на протяжении VIII—IX и X веков.

В деталях декоративного убора фасадов прослеживается стремление к поискам новых, своеобразных мотивов, что также характерно для эпохи VIII—IX и начала X в.в.

Ряд черт церкви св. Саввы: строительный материал и характер кладки, глубокая аркатура по стенам, лобовая стена над абсидой, западная часть обхода, со средним, выступающим, повышенным отрезком, построение декоративного убора фасадов и исполнение орнаментов сближающие наш памятник со зданиями IX и X вв. и особенно, с церковью св. Георгия в Эредви, датированной надписью 906 годом, дают основание время построения церкви в Хеити отнести к началу X в.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერა ბარდაველიძე

# მთისა და ბარის მოსახლეობის ურთიერთობის ისტორიიდან საქართველოში

## (ძმობის ინსტიტუტი)

ქართველი მოსახლეობის ძველ ყოფაში დამოწმებულია ძმადნაფიცობის სამი წესი:

ა. ძმადგასაფიცი მხარეები, თავიანთი ნათესავების თანხლებით თავს იყრიდნენ ხატში (ჯვარში), სადაც ერთ-ერთი მათგანი მიიყვანდა ცხვარს, ხბოს ან სხვა სამსხვერპლო ცხოველს. მსხვერპლის შესაწირავი ლოცვის წარმოთქმის შემდეგ ხევისბერი დაკლავდა ცხოველს და მის სისხლს აპკურებდა ძმადგასაფიცებს. ეს უკანასკნელნი ამ დროს ერთიმეორეს ძმურ ერთგულებასა და სიყვარულს ეფიცებოდნენ და სწყევლიდნენ ფიცის გამტეხსა და ძმადნაფიცის, ე. წ. მოძმის თუ ძმობილის მოღალატეს[1].

ბ. ძმად გასაფიცი მხარეები ჩვეულებრივ ქორწილზე, ან სხვა სადღესასწაულო შეკრებისას, რომელზედაც ბევრი ხალხი იყრიდა თავს, გაიჭრიდნენ მარჯვენა ხელის ნეკებს და ამ თითებს ისეთნაირად გადააჭდობდნენ, რომ ჭრილობიდან წამოსული სისხლი ერთმანეთს შერეოდა. ამავე დროს წარმოთქვამდნენ ძმური ერთგულებისა და ერთმანეთის სიყვარულის ფიცს.

გ. წესი სრულდებოდა ე. წ. ფიც-ვერცხლის ჭამის საშუალებით: თითოეული ძმადგასაფიცი მხარე ჩაფხეკდა თავისი იარაღის ვერცხლის ნაწილს ღვინოან, ლუდიან, არყიან, ან უფრო იშვიათად, რძიან სასმისში და წარმოთქვამდა ფიცის ფორმულას: „შენი მამა ჩემი მამა, შენი დედა ჩემი დედა, შენი ძმა ჩემი ძმა, შენი და ჩემი და, შენი ცოლი ჩემი რძალი, შენი მტერი ჩემი მტერი“; შემდეგ ძმადგასაფიცები სასმისს მიართმევდნენ ერთიმეორეს. როცა ისინი დაიწყებდნენ სმას, ხევისბერი შემდეგნაირად დაილოცებოდა: „თქვენი ძმობა ნუ გაყაროს მამა-უფალმა, სიკვდილამდე ერთურთიმც გეყვარებათ; თქვენი შვილიშვილი ნუმც მოიძულებს ურთიერთსა რო დაიჭოცებთ“, ხალხის რწმენით, ძმადნაფიცობის ეს სიტყვიერი ფორმულა ნაანდერძევი იყო წინაპრების მიერ თავისი შთამომავლობისათვის „ანდაზის“ სახით.

არსებობდა ძმადნაფიცობის კიდევ ერთი წესი, რომელიც ორი უკანასკნელის ნარევს წარმოადგენდა: ძმადგასაფიცი მხარეები გაიჩხვლეტდნენ მარჯვენა ხელის ნეკებს, გადმოსულ სისხლს ჩაწურავდნენ ღვინიან ან არყიან სასმისში, მოურევდნენ და შესვამდნენ, შემდეგ გადააჭდობდნენ გაჭრილ თითებს, ხელმეორედ შეურევდნენ სისხლს და ამ დროს წარმოთქვამდნენ ზემომოყვანილ ფორმულას.

---

[1] ეს წესი დამოწმებულია მთიულებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძმადგაფიცვის წესის შესრულების შემდეგ გაფიცულები ერთმანეთს მიართმევდნენ არყიან ყანწს, მაგრამ თუ რომელს უნდა მიერთმია პირველად, ეს წყდებოდა წილის ყრით. შემდგომ ამისა, ისინი ერთმანეთს ასაჩუქრებდნენ ფასიანი ნივთებით, — ვერცხლით მოჭედილი ხანჯლით, ვერცხლის ბეჭდებითა და სხვ., რის შემდეგაც მთელი ცხოვრების მანძილზე უახლოეს პირებად იქცეოდნენ როგორც ჭირში, ისე ლხინში, მუდამ თავგამოდებით ეხმარებოდნენ ერთმანეთს და ხშირად ეს თავგამოდება თავგანწირვამდე მიდიოდა.

ძმადგაფიცულების ურთიერთდამოკიდებულება და ურთიერთვალდებულებანი კარგადაა გამოხატული მოხუცი მთხრობლის შემდეგ სიტყვებში: ძმადნაფიცები მუდამ ერთად იყვნენ როგორც ჭირში, ისე ლხინში. როცა თემი ემზადებოდა მტრებზე თავდასასხმელად, ძმადნაფიცი თავის ძმადნაფიცს შემდეგი სიტყვებით მიმართავდა: „ერთად ვიყოთ და ერთად დავიხოცოთ, მაგრამ თუ ერთი ჩვენთაგანი დაიღუპება, მეორე ნუ მიატოვებს მკვდარს". იმავე მთხრობელის სიტყვით, როცა ერთი მათგანი მატერიალურად ძლიერ დაზარალდებოდა, ძმადნაფიცი მთელ თავის სიმდიდრეს, — ცხვრის ფარა იქნებოდა ის თუ მსხვილფეხა საქონელი, შუაზე ყოფდა და ნახევარს დაზარალებულ ძმობილს აძლევდა. სახლის აშენებისას ძმადნაფიცები ერთმანეთს ღვიძლი ძმებივით ეხმარებოდნენ. თუ ერთი ავად გახდებოდა და მიწის მხვნელი აღარავინ ჰყავდა, მეორე გამოიტანდა გუთანს, შეუბამდა ძმადნაფიცისა და თავის ხარებს, და დახნავდა როგორც თავის, ისე ძმადნაფიცის მიწას. როცა ერთი ძმადნაფიცი, რომელსაც მოსისხლე ჰყავდა, ხატში წავიდოდა, მეორე თან გაჰყვებოდა, რათა დაეცვა იგი მტრისაგან. სასიკვდილოდ დაჭრილი თავის ძმობილს ანდერძს უტოვებდა: „თუ შეგიძლია შეურიგდი ჩემს მოსისხლეს; ხოლო თუ არა, — მიუზღე ჩემი სამაგიერო". და მართლაც ძმადნაფიცი დევნიდა მოსისხლეს და შურს იძიებდა ძმადნაფიცისთვის, როგორც ღვიძლი ძმისათვის. ჩვენში არსებობს გადმოცემა, ამბობს იგივე მთხრობელი: ერთმა ფშაველმა ფშაველი მოჰკლა, მაგრამ მკვლელი ვინ იყო, ვერ გაიგეს. მოკლულის ძმადნაფიცი მკვლელს 7 წელიწადს ეძებდა. ბოლოს ერთი ქისტი მოჰკლა, მაგრამ როცა გატენა ცარიელი თოფი, ტყვიიდან სისხლი გადმოვიდა. ეს იმის ნიშანი იყო, რომ ეს ქისტი არ იყო მისი ძმადნაფიცის მკვლელი, ესე-იგი, იგი აჩქარდა, საკმაოდ არ ეწვალა ძმადნაფიცის მკვლელის ძებნით.

ძმადნაფიცობა გაფიცულთა ნათესავებს შორის ეკზოგამიას აწესებდა. უკანასკნელნი მთელი ცხოვრების მანძილზე ძმურად ეხმარებოდნენ ერთმანეთს, ხოლო როცა ერთი ძმადნაფიცი მოკვდებოდა, მისი ნათესავები მეორე მხარეს ხატში მიიწვევდნენ, სადაც ძმადნაფიცთა შვილები და შვილიშვილები ერთად ასრულებდნენ მიცვალებულთა „სულის ხარჯებს". საინტერესოა ისიც, რომ ძმადნაფიცის ცოლის ნათესავებს ძმადნაფიცი ისევე უყურებდა, როგორც საკუთარი რძლის ნათესავებს.

ძმობილ-დობილობა სხვადასხვა სქესის წარმომადგენლებს შორის ზუსტად იმავე ურთიერთობას ემყარებოდა.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ თუმცა ძმობილ-დობილობა ცალკეულ პირებს შორის მყარდებოდა, მაგრამ იგი ხელოვნური ნათესაობით აკავშირებდა არა მარტო თვით შეფიცულებს, არამედ ორივე მხარის ნათესაობას.

ხშირად ძმადნაფიცობით კავშირდებოდნენ თანასოფლელები საერთო მტრის წინააღმდეგ ერთობლივ მოქმედებათა განმტკიცების მიზნით. ასე გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთიანდა მოსახლეობა, მაგალითად, ხევსურეთის სოფელ უკენ ხადუში ღილღვების წინააღმდეგ, რომელთაც მათი საქონელი გაიტაცეს.

როგორც ეს ხევსურეთსა და მთიულეთში მოწმდება, ძმადნაფიცობის ინსტიტუტი გამოიყენება მტრულად განწყობილი პირების შერიგების დროსაც[2].

ხევისბერები ფშაველებსა და აგრეთვე ქისტებს ძმადნაფიცობით ირიგებდნენ ხოლმე, შერიგებულთა შორის შერიგების პროცედურის დამთავრებისთანავე სრულდებოდა ფიც-ვერცხლის წესი[3].

ასევე ხშირად გამოიყენებოდა ძმადნაფიცობა ფშაურ ნადობ-ნაძმობობის ინსტიტუტში, რომელიც გამოიხატებოდა ვაჟისა და ქალის ინტიმურ ურთიერთობათა თავისებური, განმტკიცებული ჩვეულებითი სამართლით. შეასრულებდნენ თუ არა ახალგაზრდები ვერცხლის ფულით დაფიცების წესს, ამის შემდეგ მათი ურთიერთობა უკვე აღარ წარმოადგენდა გარეშე პირთათვის საიდუმლოებას.

ძმადნაფიცობის ინსტიტუტი მოქმედებდა ქართველ მთიელებსა და მათ უცხო მოდგმის მეზობლებს — ქისტებს, ჩეჩნებს, ღილღვებსა და ოსებს შორისაც. საინტერესოა ის გარემოება, რომ ძმადგაფიცული თავის წმინდა მოვალეობად მიიჩნევდა ყოველნაირად დახმარებოდა ძმადნაფიცს იმ შემთხვევაშიც კი, როცა უკანასკნელი მისი თანასოფლელების წინააღმდეგ მოითხოვდა შველას[4].

---

2 მოვიყვან მთიულურ მაგალითს. სოფელ ყველაანის მცხოვრები, მიხეილ ქველაიძე და მეზობელი სოფლის გოგნაურის მცხოვრები, ანდრია ოგბაიძე, ერთმანეთს ძმად გაეფიცნენ შემდეგ ვითარებაში: ქველაიძის მამამ და ბიძამ ობგაიძეს დაუგირავეს სამი დღიური მიწა, რაშიაც მიიღეს 240 მანეთი. რამდენიმე წლის შემდეგ ქველაიძემ მოისურვა უკან გამოესყიდა თავისი მიწა და ობგაიძეს შემდეგი განუცხადა: მიწით სარგებლობის წლების მანძილზე მან (ობგაიძემ) მიიღო 480 მანეთის მოგება. ამიტომ მან ქველაიძეს უნდა დაუბრუნოს მიწა და 240 მანეთი ფულად. ობგაიძემ უარი უთხრა როგორც ერთ, ისე მეორე მოთხოვნაზე და ამ ნიადაგზე მტრად მოეკიდნენ ერთმანეთს. ერთხელ ისინი ერთმანეთს შეხვდნენ საზოგადოებრივ ადგილას. ქველაიძე ძლივს იკავებდა თავს, რომ ჩხუბი არ დაეწყო მეშულესთან, მაგრამ მოულოდნელად მასთან მივიდა ობგაიძე და სთხოვა ძმად გაფიცულიყვნენ. ქველაიძეს გაუხარდა და რამდენიმე პირის თანდასწრებით ფიც-ვერცხლი ჭამეს, წესის შესრულების შემდეგ ქველაიძემ მოწმეების თანდასწრებით განუცხადა, რომ ძმადნაფიცობის გულისათვის ობგაიძეს საჩუქრად აძლევდა 240 მანეთს და მიწას, რისთვისაც დაიწყო მათი შული. თავის მხრივ ობგაიძემ ძმადნაფიცის ცოლს ცხვარი აჩუქა. ასე დამყარდა მათ შორის ძმური დამოკიდებულება, რომელიც მთელი მათი ცხოვრების მანძილზე არ შეწყვეტილა. როცა ისინი დღესასწაულზე ეწვეოდნენ ერთმანეთს, თითოეული მათგანი ძმადნაფიცის შვილებს ფულით ასაჩუქრებდა. ანდრიას, მის ბიძაშვილებსა და ნათესაობას ცხვრის ფარა ჰყავდა, და ისინი ცხვრის კრეჭის დროს ქველაიძის ოჯახს იმდენსავე მატყლს აძლევდნენ, რამდენსაც იღებდნენ მათი ოჯახის წევრები. ერთხელ, მათი თანდასწრებით, ერთმა გუდამაყრელმა ჩხუბი აუტეხა ქველაიძეს და მაშინ, როცა მას ხანჯალი უნდა ჩაეცა ქვლაიძისათვის, ობგაიძე ეცა მას და მთელი ძალით სცემდა მანამ, ვიდრე თვითონ ქველაიძე არ მოეშველა გუდამაყრელს და არ გამოგლიჯა ხელიდან ძმადნაფიცს. მეორედ, როცა ქველაიძემ გაიგო, რომ მის ძმადნაფიცს სასიკვდილო საფრთხე ემუქრებოდა, იმწამსვე გაემართა მისაშველებლად და გადაარჩინა იგი მოსისხლეს ხელით სიკვდილს.

3 ქისტებს შორის ეს უმეტესად სრულდებოდა თაფლიან ან რძიან ქურჭელში ვერცხლის ჩაფხეკით.

4 ქართველ მთიელებსა და მათ მეზობლებს შორის გავრცელებულ ძმადნაფიცობის მრავალრიცხოვან ფორმათაგან შევჩერდები ფშაველებისა და ქისტების ძმადნაფიცობის მაგალითზე. ლეკებმა მოჰკლეს ერთი ქისტი, რომელსაც მოეკლა ფშაველი თვარელაშვილის ძმადნაფიცი. უკანასკნელის ძმამ, გამიხარდიმ, ორი ლეკი მოჰკლა და მათი გვამები შესწირა თავისი ძმის ძმადნაფიცის საფლავს. ამის შემდეგ ლეკებმა მოჰკლეს თვით გამიხარდიც. მაშინ თვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძმადნაფიცობა და დადნაფიცობა კავკასიის ხალხებში ადვილად მოწმდება, როგორც საშუალება ხელოვნური ნათესაობის დამყარებისა ცალკეულ პირებს შორის, ხოლო მათი მეშვეობით კი ორივე მხარის ნათესავებს შორის.

---

რელაშვილის შვილმა, სახელად ბოიგარმა, თავის ბიძაშვილთან ერთად, შური იძია ბიძისა და მამის სიკვდილისათვის და კიდევ ორი ლეკი მოჰკლეს. ფშაველი ბოიგარი თავის მხრივ ძმად იყო გაფიცული ქისტ ბალათურთან, ლამურების გვარის კაცთან. ბალათურს მოკლული ჰყავდა მითხოელი და ორი წლის მანძილზე მოსისხლეებს თავის შვილთან 'ერთად ემალებოდა ბოიგარის სახლში. როცა ლამური ფრთხილობდა თავისი ერთადერთი შვილის გამო, რომელსაც საფრთხე ემუქრებოდა მოსისხლეთა მხრივ, ბოიგარი მას შემდეგი სიტყვებით ამშვიდებდა: — ნუ გეშინია, მაშინ რაღად მინდა ჩემი ხირიმიო (თოფი). ორი წლის შემდეგ მოსისხლეები შერიგდნენ ბალათურის თანასოფლელის, მისი მეორე ძმადნაფიცობის დახმარებით. საინტერესოა ის ფაქტი, რომ შერიგება მოხდა მხოლოდ მის შემდეგ, რაც თავისი ძმადნაფიცი ქისტის თათბირის შემდეგ, ლამური შეიპარა მოსისხლის სახლში და ნაბადში გახვეული წამოწვა კერის პირად. სახლის პატრონები, რომლებიც მას აქვე წააწყდნენ, კერისა და სტუმართმოყვარეობის პატივისცემის გამო, რადგან მოსისხლე ახლა მათ სტუმრად ითვლებოდა, იძულებული იყვნენ არათუ რაიმე ზიანი მიეყენებინათ მისთვის, არამედ შერიგებაზედაც დათანხმებულიყვნენ, რაც ისევ და ისევ ძმადნაფიცობის ინსტიტუტის მეშვეობით იქნა განმტკიცებული.

(მოყვანილი ცნობები ამოკრებილია ჩემი თხოვნით შეგროვილი მასალებიდან, რომელიც ჩემ მიერვე შედგენილი ანკეტის მიხედვით შეაგროვეს ფშავში დებმა თ. და დ. ოჩიაურებმა და მთიულეთში მ. კედელაძემ. გარდა ამისა გამოვიყენე საქ. სსრ მეც. აკად. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის, ეთნოგრაფიის სექტორის საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილების საარქივო მასალებიდან. ა. ოჩიაურის 1941 წლის ხელნაწერი „ანდრეზები ხევსურეთში“, ნ. ბალიაურის „ნადობ-ნაძმობა და წაწლობა ფშავში“ და „სწორფრობა არხოტის ხეობაში და პირაქით ხევსურეთში“).

თავის კერძო წერილში (12.IX.1943) ვ. ი. აბაევმა ოსებს შორის ძმადნაფიცობისა და დადნაფიცობის შესახებ გვაცნობა შემდეგი: „დადნაფიცობა და ძმადნაფიცობა როგორც ერთი. ისე სხვადასხვა სქესის წარმომადგენლებს შორის გავრცელებული მოვლენა იყო. ძმადნაფიცები წარმოთქვამდნენ ე. წ. „ფიცს ვერცხლზე“, ლუდიან, ან არყიან სასმისში ჩააგდებდნენ რაიმე ვერცხლის ნივთს (მონეტას, ბეჭედს ან სხვ.). მერე ორივე მონაწილე შესვამდა ამ სასმისიდან და წარმოთქვამდნენ სამუდამო მეგობრობის ფიცს. სისხლის შერევა, დედაჩემის მეხსიერებაში არ ყოფილა.

ცხოვრების ყოველ მნიშვნელოვან მომენტში ძმადნაფიცები იქცეოდნენ, როგორც ერთმანეთის ყველაზე ახლობელი პირები: ყოველნაირად მფარველობდნენ და ეხმარებოდნენ ერთმანეთს, მზად იყვნენ გაეღოთ ყოველგვარი მსხვერპლი და სხვ. ისინი ვალდებული იყვნენ შური ეძიათ ერთმანეთისათვის (მაგრამ არა ძმადნაფიცის ნათესავებისათვის).

და-ძმად გაფიცულთა შორის დაშვებული იყო ყოველგვარი ინტიმურობა, რაც კი ღვიძლი და-ძმის ურთიერთობის საზღვარს არ სცილდებოდა.

მათი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი იყო, რაც შეიძლება ხშირად დაესაჩუქრებინათ ერთი მეორე. დობილი თავის ძმადნაფიცს უმზადებდა ყაბალახს, პაჭიჭებს, დამბაჩის ბუდეს, უკერავდა ჩოხას და ახალუხს და უქარგავდა ოქროთი და ვერცხლით. ძმობილი დადშეფიცულის სახლს თავის მხრივ ეხმარებოდა მამაკაცის საქმეებში, ასევე უგზავნიდა საჩუქრებს, უმეტესად ქალაქიდან ჩამოტანილ ნივთებს: თავსაფარს, საკაბეს ქსოვილსა და სხვ.

ძმობილს ეწოდებოდა oefsyoer-ɡond— „გაკეთებული ძმა“, ან ordxord — „დაფიცებული“, თუ კი მათ შორის ადგილი ჰქონდა საზეიმო ფიცს. დობილს ერქვა — xo- ond— „გაკეთებული და“

მე შევიზღუდე ჩემთვის ხელმისაწვდომი გამოქვეყნებული მასალით ძმადნაფიცობის ქართული ინსტიტუტის შესახებ და ვფიქრობ, რომ იგი მეტნაკლებად საკმარისია ძმადნაფიცობის იმ მხარის გასაშუქებლად, რომელიც ჩვენი თემის მიზანს შეადგენს. ამავე დროს სასარგებლოდ მიმაჩნია ამ მასალის, მისი კონკრეტული მაგალითების მითითებით, ისეთი სპეციალისტის ყურადღების სფეროში მოქცევა, რომელიც ამომწურავად გამოიყენებს პარალელურ მატერიალურ მონაცემებს კავკასიაში ხელოვნური ნათესაობის ინსტიტუტის მონოგრაფიული შესწავლის დროს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი ფართოდაა გავრცელებული მრავალ ხალხში კავკასიის ფარგლებს გარეთაც. მიუხედავად ამისა იგი არსებობდა კლასობრივი საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიურ ეპოქებშიც, მაგრამ არა მხოლოდ შორეული წარსულის გადმონაშთი, არამედ როგორც მოქმედი უფლებრივი ინსტიტუტი, რომელიც გამოიყენებოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური კავშირების დამყარებისას კავკასიაშიც და მის საზღვრებს გარეთაც.

უპირველეს ყოვლისა, ამაზე ლაპარაკობენ ძველი, კლასიკური ავტორები, ჰეროდოტე და ტაციტი. ჰეროდოტეს სიტყვებით ლიდიელებსა და მიდიელებში ხელშეკრულების დადებისას შესათანხმებელი მხარეების წარმომადგენლები ხელზე კანს ჭრიდნენ და სისხლს ურევდნენ ერთმანეთს (Herodot, I, 74). ამავე ავტორის სიტყვით, არაბები მოლაპარაკების მონაწილეთა სისხლით ლებავენ მათ შორის (მიჯნად) დადებულ ქვებს (Herodot, I,11) დაბოლოს ჰეროდოტე გადმოგვცემს, რომ სკვითებში შესათანხმებელი მხარეები სვამდენ საკუთარ სისხლნარევ ღვინოს და მასში ასველებდნენ იარაღს[5]. ძმადნაფიცობის, როგორც იურიდიული ინსტიტუტის შესახებ, ცნობები მოეპოვება ტაციტსაც. როცა ტაციტი მოგვითხრობს იბერიის მეფის, ფარსმანის ვაჟის, რადამისტის მიერ სომხეთის მეფის, მითრიდატის მიმართ ჩადენილ ბოროტებებზე, იგი ყურადღებას ამახვილებს ერთ ფაქტზე, რომელიც ძლიერ ჩამოგავს ძმადნაფიცობის ქართული ხალხური წესის დამახასიათებელ ელემენტს — ხატში მსხვერპლის შეწირვას: ხელშეკრულების დადების ადგილას მოსული მეფე მითრიდატე რადამისტს მიჰყავს მახლობელ ჭალაში და ეუბნება, რომ თითქოს „იქ მისი ბრძანებით მომზადებულია ყველაფერი მსხვერპლის შეწირვისათვის, რათა ზავი მოწმეების, — ღმერთების — თანდასწრებით განმტკიცდეს“. შემდეგ ტაციტს აღწერილი აქვს საშუალება, რომლის გამოყენებით საქართველოსა და სომხეთის მეფეებმა განამტკიცეს საზავო ხელშეკრულება: „მეფეებს აქვს ჩვეულება, რომლის მიხედვით ყოველი კავშირის დადებისას გადააჭდობენ ერთმანეთს მარჯვენა ხელებს. ცერებს შემოუჭერენ კვანძს და როცა სისხლი მოაწვება კიდურებს, მსუბუქი ნაჩხვრეტით გამოუშვებენ მას და მერე ერთმანეთს სისხლს ლოკავენ. ასეთი ხელშეკრულება, — დაასკვნის ტაციტი, — ითვლება იდუმალი ძალის მქონედ და ერთმანეთის სისხლით განმწმენდლად (Annal. XII, 47).

ძმადნაფიცობა, როგორც ერთგვარი პოლიტიკურ-უფლებრივი ინსტიტუტი, ძველად ქართველ მთიელებში გაგებული იყო როგორც ძმადნაფიცობა მათი სათემო ღვთაებებისა. ძმადნაფიცობის რეალური აქტი, ისევ როგორც საკავშირო შეთანხმებანი თემის ღვთაებათა სახელით იდებოდა თემთა წინამძღოლების მიერ, რომლებიც ამავე დროს წარმოადგენდნენ სათემო ხატის თუ ჯვარის მთავარ საკულტო მსახურებს. ამ პრაქტიკის ახსნა უნდა მოინახოს იმ შეხედულებაში, რომ ჯვარი თუ ხატი თავის თავში წარმოადგენს ერთობას იმ თემისას, რომლის უმაღლეს მმართველად და მფარველად ითვლება იგი[6]. ამიტომ ბუნებრივია, რომ ყველაზე უხვი მასალა ერთმანეთთან ძმადნაფიცობის და დადნაფიცობის ინსტიტუტით დაკავშირებულ სათემო

---

5 სკვითებში ძნადნაფიცობის ინსტიტუტის არსებობის შესახებ მოგვითხრობს ბერძენი მწერალი ლუკიანე სამოსატელიც (II ს.) თავის ნოველაში „ტოკარიდი ანუ მეგობრობა“ (თხზულებანი, ტ. II, მოსკოვი, 1920, გვ. 233).

6 ძველქართულ სათემო ღვთაებათა და თემური თეოკრატიული ხელისუფლების შესახებ იხ. ჩემი შრომა „ხევსურული თემი“, სსსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 13, № 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვთაებათა შორის (resp. ამ ინსტიტუტით განმტკიცებული კავშირები თემთა შორის) ჩვენ გვაქვს რელიგიურ წარმოდგენებში და კერძოდ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი რაიონების მოსახლეობის კულტმსახურების ტექსტებში. ასე მაგალითად, მთიულური „სადიდებელთაის“ ზოგიერთი ტექსტი იხსენიებს ღვთაება-გმირის კოპალეს ძმადნაფიცობას ღვთაება ფუძის ანგელოზთან, ასევე ღვთაება შარაველის ძმადნაფიცობას მაღაწალ წვერის ანგელოზთან[7] და სხვ[8].

ხევსურულ რელიგიურ რწმენებში კარგადაა ასახული სხვადასხვა სქესის წარმომადგენელ ღვთაებათა ნადობ-ნაძმობობა. მაგალითად, სათემო ღვთაების ქაჯმატის გიორგის დობილად ითვლებოდა საერთო ხევსურული ნაყოფიერების ქალღვთაება, სამძიმარი, ხოლო ლიქოკის ღვთისმშობელი იყო ერთის მხრივ ლიქოკის სათემო ღვთაების, კარატის ჯვრისა და მეორე მხრივ საერთო ხევსურული ღვთაების, გუდანის სალმრთო ჯვრის დობილი. ამავე დროს დადნაფიცები იყვნენ ერთი მხრივ ლიქოკის ღვთისმშობელი და კისტანის ნაჭარელა ღვთისმშობელი, მეორე მხრივ კი კისტანისა და გუდანის ღვთისმშობლები (გუდანის ნაჭარელა ღვთისმშობელი). ხოლო რაც შეეხება ხევსურულ მამრობითი სქესის ღვთაებათა ძმადნაფიცობას აქ, ფშაურ შესაბამის მასალასთან შეპირისპირებით, არა ნაკლებ ცხადად ჩანს ინსტიტუტის საზოგადოებრივი ფესვები. ხევსურული რელიგიური რწმენების თანახმად ძმადნაფიცები იყვნენ: ოჩიაურების საგვარეულო თემის ჯაჭველის ჯვარი და ნაროზაულთა გვარებში შემავალი ჩაბაკაურთა სამამო თემის მფარველი მინდორის ჯვარი. როგორც ვიცით ეს თემები იყვნენ ახიელას სასოფლო თემის შემადგენელი უჯრედები[9]. ამღის სასოფლო თემის რკენის ჯვარი, რომელიც ამავე დროს ამღის წიკლაურთა საგვარეულო თემის ჯვარიც იყო და იმავე სოფელში მცხოვრები ჩინგლათ (მამური) თემის ღვთაება იაჯსარ სვეტად ჩამოსული. ერთმანეთის ძმადნაფიცებად ითვლებოდნენ ჩირდილის სასოფლო თემის ორი ღვთაება, რომელთაც ქრისტიანულ სახელებს უწოდებდნენ: წმინდა გიორგი და ღვთისმშობელი; ამავე დროს ძმადნაფიცები იყვნენ ეს ღვთაებები და სასოფლო თემის, უკენ ახოს ფუძის ანგელოზი, სახევო ღვთაება არხოტის ჯვარი და სოფელ ჭიმღის საგვარეულო თემის, გაბურთ მფარველი, მიქიელ კარის მეზობელი; არხოტის ჯვარი და სოფელ ახიელის წიკლაურების საგვარეულო თემის ღვთაება მთის ვეშაგი, ბარისახოს სასოფლო თემის ღვთაება კვირაე და ატაბეს სასოფლო თემის ღვთაება კვირაე, თეთრი გიორგი და კოპალა უნჯის ანგელოზი, — ორივე ბურდულების საგვარეულო თემის მფარველები. წყალსიქითა ხევის დიდგორის ჯვარი და როშკელ წიკლაურების საგვარეულო თემის მთავარ-ანგელოზის ჯვარი; იგივე დიდგორი და ჯუთა — ართხმოს (ყაზბეგის რ-ნი) სოფლის თემის მფარველი ღალანგურ წმინდა გიორგი. ეს თემი შედგება ბიჩინაგურთ მამისა (არაბულთა გვარიდან) და როშკელ წიკლაურთა გვარის გადმოსახლებულ ხევსურთაგან. ასევე ძმადნაფიცები არიან დიდგორის ჯვარი და სალიქოკოს სახევო თემის იაჯსრის ჯვარი, და ბო-

---

7 ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს ქართველი მთიელების სასულიერო ტექსტები, „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, ნაკვ. I, ტფ., 1938, გვ. 35.

8 იქვე, გვ. 12, 17, 31, 32, 33, 34.

9 ვ. ბარდაველიძე, ხევსურული თემი, სტრუქტურა და ჯვარისყმობის ინსტიტუტი, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 13, № 8, გვ. 495—502.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს საერთო ხევსურული ღვთაება, გუდანის სალმრთო ჯვარი და სახევო თემის, სალიქოკოს კარატის ჯვარი.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ღვთაებათა ძმადნაფიცობა და დადნაფიცობა გამოხატავდა რეალურ კავშირს, რომელიც არსებობდა მრავალფეროვან საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის, ხოლო ეს ჯგუფები იდეოლოგიაში წარმოდგენილი იყვნენ თავიანთ მფარველ ღვთაებათა კულტებით, მაშინ მოტანილი გადმონაშთური მასალის საფუძველზე ვადგენთ კავშირებს შემდეგ ხევსურულ თემებს შორის:

1) ერთი სოფლის შიგნით არსებულ ერთ საგვარო ორგანიზაციასა და მეორე გვარის სამამო ორგანიზაციას შორის და საგვარო სოფლის თემსა და ამ გვარის სამამო თემს შორის. 2) ერთი ხევის (ხეობის) ფარგლებში მდებარე ერთი სოფლის და მეორე სოფლის თემს შორის და სახევო თემსა და სხვადასხვა სოფლების საგვარეულო ორგანიზაციებს შორის, 3) სხვადასხვა ხევების სასოფლო თემებს შორის და სახევო თემსა და სხვადასხვა სოფლებში მოსახლე სამამო თემებს შორის. 4) ერთ სახევო თემსა და მეორე სახევო თემს შორის და სახევო თემსა და საერთო სახევსურეთო თემებს შორის.

შეიძლება ითქვას, რომ ასეთი, ძმადნაფიცობის ინსტიტუტით დამტკიცებული საზოგადოებრივი კავშირები უფრო ნათლად წარმოგვესახება ფშაურ მაგალითზე, ფშავის საზოგადოება იმავე პრინციპზე იყო აგებული, როგორც საქართველოს მთიანი რაიონების სხვა საზოგადოებები, კერძოდ ხევსურეთისა, მაგრამ მან თავისი სტრუქტურა ჩვენამდე უფრო მთელი და სრული, უფრო ცენტრალიზებული სახით მოიტანა. ფშავი შედგებოდა 12 ხევისაგან, რომელთაგან თითოეულს ყავდა თავისი უმაღლესი მფარველი, ხოლო ამ მფარველს (ხატს) რეგიონის ფარგლებში ჰქონდა საკუთარი სალოცავი (ხატი) და ჰყავდა კულტის მსახურნი (ხატიონნი). 12 ხევის ერთ საერთო ფშავურ თემად გაერთიანებას ახორციელებდნენ საერთო ფშავური მეომარი ღვთაების, ლაშარის ჯვრის ხევისბერები და ნაწილობრივ ასევე საერთო ფშაური მკურნალობისა და ქალური ნაყოფიერების ქალღვთაების ხევისბერები, რომელიც თამარ აქიმ დედოფლის სახელით იყო ცნობილი. ხოლო ხალხურ იდეოლოგიაში კი ეს ნებაყოფლობითი, მაგრამ თავდაცვის აუცილებლობით გამოწვეული გაერთიანება ერთ საერთო ფშავურ თემად, ახსნილი იყო როგორც თითოეული ხევის ღვთაების ძმადნაფიცობით დაკავშირება საერთო ფშავურ ღვთაებასთან. ამიტომ სალოცავი ტექსტი, რომელსაც ფშაველი ხევისბერები წარმოთქვამდნენ სათემო დღესასწაულებისას, ე. წ. „სადიდებელთაი“ შეიცავდა ასეთ ფორმულას: „გაგემარჯოს თავის მოდე-მოძმითა“. ეს ფორმულა წარმოადგენდა მიმართვას ხევის ღვთაებისადმი, სადაც „მოდე“-დ იგულისხმება თამარ აქიმ დედოფალი, ხოლო „მოძმედ“ ღვთაება ლაშარის ჯვარი.

ასეთივე რეალური, მრავალფეროვან წარმოებით-სოციალურ დაჯგუფებათა შორის არსებული კავშირები იგულისხმებოდა მთიულურ და სხვა ქართულ თემთა ღვთაებების ძმადნაფიცობაში, — კავშირები, რომლებიც ხორციელდებოდა ქართული თემების თეოკრატიული ხელისუფლების მიერ.

ვალდებულებანი, რომელსაც ძმადნაფიცობა ავალებდა ამ ინსტიტუტით დაკავშირებულ მხარეებს, მთიელ ქართველთა სალოცავ ტექსტებში შემდეგნაირად განისაზღვრებიან. ერთი ფშაური „სადიდებელთაი“ სრულდება ფორმულით: „დიდება კიდევ შენა, დიდო ღვთისმშობელო და ძეო იმისავ და ამათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანა ყველა თანამდგომელნო, ყოველნო მოდე-მოძმენო და მოთანხმენო წმინდა ანგელოზნო“[10].

ხოლო მთიულური სადიდებელთაი ამბობს: „ღმერთმა გაუმარჯოს ხელ-მწიფე წმინდა გიორგის პირიმზე ახალციხისას, გაუმარჯოს მის მოძმე და მომხრე ანგელოზებს“[11]. აქ მიუხედავად „და“ კავშირისა, „მომხრე“ იგივე ძმადნაფიცია (ანგელოზები), რაზედაც მიგვითითებს მეორე მთიულური სადი-დებელთაის ტექსტი, სადაც ეს ორი სიტყვა ორგზის გვხვდება, ორივეგან დე-ფიზითაა გაერთიანებული — „მოძმე-მომხრე“. „გაუმარჯოს მალანაც წვერის ან-გელოზს, ჩვენი ფშაველის მოძმე-მომხრესა“[12] ასე რომ, მთიელ ქართველებ-ში ძმადნაფიცობა, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინსტიტუტი, ძმად-გაფიცულებს ავალდებულებდა თანხმობაში ყოფილიყვნენ და ერთმანეთს დახ-მარებოდნენ.

ძირითად ასეთ მოთხოვნებს უყენებდა XII ს-ის ქართული წარჩინებული ფეოდალური წრე ძმად შეფიცულებს, რაც ასე კარგად ჩანს შოთა რუსთავე-ლის უკვდავი პოემიდან[13].

ჩემს ხელთ არსებულ XVIII ს-ის დასაწყისისა და XIX ს-ის დოკუმენ-ტებში ალბათ ასეთივე ურთიერთობები იგულისხმება მეფეებსა (ასევე უფლის-წულებსა) და მათ ძმადნაფიც ლაშარაის ჯვარს შორის, ვისი სახელითაც, ალ-ბათ, მოქმედებდნენ „სრულიად ფშაველი“ ხევისბერები, რომლებიც გაერ-თიანებული თემის რეალური მმართველები იყვნენ. შევჩერდეთ ამ დოკუმენ-ტების, — წყალობის სიგელების, ნასყიდობის წიგნებისა და წერილობითი ის-ტორიული მასალის გარჩევაზე, რომლებიც დაცულია კეკელიძის სახ. ხელნა-წერთა ინსტიტუტში[14].

თავიდანვე უნდა აღვნიშნო, რომ თვით გვიანფეოდალურ ხანაშიც კი, ქარ-თული სამეფოს მმართველი წრეებისათვის, როგორც ჩანს, სავსებით მისაღები იყო საქართველოს მთიანი რაიონების ე. წ. თემური თვითმართველობა. მეფის ხელისუფლება აღიარებდა მას და ცდილობდა გამოეყენებინა როგორც საერთო სახელმწიფოებრივ, ისე პირადი მიზნებისათვის. უძველესი დროიდან მოკიდე-ბული, გაბატონებული იდეოლოგიის მიერ საქართველოს მეფე წარმოდგენილი იყო ღვთისტოლი მმართველი, ღმერთკაცი, ღვთის შვილი. იგი ხელოვნურად

---

[10] ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს ქართველი მთიელების სასულიე-რო ტექსტები, გვ. 34.

[11] იქვე, გვ. 34.

[12] იქვე, გვ. 35.

[13] იხ. ნ. მარის სპეციალური სტატია მის შრომაში „Вступительные и заключительные строфы Витязя в барсовой коже Шоты из Рустава, Культ женщины и рыцарство в поэме, СПб, 1910, § 5, გვ. XXIII—XXX. აქ აკად. ნ. მარი დაწვრილებით განიხილავს პოემაში მოცემულ ძმადნაფიცობას, როგორც ქართული სახელმწიფოებრიობის უმეტესი აყვავების ხანის ბრწყინვალე ფეოდალური წრის რაინდულ ინსტიტუტს. მაგრამ მას გამორჩა მხედველობიდან ის გარემოება, რომ ინსტიტუტი, რომლითაც ერთმანეთთან იყვნენ დაკავშირებულნი პოემის მთავა-რი გმირები, ინდური სამეფოს ერთადერთი მემკვიდრე, ტარიელი, არაბეთის მეფის საყვარელი სპასპეტი, ავთანდილი და ზღვისპირა ქალაქის მმართველი, ფრიდონი, ამავე დროს არ შეიძლება არ გაგებულიყო როგორც იურიდიული ინსტიტუტი, რომელიც ამტკიცებდა ამ სახელმწიფო პირს შორის კავშირს.

[14] ამ დოკუმენტების ასლები მომაწოდა საქ. სსრ მეცნ. აკად. ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების მეცნიერმა თანამშრომელმა, რ. ხარაძემ. ისინი ჩემს მიერ შე-დარებულია სათანადო ფონდთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნათესავდებოდა თემის ღვთაებას, როგორც ტოლი ტოლს და მას უწოდებდა მოძმეს, ძმადნაფიცს, ყოველივე ეს ნათლად ჩანს XVIII და XIX სს დოკუმენტებიდან.

მეფე დავითი (მაჰმადიანობაში იმამ-ყული-ხანი) ლაშარის ჯვარს უწოდებს „ჩვენი ძმა“, ხანაც „ჩვენი მოძმე“[15]. ერეკლე 1-ის მეორე შვილი, მეფე კონსტანტინე ასევე „მოძმე ჩვენი“-ს უწოდებს ლაშარის ჯვარს, ხოლო ფშაველებს — „ლაშარის ჯვარის მოყმენი სრულიად ფშაველნი“[16]. იგივე მოვლენა მოწმდება გიორგი XII-ის ზოგიერთი წყალობის სიგელში. იგი ლაშარის ჯვარს მიმართავს, ან იხსენიებს როგორც „ჩვენი მოძმეს“[17]. ერთ-ერთ მათგანში მეფე გიორგი ლაშარის ჯვარს უწოდებს „ჩვენი მოძმეს“, ხოლო ფშაველებს მიმართავს სიტყვებით „ჩვენო უნჯნო ყმანო“[18]. ეჭვი არ არის, რომ ამ მიმართვით მეფეს სურდა დაერწმუნებინა ფშაველები იმაში, რომ განსაკუთრებით გამოყოფს მათ სხვა ქვეშევრდომთა შორის, როგორც განსაკუთრებით ახლობლები და პრივილეგირებულნი. იმისათვის, რომ გავიგოთ ამ მიმართვის მნიშვნელობა და გავლენა, რომელიც მას ფშაველებზე უნდა მოეხდინა, საჭიროა გავითვალისწინოთ ე. წ. „უნჯნი ყმანის“ საზოგადოებრივი მნიშვნელობა[19]. გარდა მეფეებისა, ლაშარის ჯვარს „ჩვენი მოძმეს“ უწოდებდნენ უფლისწულებიც. აღნიშნულ დოკუმენტებში ასე ეძახდნენ მას უფლისწული ფარნაოზი და სხვანი[20]. სამეფო სახლის ძმადნაფიცობის საშუალებით ხელოვნური დანათესავება საერთო სათემო ღვთაებებთან ფართოდ ცნობილი და აღიარებული მოვლენა იყო, როგორც წარჩინებულ ფეოდალთა წრეში, ისე მოსახლეობის ფართო მასაში. 1741 წლით დათარიღებულ დოკუმენტში სახლთუხუცესი (მაიორდომი) გრიგოლ ჩოლოყაშვილი მეფეს უწოდებს ლაშარის ჯვარის „მოძმეს“, ხოლო ფშაველებს კი „იმის (ამ უკანასკნელის) ყმანი“[21]. იგივეა ნათქვამი 1800 წლის დოკუმენტში მარელისის გლეხების სახელით. აქ მოხსენიებულია მეფე თავისი მოძმე ლაშარის ჯვარით[22]. კონსტანტინე მეფის დოკუმენტში ვკითხულობთ: „ოდეს მოვიწიენით სამყოფთა ჩვენთა საქართველოში, ჩვენ და შაჰნავაზ მეფის შვილები. ერთმანეთზე ვლაშქრობდით, თქვენ თან გვახლდით მუდამ გაუყრელად და მრავალი ომი გარდაიხადეთ, ჩვენს წინაშე შეებენით. კვლავად ოდეს მოვიდნენ ურუმნი საქართველოდ, ვილაშქრეთ მათ ზედან, თქვენ მოძმისა ჩვენისა ლაშქარნი და დროშა, სრულ ფშაველნი თან გვახლდით. ოდეს ერთმანეთს შევებენით, მრავალნი მოკვდით, ჩვენ წინა ურუმთაგან; ხოლო ოდეს არღა იყო დგომა ჩვენი საქართველოში, არცა ერისთვების ალაგებში ეგებოდა ჩვენი დგომა, რამეთუ ურუმთა დაიჭირეს იგი ადგილები; ხოლო ინება მოძმემან ჩვენმან და არა განგვწირა არამედ წარმოგვიძღვა ადგილად თვისად და მოგვაგება ლაშქარნი და მოყმევენი თვისნი ფშაველნი წინაშე ჩვენსა, რომელთა გეტჳრთნეს ბარგნი ჩვენნი ზურგითა და მჴრითა თქვენითა და მიგვიძღლით ადგილად თქვენდა სამყოფთა მოძმისა ჩვენისასა ფშავსა და მემსახურეთ მსახურებითა დიდითა, ვითარცა მსახურებთ მო-

15 Sd 2344.

16 Sd 2990/5100.

17 Sd 2945/5162, 2946, 2942, 2949.

18 Sd 2949.

19 ამის შესახებ იხ. ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ხევსურული თემი, გვ. 495—502.

20 Sd 2950, Sd 2958.

21 Sd 2941.

22 Sd 2942.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძმესა ჩვენსა ერთგულად, ეგრეთვე ჩვენ მისსა მოძმესა; არამედ არა ეგებოდა ვითარცა ესეოდენთა ამათ მსახურებათა თქვენთა არა გავრჯილიყავით შესაწირავითა და მსახურებითა მოძმისა ჩვენისა წ~ს გიორგისათა და წყალობათა თქვენთათვის, არამედ შევსწირეთ ლაშარის ჯვარსა და შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენცა მისთა მოყმეთა სრულიად ფშაველთა ნახევარი მარილისი ოთარის კერძი, გარდა გარსევან მოურავისა და ალავერდის კერძისა, რისაც მქონებელი მამულისა მარილისში ოთარი ყოფილ იყოს ლაშარის ჯვარისათვის შეგვიწირავს და თქვენ ფშაველთათვის გვიბოძებია: სასახლე, ზვარი და მარანი საკვამლო კაცითა“[23].

ყველა ამ საბუთში უპირველესად ყოვლისა ნათლადაა ნაჩვენები მეფისა და თემის ღვთაების ძმადნაფიცობის ნებაყოფლობიანობა, რომელიც მოკავშირე მხარეებს ერთმანეთისადმი ყოველგვარ დახმარებასა და სამსახურს ავალებს. ასე მაგალითად, მეფე კონსტანტინე თავის წყალობის წიგნში ჩამოთვლის რა ფშაველთა დამსახურებას მისი წინაპრების წინაშე, იგონებს თავის გაქცევას ფშავში (რაც გამოიწვია ღალატის წყალობით მისმა დამარცხებამ თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში).

მეფე კონსტანტინე მაღალ შეფასებას აძლევს ძმადნაფიცთა ნებაყოფლობით ურთიერთ ფიცვალდებულებას: ლაშარის ჯვარის წინამძღოლობით სრულიად ფშაველნი განუყრელად იმყოფებოდნენ მეფესთან მრავალ ომში, რომელსაც იგი ეწეოდა საქართველოს სამეფოს, როგორც შინაგანი, ისე გარეშე მტრების წინააღმდეგ; ისინი მზად იყვნენ თავი გაეწირათ პირადად მეფისათვის, მის წინ ებმებოდნენ ბრძოლაში და ბევრი მათგანი დაიღუპა მტრის ხელით. ლაშარის ჯვარმა არ ისურვა მათი მიტოვება ცხოვრების თვით უმძიმეს მომენტებშიაც, უწინამძღვრა მათ და თავისი ლაშქარის საშუალებით თავი შეაფარებინა საკუთარ სამფლობელო მხარეში. ხოლო იქ ყოველნაირად ემსახურა. მეფეს დაუშვებლად მიაჩნია (მისი სიტყვით რომ ვთქვათ, „არ ეგებოდა“), რომ თავი არ შეეწუხებინა ძმადნაფიცისა და მისი ქვეშევრდომებისათვის და უხვად ასაჩუქრებს სრულიად ფშაველთ და ლაშარის ჯვარს სახნავი მიწებით, ვენახებით და სხვა უძრავი და მოძრავი ქონებით. ამავე დროს ცხადი ხდება მნიშვნელოვანი ვითარება, სახელდობრ ის, რომ ღვთაებრივ მმართველთა ძმადნაფიცობას უნდა დაემყარებინა ხალხის ისეთი ურთიერთობა მოკავშირე მხარესთან, როგორიც ჰქონდა მას თავის მმართველთან. „მემსახურეთ მსახურებითა დიდითა, ვითარცა მსახურებთ მოძმესა ჩვენსა ერთგულად, ეგრეთვე ჩვენ მისსა მოძმესა“ — ეუბნება მეფე ფშაველებს. მაგრამ ღვთაებრივმა ძმადნაფიცმა — მმართველებმა ასევე უნდა მიუზღონ ხალხს, ე. ი. თითოეული მათგანი ძმადნაფიცის ქვეშევრდომობას უნდა მოექცეს, ისე როგორც ექცევა მბრძანებელი თავის ხალხს. ცხადია, ძმადნაფიცობის მოვალეობის ასეთი გაგების საფუძველზე, მისი გამტარებელი სახელმწიფო ხელისუფლება არა თუ დასაშვებად მიიჩნევდა მთის რაიონების თვითმმართველობას, არამედ ოფიციალურად აღიარებს მას, რამდენადმე ეგუება მის წყობას და აწ ე. წ. „თავისუფალი“ საზოგადოებათა შინაგან სოციალურ დიფერენციაციას. საქართველოს სამეფოს მტრების წინააღმდეგ გამოყენების მიზნით მეფე კონსტანტინე ხსენებულ საბუთში გარკვეული მკაცრი თანამიმდევრობით სპეციალურად ჩამოთვლის ლაშარის ჯვარის თაოსნობით მოსახლეობის გავლე-

23 Sd 2940/5160.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიან ფენებს, თანამდებობის პირებს და ფშავის ყველა მეთემეს, რომელთაც იგი უძღვნის საჩუქრებსა და შესაწირავებს: „...მოუშლელი ძღვენი და შესაწირავი მოგართვით და შემოგწირეთ თქვენ ყოვლად დიდებულსა, ყოვლად ქებულსა მხედარსა ღვთისასა, მოძმესა ჩვენსა წმინდა გიორგის ლაშარის ჯვარსა და კვალად მიუბოძეთ მოყმეთა, მოლაშქრეთა, დეკანოზთა, ქადაგთა და სრულიად ფშაველთა“.

ხოლო მეფე გიორგი XII ერთ-ერთ თავის წყალობის სიგელში, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ფშაველებს უწოდებს მის უნჯ ყმებს და თავის ხანმოკლე მეფობის მანძილზე თავგამოდებით იცავს მათ ბარის ძირეული მოსახლეობის თვითნებობისაგან; იგი სცემს ბრძანებებს ფშაველების ხატებისადმი დადგენილი სამსახურის შეუსრულებლობის წინააღმდეგ, განსაკუთრებით თავად-აზნაურობის წინააღმდეგ, რომლებიც ითვისებდნენ ხატისადმი ძველი მეფეების მიერ ნაბოძებ მიწებს, უახლებს მათ ძველი წყალობის სიგელებს და დევნის თავის მოხელეებს, რომლებიც უკანონოდ ართმევენ ფშავლებს საქონელს; დაბოლოს ბრძანებით უფორმებს ფშავლებს უფლებას, სამაგიეროდ მიუზღონ თავიანთ შემვიწროებლებს[24].

თავის მხრივ ქართველმა მთიელებმა სახელი გაითქვეს სამეფო სახლისადმი ერთგულებით ქართული სამეფოს ყველაზე მეტი შეჭირვების ჟამს. ერთ-ერთი ასეთი პერიოდი იყო ქართული სახელმწიფოებრიობის უკანასკნელი საუკუნეები. ამ დროს ქართველი მთიელები ყველაზე აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქართველი ხალხის მრავალრიცხოვან ბრძოლებში სპარსი, თურქი და სხვა დამპყრობლების წინააღმდეგ. XVII საუკ. შუა წლებში სწორედ მთიელები ავიწროებდენ განსაკუთრებით სპარსელებს. ამავე დროს კერძოდ ფშაველები, ხევსურები და თუშები ეფიცებოდნენ ერთგულებას თეიმურაზ I-ს და უცხადებდნენ თავიანთ მზადყოფნას საქართველოს მტრების წინააღმდეგ სალაშქროდ. როცა შაჰის დასმულმა კახეთის მმართველმა განჯის ხანმა სელიმმა, რომელიც ერთგულად ასრულებდა შაჰის მითითებას, რაღაც ორი წლის მანძილზე გადმოასახლა აზერბაიჯანიდან მომთაბარე თურქები, რომლებმაც დაიჭირეს ბახტრიონი, ალავერდი და სხვა მნიშვნელოვანი პუნქტები, ხოლო დაღესტნელები განუწყვეტლივ თავს ესხმოდნენ სოფლებს, ანადგურებდნენ, მიჰყავდათ ტყვეები და თავისუფლად დაფარფაშობდნენ, — კახელები, ფშაველები, ხევსურები თუშები მთის ზვავივით დაატყდნენ თავს მოსულდამპყრობლებს, გაანთავისუფლეს მშობლიური მიწა მათგან (1569 წ.)[25]. ალამაჰმად-ხანის შემოსევისაგან თბილისის დაცვისას ერეკლესთან გამოცხადდა 300 მოხალისე, რომელთაც თავი შესწირეს და უკანდახევის საშუალება მისცეს მეფეს. შემდეგ კი არაგველთა ლაშქარმა ჩაკეტა არაგვის ხეობა და წარმატებით მოიგერიეს მტრის თავდასხმა[26].

კახეთის მეფე კონსტანტინემ შემოიკრიბა კახელები, თუშები, ფშავლები და ხევსურები და მოვიდა კახეთში თურქების გასარეკად. ამ დროს მოღალატეები მოეხმარნენ თურქებს, თავიდან აიცილეს დამარცხება და კონსტანტინე,

---

[24] იხ. Sd. 2949, Sd 2942, Sd 2952, Sd 2945/5162, Sd 2946.

[25] ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწ. 1, 1946, გვ. 370, 372.

[26] ალ. ორბელიანის ჩანაწერები, ს. კაკაბაძის გამოცემა.

რომელიც ჯერ ქსნის ერისთავს შანშეს შეეკედლა, შემდეგ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, თავის ძმა თეიმურაზთან და კახეთის თავად-აზნაურობასთან ერთად, გაიქცა ფშავში, სადაც მთელი წელი დარჩა, რადგან კახეთი ამ დროს ლეკებს ეჭირათ. ფშავი ქართველ მეფეთა და უფლისწულთა საიმედო თავშესაფარი იყო შემდეგაც. იგივე თეიმურაზი, კონსტანტინეს ძმა, მეორეჯერ გაიქცა ფშავში 1731 წ., ხოლო მესამედ უკვე კახეთის მეფედ მყოფი, 1735 წ. დაიმალა აქ, რათა თავი ეხსნა ირანის მმართველის ნადირ-შაჰის ტყვეობიდან[27]. საერთოდ მთიელები ქართველ მეფეთა საიმედო საყრდენს წარმოადგენდნენ განსაკუთრებით მეფის ხელისუფლების შესუსტების დროს მათ ურიცხვ ომებში, როგორც გარეშე მტრის უთვალავი ურდოების წინააღმდეგ, ასევე შინა აშლილობის დროს დიდგვაროვან ფეოდალებთან და თავადებთან ბრძოლაში.

სახელმწიფოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის, სამეფო სახლის უსაზღვრო თავდადებისა და თავგანწირული ერთგულებისათვის ქართველი მეფეები, უფლისწულები და მათთან დაახლოებული პირები უხვად აძლევდნენ შეწირულებებს მთიანეთის ხატებს. ასე მაგალითად თურქი მომთაბარეების კახეთიდან განდევნის შემდეგ, მთის მოსახლეობაში შემორჩენილი გადმოცემის თანახმად, მეფემ თუშებს მიუბოძა ალავერდის ველი, ხოლო ახმეტის ვენახები ფშავის ხატებს, რომელთა დროშები მონაწილეობას ღებულობდნენ ამ ბრძოლაში. მაშინ ფშაველები (ხევსურები და სხვა ქართველი მთიელები) მამა-პაპათა ჩვეულების თანახმად გამოდიოდნენ ქართველი მთიელების მტრების წინააღმდეგ თავიანთი ხატების, საერთო ფშავური ღვთაება ლაშარის ჯვრის, ქისტაურების თემის იახსარის და სხვა ხეობის დროშებით, ხოლო ხევსურები გაერთიანებულნი იყვნენ საერთო ხევსურული ხატის გუდანის სალმრთო ჯვრის დროშის ქვეშ. ხალხური გადმოცემა აღწერს შეწირვის წვრილმანებს. თითქოს საქართველოს მეფეს გამოუკითხავს გამარჯვების მონაწილე მთიელთათვის რას ისურვებდნენ ისინი ჯილდოდ ამ გმირობის სანაცვლოდ. თუშებს საზამთრო სადგომად მოუთხოვნიათ ალავერდის ველი, ხოლო ფშაველებსა და ხევსურებს უთქვამთ მეფისათვის — ჩვენ მთის მცხოვრებლები ვართ და ბარის სიცხეს ვერ ავიტანთო. ამ დიდი გამარჯვების სახსოვრად და შენდა სადღეგრძელოდ გვიბოძე ვენახები, დავამუშავებთ, მიღებულ ღვინოსა და ფულს დავარიგებთ ხატებში, სადაც ხალხური დღესასწაულების დროს შევსვამთ ზედაშეს, ვადიდებთ ჩვენს ხატებს და მოვიგონებთ ამ ომში დაღუპულ გმირ მებრძოლებსო. მეფემ შეასრულა მათი თხოვნა, მისცა თუშებს ალავერდის ველი, ხოლო ხევსურეთისა და ფშავის ყველა დიდი ხატის სახელზე, რომელთა დროშებმა მონაწილეობა მიიღეს კახეთიდან მტრების გარეკვაში, შეწირა ვენახები კახეთში, კერძოდ ახმეტასა და ხოდაშენში.

ასეთი იყო გვიან-ფეოდალური ხანის ქართველი მეფეებისა და მათი თანამედროვე თემის ორგანიზაციების ურთიერთობა, რომელსაც აწესებდა ძმადნაფიცობა მის გამტარებელ მხარეებზე.

[27] ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქ. ისტ., გვ. 15.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჯამებთ რა ზემოთ მოყვანილ მონაცემებს, ჩვენ მივდივართ შემდეგ დასკვნამდე. ძმადნაფიცობა და (დადნაფიცობა) წარმოადგენს უძველეს უფლებრივ ინსტიტუტს, რომლის მეშვეობით მეტად თუ ნაკლებად დამოუკიდებელი სოციალური ორგანიზაციების მმართველები, მათგან პირველ რიგში, ტომობრივი გაერთიანების ხასიათის მქონე ხევისა და თემის ორგანიზაციები და მეფეები ამტკიცებდნენ ერთმანეთს შორის დადებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ კავშირს. ძმადნაფიცობა ავალებდა ძმადგაფიცულებს, მათ ხელქვეითებსა და ქვეშევრდომებს, რომ ჰქონოდათ თანხმობა, ერთმანეთის მხარდაჭერა, მომხრეობა, თავდადება, ერთგულება; მზად ყოფილიყვნენ ძმადნაფიცის ინტერესებისა და მისი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში თავგანწირვისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელდარ მამისთვალიშვილი

# საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან XV ს. 70-იან წლებში

ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის აღებამ საგონებელში ჩააგდო მთელი ქრისტიანული სამყარო. განსაკუთრებული საზრუნავი ევროპის ახლად ფეხადგმულ სავაჭრო კაპიტალს გაუჩნდა. ამიტომ იყო, რომ მცირე აზიაში და ბალკანეთში ოსმალების გაბატონებით ყველაზე მეტად ის სახელმწიფოები შეწუხდნენ, რომელთა ეკონომიური ინტერესებიც ილახებოდა. დაპყრობილი ტერიტორიებიდან ოსმალების განდევნა გადაუდებელ ამოცანად იქცა. მაგრამ ამ საკითხის გადაჭრა დამოუკიდებლად, სხვების დახმარების გარეშე, მაშინ არც ერთ სახელმწიფოს არ შეეძლო. საჭირო იყო სხვადასხვა ქვეყნების შეიარაღებული ძალების გაერთიანება და მისი ოსმალეთის სულ უფრო მზარდი წინსვლისათვის დაპირისპირება. ამ მიზნის განხორციელებას ემსახურებოდა ევროპის მიერ საქართველოსთან ანტიოსმალური კავშირის დამყარება 1456 წ.

როგორც ცნობილია, ანტიოსმალური ლიგის შექმნისათვის საქართველო — ევროპის დიპლომატიურმა ურთიერთობამ (1459—1461 წწ) შედეგი ვერ გამოიღო. ამის შემდეგ, მთელი ათი წლის განმავლობაში, საქართველო აღარ ჩანს ოსმალეთის წინააღმდეგ მებრძოლთა შორის.

ერთი შეხედვით, ასეთი მდგომარეობის გამართლება იმით შეიძლება, რომ საქართველო დაქუცმაცებული იყო, მიმდინარეობდა შინაომები და მას არ ჰქონდა შესაძლებლობა ჩაბმულიყო საერთაშორისო პოლიტიკის ფერხულში, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ევროპის ქვეყნების აღმოსავლეთთან ვაჭრობისათვის უმოკლესი გზების ძიებისადმი ლტოლვას და მის ფონზე ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხს, ასეთ ვითარებაში საქართველოს გამორიცხვა მთელი ათი წლით ევროპის ქვეყნების აღმოსავლური პოლიტიკიდან დაუჯერებელია.

XV ს-ის 70-იანი წლების დასაწყისისათვის საერთაშორისო ვითარება საგრძნობლად შეიცვალა, ის მღელვარება, რაც კონსტანტინოპოლის დაცემამ გამოიწვია ევროპის სახელმწიფოთა მესვეურებში, განელდა და მისი ადგილი საკუთარი ქვეყნების (ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია) ინტერესებმა დაიკავა. ზოგიერთი სახელმწიფო (ფლორენცია, გენუა) ცდილობდა აღმოსავლეთთან ვაჭრობის უფლება და ვენეციის (იგი მარტოდმარტო აწარმოებდა ომს ოსმალეთთან) კოლონიები ოსმალეთთან კავშირით მოეპოვებინა.

ოსმალეთთან საბრძოლველად მხოლოდ ის სახელმწიფოები ემზადებოდნენ, რომლებიც უშუალოდ მის მეზობლობაში აღმოჩნდნენ და, რომელთაც იგი დაპყრობით ემუქრებოდა.

საქართველოს მეფე-მთავრები (თუმცა არა ყველა) კარგად ხედავდნენ, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა საქართველოსათვის ოსმალეთის შემდგომ გაძლიერებას და ამიტომ მის წინააღმდეგ ყველა მებრძოლი თავიანთ მოკავშირედ მიაჩნდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1471 წ. 12 აპრილით დათარიღებულ წერილში, რომელიც უნგრეთის ელჩმა ვენეციიდან გაგზავნა, ლაპარაკია საქართველოს მეფე კონსტანტინეს (Costanzo de Zorzama) ელჩების ჩასვლაზე ვენეციაში. „სინიორიაში მოვიდნენ ელჩები საქართველოს მეფე კონსტანტინესი, — ნათქვამია წერილში — რომელიც უზუნ-ჰასანის მოკავშირე და ნათესავია. [იგი] ამ გაზაფხულზე ოსმალების წინააღმდეგ საომრად გამოვა 30000 მხედრით. ამას გარდა, როგორც ამბობენ ხსენებული უზუნი მათ დაეხმარება უზარმაზარი ჯარით. თუ მან წარმატებას მიაღწია, დიდი საქმე გაკეთდება“[1].

საფიქრებელია, რომ საქართველოს წარმომადგენლებს ნიადაგი უნდა შეემზადებინათ შემდგომ, უფრო მაღალ დონეზე, მოლაპარაკების დასაწყებად. ისე კი, როგორც ზ. ავალიშვილი აღნიშნავს, ვენეციის მთავრობას მაშინვე განუცხადებია თანხმობა ოსმალეთის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაზე[2]. (ამავე დროს სწორი არ უნდა იყოს ზ. ავალიშვილის მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს ქართველი ელჩის ჩასვლა გამხდარიყოს მიზეზი სენატის მიერ უზუნ-ჰასანთან გასაგზავნ ელჩად კატერინო ძენოს არჩევისა)[3].

იმავე წლის აპრილში ვენეციაში ვხედავთ ახალ ელჩობას, რომელშიც საქართველოს და უზუნ-ჰასანის წარმომადგენლები შედიოდნენ.

22 აპრილით დათარიღებულ წერილიდან[4] ვიგებთ, რომ ელჩებს საიდუმლოდ უმოგზაურიათ ჯერ ტრაპიზონიდან მონკასტრომდე, ხოლო შემდეგ პოლონეთის მეფე კაზიმეჟ პირველთან მისულან. ვენეციისაკენ მიმავალთათვის კაზიმეჟს, ალბათ გარკვეული მოლაპარაკების შემდეგ, თავისი ელჩიც გაუყოლებია[5]. „მასთან (იგულისხმება პოლონეთის ელჩი) ერთად მოვიდა ორი ელჩი, ერთი უზუნ-ჰასანისაგან და მეორე საქართველოს მეფისაგან... თითოეულმა განაცხადა: მათი მეფეები მზად არიან გაილაშქრონ სულთნის წინააღმდეგ და გამამხნევებელი იქნებოდა თუ ქრისტიანების (იგულისხმებიან ევროპელი ქრისტიანები) მხრივაც ასეთი მოქმედება იქნებოდა“[6].

უზუნ-ჰასანი რესპუბლიკას ადრინდელი გეგმის განხორციელებას სთავაზობდა: თუ ვენეციის სამხედრო ფლოტი ხმელთაშუა ზღვიდან დაიწყებდა ოსმალების შევიწროებას, ხოლო თვითონ თავისი ცხენოსანი ჯარით ხმელეთიდან შეუტევდა, ასეთი შეთანხმებული მოქმედებით ადვილად მოხერხდებოდა სულთნისათვის ევროპაში და მცირე აზიაში დაპყრობილი ტერიტორიების წართმევა[7].

---

[1] Magyar diplomáczial emlékek Mátiás király korából 1458—1940, Monumentae Hungariae Historia, t. II, Budapest, 1877, დოკ. № 149, გვ. 212.

[2] З. Авалов. Забытая вариации на знакомую тему (из истории восточного вопроса в XV столетии), გვ. 245.

[3] იქვე, გვ. 246.

[4] იგი სიცილიის მეფის კარზე ვენეციის რესპუბლიკის წარმომადგენელ ვეტორე სორანცოს გაეგზავნა.

[5] ნ. იორგას აზრით, ვენეციაში მხოლოდ უზუნ-ჰასანის და პოლონეთის ელჩები მივიდნენ. იგი იმავე წყაროს იმოწმებს, რაც ჩვენც ხელთ გვაქვს. იხ. N. Jorga, Geschichte des osmanischen Reiches nach den Quellen dargetellt von N. Jorga. II, B., Gotha, 1909, გვ. 163.

[6] Enrico Cornet, Le guerre de Veneti nell' Asia 1470—1474. Documenti cavati dall'. Archivio al Frari in Venezia e pubblicati per Enrico Cornet, Vienna, 1856, დოკ. № 14, გვ. 25.

[7] Archivio storico italiano, ossia raccolta di opera e documenti finora inediti o divenuti rarissimi, risguardanti. La storia d'Italia t. VII, parte I, Firenze, 1843, გვ. 68.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალბათ იმის გამო, რომ ზემოაღნიშნულმა მისიამ მიზანს ვერ მიაღწია, იმავე წელს ვენეციას კვლავ ახალი ელჩობა ეწვია, რომელიც ისევ საქართველოს და უზუნ-ჰასანის წარმომადგენლებისაგან შედგებოდა. ამ ელჩობის შესახებ ცნობები მოცემულია კატერინო ძენოს „მოგზაურობის კომენტარებში“, მაგრამ მასში ელჩები მოხსენიებული არიან, როგორც მხოლოდ უზუნ-ჰასანის წარმომადგენლები.

ძენოს მიხედვით, ელჩობა ოთხი წევრისაგან შედგებოდა. ესენი იყვნენ: Azimamet, Morat, Nicolo და Chefarsa[8]. ძენოსავე თქმით, მათი ვენეციაში მისვლა მისი აღმოსავლეთში ელჩად გაგზავნის მიზეზი გამხდარა.

ძნელია გარკვევა, თუ რომელი იყო (ან იყვნენ) საქართველოს წარმომადგენელი. ჩვენთვის მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ ზემოდასახელებული ოთხი ელჩიდან პირველი, ე. ი. Azimamet-ი ვენეციაში დარჩენილა, ხოლო დანარჩენი სამი პაპთან და ნეაპოლის მეფესთან მოსალაპარაკებლად გამგზავრებულა იმ მიზნით, რომ თუ კი შესაძლებელი იქნებოდა ერთიც და მეორეც ლიგაში შეეყვანათ“[9].

Azimamet -ის ვენეციაში დარჩენა ზ. ავალიშვილმა საკმარისად მიიჩნია, რომ ელჩობის დანარჩენი სამი წევრი ქართველებად გამოეცხადებინა. ვითომც Azimamet-ი, როგორც მაჰმადიანი, რელიგიური მოსაზრებით დატოვეს ვენეციაში, რომ მაჰმადიანთან საქმის დაჭერით პაპი უხერხულ მდგომარეობაში არ აღმოჩენილიყო[10].

საკითხის ამგვარი დაყენება შეიძლება სწორი იყოს, მაგრამ ჯერ ისაა დასადგენი, მაჰმადიანი იყო თუ არა Azimamet-ი.

ცნობილია, რომ უზუნ-ჰასანი ევროპაში გასაგზავნ დიპლომატებად მეტწილად ქრისტიან ვაჭრებს იყენებდა[11], რადგან მათ ქრისტიან მეფე-მთავრებთან კავშირის დამყარების მეტი საშუალება ჰქონდათ. ისიც ცნობილია რომ 1460 წ. აღმოსავლეთიდან გაგზავნილ ელჩებს შორის, რომლებიც პაპსაც ეახლნენ, უზუნ-ჰასანის ელჩი „თურქმანი მაჰუმუტიც“ იმყოფებოდა[12].

და ბოლოს, გვინდა ერთ საკითხზე შევაჩეროთ ყურადღება. ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დასახელებული ოთხი ელჩიდან ერთი, რომელსაც Nicolo ერქვა, ნიკოლოზ თბილელი იყო, რომელმაც 1460—1461 წლებში მეფე გიორგის ელჩის სახელით მოიარა ევროპა?

1471 წ. აპრილში ჩასული ელჩები (იხ. 22 აპრილის წერილი), როგორც იმავე წლის 25 ოქტომბრის წერილიდან ჩანს, ძენოს აღმოსავლეთში გამგზავრებამდე იქ დარჩენილან. აი რას ვკითხულობთ წერილში, რომელიც დიპლომატიური ურთიერთობის გარკვეულ მონაკვეთს მოიცავს: „მერე მონკასტროს გზით პოლონეთსა და გერმანიაზე გავლით მოდიან ორნი, ერთი ზემოხსენებული სინიორის (უზუნ-ჰასანი — ე. მ.) სახელით და მეორე საქართველოს მეფის სახელით, და ეს ორნი მიდიან რომში, რომლებსაც რომის უმაღლესმა მღვდელთმთავარმა ჩააცვა და კარგადაც მიიღო. იქიდან წასულებს ერთი თა-

---

[8] Dei commentarii del Viagio in Persia e delle guerre persiane, Venezia, 1558, ფ. 9 v—10. (შემდეგში ყველგან: Zeno).

[9] Zeno, ფ. 10

[10] З. Авалов, დასახ. ნაშრომი, გვ. 246—247.

[11] Сборник статей по истории Азербайджана, вып. I, Баку, 1949, გვ. 173.

[12] აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. მ. თამარაშვილის ფონდი, № 1053, ფ. 30.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისი ელჩი, სან ფრანჩესკოს მორჩილი ძმა, ძალიან ჭკვიანი პიროვნება, ზემოხსენებულ სინიორებთან გააყოლა. ჩვენც ასევე წინდაწინ ავირჩიეთ ელჩად სირ კატერინ ძენო ზემოხსენებულ სინიორ უზუნთან გასაგზავნად. აღნიშნული ელჩები ჩვენი გალერებით ალექსანდრიიდან კვიპროსზე გავლით წავიდნენ. იქიდან ყარამანიის ქვეყანაში, რომლის გასავლელად შესაფერისი ბრძანება გვაქვს გაცემული. დავალებების ფორმა [რომლებიც ელჩებს მიეცათ] სიტყვათა ყოველგვარი სიუხვით არის [შედგენილი], რომ ხსენებული სინიორები სულთნის წინააღმდეგ აღაფრთოვანოს და განამტკიცოს“[13].

წერილიდან განსაკუთრებით ერთი გარემოება იქცევს ყურადღებას — პაპს თავისი კაცი გამოუგზავნია აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოსა და საქართველოში საერთოდ პაპი, როგორც ეს სხვა წერილიდანაც ჩანს, კარგად იყო ინფორმირებული საქართველოს შესახებ. იქიდანვე ვიგებთ თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ევროპელები საქართველოს ანტიოსმალურ კოალიციაში ჩაბმის საკითხს.

1471 წ. 10 სექტემბერს პაპისადმი გაგზავნილ წერილში, რომლის ავტორიც შეიძლება ვენეციელი იყო, ვკითხულობთ: „თქვენი უწმიდესობის მონაწერიდან შევიტყეთ იბერიის დიდად სახელოვანი და უბრწყინვალესი მეფის ალექსანდრეს (illustrissimi e serenissimi Alexandri regis Iberie) უზუნ-ჰასანთან მოლაპარაკების შესახებ. ცნობა მოგვაწოდა კეთილშობილმა ჩვენმა მორჩილმა ძმამ პრიორმა ბეტრუჩო კონტარინიმ და სხვ. ასეთი ცნობისათვის საუკუნო მადლობას მოგიძღვნით თქვენს უნეტარესობას, თქვენ, რომელმაც ელჩი გაგზავნეთ წინადადებებით იმ მეფესთან. ჩვენ გვგონია, რომ ეს ძალიან ჭკვიანური და მეტად სასარგებლო საკითხია ქრისტიანებისათვის. დიდ საქმეს გააკეთებდით მეფეებისადმი მოწოდებით, იმედისა და დაპირებების გაზრდით და ურჯულო სულთნის წინააღმდეგ დიდად გამამხნევებელი სიტყვებით. თუმცა ისინი ძლიერნი არიან და იბრძვიან თურქული ცბიერებით, მაგრამ შინაგანი სიძულვილი დიდ საქმეს გააკეთებს თურქების იმპერატორის მრისხანე და ცბიერი ნიჭის მიმართ. ეჭვი არაა, რომ იმ მხრიდან მათ რაც შეუძლიათ ჰყოფენ და აცალკევებენ, როგორც ეს ბარბაროსების მრისხანე ხალხს შეუძლია. ისე რომ დიდად შემწყნარებელი ქრისტიანებისათვის მტერზე ერთობლივად შესახევად და მის დასამორჩილებლად გაადვილებულია საერთო ლაშქრობა“[14].

1471 წ. 10 სექტემბრის და 25 ოქტომბრის წერილებში მოხსენიებული ელჩი, რომელიც პაპს საქართველოში და აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოში გაუგზავნია და 25 ოქტომბრის წერილში „ძალიან ჭკვიან“ ფრანცისკანელ ბერად არის წოდებული, ვფიქრობთ, ლუდოვიკო ბოლონიელი უნდა იყოს. იგი დაუღალავად ზრუნავდა აღმოსავლეთის მეფე-მთავრების და მათ შორის საქართველოს მესვეურთა ანტიოსმალურ კოალიციაში გაერთიანებისათვის.

10 სექტემბრის წერილიდან იმასაც ვიგებთ, რომ უზუნ-ჰასანსა და მეფე ალექსანდრეს შორის მოლაპარაკება ყოფილა, რომელიც ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლის მოსურნე იტალიელებისათვის სასურველი შედეგით დამთავრებულა. სამწუხაროდ, არ ვიცით კონკრეტულად რის შესახებ მიმდინარეობდა მოლაპარაკება. მხოლოდ ისღა დაგვრჩენია ვივარაუდოთ, რომ უზუნ-ჰასანი

[13] E. Cornet, დასახ. ნაშრომი, დოკ. № 18, გვ. 31.

[14] იქვე, დოკ. № 17, გვ. 30.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ალექსანდრე ოსმალეთის წინააღმდეგ ერთობლივ მოქმედებაზე შეთანხმდნენ, ისინი, როგორც წერილშია ნათქვამი, მანამდეც ებრძოდნენ ოსმალებს. მათი ეს ბრძოლა იმდენად მნიშვნელოვანი ყოფილა, რომ როგორც ევროპაში ფიქრობდნენ ევროპელების მხარდაჭერის შემთხვევაში ადვილად შეძლებდნენ წარმატების მოპოვებას.

მაგრამ ვენეციის მოქნილი დიპლომატები ცდილობდნენ, რაც შეიძლებოდა მაქსიმალურად გამოეყენებინათ აღმოსავლეთის ანტიოსმალური ძალები და მათი საშუალებით განეხორციელებინათ რესპუბლიკის ინტერესები. ვენეცია ამ ტაქტიკას ადგა ოსმალეთთან ომის (1463—1479 წწ.) მსვლელობის დროს, თვით გადამწყვეტ მომენტშიც კი.

ვენეციის რესპუბლიკის ასეთი პოლიტიკის განხორციელებას ემსახურებოდა კატერინო ძენოს მისიაც. მას ევალებოდა ყოველი ღონე ეხმარა, რათა საქართველოს და აყ-ყოიუნლუს მეთაურებს მალე დაეწყოთ შეიარაღებული ბრძოლა ოსმალების წინააღმდეგ. ძენოს საშუალებით სინიორია უზუნ-ჰასანს აცნობებდა, რომ წარმატების მოპოვება ძნელი არ იქნებოდა, რადგან ოსმალებს დასავლეთიდან ვენეციის ფლოტი შეუტევდა[55]. მისი საომარი მოქმედება კიდევ უფრო გაადვილდებოდა, თუ ამ საქმეში საქართველოც დაეხმარებოდა თავისი ჯარით.

სენატის 1471 წ. 10 სექტემბრის ინსტრუქციაში ვენეციის დოჟი ქრისტოფორო მაურო პირდაპირ მიუთითებდა ძენოს, რომ ვალდებული იყო პირადად ხლებოდა საქართველოს მეფეს, გადაეცა წერილები და საერთო მტრის, ოსმალეთის წინააღმდეგ, საბრძოლველად აღეფრთოვანებინა[16].

ძენოს რომ ნამდვილად თან ჰქონდა ვენეციის სინიორიის მიერ საქართველოს მეფისათვის გამოგზავნილი წერილები, ამაზე მიუთითებს მის მიერ 1472 წლის 9 ოქტომბერს კვიპროსის ბაილო ანდრეა კორერისადმი გაგზავნილი წერილიც. მასში სხვადასხვა ამბებთან ერთად ნათქვამია, რომ ძენოს უზუნ-ჰასანის მეუღლე დესპინა-ხათუნისათვის (თეოდორა) უჩვენებია წერილი, რომელიც საქართველოს მეფისათვის იყო განკუთვნილი[17].

ჩვენთვის უცნობია, თუ რას ითხოვდა კიდევ ვენეცია ქართველებისაგან, გარდა ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად მოწოდებისა, ან სანაცვლოდ რას პირდებოდა მათ. არც ის არის ცნობილი, მიაღწია თუ არა აღნიშნულმა წერილმა ადრესატამდე.

ძენომ საქართველოს მეფისადმი გადასაცემი წერილი დესპინას გარკვეული მოსაზრებით უჩვენა. მას სურდა, რომ დესპინას ჩაგონებით უზუნ-ჰასანს გავლენა მოეხდინა მთელ საქართველოზე და იგი ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაება. მართლაც მისი წაქეზებით უზუნ-ჰასანმა „საკუთარი ხელით მისწერა წერილი ყვარყვარე ათაბაგს[18], რომ მას იმ მხრიდან დაეწყო ომი ოსმალეთის წინააღმდეგ“[19].

---

[15] Zeno, გვ. 10v.

[16] G. Berchet, La Republica di Venezia e la Persia, Torino, 1865, დოკ. № 7, გვ. 111.

[17] Archivio storico italiano, გვ. 82—83.

[18] შდრ. რ. კიკნაძე, საქართველო-ირანის ურთიერთობის ისტორიიდან XV საუკუნის მეორე ნახევარში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, VI, თბ., 1964, გვ. 117.

[19] Zeno, გვ. 12.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა მოკლედ გვინდა შევეხოთ სამცხე-საათაბაგოს და საბედიანოს კოალიციისადმი დამოკიდებულების საკითხს.

XV ს-ის 70-იანი წლების დასაწყისში სამცხე-საათაბაგო ორი დიდი დამპყრობლის — ოსმალეთის და აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოს მეზობლობაში აღმოჩნდა. მათი ურთიერთ ქიშპობისა და მტრობის პირობები, რომელთა დაპყრობითი ინტერესები ერთნაირად საშიში იყო სამცხე-საათაბაგოსათვის, ფრთხილი საგარეო პოლიტიკის წარმოებას მოითხოვდა.

XV ს-ის 50-იანი წლების დასასრულს, როდესაც ანტიოსმალური კოალიციის შექმნის საკითხი დადგა, ათაბაგი სხვა ქართველ მეფე-მთავრებთან და უზუნ-ჰასანთან ერთად თავისი წვლილის შეტანას პირდებოდა ევროპელებს და საომრადაც ემზადებოდა, მაგრამ კოალიციის შექმნის ცდამ მარცხი განიცადა.

საფიქრებელია, რომ გაერთიანებული ძალებით ოსმალეთის განადგურების იდეისადმი ათაბაგ ყვარყვარეს დამოკიდებულება შეიცვალა. 70-იანი წლების დასაწყისში აყ-ყოიუნლუს სახელმწიფო ის აღარ იყო, რასაც იგი 50-იანი წლების დასასრულს წარმოადგენდა. იგი ერთ-ერთ ძლიერ სახელმწიფოდ იქცა, მეტოქეობას უწევდა ოსმალეთს და სავაჭრო-საქარავნო გზების ხელში ჩაგდების მიზნით ებრძოდა მას. ასეთი გზები ათაბაგის სამფლობელოებზეც გადიოდა, როდესაც კონტროლის დაწესება, ან მისი მფლობელის საკუთარი ინტერესებისათვის დამორჩილება დიდად მაცდუნებელი იყო, როგორც მუჰამედ მეორისათვის ისე უზუნ-ჰასანისათვის.

ოსმალეთზე გამარჯვების შემთხვევაში, უზუნ-ჰასანი, რომლის მტაცებლური მადა კარგად იყო ცნობილი ყველა ქართველისათვის, უფრო მკაცრი დამპყრობელი იქნებოდა ვიდრე სულთანი. ოსმალეთს ამ დროისათვის მთელი თავისი ყურადღება ევროპის კონტინენტზე ჰქონდა გადატანილი და აღმოსავლეთში ჯერ-ჯერობით ყოველი სადაო საკითხების მოგვარებას მშვიდობიანი გზით ცდილობდა. ეს გასაგებიც არის მას არ სურდა ერთდროულად ორ ფრონტზე, აღმოსავლეთით და დასავლეთით საომარი მოქმედება ეწარმოებინა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ათაბაგის დამოკიდებულება უზუნ-ჰასანისადმი იცვლებოდა. მაგრამ ვიდრე ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლა სერიოზულ სახეს მიიღებდა, ათაბაგი, როგორც ჩანს, მას დახმარების თაობაზე დაპირებებს არ აკლებდა. ხოლო, როცა ბრძოლის საკითხი მთელი სიმწვავით დაისვა (1472 წ.) უზუნ-ჰასანის მიერ „საკუთარი ხელით“ მიწერილმა წერილებმაც კი ვეღარ აღუძრა ათაბაგს მისდამი დახმარების სურვილი, რისთვისაც იგი „შემდეგში დასჯილი იქნა ჰასანის მიერ“[20].

კატერინო ძენოს შემთხვევით არა აქვს გამახვილებული ყურადღება უზუნ-ჰასანის მიერ ყვარყვარესადმი წერილების მიწერაზე. უნდა ვიფიქროთ, რომ იგი თვითონაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ მერყევი მთავრის ოსმალეთის საწინააღმდეგოდ გადაბირებას.

უზუნ-ჰასანს სამცხის დარბევა და მისი ათაბაგისათვის ჭკუის სწავლება ადრევე ჰქონდა განზრახული, მაგრამ მისთვის სხვადასხვა შინაურულ გართულებებს შეუშლია ხელი. განზრახვის შესრულების შესაძლებლობა მხოლოდ 1472 წ. მისცემია[21].

[20] Jac. Ph. Fallmerayer, Geschichte des Kaisertums von Trapezunt, München, 1827, გვ. 271.

[21] V. Minorsky, Tiflis, Enziklopaedie des Islam, IV, გვ, 280.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპარსელი ისტორიკოსის მუნეჯიმ-ბაშის მიხედვით, უზუნ-ჰასანის ლაშქარი მართლაც (1472 წლის ზაფხული?) თავსდასხმია საქართველოს[22], ვფიქრობთ სამცხეს, რომლისთვისაც ხარკი შეუწერია[23].

უზუნ-ჰასანის სამცხე-საათაბაგოში შეჭრის და მისი მოქმედების შესახებ მოთხრობილია ახალი ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტში". მომხდარი ამბავი 1476 წლით არის დათარიღებული, მაგრამ 1472 წლის შემოსევას ასახავს[24]. მასში ვკითხულობთ, რომ: „ქორონიკონსა რ̃იდ: კუალად შეიკრიბა ერი ურიცხჳ და წარმოემართა უზუნ-ასან ძალითა დიდითა სამცხესა ზედა. ესმა ესე ყუარყუარეს და ორთა ძეთა მისთა, რამეთუ პირდაპირ განწყობა ვერ ძალ-ედვათ სიმრავლისაგან ურიცხვობისა სპათა მათთასა, და ჰქმნეს განზრახვა, რათა სამთაგან ერთი წარსულ იყო და დაეცხრო გულისწყრომა მძლავრისა მის, რათა არღარა მოსრულ იყვნეს ქუეყანასა სამცხისასა, მოვიდა სამცხეს და მერმე მოიწივნეს აწყუერს და მოსრნეს მრავალნი ქრისტიანენი, მღვდელნი და მონაზონნი და ერისკაცნი, და წარტყუევნეს სრულად სამცხე.

აიყარა ყაენი და წარვიდა საყაენოსა თჳსსა და ტყუე ჰყვეს ხატი აწყუერისა და ღმრთისმშობელი, და წარიყვანეს ქუეყანასა მათსა. და იქმნა დიდი გლოვა და მწუხარება მიუთხრობელი სრულიად მესხთა ზედა. აღდგეს ყოველნი და შთავიდეს ქართლს, ვიდრემდის მწირობდენ მუნ შვდ წელ"[25].

„ქართლის ცხოვრებიდან" მოტანილი ადგილი რომ 1477 წლის ამბებს არ გადმოგვცემს, ამაზე, პირველ რიგში, ლაშქრობის გავრცელების არე მიუთითებს. როგორც მასშია ნათქვამი, უზუნ-ჰასანი სამცხეს არ გასცილებია და მისი დარბევის შემდეგ უკან გაბრუნებულა. საქართველოს სხვა ადგილებსაც, კერძოდ ქართლს რომ შეხებოდა იგი (ქართლში და იმერეთში თურქმანების შეჭრის შესახებ 1477 წელს საკმაოდ სანდო ცნობები დაგვიტოვეს ჯოსაფატ ბარბარომ და ჯოვან მარია ანჯოლელომ) არ შეიძლებოდა ქართველ ისტორიკოსს მხედველობიდან გამორჩენოდა და ორიოდე სიტყვით მაინც არ ეთქვა, რომ სამცხეში შეჭრის წინ ან იქიდან უზუნ-ჰასანის წასვლის შემდეგ საქართველოს რომელ ნაწილს ეწია უბედურება. დავუშვათ, უზუნ-ჰასანი სამცხიდან ქართლში რომ გადასულიყო ან, პირიქით ქართლიდან სამცხეში შეჭრილიყო, მაშინ ხომ უაზრობა იქნებოდა მესხებს ქართლში ეძებნათ თავშესაფარი, რაზეც ისტორიკოსი გვამცნობებს. იგი გარკვევით გვეუბნევა, რომ უზუნ-ჰასანი თავის სამფლობელოებიდან პირდაპირ სამცხეში მოვიდა და აქედანვე „წარვიდა „საყაენოსა თვისსა".

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ უზუნ-ჰასანი ვიდრე ოსმალეთთან გადამწყვეტ ბრძოლას დაიწყებდა, მანამდე ათაბაგის დასჯა განიზრახა. მაგრამ მისი ღონისძიებანი საქმეს ველარ შველიდა. როგორც ჩანს საათაბაგოსა და ოსმალეთს შორის ურთიერთობა ჯერ-ჯერობით მოგვარებული იყო. კონტარინის

[22] V. Minorsky, Uzun Hasan, Enziklopaedie des Islam, IV, გვ. 1159.

[23] რ. კიკნაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 122.

[24] M. Brosset, Histoire de la Géorgie. Depius l'antiquité jusqu'au XIXe siécle. Ire Partie, II livrason. St.—Peterbourg, 1850, გვ. 322. არც ივ. ჯავახიშვილს მიაჩნდა სწორად 1476 წელი, მაგრამ ფიქრობდა, რომ 1477 წლის ამბები იყო გადმოცემული (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, თბ., 1967, გვ. 119.

[25] „ქართლის ცხოვრება", ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959, გვ. 478—479.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობის მიხედვით, ათაბაგი სულთანს ხარკს უხდიდა[26]. ვფიქრობთ, კონტარინის ეს ცნობა ჰქონდა მხედველობაში ნ. ბერძენიშვილს, როდესაც იგი სამცხეს შესახებ აღნიშნავდა, რომ „ამ ქვეყნის ათაბაგი უკვე თურქ-ოსმალების სუვერენიტეტს ცნობდა“[27]. მაგრამ თუ რა ვითარებაში და როგორ მოხდა — ეს ჩვენთვის უცნობია.

სამცხე-საათაბაგოში ანტიოსმალური კოალიციის საზიანოდ მდგომარეობა იმდენად იყო შეცვლილი, რომ 1474 წელს მის ტერიტორიაზე გავლა ვენეციელ ელჩს, კონტარინის, სახიფათოდაც კი მიუჩნევია[28].

XV საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში არც საბედიანო ჩანს ანტიოსმალური კოალიციისადმი კეთილგანწყობილი. ამის დამამტკიცებელი რაიმე პირდაპირი ცნობა არ მოგვეპოვება, მაგრამ ის მასალები, რომლებიც მაშინდელ ვითარებას ასახავენ, ასეთი ვარაუდის დაშვების საფუძველს გვაძლევენ.

ამ პერიოდში შავი ზღვის სანაპიროების მთელ რიგ პუნქტებში ჯერ კიდევ გენუელები პარპაშობდნენ. ასევე ითქმის სევასტოპოლისზეც (ცხუმი), რომელიც, როგორც ბარბარო აღნიშნავდა, ბედიანის სამფლობელოებში შედიოდა. მასვე ეკუთვნოდა საქართველოს ზღვისპირას მდებარე დიდი თუ მცირე დასახლებული ადგილები[29], რომლებთანაც გენუელები მეტ-ნაკლებად იყვნენ დაკავშირებულნი და სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ.

მიუხედავად იმისა, რომ გენუელებს სევასტოპოლისში კონსული და სხვა მოხელეები ჰყავდათ, როგორც ჩანს, ამ ქალაქის სრული ბატონ-პატრონი მაინც ბედიანი იყო. ამით სევასტოპოლი საგრძნობლად განსხვავდებოდა შავი ზღვისპირა სხვა კოლონიებისაგან, რომლებშიც გენუელები სავსებით დამოუკიდებლად გრძნობდნენ თავს. სევასტოპოლისში და ბედიანის სხვა სამფლობელოებში ისინი იძულებულნი იყვნენ ანგარიში გაეწიათ მისი პრეტენზიებისათვის. მიუხედავად ამისა გენუელებს მაინც ხშირად უხდებოდათ ბედიანთან კონფლიქტი, რაც უარყოფით გავლენას ახდენდა მათ სავაჭრო საქმიანობაზე[30].

გენუელები ბედიანთან კარგი ურთიერთობით იყვნენ დაინტერესებულნი. სევასტოპოლი კავკასიასთან ვაჭრობის უმნიშვნელოვანესი ცენტრი იყო. გენუელი ვაჭრები აქ დიდ მოგებას ნახულობდნენ, ხოლო თვით გენუა მნიშვნელოვან გადასახადებს იღებდა[31].

გენუა თავისი უმთავრესი კონკურენტის ვენეციის დასუსტებით იმდენად იყო დაინტერესებული, რომ საქრისტიანოს დაუძინებელ მტერთან, მუჰამედ მეორესთან, კავშირსაც კი არ ერიდებოდა. მათთვის კარგად იყო ცნობილი ვენეციელების მოღვაწეობა ანტიოსმალური კოალიციის შესაქმნელად და ყოველნაირად უშლიდნენ მათ ხელს. მათ ისიც კარგად ეცოდინებოდათ თუ როგორი ურთიერთობა არსებობდა ვენეციასა და საქართველოს შორის. ამიტომ

[26] Ramusio, Seconda volume delle Navigationi et Viaggi, Venezia, 1559, ფ. 119—119-v. შემდეგში ყველგან Ramusio.

[27] Н. Бердзенишвили, Очерки из истории развития феодальных отношении в Грузии (XIII—XVI вв) საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბილისი, 1965, გვ. 90.

[28] Ramusio, ფ. 119 v.

[29] იქვე, ფ. 96 v.

[30] W. Heyd, Geschichte des Levantehandels im Mittelalter, II, Stuttgart, 1879, გვ. 392.

[31] Е. С. Зевакин и Н. А. Пенчко, Очерки по истории Генуэзских колонии на Западном Кавказе (в XIII и XV вв.). Исторические, записки, 1938, № 3, გვ. 85.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენუელები ყოველ ღონეს იხმარდნენ გავლენა მოეხდინათ ბედიანზე ვენეციის ინტერესების და საერთოდ ანტიოსმალური კოალიციის საზიანოდ. ვიმეორებთ: ამგვარი ვარაუდის დამადასტურებელი რაიმე პირდაპირი ცნობა არ გაგვაჩნია. მაგრამ აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ის მომენტი, როდესაც XV საუკუნის 60-იანი წლების შუა ხანებში გენუის რესპუბლიკა ბედიანთან კავშირს ამყარებდა კაფას კონსულის მეშვეობით.

გენუელებმა გარკვეულ წარმატებას მართლაც მიაღწიეს. ბედიანთან საქმე თავიანთ სასარგებლოდ მოაგვარეს. მაგრამ ჩვენთვის უცნობია, კერძოდ რითი იყვნენ დაინტერესებული გენუის ხელისუფალნი, რა სურდათ მათ. აი რას სწერდნენ ისინი 1465 წლის 1 დეკემბერს კაფას კონსულს: „ჩვენ დიდად კმაყოფილნი ვართ სამეგრელოს მთავარ ბენდიანთან საქმის ასე კარგად მოგვარებით. მაგრამ გიბრძანებთ, თუ რაიმე ხარჯები გქონდათ, მთლიანად ან ნაწილ-ნაწილ იმ ვაჭრებს შორის გაანაწილოთ, რომლებიც მის ტერიტორიებზე ივაჭრებენ“[32]. საეჭვოა, რომ გენუისათვის ისეთი რთული საგარეო ვითარების დროს ბედიანთან დადებული ხელშეკრულებაში მხოლოდ ვაჭრობის საკითხები ყოფილიყო გათვალისწინებული.

როგორც შემდგომი დროის წერილიდან ჩანს გენუას არ აკმაყოფილებდა ბედიანთან არსებული ურთიერთობის დონე. იგი უფრო მჭიდრო კონტაქტებისაკენ მიისწრაფოდა.

1472 წლის 15 დეკემბერს კაფას კონსულისადმი გაგზავნილ ოფიციალურ წერილში გენუას პროტექტორები დიდ კმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ კონსული ცდილობდა მშვიდობიანი ურთიერთობა დაემყარებინა ყველა იმ ხალხთან და მთავართან, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობდნენ რესპუბლიკის ფაქტორები: „ასევე კმაყოფილნი ვართ ჩვენ იმით, რასაც თქვენ გვწერდით სევასტოპოლის მთავარ ბენდიანთან მტკიცე მშვიდობის დამყარების იმედებზე“[33].

უნდა ვიფიქროთ, რომ ბედიანთან „მტკიცე მშვიდობა“, რომელზეც ასე დიდ იმედებს ამყარებდნენ პროტექტორები, ანტიოსმალური კოალიციის წევრებთან მის ურთიერთობას გამორიცხავდა.

შეიძლება ითქვას, რომ საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში ანტიოსმალურ კოალიციაში მონაწილეობას იღებდა მხოლოდ ქართლ-კახეთ-იმერეთი. ყოველ შემთხვევაში, იმდროინდელ ევროპულ წყაროებში, რომლებსაც ზემოთ უკვე გავეცანით, მათი მესვეურნი ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლით დაინტერესებულნი ჩანან.

ამგვარად, საქართველოს ის ნაწილი, რომელსაც ევროპელ დიპლომატთა თქმით Zorzanie, Iberia, ან Giorgiania ერქვა და რომელშიც იმერეთს და მთელ აღმ. საქართველოს გულისხმობდნენ, ოსმალეთის წინააღმდეგ იბრძოდა და ამის გამო ვენეციასთან და აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოსთან მჭიდრო კონტაქტში იყო.

1472 წლის გაზაფხულზე კოალიციის აღმოსავლელმა წევრებმა დაიწყეს ომი ოსმალეთის წინააღმდეგ. მაისში საბრძოლო მოქმედება დაიწყო ტრაპიზო-

[32] Е. С. Зевакин и Н. А. Пенчко, დასახ. ნაშრომი, გვ. 114; იხ. აგრეთვე, З. В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии (VI—XVIIвв.), Сухуми, 1959, გვ. 246.

[33] Е. С. Зевакин и Н. А. Пенчко, დასახ. ნაშრომი, გვ. 112—113; იხ. აგრეთვე, З. В. Анчабадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 246.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის ყოფილი იმპერიის იმპერატორის დავითის ძმისწულმა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში თავს აფარებდა უზუნ-ჰასანის კარზე. იგი ქართველების დახმარებით (cum sua voluntate et ajuto de Zorgiani) შეიჭრა კომნენოსების სამფლობელოებში და ტრაპიზონისაკენ გაემართა. მაგრამ ოსმალებს ქალაქი საკმაოდ ჰქონდათ გამაგრებული. ამას გარდა დამცველები ზღვიდანაც იღებდნენ დახმარებას და იმპერატორის ძმისწული და მასთან ერთად მყოფი ქართველთა რაზმები იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ[34].

მალე ომში ჩაება აყ-ყოიუნლუს სახელმწიფო. იმავე წლის აგვისტოში უზუნ-ჰასანმა აიღო ტოგატი და ყარამანიაც დაიკავა, რომლის სანაპიროზე ვენეციელებს ცეცხლსასროლი იარაღი უნდა გადაეცათ მისთვის. მაგრამ ვენეციამ დაპირება არ შეასრულა. ოსმალებმა ისარგებლეს შექმნილი ვითარებით, დაიწყეს კონტრშეტევა და ყარამანია ისევ ხელთ იგდეს.

უზუნ-ჰასანისათვის, ისე როგორც მისი აღმოსავლელი მოკავშირეებისათვის ცეცხლსასროლ იარაღს სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. ესე იგი ვერ გაუმკლავდებოდა სულთნის კარგად შეიარაღებულ ჯარს.

ბოლოს და ბოლოს ვენეციაში მყოფმა ელჩებმა, რომლებიც იქ 1472 წლის აგვისტოში მივიდნენ, ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ მიაღწიეს იმას, რომ 1473 წლის 11 იანვარს სენატმა მიიღო დადგენილება, დახმარება გაეწიათ უზუნ-ჰასანისათვის[35].

დადგენილების მიხედვით, რესპუბლიკის ელჩად უზუნ-ჰასანის კარზე ინიშნებოდა ჯოსაფატ ბარბარო. ბარბაროს იარაღი უნდა მიეტანა ვენეციის გემებით ყარამანიის სანაპიროზე და გადაეცა უზუნ-ჰასანისათვის. იგი უნდა შეთანხმებოდა უზუნ-ჰასანს, რომ ოსმალეთზე გამარჯვების შემთხვევაში, სულთნის აღმოსავლეთი სამფლობელოები დარდანელის ჩათვლით აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოს შეუერთდებოდა. სამაგიეროდ, ვენეციას აღნიშნულ ტერიტორიებზე თავისუფალი მოქმედების უფლება უნდა ჰქონოდა[36].

ბარბარო 1473 წლის 29 მარტს მივიდა კვიპროსზე. მან იქ შეიტყო, რომ ყარამანია უკვე ოსმალების ხელში იყო. ბარბარომ წერილი გაუგზავნა უზუნ-ჰასანს და აცნობა, რომ იგი ვენეციის ფლოტით და იარაღით ყარამანიის სანაპიროსთან იდგა და საჭირო იყო მისი მისვლა იარაღის ჩასაბარებლად. ბარბარომ კარგად იცოდა, რომ უზუნ-ჰასანი ყარამანიის სანაპიროებთან მისვლას ოსმალეთთან შეჯახების გარეშე ვერ შეძლებდა. მათ შორის ომის დაწყებით განსაკუთრებით ვენეციის რესპუბლიკა იყო დაინტერესებული.

უზუნ-ჰასანს ბარბაროს წერილის მიღებამდე, ვენეციიდან რაიმე დახმარების მიღების იმედი უკვე დაკარგული ჰქონდა. ძენოს გადმოცემით, ბარბაროს შემონათვალმა იგი „გაამხიარულა და იმედი მისცა“[37]. იგი მაშინვე თავისი ლაშქრით, „რომელიც პართელების, სპარსელების, ქართველების, ქურთებისა და თათრებისაგან შესდგებოდა“[38] ყარამანიისაკენ დაიძრა.

---

[34] Monumenta Hungariae Historia, დოკ. № 170, გვ. 239.

[35] Berchet, დასახ. ნაშრომი, გვ. 9.

[36] იქვე,

[37] Zeno, ფ. 15 v; Berchet, დოკ. № 11, გვ. 132.

[38] Zeno, გვ. 15 v; ასეთივე ცნობას გვაწვდის ჯოვან მარია ანჯოლელო, იხ. Ramusio, ფ. 68 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უზუნ-ჰასანისა და მუჰამედ მეორის ლაშქარი ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდა მდ. ევფრატის ნაპირას მალათიასთან. ბრძოლა მოხდა 1 აგვისტოს. აყ-ყოიუნლუს ლაშქარმა იმდენად დიდ წარმატებას მიაღწია. რომ მუჰამედი იძულებული გახდა ზავი ეთხოვა. მაგრამ უზუნ-ჰასანმა, რათა მიღწეული წარმატება საბოლოო გამარჯვებამდე მიეყვანა, ბრძოლის გაგრძელება არჩია. მან „40 ათასი ყველაზე მარჯვე და მამაცი მეომარი ამოარჩია, გადალახა ევფრატი და დიდი სისწრაფით დაედევნა უკანდახეულ მტერს. თავისი უფროსი ვაჟი ხალილი კი ყველა ქართველით, თათრითა და სხვა მრავალი მეომრით ალალის დასაცავად დატოვა მდინარის მეორე მხარეს“[39].

ძენოს მიხედვით, განმეორებითი ბრძოლა მოხდა 1473 წლის 10 აგვისტოს მდ. თერჯანასთან. აყ-ყოიუნლუს ლაშქარმა სრული მარცხი განიცადა.

უზუნ-ჰასანი მაინც არ ჰკარგავდა იმედს, რომ ევროპიდან დახმარების მიღების წყალობით ბოლოს და ბოლოს დასჯაბნიდა ოსმალეთს. როგორც იგი ვენეციას აცნობებდა, მაშინვე სურდა ხელახალი ბრძოლისათვის მზადებას შედგომოდა[40]. მან დახმარების თხოვნით მიმართა ევროპის სახელმწიფოებს და კატერინო ძენო ევროპაში გაგზავნა, როგორც ნდობით აღჭურვილი პირი[41].

1474 წლის გაზაფხულზე, ძენომ დატოვა თავრიზი. ამჯერად მას საქართველოში მოუხდა გავლა. ძენოს თან ახლდნენ უნგრეთის და პოლონეთის ელჩები. იგი ჯერ ყვარყვარეს ეახლა[42] და უნდა ვიფიქროთ, უზუნ-ჰასანისათვის დახმარების თაობაზე ჰქონდა მოლაპარაკება. მასთანვე დაუტოვებია ორივე ელჩი, რაც მან ალბათ გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით გააკეთა, ხოლო თვითონ სევასტოპოლისაკენ აიღო გეზი. შეიძლება ითქვას, რომ ძენოს ბედიანთანაც ჰქონდა მოლაპარაკება. ამის საფუძველს გვაძლევს ის, რომ უკვე პოლონეთში ჩასულმა, უზუნ-ჰასანის კარზე თავისი შემცვლელის პაოლო ონიბენეს ხელით მათ, ყვარყვარეს და ბედიანს, წერილები გამოუგზავნა[43]. საფიქრებელია, რომ წერილები დაწყებული მოლაპარაკების გაგრძელებას წარმოადგენდნენ.

„თბილი სიტყვებით და წაქეზებით აღსავსე“ წერილებით ძენო ზემოაღნიშნულ მთავრებს ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდებდა[44]. წერილებიდან მხოლოდ ესაა ჩვენთვის ცნობილი. არც ის ვიცით შეძლო თუ არა ონიბენემ დანიშნულების ადგილზე წერილების მიტანა, ან რა გავლენა იქონიეს მათ ბედიანზე და ყვარყვარეზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1474 წ. ყვარყვარე ოსმალებს უხდიდა ხარკს. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ ნიშნავდა იმას, თითქოს სამცხე-საათაბაგოს საბოლოოდ შეეწყვიტოს ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. პირიქით, ამ დროიდან იწყებს იგი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას, რაც საუკუნეზე მეტხანს გაგრძელდა[45].

თერჯანასთან დამარცხების შემდეგ ოსმალეთის წინააღმდეგ წარმატებით მოქმედების რაიმე საფუძველი აღარ არსებობდა. მაგრამ უზუნ-ჰასანი და სა-

---

[39] Zeno, ფ. 19.

[40] Berchet, ფ. 137.

[41] Zeno, ფ. 22

[42] იქვე.

[43] Zeno, ფ. 24.

[44] იქვე, ფ. 24 v.

[45] იხ. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV — XVI სს.) ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრ. შარაშიძისა, თბ; 1961, გვ. 81—82.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველთა მეფე გიორგი VIII ევროპის ქვეყნების ანტიოსმალურ ლიგაში დარაზმვის იმედს მაინც არ ჰკარგავდნენ. 1474 წ. მათ ახალი ელჩობა გააგზავნეს, ელჩები კაფაზე გავლით იმავე წლის 19 ივლისს მივიდნენ ვენეციაში, სადაც ისინი დიდი ზეიმით მიიღეს[46]. ვენეციაში წარმოებული მოლაპარაკების შესახებ ჩვენთვის არაფერია ცნობილი.

1474 წლის აგვისტოში ვენეციაში მივიდა ძენოც, რომელსაც იმავე კოალიციის შექმნის მიზნით მოლაპარაკება ჰქონდა კაზიმეჟ მეოთხესთან და მატიაშ კორვინთან[47].

ზემოხსენებული ელჩები ძენოსთან ერთად რომსა და ნეაპოლს ესტუმრნენ[48]. არც ამ ქალაქებში წარმოებული მოლაპარაკების შესახებ გვაქვს რაიმე ცნობა.

მიატოვა თუ არა ძენომ თავრიზი, რესპუბლიკამ მაშინვე გაგზავნა მისი შემცვლელი პაოლო ონიბენე. როგორც ჩანს, მისმა მოღვაწეობამ ის შედეგი გამოიღო, რომ საქართველომ და აყ-ყოიუნლუმ ხელახლა ცადეს ბედი და ევროპაში თავიანთი ელჩები გაგზავნეს, რომელთა შესახებაც ზემოთ უკვე იყო საუბარი.

1474 წ. თავრიზში მივიდა რესპუბლიკის კიდევ ერთი ელჩი — ჯოსაფატ ბარბარო, რომელიც შექმნილი სიტუაციის შესწავლას და ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად უზუნ ჰასანის აჩქარებას ფიქრობდა[49].

პაოლო ონიბენემ თავისი მისია დაამთავრა შეთანხმებით აყ-ყოიუნლუს სახელმწიფო ოსმალეთთან ომის დაწყებას 1475 წლისთვის კისრულობდა, ონიბენე ვენეციაში დაბრუნდა 1475 წ. 17 თებერვალს[50]. იმავე წლის ივნისში უზუნ-ჰასანის კარზე იმყოფებოდა ანტიოსმალური კოალიციის შექმნის ერთ-ერთი თავგამოდებული მქადაგებელი ლუდოვიკო ბოლონიელი. კონტარინის გადმოცემით, ბოლონიელი ამჯერად ბურგონის ჰერცოგის სახელით ლაპარაკობდა[51].

ბოლონიელი თავრიზში დიდხანს არ დარჩენილა. გამოთხოვებისას უზუნ-ჰასანს მისთვის დაუბარებია, თავის ბატონისათვის მოეხსენებია მისი მზადყოფნა ოსმალეთის წინააღმდეგ ომის გასაგრძელებლად. ამ საუბარს კონტარინი პირადად დასწრებია[52].

ევროპაში გაბრუნებულ ბოლონიელს, კონტარინის ცნობის მიხედვით, საქართველოში გაუვლია. მას თან ახლდა უზუნ-ჰასანის ელჩი. იმავე დროს საქართველოში გავლით იმყოფებოდა რუსეთის ელჩი. კონტარინი მას მარკო რუსს უწოდებს. ისიც უზუნ-ჰასანისაგან ბრუნდებოდა სამშობლოში და თან საპასუხო ელჩიც მიჰყავდა[53].

---

46 N. Jorga, დასახ. ნაშრომი, გვ. 168; З. Авалов, დასახ. ნაშრომი.

47 Zeno, ფ. 24.

48 N. Jorga, დასახ. ნაშრომი, გვ. 168. З. Авалов, დასახ. ნაშრომი, გვ. 248.

49 Lettere al senato di Giosafat Barbaro ambasciatore ad Usunhasan di Persia. Tratte da un codice originale del J. R. Bibliotheca di Vienna. E anotate per Enrico Cornet. Vienna, 1852, გვ. 81.

50 Я. М. Махмудов, Взаимоотношения государства Ак-Коюнлу с Венецией (60—70 гг. XV в). Автореферат, Баку, 1966, გვ. 22.

51 Ramusio, ფ. 118.

52 Ramusio, ფ. 118.

53 იქვე, ფ. 119—119 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც დავინახეთ, აყ-ყოიუნლუს და საქართველოს ურთიერთობა ევროპის ქვეყნებთან, განსაკუთრებით ვენეციასთან, თერჯანასთან განცდილი მარცხის შემდეგაც გაცხოველებული იყო. ისინი დღითიდღე უფრო რწმუნდებოდნენ, რომ ოსმალეთის დაძლევას დასავლეთიდან მიღებული დახმარების გარეშე ვერ შეძლებდნენ. აფასებდა რა შექმნილ ვითარებებს, ვენეციის რესპუბლიკაც აშკარად ხედავდა ოსმალეთის ძალების აშკარა უპირატესობას. ამიტომ იგი უფრო დაჟინებით ცდილობდა გამოეყენებია აყ-ყოიუნლუს სახელმწიფო თავისი ინტერესებისათვის. 1474 წლის 11 თებერვლის ინსტრუქციით ვენეციის სენატი პირდაპირ მიუთითებდა ჯოსაფატ ბარბაროს: „ჩვენი ერთადერთი სურვილია, რომ ბრწყინვალე უზუნ-ჰასანმა ან ამ წელიწადს ან რაც შეიძლება მალე) დაიწყოს ომი ოსმალეთის სულთნის წინააღმდეგ. ეს არის შენი, სხვა ელჩების და წერილების გაგზავნის მიზეზი“[54].

ამბროჯო კონტარინი უზუნ-ჰასანს ვენეციის რესპუბლიკის სახელით ყოველგვარ დახმარებას აღუთქვამდა ზღვაზე და ხმელეთზე[55]. მაგრამ უზუნ-ჰასანმა კარგად იცოდა ვენეციის დახმარების ფასი, რაც უმეტესად მხოლოდ დაპირებებში გამოიხატებოდა, ამიტომ იგი ახლა ფრთხილობდა. მან კონტარინის განუცხადა, რომ, იმ შემთხვევაში თუ დახმარება რეალური იქნებოდა, მაშინ ომს დაიწყებდა 1475 წლის გაზაფხულზე. უზუნ-ჰასანმა ეს ვადა შემდგომი მოლაპარაკების დროს 1476 წლის გაზაფხულამდე გადასწია[56].

უზუნ-ჰასანის ამ დაპირებას განხორციელება აღარ ეწერა. მისი სიცოცხლის ბოლო პერიოდში ქვეყნის შიგნით დაწყებული ფეოდალური აშლილობისა და რაც მთავარია, ოსმალების მიერ მიყენებული დარტყმის შედეგად, აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოს ომის განახლების უნარი აღარ შესწევდა.

ამგვარად, ანტიოსმალური კოალიციის შექმნის ცდამ, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდნენ აყ-ყოიუნლუს სახელმწიფო, მთელი საქართველო და ევროპის უმეტესი ქვეყნები, მარცხი განიცადა. მართალია, კოალიცია მაინც შეიქმნა, მაგრამ მის ისედაც მცირერიცხოვან წევრებს შორის არ იყო შეთანხმებულობა. ესეც რომ არ ყოფილიყო, მხოლოდ მათი ძალებით ოსმალეთის საბოლოო განადგურება შეუძლებელი იქნებოდა.

სამწუხარო შედეგით დამთავრდა საქართველოსათვის ის თავგამოდება, რასაც იგი ოსმალეთის წინააღმდეგ იჩენდა. კერძოდ, უზუნ-ჰასანმა მტერს რომ ვერაფერი დააკლო, ყოფილ მოკავშირეს ქურდულად თავს დაესხა და აიკლო.

ქართველი ოპტიმისტი მმართველები მაინც არ კარგავდნენ იმედს, მიეღოთ დახმარება ევროპიდან თავიანთი მაჰმადიანი მეზობლების წინააღმდეგ. ამ მიზნით მათ იმავე საუკუნის დამლევს ხან დას. ევროპას (ესპანეთი) და ხან რუსეთს მიმართეს, მაგრამ რეალური მხარდაჭერა ვერსად პოვეს.

---

[54] Berchet, დასახ. ნაშრომი, დოკ. №13, გვ. 141.

[55] იქვე.

[56] Я. М. Махмудов, დასახ. ნაშრომი, გვ. 23.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ГЕОРГИЙ ЛЕЖАВА

# ДРЕВНЕЙШАЯ ДЕРЕВЯННАЯ АРХИТЕКТУРА ПО «АНАБАСИСУ» КСЕНОФОНТА

Грузия — страна, богатая памятниками архитектуры, прошла все стадии развития архитектурных форм и, владея древнейшими традициями монументального зодчества, создала свой стиль как в каменном, так и в деревянном зодчестве.

В результате неоднократных исторических потрясений, многие древние памятники оказались разрушенными. С изменением социального строя всюду меняется архитектурный облик городов, селений и прежде всего жилища. В Грузии этот процесс осложнялся большим климатическим разнообразием и географической изолированностью отдельных областей страны.

Находясь в различных условиях существования, отдельные районы сохранили реликтовые формы социально-экономических отношений до начала XX в., отражая их в выборе места и структуре поселения, планировке и объемно пространственном решении отдельных домов и комплексов. Таким образом, в Грузии наряду с древними памятниками монументального зодчества, сохранились и типы народного жилища восходящие к иберийско-колхским поселениям.

Воссоздание разрушенных древних памятников материальной культуры осуществляется обычно по сохранившимся литературным источникам и археологическим раскопкам. В Грузии, к этим двум каналам следует прибавить третий — изучение некоторых существующих ансамблей народной архитектуры, донесших до нас древнейшие традиции возведения жилища, описание которых мы встречаем у античных авторов. Это дарбазный тип жилища с верхним светом и укрепленное башенное жилище.

Среди районов, сохранивших древние формы жилища, следует назвать Сванетию, Хевсуретию, Тушетию, Хеви. В этих районах преобладает укрепленный тип жилища, где непременным элементом жилого комплекса является башня «Мурквами»[1]. Понятие слова «Мурквами» в Сванетии употребляют в широком смысле — это жилая башня, дом-крепость, защитная, отдельно стоящая башня, и любое многоэтажное сооружение. В Хевсуретии укрепленное жилище называют «цихе сахли», в Тушетии «Чардахиани сахли».

Укрепленное жилище, как массовый тип жилища для крестьянина появляется, при известных условиях, на стадии разложенья общинно-родового строя и не совместим с развитой классовой структурой. Во всех легкодоступных районах страны этот тип поселения в феодальный период был разрушен. Следы этих уничтожений в виде руин до сих пор сохранились в Нижней Сванетии и других районах Грузии.

[1] Ив. Джавахишвили, Материалы по истории материальной культуры Грузии, «Строительное искусство Грузии», Тб., 1946.

ᲛᲔᲚᲘᲡᲔᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

Истории известны многочисленные примеры консервации жилища, при условии сохранения определенных социально-экономических условий существования (фелахи в Египте, арабы Аравии и др.). Укрепленный тип жилища башенного характера сохранился до нашего времени в целом ряде стран Азии: Сирии[2,3], Петре[4], Аравия-Иемене[4,5,6], Гиндукуше[7], Иране [8,9], Афганистане[10,11], Индии[12,13,14],) Пгкистане[13], Непале[15,16], Кигае[17,18,19], Тибете[20], Марокко[21]

Многочисленные данные указывают на то, что этот тип жилища имел в прошлом широкое распространение в Европе: в Швейцарии, Югославии, Албании, Румынии, Болгарии, Франции, Италии и Испании. Башенный тип жилища сохранился в Советском Союзе на Кавказе и отчасти в Средней Азии. Но наиболее полно он представлен на территории Грузии в Сванетии, где до сих пор сохранились целые ансамбли селений, повторяющих древний тип башенного жилища.

Природа Грузии благоприятствовала развитию как деревянных, так и каменных форм. Камень и лес имелись в изобилии почти во всех районах страны. Выбор того или иного материала для построек решался целесообразностью, уровнем техники, наличием рабочих рук и т. д.

Ксенофонт в «Анабасисе» приводит сообщения о многочисленных ансамблях башенного укрепленного жилища южных племен Грузии. Следует обратить внимание на то, что в основном он описывает деревянное укрепленное жилище.

---

[2] Butler, „Ancient Architecture in Syria, Publications of the princeton university Archaeological. Expedition to Syria in 1904—1921. Soutern Siria P. I—III кн. 111—117, 254.

[3] Tchalenko, „Yrllages antiques de la Syrie du hord", P. т.—III, 1953—1958.

[4] В. А. Крачковская, Историческое значение памятников южно-арабской архитектуры, СВ. IV, 1947, стр. 105—128.

[5] А. И. Першиц, Арабы Иеменской республики, СЭ, III, 1963, стр. 137—147.

[6] В. А. Крачковская, Жилище в Хадрамауте, СЭ, II, 1947, стр. 167—186.

[7] Д. С. Робертсон, Кафиры Гиндукуша, Ташкент, 1906, стр. 158—182.

[8] Herzfeld Ernst, Iran, London, 1935 и 1945.

[9] А. З. Розенфельд. Quka (Кала), Тип укрепленного иранского поселения, СЭ. I, 1951, стр. 22—32.

[10] J. Humlum, La géographie de Afganistan. Copenhague, 1953, стр. 159.

[11] Н. И. Вавилов, Земледельческий Афганистан, Избр. труды, т. I, М.—Л., 1959, стр. 125, 131—132, 377, 382, 384—386.

[12] И. П. Минаев, Дневник путешествия в Индию и Бирму 1880 и 1885—1886, М., 1955, стр. 60.

[13] Народы мира и народы Южной Азии, М., 1963, стр. 368, 514, 743, 780.

[14] В. Н. Луния, История индийской культуры с древних времен до наших дней, М., 1960, стр. 38, 83.

[15] Ю. И. Журавлев, Поездка в Непал, СЭ, V, 1962, стр. 129—138.

[16] Д. Н. Костинский, Непал, М., 1960, стр. 41—43.

[17] И. и Н. Чебоксаревы, Полевые этнографические работы в Китайской Народной Республике, СЭ, V, 1959, стр. 123—139.

[18] Линь Яо Хуа, Ляньшанские Нцзу, Шанхай, 1947.

[19] Всеобщая история архитектуры, т. I, М., 1958, стр. 294.

[20] Ю. И. Журавлев, Тибетские народности и этнографические группы тибетцев Китайской Народной Республике, СЭ, V, 1959, стр. 71—92.

[21] Мурад Бен Эмбарев, Архитектура без архитектора, в Марокко. (Architecture Formes Fonction, 1963) Лозанна, стр. 120—129

«Анабасис» относится к самому началу IV в до н. э. и является одним из самых значительных, из дошедших до нас античных трудов по истории. Ксенофонт участвовал в походе греческих войск в Переднюю Азию и описал этот поход в «Анабасисе» (табл. 1). Отряд греков численностью в 13 000 человек присоединился к большой армии, собранной в 401 г до н. э. персидским царевичем Киром для захвата власти у своего старшего брата, царя Персии Артаксеркса II. В решающем сражении при Кунаксе (на левом берегу Евфрата) Кир погиб и, несмотря на победу, одержанную греками в этом сражении над войском царя Артаксеркса II, армия Кира распалась и эллины вынуждены были возвращаться на родину через Трапезунд. На пути к Трапезунду, Ксенофонт еще в Месопотамии был избран одним из стратегов (руководителей) греческих войск, и во время этого тяжелого для греков перехода принимал деятельное участие во всех делах армии.

Греческие наемные войска свое продвижение по Передней Азии совершали, как по большим государственным дорогам—артериям, так и по проселочным дорогам и горным тропам.

Описывая переход в Армению и через область независимых кардухов (западный Курдистан), Ксенофонт сообщает: «Та деревня в которую они пришли, оказалась обширной, в ней находился дворец сатрапа, и большая часть домов здесь была с башнями»[22].

Продвигаясь далее по Армении, Ксенофонт описывает жилище совершенно другого типа, чем предыдущее.

«Дома здесь были подземные, с верхним отверстием наподобие отверстия колодца, но широким внизу. Впуски для скотины были вырыты в земле, а люди спускались вниз по лестнице. В домах находились козы, овцы: коровы и птицы со своими детенышами; весь скот питался в домах сеном»[23].

Здесь Ксенофонт предельно сжато и ясно описывает хорошо известный в Армении и Грузии тип дома с верхним освещением. Этот древний тип перекрытия был распространен во многих странах Переднего Востока и Азии. На территории СССР эта система перекрытия встречается так же в некоторых районах Средней Азии. Деревянные перекрытия дарбазных домов Грузии с верхним светом достигли высокой степени совершенства в Картли и наиболее полно представлены обмерами Н. П. Северова[24], Л. З. Сумбадзе[25], Ксенофонт описывает также интерьер жилища с верхним светом, где люди и скот находятся в одном помещении. Фактически это однокамерный дом, где в одном помещении сосредоточены все жизненно-важные функции его обитателей. Следует предположить, что домашним животным отводилось место, которое отделялось от остального помещения специальной перегородкой. Примеры устройства таких перегородок для скота мы находим в сирийских домах II—I вв. до н. э.[26]. В Армении, в настоящее время таких интерьеров не сохранилось[27]. В Грузии, в Сванетии по-

---

22 Тут и далее текст цитируется по переводу М. И. Максимовой под редакцией академика И. П. Толстого (Ксенофонт, Анабасис, М.—Л., 1951, стр. 107—108, кн. IV, глава IV).

23 Ксенофонт, там же, кн. IV, глава V. стр. 112.

24 Н. П. Северов, Грузинские дарбази, Под редакцией Г. Н. Чубинашвили, 1926—1927.

25 Л. З. Сумбадзе, Грузинские дарбази, Тб., 1960.

26 Batler, Там же, книга II, стр. 111.

27 Варданян, Архитектура армянских жилых домов, Ереван, 1959.

ეროვნული ბიბლიოთეკა

мещение подобного типа называется «мачуб». Мачуб до недавнего времени был обитаем. Он располагался в цокольном или в первом этаже дома; это большое помещение, в плане обычно прямоугольное, в 80—120 м², где зимой размещалась вся семья; вдоль двух смежных стен (иногда одной, редко трех) идет высокая досчатая загородка, за которой помещается скот. В загородке проделаны прорези у кормушек, находящихся уже в самой комнате. Это отгороженное помещение сваны называют «Гвал»[28]. Важно отметить, что в сванском мачубе семья живет только зимой. В летнее время скот пасется на пастбищах, потребность в его охране а также обогреве помещения отпадает, и семья перебирается в специальное летнее помещение. Греки были в деревнях и домах, описанных Ксенофонтом, в зимнее время. На основании анализа сванского материала следует предположить, что Ксенофонт нам оставил описание именно зимнего жилища.

После перехода через Армению у эллинов были бои с таохами и халибами. После таохов, эллины прошли через страну халибов, это храброе племя, вступило с эллинами в рукопашный бой. Халибы также как и таохи, жили в укрепленных местах, причем из текста видно, что греки проходили мимо этих селений, не рискуя в них заходить, хотя они испытывали затруднения со снабжением войск питанием. Далее из текста явствует, что само укрепленное жилище вмещало в одном объеме — людей, домашних животных и продовольственные запасы. Через город скифинов Гимниад, эллины поднялись на гору Фехес, откуда наконец увидели долгожданное море. Четвертая книга «Анабасиса» Ксенофонта заканчивается описанием прибытия эллинов через земли макронов в деревни к колхам и сражению с ними[29].

Пробыв в этих деревнях несколько дней, греки двинулись дальше «(22). Отсюда они прошли в два перехода 7 парасангов и прибыли к морю в Трапезунт, многолюдный эллинский город на Евксинском понте, колонию Синопы в стране колхов»[30]. Ксенофонт, обращаясь к воинам с речью (готовясь морским и сухопутным путем покинуть Трапезунт и отправиться на родину) указывает на крайне враждебное окружение и далее, предлагая выставлять тщательное сторожевое охранение вокруг лагеря, сообщает:» (17). В течение этого времени эллины ходили за добычей, одни успешно, другие нет. Клеайнет повел собственный и другой лох против недоступного укрепленного поселения и погиб вместе со многими другими из его отряда»...[31].

Из описаний, касающихся колхов, следует, что они жили в поселениях разнообразного типа, от открытых, ни чем не защищаемых селений, до труднодоступных укрепленных жилищ, с прочной естественной и искусственной системой обороны.

По тексту «Анабасиса» далее следует, что трапезунтцы повели эллинов не через земли своих друзей, где легко было достать продовольствие, а через территорию враждебных им дрилов. «(2)... Но они с готовностью повели их на дрилов, которые причиняли им много хлопот, а местность гористую и малодоступную, против самого воинственного из припонтийских племен. (3). Когда эллины пришли в горную местность, дрилы принялись жечь все те укрепленные поселения, которые по их мнению, могли быть захвачены, а сами уходили. По-

---

28 Г. И. Лежава и М. И. Джандиери, Архитектура Сванетии, М., 1937.

29 Ксенофонт, стр. 122, кн. IV, гл. VIII, стр. 124, кн. IV, глава VIII.

30 Ксенофонт, стр. 124—125, кн. IV, гл. VIII, стр. 127, кн. V, гл. I.

31 Ксенофонт, кн. V, гл. I и II. стр. 129.

ეროვნული ბიბლიოთეკა

этому здесь нечего было взять, кроме разве свиньи или коровы, или другой какой-либо скотины, спасшейся от огня. Но одно укрепленное место было их главным городом, и туда укрылись все дрилы. Вокруг города был очень глубокий овраг и доступ к городу был труден. (4) Пельтасты, ушедшие вперед от гоплитов стадий на 5 или 6, перешли через овраг, увидели много овец и других богатств и бросились на укрепленное место. За ними последовали многочисленные дорифоры, которые вышли за продовольствием, так что перешедших через овраг было более 1 000 человек. (5) Когда же они оказались не в силах с боем овладеть укрепленным местом, так как оно было окружено широким рвом с валом и на валу возвышался частокол с поставленными близко друг от друга деревянными башнями, то они начали отступать. (6) Но тут враги напали на них. Поскольку отступление было невозможно, так как спуск с укрепленного места в овраг мог быт осуществлен только по одиночке, то они послали к Ксенофонту. Тот вел гоплитов (7). Посланный сказал: «Укрепленное место полно всяких богатств. Но мы не можем ни взять его, так как оно сильно укреплено, ни отступить без потерь, так как враги сражаются, сделав вылазку из города и отход затруднен»[32].

Греки, увидев, что отступление немыслимо, перестроили свои войска, в соответствие с рельефом местности и окружающей обстановкой. и пошли на вторичный штурм, который принес им частичный успех. Описание этого штурма дает возможность ориентировочно представить себе планировку укрепленного места, и подтверждает, что основным строительным материалом у дрилов было дерево.

«(15) Из-за большого количества падающих снарядов враги оставили полисад и башни, и Агасий из Стимфалы, отбросив оружие, взобрался на вал в одном хитоне и втащил за собой другого, а некоторые солдаты сами взошли наверх, и укрепленное место, казалос, было уже взято.

(16) Пельтасты и легковооруженные тоже вбежали в город и начали грабить кто что мог. А Ксенофонт встал перед воротами и по мере сил препятствовал гоплитам входить внутрь города, так как на некоторых укрепленных пунктах на горах показались новые враги. (17) Спустя небольшой промежуток времени из внутренней части города послышался крик, и солдаты побежали оттуда, кое-кто с награбленным имуществом, а вскоре показались и раненные. У ворот произошла страшная давка. В ответ на вопросы бегущие рассказали, что внутри города имеется акрополь и многочисленные враги, сделав оттуда вылазку, бьют вошедших в город эллинов. (18) Тогда Ксенофонт приказал глашатаю Толмиду объявить, что всякий желающий захватить добычу, может войти в город. Много солдат кинулись туда и пробиваясь вперед, они победили сделавших вылазку врагов и снова загнали их в акрополь. (19). Все находившиеся вне акрополя подверглось грабежу и было унесено эллинами. Гоплиты выстроились с оружием наготове у вала с частоколом, другие на дороге, ведущей к акрополю. (20) А Ксенофонт и лохаги стали обсуждать, нельзя ли захватить акрополь, в каковом случае благополучный исход был обеспечен; иначе казалось, отступление будет очень затруднено. Но в результате осмотра они пришли к заключению, что акрополь совершенно неприступен»[33].

---

32 Ксенофонт, кн. V, гл. II. стр. 129—130.

33 Там же, стр. 131.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

В тексте «Анабасиса» в этом месте имеется неясность — не совсем понятно, почему грекам грозило уничтожение после того, как они заставили дрилов оставить территорию ведущую к акрополю. Очевидно, окружавшая греков планировка укрепленных мест, вместе с городом, подвергшимся нападению, была связана между собой системой общей обороны. Намек на это предположение содержится в сообщении о том, что «на некоторых укрепленных пунктах на горах показались новые враги». И именно это обстоятельство заставило эллинов заняться приготовлениями к отступлению. Каждый из воинов вырывал находившиеся около него колья (заостренные на конце бревна палисада).» (22) Когда они начали отступать, то из внутренней части города выбежала масса врагов с плетенными щитами и копьями; в поножах и пофлагонских шлемах, а другие взобрались на дома, стоявшие по обе стороны дороги к акрополю, (23) так, что было небезопасно преследовать врагов к воротам, ведущим туда; они сбрасывали сверху большие бревна, и нельзя было без риска ни стоять на месте, ни отступать. Приближавшаяся ночь была страшна.

(24) Однако пока они сражались в трудных условиях, некий бог послал им средство к спасению. Внезапно, видимо, от поджога, воспламенился дом на правой стороне дороги. Когда он рушился, все враги, находившиеся у домов на правой стороне улицы, бежали. (25) Как только Ксенофонт понял это указание судьбы, он приказал поджечь дома и с левой стороны дороги, и они быстро запылали, так как были деревянными. (26) Враги бежали и от этих домов. Теперь вызывали опасение только враги, находившиеся у входа в акрополь, и было ясно, что они будут наседать при отступлении эллинов и при спуске. Тогда Ксенофонт приказал всем стоящим вне выстрелов солдат сносить бревна в свободное пространство между эллинами и неприятелем. Когда бревен набралось достаточно, их подожгли; подожгли также дома у полисада, чтобы враги занялись ими. (27) Таким образом, эллины, наконец, удалились из укрепленного места благодаря огненной преграде, отделившей их от врагов. Весь город сгорел: дома башни, полисады и все прочее, кроме акрополя»[34].

Огромную ценность для истории архитектуры представляют сведения, которые дает Ксенофонт, об характере и использовании естественного рельефа о планировке населенных мест, и сведения о характере объемно пространственного решения отдельных домов. М. И. Максимова — переводчица и комментатор текста «Анабасиса» отмечает, что Ксенофонт очень последователен в изложении общей сюжетной линии рассказа, не позволяя себе необоснованных отступлений от основной темы, описания трудного военного похода эллинов. От этого правила Ксенофонт отступает только в тех случаях, когда она наталкивается на явления и события, поражающие его воображение как нечто необычайное, из ряда вон выходящее[35].

Описание военного похода эллинов Ксенофонтом является основным источником для изучения военного дела в древней Греции. Но не менее важны его краткие характеристики по другим вопросам: географии, климату, флоре, фауне, этнографии и архитектуре. Описывая горную местность, занимаемую дрилами, Ксенофонт указывает, что они жгли укрепленные поселения, которые, по их мнению, могли быть за-

---

[34] Ксенофонт, кн. V, гл. II. стр. 132.

[35] М. И. Максимова, Местное население Юго-восточного причерноморья по «Анабасису» Ксенофонта. Дрилы и моссиники. ВДИ, 1951, № 1, стр. 250—262.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

хвачены эллинами, и уходили в более неприступные места. Отсюда следует вывод, что у дрилов, существовали различные системы организации укрепленных поселений. Одно из таких сильно укрепленных мест, как раз и описывается Ксенофонтом, оно оказалось настолько крепким орешком, что греки не смогли овладеть им и вынуждены были отступить. Прежде всего, со стороны входа в город у дрилов был вырыт глубокий ров, над ним возвышался земляной вал, на котором были воздвигнуты близко друг от друга стоящие деревянные башни. Между башнями был сооружен частокол-полисад из бревен. В этом оборонительном валу имелись ворота, которые эллины, в результате штурма, захватили.

Затем Ксенофонт сообщает, что неожиданно для эллинов, вокруг города, на горах, оказались укрепленные пункты с воинами, а внутри самого города обнаружился совершенно неприступный акрополь. От внешних ворот города и оборонительного вала вела улица к акрополю. Эта улица по нашему предположению — главная, была застроена с обеих сторон деревянными домами.

По тексту «Анабасиса» укрепленный пункт дриллов имел все характерные черты планировки античного города, и именно: ров, укрепленный вал, ворота в этом валу, главную дорогу (магистраль), соединяющую вход в город с акрополем и, наконец, сам акрополь, расположенный в черте города на самом высоком и неприступном месте. Но более вероятно, что мы имеем дело с описанием хорошо организованного укрепленного места, а не города в греческом понимании, каким был, скажем, Трапезунт, находившийся рядом.

Греки ассоциировали башенную форму с городскими или крепостными укреплениями, башенный характер рядового жилища, из которого в основном складывались укрепления селения дрилов, была им чужд. Можно предположить, что Ксенофонт столкнувшись с незнакомой для него структурой поселения, при описании, придерживался привычных представлений. Возможно, что грекам, для поднятия престижа, хотелось причислить укрепленное поселение, которое им не удалось покорить, к рангу города.

Описание сражений внутри города, между валом и акрополем, дает, отчасти, возможность представить себе структуру улицы, характер застройки. В городе существовали дома, башни, ограждения. Далее из текста следует, что башни на валу стояли близко друг от друга — на непривычном для опытного глаза стратега Ксенофонта расстоянии. Башни на валу очевидно являлись не только стратегическими, оборонными, но входили также в жилые ансамбли, стоящих рядом домов.

При описании одного из завершающих боевых эпизодов у дрилов, Ксенофонт сообщает, что случай натолкнул эллинов на мысль о применении огня, когда их теснили дрилы, как со стороны внутренней части города, так и со стороны домов, стоящих по обе стороны дороги к акрополю. С крыш этих домов дрилы сбрасывали на эллинов бревна. Заканчивается описание этой битвы сообщением, что весь город сгорел: дома, башни, палисады и все прочее, кроме акрополя. На основании анализа текста II главы V книги «Анабасиса», которая целиком посвящена дрилам, можно сделать вывод, что все дома, башни, палисады и другие постройки у дрилов строились из бревен (табл. II, IV, V).

Из Трапезунта греки направились в эллинский город на берегу моря — Керасунт, и на третий день дошли до него. За Керасунтом греки подошли к земле моссинойков. Это племя представляет большой

ეროვნული ბიბლიოთეკა

Карта похода греческих наемников Кира




ТАБ. I

ეროვნული ბიბლიოთეკა



Рис. 1 и 2. Различные типы построек колхо-моссиникских бревенчатых стен.

Рисунки Г. Лежава

ეროვნული ბიბლიოთეკა




Рис. 1, 2, 3, 4 и 5.

Различные типы колхо-моссиникских жилых построек.

1. Витрувиано-колхидская жилая башня с центрично-венчатым (пирамидальным покрытием).
2. Бревенчатый однокамерный жилой дом «Джаргвала» горизонтально венчатым покрытием.
3. Жилища из тросника.
4. Четырехугольное в плане жилище типа «Пацха» из плетенки.
5. Круглое в плане жилище типа «Пацха» из плетенки.

Рисунки Г. Лежава.

ТАБ. IV

ეროვნული ბიბლიოთეკა



Колхо-моссиникское поселение по Ксенофонту.

Рисунок Г. Лежава

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ





Колхо-моссиникское поселение по Ксенофонту

ეროვნული ბიბლიოთეკა



Поселения колхов на Фазисе по Гипократу

Рис. 1. План острова

Рис. 2. Разрез острова

Рисунки Г. Лежава

ეროვნული ბიბლიოთეკა



Долина реки Риони. На переднем плане долбленая лодка.
Художник П. Франкен
(70-е годы XIX в.)

ТАБ. VII

ბიბლიოთეკა

интерес, начиная с названия, греческого происхождения, которое означает «люди, живущие в моссинах». Моссины — высокие деревянные дома (башни) этого племени[36]. Одни представители этого племени жили в лесистых горах, другие у подножья этих гор, в прибрежном районе. Моссинойки, живущие в горах, враждовали с моссинойками прибрежного района. Греки воспользовались этим племенным конфликтом, и когда горные моссинойки отказались пропустить эллинов через свою территорию («Они полагались на неприступность своих укрепленных мест»)[37], греки заключили военный союз с прибрежными моссинойками.

«(10) Они (прибрежные моссинойки) ответили: «Мы можем вторгнуться во враждебную нам область с противоположной стороны, а сюда прислать вам лодки и людей, которые помогут вам и укажут дорогу». (11) Дав и получив в этом клятву, они удалились. А на следующий день они прибыли на 300 долбленных лодках, причем в каждой лодке находилось по три человека. Два из них высаживались на берег и строились в боевом порядке, а один человек оставался в лодке... (14) Один из них начал петь и все двинулись вперед, шагая в такт распеваемой песне. Пройдя сквозь ряды эллинских гоплитов, они прямо устремились на врагов, на то укрепленное место, которое казалось наиболее доступным для нападения.

(15) Последнее было расположено впереди города, называвшегося главным городом моссинойков, где находился их акрополь. Из-за него-то и происходила война, так как считалось, что владеющие акрополем являются тем самым и господами всех моссинойков, а передавали будто теперешние его обладатели владели им не по праву, но пользовались преимуществом, захватив силой это общее достояние»[38].

Штурм был отбит, во время этой операции погибло много нападающих. По признанию Ксенофонта «Ничего подобного еще не случалось за все время похода»[38]. Следующее наступление, где войско состояло в основном из греков, увенчалось успехом. Сначала был взят укрепленный пункт перед городом, а затем и сам город с акрополем.

«(26) Но поскольку эллины не отступили и продолжали идти вперед, варвары бежали также и из этого пункта и оставили его, предварительно предав огню. А их царь, который пребывал в деревянной башне, построенной на самом высоком месте города, причем моссинойки кормят его на общественный счет, пока он сидит там под охраной, не захотел покинуть ее, так же как и тот (царь), который находился в прежде взятом укреплении, и оба сгорели там вместе с деревянными башнями[39].

Описание укрепленных пунктов и городов моссинойков и дрилов имеют много общего. В обоих случаях описывается город, с находящимися в нем акрополем и укрепленные пункты с деревянными башнями. Важные сведения дает Ксенофонт о расположении моссинойских поселений: «(30) Эллины подкрепились там пищей и пошли дальше, передав укрепленное место своим союзникам моссинойкам. Все легко доступные укрепленные места сторонников враждебных эллинам моссинойков при походе эллинов либо оставлялись жителями, либо доб-

36 См. примечание к книге V. 16. Ксенофонт, Анабасис, перевод М. И. Максимовой, стр. 277.

37 Ксенофонт, кн. V, гл. IV (I), стр. 135.

38 Ксенофонт, кн. V, гл. IV. стр. 136, 137.

39 Ксенофонт, кн. V, гл. IV. стр. 138.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ровольно сдавались (31). А большая часть укрепленных мест была именно такова. Они отстояли друг от друга стадий на 80, одни больше, другие меньше. Жители их перекликаются между собой, и крик слышен от одного города до другого, — до такой степени эта страна изобилует возвышенностями и глубокими ущельями»[40].

Этот рассказ дает общее представление о характере расселения моссинойков в горно-холмистом районе, испещренном глубокими каньонами. Населенные пункты располагались, в основном, на расстоянии 80 стадий друг от друга, что составляет 14 км. Следует учитывать, что расстояния по прямой между населенными пунктами могли быть и в 3—5 км. Удлинение дороги в два—три раза естественно в гористой местности из-за неизбежных серпантинов.

Из текста «Анабасиса» ясно, что общественный строй, хозяйственная жизнь, организация и форма поселений у кордухов, армян, халибов, колхов, дрилов и моссинойков вызывали удивление у эллинов. Пытаясь приспособиться к обычным для грека представлениям, Ксенофонт называет царем скорее всего вождя племени. Находясь в горах, где высота главного хребта достигает 4 000 м, дрилы и моссиники жилы в почти недоступных местах, рельеф которых во многом напоминает Сванетию.

Разобщенные горными хребтами, замкнутые обособленные районы позволяли вести длительный исторический период оседлый образ жизни сохраняя реликтовые формы общественных отношений на стадии разложения общинно-родового строя, в непосредственной близости от рабовладельческих городов типа Трапезунта и др. Непрерывные угрозы извне, а также внутриплеменные и родовые конфликты вынуждали их создавать укрепленный тип жилища и поселения. Башенный тип массового индивидуального оборонного жилища мало чем отличался от жилища вождя «царя», ограниченная власть которого находилась под контролем племени.

Нельзя не сравнить башенное жилище, описанное Ксенофонтом, с существовавшими (и существующими) жилыми башенными ансамблями Кавказа — в Дагестане [41,42,43], Чечено-Ингушетии[44,45,46], Северной Осетии[47] и в особенности с горной Грузией[48,49], где наиболее полно представлен этот тип жилища в Верхней Сванетии[48,50].

---

40 Ксенофонт, кн. V, гл. V. стр. 139.

41 Н. Б. Бакланов, Архитектурные памятники Дагестана, Л., 1935, стр. 9—10.

42 З. А. Никольская, Из истории аварского жилья, СЭ, 2, 1947, стр. 155—166.

43 Б. А. Калоев, Поселения и жилища агулов. Кр. сообщ. Ин-та этнографии, XXIII, М., 1955, стр. 34—45.

44 Л. П. Семенов, Археологические и этнографические разыскания в Ингушетии в 1925—1932 гг., Грозный, 1963, стр. 190.

45 А. И. Робакидзе, Жилище и поселения горных ингушей, КЭС, Тбилиси, 1968, стр. 41—118.

46 Е. И. Крупнов, К истории Ингушетии, ВДИ 2/7 1939, стр. 82—83.

47 Н. Ф. Такоева, Из истории осетинского горного жилища, СЭ, 3, 1952, стр. 187—190.

48 Г. И. Лежава, М. И. Джандиери, Архитектура Сванетии.

49 М. И. Джандиери, Г. И. Лежава, Архитектура горных районов Грузии, М., 1940.

50 Л. И. Лавров, Расселение сванов на Северном Кавказе до XIX в. Кратк. сообщ. Ин-та этнографии, X, 1950, стр. 77—83.

ეროვნული ბიბლიოთეკა

До Великой Октябрьской социалистической революции в Верхней Сванетии существовали остаточные явления раних социальных отношений. Географическая изолированность, слабое экономическое развитие, способствовали консервации осталых форм хозяйствования. Горные цепи и их отроги разрезают территорию на множество изолированных районов. Даже отдельные горные долины в Сванетии разделены перевалами. Изучение и анализ сванских ансамблей Грузии помогли понять и дополнить сообщаемые Ксенофонтом и Витрувием сведения о структуре укрепленных селений и башен дрилов, моссинойков и колхов.

Описанные Ксенофонтом деревни, где большая часть домов имела башни, соответствует существующему в Сванетии, и наиболее характерному для нее, массовому типовому жилому дому с башней. Многократное повторение этой композици в различных вариантах характерно для всех сванских селений. В Сирии — Батлер[51] фиксирует башенные типы укрепленного жилища в южном Хауране, в Умм Иль-Кутене и других районах, датируя предположительно эти комплексы II—I вв. до н. э., он относит их к набатейскому периоду. Древний арабский народ набатеев в Южном Хауране[52], имел укрепленный тип жилища башенного типа в нескольких вариантах: 1) с башнями, стоящими рядом с домом, 2) с башнями, примыкающими к дому и 3) с башнями, представляющими повышенную часть дома.

Ксенофонт описывает, в основном, горные районы и только достигнув моря, он сообщает, что племя колхов и моссинойков занимало, как горную, так и равнинную низменную территорию. Моссинойки приплывают к грекам на 300 лодках с 600 воинами и 300 лодочниками.

Рассказ Ксенофонта о моссинойках живущих в низменных местах, перекликается с сведениями Гиппократа, который в своем сочинении «О воздухе, водах и местностях» так описывает жителей Фазиса (колхские племена): «(22) Что касается до местностей по Фасису, то страна эта болотистая, жаркая, сырая и лесистая. Там во всякое время года бывает много сильных дождей. Люди проводят свою жизнь в болотах, их деревянные или тростниковые хижины построены на воде: они мало ходят пешком, только в городе или на рынке, а обыкновенно разъезжают на однодеревках вверх и вниз по каналам, которых там множество»[53].

Сопоставление текстов Гипократа и Ксенофонта показывает, что в обоих случаях мы имеем дело с широко развитой сетью водных магистралей. Иначе откуда могло появиться у моссиноиков 300 лодок. Лодки долбленные, как у живущих по Фасису, так и у моссинойков.

Художник Франкен (путешествовал по Грузии в семидесятых годах прошлого столетия) в картине «Берега Риони», находящейся в Музее искусства Грузии, изобразил на фоне огромных деревьев долбленную лодку. В его время такие лодки еще встречались в Грузии (табл. VII), в настоящее время они, по-видимому, не сохранились[54].

---

[51] Batler, Ук. соч., кн. II, стр. 80—112.

[52] С. А. Кауфман, Об архитектуре древнего арабского народа набатеев и ее роли в развитии античной архитектуры, М., 1961.

[53] Гиппократ, В. В. Латышев, Известия древних писателей о Скифии и Кавказе, ВДИ № 2, 1947, стр. 295.

[54] М. Гегешидзе, Водный транспорт в Западной Грузии, «Мимомхилвели», т. III, 1953, стр. 239.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Нижняя часть бассейна реки Риони — современная колхидская долина была заселена колхами. Н. Хоштария занималась археологическими раскопками в районе колхидской долины. Объектом исследования были разбросанные в лесах и болотах, невысокие искусственные земляные холмы, которые местное население называет «Диха-Гудзуба», что в переводе означает «выпученная земля» Н. Хоштария так их характеризует:

«Диха-Гудзуба» представляет из себя искусственно насыпанный холм, высотою в несколько метров и диаметром до 100 метров. Диха-Гудзуба обычно расположены группами: центральный из них более высокий... Каждый из «Диха-Гудзуба» окружен валом и каналом. Все эти каналы соединены между собой и вместе с рекой составляют одну систему... Расположенные на искусственных холмах (Диха-Гудзуба) поселения, окруженные каналами, представляют в то же время по-видимому и своеобразные неприступные крепости, которые отлично защищали жителей и собранное там добро. Каналы служили также, в условиях заболоченности и непроходимости лесов, отличным средством сообщения. Каналы защищали людей и скот от диких зверей... В холмах «Диха-Гудзуба» обнаружены сделанные из деревянных бревен остатки построек. Возможно здесь были такие типы построек, какие греки называли моссинами или «Крепость-Башня» (Цихе-Кошки)[55].

Археологические раскопки подтвердили сведения Гипократа и предположение Н. Хоштария о существовании древнейших типов поселений в колхидской низменности.

На основании имеющихся данных делается попытка восстановить предположительно возможный характер застройки «Диха-Гудзуба» (табл. VI). Островок представлял из себя более или менее правильный круг диаметром в 100 м, возвышающийся над водой на несколько метров. По периметру островка, с отступом в 15—20 метров, устраивался бревенчатый частокол, внутри которого, на площади, примерно в 3000 $м^2$ размещалось поселение. Не подлежит сомнению, что застройка была компактной, так как каждый метр искусственно созданного островка представлял большую ценность.

Застройка такого островка могла состоять: 1) Из бревенчатых однокамерных квадратных или прямоугольных в плане домов с двухскатной кровлей, 2) Из бревенчатых домов башенного типа, 3) Из плетеных круглых и четырехугольных в плане домов типа пацха.

Традицию островного поселения приводит Арханжело Ламберти в описании Мингрелии, где он прожил 16 лет.

«Абхазы не проживают в городах и крепостях, они собираются вместе десять или двадцать семей одной фамилии, выберут подходящее место, строят там добротные «Пацхи» и покрывают крышу болотной травой. Выбранное место окружают крепким плетеным забором и глубоким рвом. Забор и ров делают потому, что боятся нападения[56].

Комментируя «Анабасис» Максимова на основании работ В. Бузескула, С. А. Жибелева и С. Я. Лурье[57] приходит к выводу, что

[55] Н. Хоштария, «Диха-Гудзуба» древние поселения колхидской долины, Изв. Акад. наук ГССР, т. V, № 2, 1944, стр. 209—210.

[56] Арханджело Ламберти, Описание Мингрелии, Тб., 1938, стр. 168 (на грузинском языке).

[57] См. Бузескул, Введение в историю Греции, СПб, 1915, стр. 112 и сл. С. А. Жебелев, Древняя Греция, Пгр., 1920, ч. I, стр. 46 и сл., С. Я. Лурье, Предисловие к переводу «Греческой истории» Ксенофонта. Л., 1935; В. С. Сергеев, История древней Греции. М., 1948, 25 и сл. (Засвидетельствование Максимовой).

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

«Историческая наука, путем проверки данных, сообщенных Ксенофонтом и другим первоисточникам, пришла к положительной оценке этого писателя как историка. Современная историческая критика подчеркивает, что несмотря на определенную тенденциозность, сочинениям Ксенофонта свойственна высокая степень исторической достоверности, так как в огромном большинстве случаев автор точно и с полным пониманием дела передает события и факты, особенно когда речь идет о лично им виденном и пережитом»[58]. Достоверность и обширность сведений позволяет считать «Анабасис» основным источником для воссоздании образа древней деревянной архитектуры Грузии.

На протяжении более девяти веков античные авторы, историки, географы, политические деятели, наряду с многочисленными с ведениями о памятниках материальной культуры на территории Закавказья, сообщают также о существовании деревянных бревенчатых укрепленных жилищ башенного типа.

Гекатей Милетский в трактате «Землеописание», написанном в конце VI в до н. э. первый из античных авторов упоминает о моссиноиках[59].

Сведения о моссинойках — людях живущих в высоких деревянных башнях сообщаются в книге «О чудесных слухах» (авторство, которой приписывалось ранее Аристотелю)[60]; и в книге «Азия» Скилак Карианского (предположительно написанной в 356 — 335 гг. до н. э.)[61]. В описаниях «Походов аргонавтов», Аполлон Родосский неоднократно упоминает моссинов живущих в деревянных башнях, которые называются моссинами[62]. И далее сообщает: «1009—1032... За ними аргонавты миновали святую гору и страну, в которой моссиники живут на горах в «моссинах», от которых и получили свое название... А в самом высоком моссине сидит у них царь и творит правый суд своему многочисленному народу; но положение его жалко: если он при суде допустит в чем-нибудь ошибку, то его запирают и целый тот день томят голодом»[63]. Из приведенного отрывка следует, что башенное жилище «царя» мало чем отличалось от рядовых башен и что власть его носила ограниченный характер. В схолиях к Аполлонову «Походу Аргонавтов» сведения о моссиниках повторяются[64]. В учебнике для школ (написанному по предположению Мюллера, для школ около 90 г. до н. э.), в главе «Азия» описываются высокие деревянные башни моссинойков и указывается, что «... царя своего, скованного и запертого в башне, они прилежно стерегут в самом верхнем этаже»[65]. Николай Дамасский в сочиненье «Свод страных обычаев» написанном в I в н. э. включает сведения о моссинах содержащих царя запертым в башне[66].

Более чем через четыре века после Гекатея Милетского — в XII книге Географии в главе «Из описания Понтийского царства»

---

58 Анабасис (Максимова, Комментарии к Анабасису, стр. 238).

59 Гекатей Милетский (В. В. Латышев, Известия древних писателей о Скифии и Кавказе», ВДИ, т. I, 1947, стр. 298—299).

60 Аристотель (В. В. Латышев, ВДИ т. 2, 1947, стр. 327—328).

61 Скилак Карианский (В. В. Латышев, ВДИ т. 3, 1947, стр. 242).

62 Апполон Родосский (В. В. Латышев, ВДИ т. 3, 1947, стр. 280).

63 Там же, стр. 281.

64 Схолии к Аполлониеву «Походу Аргонавтов» (В. В. Латышев, ВДИ, т. 3, 1947, стр. 288).

65 Безымянный автор (В. В. Латышев, ВДИ, т.3, 1947, стр. 313).

66 Николай Дамасский (В. В. Латышев, ВДИ т. 4, 1947, стр. 176).

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

Страбон подтверждает существование моссинойков живущих в башнях[67].

Сведения Гипократа и Ксенофонта о поселениях на воде в низовьях рек у колхов и моссинойков, Страбон дополняет сообщением о поселении на воде у массагетов[68].

В пересказе «Анабасиса» Диодором Сицилийским, во второй половине I в до н. э. имеются дополнительные сведения о 7 этажных башнях и суровом режиме содержания царя[69].

Дионисий Галикарнийсский, в сочиненьи «Римские древности» сообщает о том, что моссиники жили в свайных башенных постройках[70]. Дионисий в сочинении «Описание населенной земли» в главе «Народы Закавказья» упоминает о народах имеющих деревянные моссины[71].

Евстафий в комментариях к «Землеописанию» Дионисия, написанных между 1170—1175 указывает, что Дионисий и Страбон сообщают о моссиниках, живущих в деревянных башнях[72]. Сообщение о людях, живущих в башнях вызывает интерес и у средневекового писателя.

Арриан в 134 г. плавал по Понту до Диоскуриады. Об этой поездке он представил отчет императору Адриану, в котором имеются много географических и этнографических сведений[73].

В сочинении «Объезд Евксинского понта», которое предположительно приписывается Арриану или безыменному автору, жившему в V в н. э. сообщается: «От Фарнаки, прежнего Керасунта, до окрестности Котиора прежде жил народ, называвшийся моссиниками, по обычаям, законам и делам совершенно варварский: говорят, что все они живут в деревянных, очень высоких башнях, и всегда все делают открыто; царя же своего, скованного и запертого в башне, где он занимает самое верхнее помещение, прилежно стерегут; стерегущие его смотрят за тем, чтобы он все приказывал делать по закону; если же он переступит закон, то говорят налагают на него величайшее наказание, не давая ему пищи»[74].

Возможно, что эти сведения составлены безымянным автором компилятивным путем, но для нас, этот отрывок представляет интерес как еще одно свидетельство стойкости представлений греческих авторов о деревянной башенной архитектуре у моссиников.

Широкое распространение башенной формы жилища в древней Грузии нашло отражение и в специальной латинской литературе, где в знаменитом трактате «10 книг об орхитектуре», зодчий Витрувий описывает деревянную бревенчатую жилую башню в Колхиде.

«У колхидян на Понте, благодаря изобилию лесов, кладут лежмя на землю цельные деревья справа и слева на таком расстоянии друг от друга, какое допускает длина деревьев, а на концы их помещают другие, поперечные, замыкающие внутреннее пространство жилища. Затем, скрепляя по четырем сторонам угла положенными друг на друга бревнами и таким образом выводят бревенчатые стены

---

67 Страбон. (В. В. Латышев, ВДИ, т. 4, 1947, стр. 235).

68 Там же, стр. 229.

69 Диодор Сицилийский (В. В. Латышев, ВДИ, т. 4, 1947, стр. 261).

70 Дионисий Галикарийский (В. В. Латышев, ВДИ, т. 4, 1947, стр. 267).

71 Дионисий (В. В. Латышев, ВДИ т. 1, 1948, стр. 241).

72 Евстафий (В. В. Латышев, ВДИ, т. 1, 1948, стр. 255).

73 Арриан (В. В. Латышев, ВДИ т. 1, 1948, стр. 269).

74 Безымянный автор (В. В. Латышев, ВДИ, т. 4, 1948, стр. 277).

ეროვნული ბიბლიოთეკა

по отвесу к нижним бревнам, они возводят кверху башни, а промежутки, оставшиеся из-за толщины леса, затыкают щепками и глиной. Так же они делают и крыши: обрубая концы поперечный балок, они перекрещивают их, постепенно суживая, и таким образом с четырех сторон выводят их кверху в виде пирамид, покрывая их листвой и глиной, и варварским способом строят на башнях шатровые крыши»[75] (табл. III, рис. 1).

Витрувий описывает конструкцию простейшей пирамидально-ступенчатой, бревенчатой кровли. Латинский автор Присциан, живший в V—VI вв. в своем сочинении «Землеописание» сообщает о моссинах обитающих в деревянных башнях с бревенчатыми кровлями[76]. Эта система применялась в Грузии, как в дереве так и в камне. В башенных ансамблях Большого Кавказа (горная Грузия, Чечено-Ингушетия, Северная Осетия) пирамидально-ступенчатое перекрытие получило развитие в камне. Бревенчатые кровли в дарбази имели форму «центрично-венчатого перекрытия» (по терминологии принятой Л. Сумбадзе[77]), с устройством в центре свето-дымового отверстия, которого в колхидской башне не было. Витрувий характеризует кровлю башни черепахообразной (Testudinata), в которой не могло быть никакого отверстия по смыслу самого слова.

Приведенный обзор античной литературы дополняет сведения Ксенофонта и подтверждает длительное существование в Грузии бревенчатых жилых сельских башен наряду с специально крепостными, городскими и др. башенными и безбашенными ансамблями.

На возможную генетическую связь каменных башен (Большого Кавказа с бревенчатым башенным жилищем описанным у Ксенофонта и Витрувия указывает целый ряд авторов, [78], [79], [80], [81], [82].

Л. З. Сумбадзе устанавливает общность между памятниками русского деревянного зодчества и древними системами центрично-венчатых и продольно-венчатых перекрытий в дарбази[83]. Эту общность следует распространить также и на бревенчатые башенные формы.

В заключении делается попытка иллюстрации на таблицах II, III, IV и V, в рисунках и чертежах некоторых бревенчатых построек описанных античными авторами.

---

[75] Витрувий, Десять книг об архитектуре, перевод Петровского, М., 1936. стр. 41—42.

[76] В. В. Латышев, ВДИ, т. 4, 1949, стр. 303.

[77] Л. З. Сумбадзе, Колхидское жилище по Витрувию, 1960, стр. 36.

[78] Е. П. Ковалевский, Очерки этнографии Кавказа, Вестник Европы, X, 1867, стр. 116—120.

[79] Plaetschke, Die Tschsenen Forschungen zur völkenrkunde des nordöstlichen kaukasus auf grund von reisenin der iahren 1918—20 und 1927—28. Veröpentlichung des geographischen instituts der universtüt Königsberg. И-XI—намв., 1928, 39; стр. 71—74.

[80] A. Zakharov, Etudes sur Larc'eologie de Lasie mineure et de Caucase, Reviue hittite et Asiatique, fasc. 5, X 1931 Paris. стр. 176.

[81] М. И. Джандиери, Г. И. Лежава, Архитектура горных районов Грузии, стр. 97—98.

[82] Г. И. Лежава, М. И. Джандиери, Архитектура Сванетии, стр. 18—19.

[83] Л. З. Сумбадзе, Венчатые покрытия в русском деревянном зодчестве, «Архитектурное наследство», № 10, 1958.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი მელიქიშვილი

# კლასობრივ საზოგადოებათა ტიპოლოგიური და სტადიალური კლასიფიკაცია და უძველესი კლასობრივი საზოგადოებების ხასიათის საკითხი*

უკვე რამდენიმე წელია, რაც საბჭოთა და საზღვარგარეთულ მარქსისტულ ლიტერატურაში მიმდინარეობს დისკუსია „წარმოების აზიური წესისა“ და, საერთოდ, ადრეკლასობრივი (უძველესი კლასობრივი) საზოგადოებების ხასიათის შესახებ. ანალოგიურ საკითხებზე საბჭოთა კავშირში, როგორც ცნობილია, დისკუსია წარმოებდა 20-იანი წლების ბოლოს და 30-იანი წლების დასაწყისშიც. როდესაც სურთ ხაზი გაუსვან განსხვავებას ამ ორ დისკუსიას შორის, ჩვეულებრივ აღნიშნავენ, რომ მეორე დისკუსიას საკითხის განხილვაში შემოაქვს მარქსისტული საისტორიო მეცნიერების მიერ უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგები. მაგრამ ეს არ არის ერთადერთი განსხვავება ამ ორ დისკუსიას შორის. არა მარტო და არა იმდენად კონკრეტული მასალით გამდიდრება ასხვავებს მეორე დისკუსიას პირველისაგან, არამედ ის, რომ მისთვის დამახასიათებელია საკითხის უფრო ფართო, ზოგადთეორიულ საფუძველზე განხილვა, საკითხისადმი მიდგომა საზოგადოებრივი განვითარების საერთო კანონზომიერებათა თვალთახედვით.

ახალი დისკუსიის ყურადღების ცენტრშიც აღმოჩნდა ადრეკლასობრივი საზოგადოების ხასიათისა და მისი განვითარების კანონზომიერების საკითხი, მაგრამ ხშირად ეს საკითხი ისმოდა უფრო ფართო ასპექტში და მსჯელობა წარმოებდა საერთოდ კლასობრივი საზოგადოების განვითარების კანონზომიერებათა და პერიოდიზაციის შესახებ. აქამდე ჩვენი სამეცნიერო ლიტერატურის სერიოზულ ნაკლს შეადგენდა სწორედ ის, რომ მასში იშვიათად ისმოდა საკითხი საერთოდ კლასობრივი საზოგადოების შესახებ, მისი განვითარების საერთო კანონზომიერებათა შესახებ, მაშინ როდესაც მეტად გულდასმით შეისწავლებოდა ცალკეული კლასობრივი საზოგადოებები (მონათმფლობელური, ფეოდალური, კაპიტალისტური). გულდასმით სწავლობენ ჩვენთან აგრეთვე პირველყოფილ-თემურ წყობილებას, როგორც მთლიანს, მაგრამ იშვიათად შეისწავლება ასევე მთლიანად კლასობრივი საზოგადოება და მისი განვითარების კანონზომიერებანი. ამის მიზეზს, რა თქმა უნდა, უმთავრესად ის წარმოადგენს, რომ ფორმაციათა ჩვენში გაბატონებულ სქემაში (პირველყოფილ-თემური წყობილება, მონათმფლობელობა, ფეოდალიზმი, კაპიტალიზმი, სოციალიზმი) კლასობრივი საზოგადოება — საზოგადოებრივი განვითარების

---

* წერილი წარმოადგენს იმ მოხსენების ტექსტს, რომელიც წაკითხულ იქნა ავტორის მიერ ძველი აღმოსავლეთისადმი მიძღვნილ V საკავშირო სესიაზე (თბილისი, 1971).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლასობრივი ეტაპი — წარმოდგენილია დანაწევრებულად, იჩრდილება ცალკეული კლასობრივი საზოგადოებებით და ამიტომაც იგი, როგორც მთლიანი, მკვლევართა ყურადღების გარეშე რჩება.

კლასობრივი საზოგადოება წარმოადგენს საზოგადოებრივი განვითარების ერთ-ერთ ძირითად ეტაპს. სულ ეს განვითარება სამ ძირითად ეტაპს ითვლის — პირველყოფილი უკლასო საზოგადოება, კლასობრივი საზოგადოება და განვითარებული უკლასო საზოგადოება წარმოადგენენ საზოგადოებრივი განვითარების ძირითად ეტაპებს. მარქსიზმისათვის მეტად არსებითი გაგება ფორმაციებისა, როგორც საზოგადოებრივი განვითარების (resp. მსოფლიო-ისტორიული პროცესის) ძირითადი ეტაპებისა, კარგად შეესაბამება სწორედ დასახელებულ სამ ეტაპს. ეს უკანასკნელნი განასახიერებენ გარკვეულ საფეხურებს საწარმოო ძალთა განვითარებაში, რომელთაც ორგანულად შეესაბამება საკუთრებისა და წარმოებით ურთიერთობათა გარკვეული ფორმა. ისინი წარმოადგენენ გარკვეულ საფეხურზე მდგომი საწარმოო ძალებისა და მათი შესატყვისი სრულიად გარკვეული სახის წარმოებითი ურთიერთობის ორგანულ ერთობას. ერთ-ერთი ამ ეტაპის მეორეთი შეცვლა პირველ ყოვლისა შედეგია საწარმოო ძალთა განვითარებაში მომხდარი თვისობრივი ნახტომის. პირველყოფილ-თემური წყობილება განასახიერებს ეპოქას, რომლისთვისაც დამახასიათებელია საწარმოო ძალთა განვითარების იმდენად დაბალი დონე, რომ არ არსებობს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციის, ერთი ადამიანის მიერ მეორე ადამიანის შრომის პროდუქტის მითვისების ობიექტური შესაძლებლობა. შემდეგ ადგილი აქვს დიდ ნახტომს საწარმოო ძალთა განვითარებაში — ესაა უკვე ნეოლითის ხანაში დაწყებული გადასვლა მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობაზე („ნეოლითური რევოლუცია“), ხოლო შემდეგ ლითონების დამუშავებაზე, რამაც შექმნა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციის შესაძლებლობა და განსაზღვრა საზოგადოებრივი განვითარების შემდგომ ეტაპზე — კლასობრივი საზოგადოების ეტაპზე გადასვლა[1]. საზოგადოების გათიშვა ექსპლუატატორებად და ექსპლუატირებულებად გადაიქცა განვითარების დამაჩქარებელ ფაქტორად. საწარმოო ძალთა განვითარების იმდროინდელი დაბალი დონის პირობებში საზოგადოების ერთი ნაწილის განთავისუფლება ყოველდღიური მძიმე ფიზიკური შრომისაგან საჭირო იყო არა მარტო საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმალური ფუნქციონირებისათვის, არამედ აგრეთვე წარმოადგენდა ფაქტორს, რომელიც ხელს უწყობდა მოსახლეობის ერთი ნაწილის საქმიანობას მეცნიერების, ხელოვნების და სხვა ასეთ სფეროში და, მაშასადამე, საწარმოო ძალთა განვითარებას, მატერიალურ და სულიერ ფასეულობათა შექმნას. დაბოლოს, ადგილი აქვს კიდევ ერთ დიდ ნახტომს საწარმოო ძალთა განვითარებაში (უკვე კაპიტალიზმის წიაღში მომხდარი „სამრეწველო რევოლუცია“ და შემდეგ თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია), რაც ქმნის პირობებს საზოგადოებრივი განვითარების შემდგომ, უფრო მაღალ, ეტაპზე — განვითარებული უკლასო საზოგადოების

1 საზოგადოებებისათვის, რომლებიც ვითარდებოდნენ უფრო მძიმე ბუნებრივ პირობებში, „ნეოლითური რევოლუციის“ მონაპოვრები, ჩანს, არ იყო საკმარისი ასეთი ნახტომისათვის საზოგადოებრივ განვითარებაში (კლასობრივ საზოგადოებაზე გადასვლისათვის). ასეთი როლი აქ შეეძლო შეესრულებინა, მაგალითად, რკინის მეტალურგიაზე გადასვლას, რასაც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ფრ. ენგელსი საწარმოო ძალთა განვითარების პროცესში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეტაპზე — გადასვლისათვის, რადგანაც ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია თანდათან ობიექტურად ხდება უმიზნო, უსარგებლო — საზოგადოების არც ერთ წევრს არ შეუძლია სხვისგან მიითვისოს რამე, რაც თვით არ გააჩნია.

ამრიგად, პირველყოფილ-თემური წყობილებიდან კლასობრივ საზოგადოებაზე და, შემდეგ, ამ უკანასკნელიდან განვითარებულ უკლასო საზოგადოებაზე გადასვლას განსაზღვრავს, ფორმაციათა შესახებ მარქსისტული მოძღვრების სრულიად შესაბამისად, არსებითი ტეხილები (ნახტომები) საწარმოო ძალთა განვითარების პროცესში. მაგრამ საეჭვოა, რომ ასეთსავე ტეხილებთან (ნახტომებთან) გვქონდეს ჩვენ საქმე ერთი ტიპის კლასობრივი საზოგადოებიდან, ერთი ტიპის ანტაგონისტური საზოგადოებიდან მეორეზე გადასვლის შემთხვევაშიც. აშკარაა, ყოველ შემთხვევაში, რომ არაეკონომიურ იძულებაზე დამყარებულ საწარმოო ურთიერთობათა სხვადასხვა სახის („აზიურის“, მონათმფლობელურის, ფეოდალურის) ბატონობა არაა დამოკიდებული საწარმოო ძალთა განვითარების სხვადასხვა დონესთან. საეჭვოა, რომ ძველ სამყაროში ან შუასაუკუნეებში ჩვენ შევძლოთ მივუთითოთ ასეთი შედეგების მქონე ძვრებზე საწარმოო ძალთა განვითარებაში. უეჭველია, რომ საწარმოო ძალთა განვითარების დონით ბევრი ძველი საზოგადოება (სადაც „აზიური“ ან მონათმფლობელური წარმოებითი ურთიერთობანი იყო გაბატონებული) სულაც არ იდგა ფეოდალურ საზოგადოებებზე დაბლა. ჩვენ გვგონია, არავის არ უჩვენებია საკმარისი დამაჯერებლობით, თუ როგორ ხდება მონათმფლობელობის ან „აზიური წარმოების წესის“ შეცვლა ფეოდალიზმით საწარმოო ძალთა განვითარებაში მომხდარი ნახტომის შედეგად და სახელდობრ მათი განვითარების რომელი საფეხური შეესატყვისება რომელ ანტაგონისტურ ფორმაციას[2]. თვით კაპიტალისტურ ურთიერთობათა გენეზისიც კი მსოფლიო მასშტაბით შეუძლებელია განვიხილოთ როგორც საწარმოო ძალთა განვითარებაში მომხდარი ამგვარი ნახტომის შედეგი. ასეთ ნახტომს ადგილი აქვს კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების უკვე საკმაოდ მაღალ საფეხურზე.

მარქსიზმ-ლენინიზმი საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა საფეხურებს ერთმანეთისაგან განასხვავებს არა მარტო ეკონომიური ბაზისით, არამედ სპეციფიკური, მისი შესატყვისი ზედნაშენითაც. მაგრამ განა კლასობრივი საზოგადოების (განვითარების კლასობრივი ეტაპის) ზედნაშენი არ ამჟღავნებს გასაოცარ ერთგვაროვნობას და როგორც მთელი არ უპირისპირდება პირველ-

---

[2] ამის შესახებ ლაპარაკი გვქონდა უკვე ჩვენს წინა წერილში: (იხ. გ. მელიქიშვილი, ძველი საქართველოს სოციალ-ეკონომიური წყობილების საკითხი, „მაცნე“, 1966, № 1; შდრ. Г. А. Меликишвили, К вопросу о характере древнейших классовых обществ, Вопросы истории“, 1966, № 11; G. A. Mélikichvili, Esclavage, féodalisme et mode de production asiatique dans l'Orient ancient, „La Pensée“, № 132, 1967), რამაც შარლ პარენის შენიშვნა გამოიწვია—იხ. Charles Parain, Comment caractériser un „mode de production“, „La Pensée“, № 132, 1967, გვ. 49. იგი თვლის, რომ ერთი ანტაგონისტური კლასობრივი საზოგადოებიდან მეორეზე გადასვლისას, მართალია, ადგილი არ ჰქონია ისეთ დიდ ნახტომს საწარმოო ძალთა განვითარებაში, როგორიც იყო, მაგალითად, ე. წ. „ნეოლითური რევოლუცია“, მაგრამ იყო უფრო მცირე მასშტაბის ნახტომები. მაგრამ იგი კონკრეტულად არაფერს ამბობს იმაზე, თუ რა იყო ეს „მცირე ნახტომები“, რომელთაც განაპირობეს, მაგალითად, ანტიკური მონათმფლობელობიდან ევროპულ ფეოდალიზმზე გადასვლა და ა. შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფილი უკლასო და განვითარებული უკლასო საზოგადოებების ზედნაშენს? რაოდენ ბევრია არსებითად საერთო სხვადასხვა კლასობრივ საზოგადოებათა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ წყობილებაში, რელიგიასა და მორალში, სამართლებრივ ინსტიტუტებში, ხელოვნებასა და ლიტერატურაში და როგორ გასაოცრად განსხვავდებიან მათგან პირველყოფილი უკლასო და განვითარებული უკლასო საზოგადოებების სათანადო ინსტიტუტები და იდეოლოგიის ფორმები. დაბოლოს, განა შეიძლება ერთ სიბრტყეზე დავაყენოთ ის რევოლუციური ძვრები, რომელთაც მოსდევს პირველყოფილი უკლასოდან კლასობრივ საზოგადოებაზე და კლასობრივი საზოგადოებიდან განვითარებულ უკლასო საზოგადოებაზე გადასვლა, ერთი მხრით, და რევოლუციები, რომლებიც აპირობებენ ერთი სახის კლასობრივი საზოგადოების მეორე სახის კლასობრივი საზოგადოებით შეცვლას? მართალია, ამ მხრივ ერთგვარ გამონაკლისს ქმნიან რიგი ბურჟუაზიული და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციები, რომლებიც ხშირად სოციალისტური იდეების (უკლასო საზოგადოების იდეის) დროშით მიმდინარეობენ. ცნობილია, რომ უკვე კაპიტალისტურ ურთიერთობათა განთიადზე წარმოიქმნებიან სოციალისტური მოძღვრებები და მუშათა კლასი იწყებს ბრძოლას სოციალისტური იდეებით. ამაში, სხვათა შორის, თავს იჩენს (კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებასთან დაკავშირებით) ახალ, გვიანკლასობრივ ეტაპზე გადასვლის სიმპტომები, რაც ამზადებს პირობებს საზოგადოებრივი განვითარების მესამე ძირითად ეტაპზე — განვითარებულ უკლასო საზოგადოებაზე გადასვლისათვის.

მიღებულია საზოგადოების განვითარების დასახელებული სამი ძირითადი ეტაპიდან ორის — პირველყოფილი უკლასო საზოგადოებისა და განვითარებული უკლასო საზოგადოების განხილვა ერთ სიბრტყეზე კლასობრივი საზოგადოების ცალკეულ სახეებთან და ყველა მათი ერთი და იმავე ტერმინით („ფორმაცია“) აღნიშვნა. მაგრამ პირველყოფილი უკლასო და განვითარებული უკლასო საზოგადოებები შეიძლება დავაყენოთ მხოლოდ კლასობრივი საზოგადოების, როგორც მთლიანის, გვერდით — ისინი სწორედ ამ უკანასკნელის თანაბარღირებულოვანი ცნებებია და არა კლასობრივი საზოგადოების ცალკეული სახეებისა (მონათმფლობელობა, ფეოდალიზმი, კაპიტალიზმი და სხვ.). ამიტომ არ იქნება სწორი პირველყოფილ-თემური, მონათმფლობელური, ფეოდალური, კაპიტალისტური და სოციალისტური საზოგადოებების ერთი და იგივე ტერმინ „ფორმაციით“ აღნიშვნა. საჭიროა აღინიშნოს, რომ კ. მარქსთან ჩვენ ვხვდებით, მისი ცხოვრების ბოლო პერიოდში, ფორმაცია-ტერმინის უფრო ფართო, სწორედ საზოგადოებრივი განვითარების ძირითადი ეტაპების, მნიშვნელობით ხმარებას. ჩვენს სამეცნიერო (ლიტერატურაში ყურადღება მიაქციეს კ. მარქსის მიერ ტერმინების „პირვანდელი (არქაული) ფორმაცია“ და „მეორადი ფორმაცია“ ხმარებას. „პირვანდელ ფორმაციას“ მარქსი ეძახის „საერთო საკუთრებაზე დამყარებულ საზოგადოებას“, ხოლო „მეორადს“ — „კერძო საკუთრებაზე დამყარებულ საზოგადოებას“. ამ უკანასკნელში კ. მარქსი ათავსებს „მონობაზე და ბატონყმობაზე დამყარებულ რიგ საზოგადოებებს“[3]. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ საკუთრივ კაპიტალისტური საზოგადოება გამორიცხულია „მეორადი ფორმაციისაგან“.

[3] К. Маркс, Наброски ответа на письмо В. И. Засулич, К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, Издание второе, т. 19, М., 1961, გვ. 419.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აშკარაა, რომ კ. მარქსი მას განიხილავდა როგორც საზოგადოებრივი განვითარების კიდევ უფრო მაღალ საფეხურს, ჩანს, არსებითად როგორც ერთგვარად გარდამავალი ტიპის საზოგადოებას. მიუთითებს რა ლ. მორგანზე, რომ „ახალი წყობილება“, რომლისკენაც მიემართება თანამედროვე საზოგადოება, „იქნება აღორძინება უფრო სრულყოფილ ფორმაში არქაული ტიპის საზოგადოებისა“[4], კ. მარქსი აღნიშნავს, რომ „კაპიტალისტური წყობილება ახლა (კ. მარქსი ამას წერს გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში!) როგორც დასავლეთ ევროპაში, ისე შეერთებულ შტატებში უკვე აღარაა ხელუხლებელი... იგი იმყოფება ჭიდილში მშრომელ მასებთან, მეცნიერებასთანაც, თვით საწარმოო ძალებთან, რომელსაც იგი შობს, — ერთი სიტყვით, კრიზისს განიცდის, რომელიც დამთავრდება კაპიტალიზმის მოსპობითა და თანამედროვე საზოგადოებათა დაბრუნებით კოლექტიური საკუთრებისა და კოლექტიური წარმოების „არქაული“ ტიპის უმაღლეს ფორმისადმი“[5].

ასეთია საზოგადოებრივი განვითარების ძირითადი ეტაპები, რომელთაც ფორმაციები შეიძლება ვუწოდოთ. ამგვარი ძირითადი ეტაპების გამოყოფა, როგორც ვთქვით, ყველაზე უკეთ შეესაბამება საზოგადოებრივი განვითარების საფეხურებზე კ. მარქსის მოძღვრებას[6]. ახლა შეიძლება შევეხოთ საკითხს, თუ საკუთრივ კლასობრივი საზოგადოების განვითარებაში რა ეტაპები შეიძლება გამოიყოს და როგორია ამ ეტაპების დამახასიათებელი ნიშნები. ჩვენ უკვე გვქონდა იმის შესახებ ლაპარაკი, რომ კლასობრივი საზოგადოების განვითარებაში შეიძლება გამოიყოს ადრეკლასობრივი, განვითარებული კლასობრივი და გვიანკლასობრივი ეტაპები[7]. ამათგან პირველი და უკანასკნელი არსებითად გარდამავალი ხასიათისანი არიან და გამოირჩევიან ნიშან-თვისებებით, რაც მათ აახლოვებს უკლასო საზოგადოებასთან; ასეთია კერძო საკუთრების ინსტიტუტის შედარებით სუსტი (შეზღუდული მასშტაბით) განვითარება, უშუალო მწარმოებელთა ძირითადი მასის მიერ პირადი თავისუფლების შენარჩუნება (გვიანკლასობრივში: მოპოვება), საწარმოო და საზოგადოებრივი ცხოვრების კოლექტიური ფორმების შემონახვა (გვიანკლასობრივში: განვითარება), იდეოლოგიის და სხვა ზედნაშენობრივი მოვლენების უკლასო საზოგადოების შესაბამისი ელემენტების არსებობა. განვითარებული კლასობრივი საზოგადოებისათვის კი, პირიქით, დამახასიათებელია ამ პირობებისგან მაქსიმალური დაცილება, კერძო საკუთრების ინსტიტუტის მაღალი განვითარება, უშუალო მწარმოებლის მიერ პირადი თავისუფლებისა და საწარმოო საშუალებებზე საკუთრების დაკარგვა, მოწინააღმდეგე კლასებად (ბატონებად და დამორჩილებულებად, მდიდრებად და ღარიბებად) გათიშული საზოგადოების შესაფერი იდეოლოგიისა და სხვა ზედნაშენობრივი მოვლენების არსებობა. ამრიგად, ბუნებრივია, თუ კლასობრივი საზოგადოების პერიოდიზაციის საფუძვლად, კრიტერიუმად მივიღებთ კერძო საკუთრების ინსტიტუტის განვითა-

[4] К. Маркс, Наброски ответа на письмо В. И. Засулич, К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, издание, второе, т. 19, М., 1961, გვ. 402.

[5] იქვე, გვ. 406.

[6] იხ. კონცენტრირებული სახით კ. მარქსის ნაშრომის „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ ცნობილ „წინასიტყვაობაში“ — К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. 13. М., 1959, გვ. 6—8.

[7] იხ. Г. А. Меликишвили, К вопросу о характере древнейших классовых обществ, „Вопросы истории“, 1966, № 11, გვ. 73 შმდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებასა და ანტაგონისტურ, დაპირისპირებულ კლასებად, გაბატონებულებად და დაჩაგრულებად საზოგადოების გათიშვის ხარისხს.

კლასობრივი საზოგადოება მისი განვითარების ეტაპების, სტადიალური განსხვავების ნიშნის გარდა, შეიძლება დავაჯგუფოთ ტიპოლოგიური ნიშნითაც. ამასთანავე, რადგან მარქსიზმ-ლენინიზმი საზოგადოებრივ ურთიერთობათა საფუძველს ხედავს წარმოებით ურთიერთობაში — წარმოების ბაზაზე წარმოების პირობების მფლობელსა და უშუალო მწარმოებელს შორის დამყარებულ ურთიერთობაში[8], ბუნებრივია, ეს საზოგადოებები უნდა დაჯგუფდეს სწორედ ამ ნიშნის მიხედვით. მაშასადამე, შეიძლება გამოვყოთ კლასობრივი საზოგადოების იმდენი ტიპი, რამდენი სახისაც არსებობს „ბატონობისა და მორჩილების“ ურთიერთობა (ექსპლუატაციის ფორმა), ექსპლუატირებული უშუალო მწარმოებლის რამდენი სახეობაც არსებობს. ჩვენ სამართლიანად გვეჩვენება კ. მარქსის ნაშრომებიდან მომდინარე კონცეფცია, რომელიც კლასობრივი საზოგადოების ოთხ ძირითად ტიპს ასხვავებს ერთმანეთისაგან. სამ მათგანში — მონათმფლობელურსა, ფეოდალურსა და კაპიტალისტურში — „წარმოების პირობების მფლობელი“ გვევლინება საწარმოო საშუალებების მფლობელად და ექსპლუატაციას უწევს მის სრულ საკუთრებაში (მონა), არასრულ საკუთრებაში (ყმა) ანდა სულაც მისდამი არავითარ პირად დამოკიდებულებაში არმყოფ (დაქირავებული შრომა) მწარმოებელს. მაგრამ, მათთან ერთად, საზოგადოებრივი განვითარების შედარებით ადრეულ ეტაპებზე, კერძო საკუთრების ინსტიტუტის შედარებით სუსტი განვითარების პირობებში და მეურნეობის (წარმოების) დიდი მასშტაბით, კოლექტიური ფორმით, წარმოების აუცილებლობისას, შეიძლება ჩამოყალიბდეს კლასობრივი საზოგადოების კიდევ ერთი ტიპი — ე. წ. „აზიური“. საზოგადოების ამ ტიპის დამახასიათებელი ნიშნები კარგად არის შენიშნული კ. მარქსის მიერ აღმოსავლურ საზოგადოებათა სპეციფიკის დახასიათებისას: გაბატონებული ზედაფენა აქ გვევლინება სახელმწიფოს, მისი აპარატისა და მასთან დაკავშირებულ პირთა სახით, საზოგადოების ერთიანობის განმასახიერებლად, წარმოგვიდგება როგორც საზოგადოებისა და მისი საწარმოო საქმიანობის მეთაური, მმართველი, როგორც საწარმოო საშუალებებისა და ქვეყნის მთელი სამუშაო ძალის კოლექტიური მესაკუთრე და განმკარგულებელი. ამაზეა დამყარებული ასეთი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფორმის, ხშირად მეტად სასტიკი, ესქპლუატაცია მოსახლეობის ფართო ფენებისა, აგრეთვე საზოგადოების სპეციფიკური პოლიტიკური ორგანიზაცია, რომლისთვისაც დამახასიათებელია ცენტრალიზაციის მაღალი ხარისხი და სხვ. ცნობილია, რომ კ. მარქსი მონობას, ბატონყმობასა და პოლიტიკურ დამოკიდებულებას განიხილავდა არაეკონომიური იძულების (და, მაშასადამე, ექსპლუატაციის) სამ განსხვავებულ ფორმად, ხოლო ფრ. ენგელსი აღნიშნავდა, რომ „სატრაპი ან ფაშა განასახიერებს ექსპლუატაციის მთავარ აღმოსავლურ ფორმას“. ამ საფუძველზე სამართლიანად აღინიშნება, რომ ე. წ. „აზიური წარმოების წესი“ გულისხმობს სწორედ ექსპლუატაციის ამგვარი ფორმის ბატონობას[9].

---

[8] К. Маркс, Капитал, т. III, М., 1951, გვ. 804.

[9] იხ. L. Sédov, La société angkorienne et le probléme du mode de production asiatique, „La Pensée“, № 138, 1968.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა თქმა უნდა, ზემოთქმული იმას არ ნიშნავს, რომ არსებობენ მხოლოდ საზოგადოებები, სადაც ექსპლუატაციის რომელიმე ჩამოთვლილი სახეა გაბატონებული. ასეთთან ერთად (ე. ი. „აზიური“, მონათმფლობელური, ფეოდალური, კაპიტალისტური საზოგადოებების გვერდით) შეეძლოთ ეარსებათ და მართლაც არსებობდნენ საზოგადოებები სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიური წყობილების საკმაოდ მყარი და ხანგრძლივი თანაარსებობით. განსაკუთრებით ხშირად ასეთ ვითარებას ჩვენ ვხვდებით სწორედ აღმოსავლეთში, აქ სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური სტრუქტურის ძველი ფორმების ხანგრძლივად შემონახვისა და ახალი ფორმების ნელი განვითარების წყალობით. ეს არ ნიშნავს, რომ უნდა უგულებელვყოთ ამგვარი საზოგადოების ბუნების განსაზღვრისას ამა თუ იმ ტიპის საზოგადოებისკენ განვითარების ის სუსტი ტენდენცია, რომელიც მათ ხშირად ახასიათებთ. ასეთი ტენდენციის არსებობის შემთხვევაში შეიძლება ვილაპარაკოთ ამა თუ იმ სახის კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების წინამორბედი სიტუაციის შესახებ და გამოვიყენოთ განსაზღვრებანი „წინა“ („პროტო“), ე. ი. ვილაპარაკოთ წინაფეოდალური (resp. პროტოფეოდალური), წინამონათმფლობელური (resp. პროტომონათმფლობელური) საზოგადოებების შესახებ და ა. შ.

ამგვარ სიტუაციას მოსდევს საკუთრივ კლასობრივი საზოგადოების ამა თუ იმ ფორმის განვითარების ეტაპები (მაგ. ადრეული ფეოდალიზმი, განვითარებული ფეოდალიზმი, გვიანი ფეოდალიზმი და ა. შ.).

როგორია კლასობრივი საზოგადოების განვითარების ძირითადი კანონზომიერებანი, რა ფორმებს იღებს ეს განვითარება? ფრ. ენგელსი „ანტი-დიურინგში“ ხაზს უსვამდა პირველყოფილი უკლასო საზოგადოებიდან კლასობრივზე გადასვლის ორი ვარიანტის, ორი განსხვავებული გზის არსებობას. კლასობრივი საზოგადოების — „ბატონობისა და მორჩილების ურთიერთობის“ — წარმოქმნის ერთ-ერთ გზად იგი თვლიდა ორგანიზატორული, მმართველობითი ფუნქციის მატარებელი გაბატონებული კლასის წარმოქმნას, მეორე გზად კი მონობაზე დამყარებული საზოგადოების წარმოქმნას (მონათმფლობელური საბერძნეთი, მონათმფლობელური რომი)[10].

საზოგადოებისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების ძირითადი, მაგისტრალური გზა წინაკლასობრივიდან კლასობრივისაკენ მდგომარეობს სწორედ ორგანიზატორული საქმიანობის ინსტიტუტების განვითარებაში, საწარმოო, სამხედრო თუ საკულტო საქმიანობაში ორგანიზატორული ფუნქციების მატარებელი ზედაფენის აღზევებაში და ამ ნიშნით საზოგადოების დიფერენციაციის გაღრმავებაში. ასეთი განვითარებისათვის მნიშვნელოვანწილად საფუძველი უკვე მომზადებულია წინამავალ, პირველყოფილ-თემური წყობილების სტადიაზე, სადაც უკვე ინტენსიურად მიმდინარეობს ამგვარი ორგანიზატორული ფუნქციის მატარებელი არისტოკრატიული ზედაფენის გამოყოფა. განვითარების ამ გზას კლასობრივი საზოგადოების ეტაპზე მივყავართ სწორედ „აზიური“, ხოლო შემდეგ ფეოდალური ტიპის საზოგადოების ჩამოყალიბებისაკენ. მართალია, პარალელურად მიმდინარეობს დიფერენციაცია ეკონომიურ საფუძველზეც, მაგრამ მას ასეთ საზოგადოებებში აქვს მეორეხარისხოვანი, დაქვემდებარებული მნიშვნელობა, არ წარმოადგენს მთავარს, წამ-

[10] Фридрих Энгельс, Анти-Дюринг, М., 1950, გვ. 167—169.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვანს კლასობრივი დიფერენციაციისა და კლასობრივ ურთიერთობათა განვითარებაში.

როგორც აღვნიშნეთ, ამ ნიადაგზე კლასობრივ დიფერენციაციას შეიძლება შედეგად მოჰყვეს „აზიური“ ანდა ფეოდალური საზოგადოების ჩამოყალიბება. ერთი მხრით „აზიურისაკენ“ და, მეორე მხრივ, ფეოდალურისაკენ განვითარების მიზეზი, ჩანს, უნდა ვეძებოთ განსხვავებაში წარმოებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების კოლექტიური ფორმების ხვედრით წონაში, კერძო საკუთრების ინსტიტუტის განვითარების სხვადასხვა დონეში და ა. შ. ამიტომაც განვითარების ამ გზას, როგორც წესი, უფრო ადრეულ ეტაპზე მივყავართ „აზიური“ ტიპის საზოგადოების ჩამოყალიბებამდე, რადგანაც საზოგადოებაში იმ დროს უფრო მძლავრად იჩენს თავს საზოგადოებრივი და საწარმოო საქმიანობის კოლექტიური ფორმების ტრადიციები. მაგრამ განვითარების „აზიური“ და „ფეოდალური“ ტიპები არ წარმოადგენენ რაიმე აბსოლუტურად ერთმანეთისაგან განსხვავებულს. განვითარების „აზიური“ გზა შეიძლება წარმოადგენდეს ფეოდალური საზოგადოების განვითარების საწყის ეტაპსაც. „აზიურსა და „ფეოდალურ“ საზოგადოებათა შორის განსხვავება ძირითადად სტადიალურია. პირველი ამათგანი ასახიერებს განვითარების ადრეკლასობრივს, ხოლო მეორე — განვითარებულ კლასობრივ ეტაპს. თუმცა არ იქნება სწორი, თუ „აზიური წარმოების წესს“ ჩვენ მთლიანად გავაიგივებთ ადრეკლასობრივ საზოგადოებასთან. იგი წარმოადგენს ამ უკანასკნელის მხოლოდ ერთ-ერთ სახეობას და იქმნება აღმოსავლეთის დიდი საირიგაციო საზოგადოებების სპეციფიკურ პირობებში. სხვა შემთხვევაში ადრეკლასობრივი საზოგადოება შეიძლება სხვაგვარად გამოიყურებოდეს — მასში, ექსპლუატაციის „აზიური“ ფორმების გვერდით, დიდი ხვედრითი წონა შეიძლება მოიპოვოს ექსპლუატაციის სხვა ფორმებმა (მონათმფლობელურმა, ფეოდალურმა, ნაწილობრივ აგრეთვე დაქირავებული შრომის ექსპლუატაციამაც). მაგრამ ყველა ამ შემთხვევაში წამყვანი მაინც ექსპლუატაციის „აზიური“ ანუ პროტოფეოდალური ფორმები ჩანან და განვითარება მიემართება ფეოდალიზმისაკენ. ფეოდალური საზოგადოების უშუალო მწარმოებელთა ფენა, ყმა-გლეხობა, წარმოადგენს სწორედ ადრეკლასობრივი (resp. პროტოფეოდალური, წინაფეოდალური) საზოგადოების ათასგვარი ვალდებულებების ქსელში მყოფი, მაგრამ იურიდიულად თავისუფალი, მწარმოებლების — მეთემეების უშუალო მემკვიდრეს. სახელმწიფოსა და სამხედრო-ბიუროკრატიული აპარატის მხრით რიგითი თავისუფლების (მეთემეთა) ფართო წრის ექსპლუატაცია თავისი ბუნებით ახლო დგას ადრეფეოდალურ ანდა პროტოფეოდალურ სოციალურ-ეკონომიურ ურთიერთობასთან. ცნობილია, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნებშიც კი ფეოდალიზაციის დასაწყისი ზოგჯერ უკავშირდება თავისუფალ მეთემეთა გადაქცევას სახელმწიფო-ფისკალური ექსპლუატაციის ობიექტად შემდგომში მათი ჩათრევით სამიწათმფლობელო და პირადი დამოკიდებულების სხვადასხვა ფორმაში. ფეოდალური წყობილების არსი ხომ მდგომარეობს გაბატონებული კლასის მიერ იძულების გზით უშუალო მწარმოებელთაგან ზედმეტი პროდუქტის მითვისებაში გადასახადის ან რენტის სახით და თანდათანობით მიწისა და მწარმოებლის მის საკუთრებად გადაქცევაში. თავისუფალი მეთემისაგან (გლეხისაგან) გადასახადისა და სხვა სახელმწიფოებრივ ვალდებულებათა გზით მითვისებული ზედმეტი პროდუქტი არსებითად არ განსხვავდება დამოკიდებული მოსახლეობის რენტისაგან, რომელსაც დაკარგული აქვს საკუთრების

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლება მიწაზე და პირადი თავისუფლება. ფეოდალურ ურთიერთობათა ჩამოყალიბების ამგვარი პროცესი, რომელიც შეინიშნება დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, კიდევ უფრო მკაფიოდ იჩენს თავს ფეოდალურ სოციალურ-ეკონომიურ ურთიერთობათა ჩამოყალიბებისას აზიისა და აფრიკის ქვეყნებში. ბევრგან აქ, აღმოსავლეთში, განსაკუთრებით ადრე შუასაუკუნეებში, როგორც ცნობილია, ბატონობდა მიწაზე და წყალზე საკუთრების სახელმწიფო ფორმა და სახელმწიფო მის კუთვნილ მიწაზე ნადელების მქონე მწარმოებელთა ექსპლუატაციას ახორციელებდა უშუალოდ სახელმწიფო აპარატის მეშვეობით.

ადრეკლასობრივი საზოგადოებისათვის ესოდენ დამახასიათებელი რიგითი თავისუფლების (მეთემეთა) ფართო წრის ექსპლუატაცია სახელმწიფოსა და სამხედრო-ბიუროკრატიული აპარატის მხრით თავისი ბუნებით, ამრიგად, მეტად ახლო დგას ადრეფეოდალურ თუ წინაფეოდალურ (პროტოფეოდალურ) სოციალურ-ეკონომიურ ურთიერთობასთან. ასე რომ, ადრეკლასობრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ექსპლუატაციის ძირითადი, წამყვანი ფორმები სავსებით შეიძლება განხილულ იქნან პროტოფეოდალურადაც (წინაფეოდალურად), რამდენადაც ხელსაყრელ პირობებსა ჰქმნიან გარკვეულ, საამისოდ ხელსაყრელ, ვითარების შემთხვევაში, საზოგადოების განვითარებისათვის ფეოდალიზმის მიმართულებით. მაგრამ არ იქნება სწორი, თუ ადრეკლასობრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელ ზემოდასახელებულ ურთიერთობას ჩვენ უბრალოდ ფეოდალურად ან ადრეფეოდალურად გამოვაცხადებთ, ხოლო თვით ადრეკლასობრივ საზოგადოებას — ფეოდალური საზოგადოების ერთ-ერთ სახეობად. დასახელებული ადრეკლასობრივი ურთიერთობანი გადაიქცევიან ადრეფეოდალურად და შემდეგ განვითარებულ ფეოდალურ ურთიერთობად მაშინ, როდესაც არსებითად შეიცვლება წარმოების პირობების „მესაკუთრის“ (ფართო გაგებით: ფაქტიური მესაკუთრის, გამგებლის) უშუალო მწარმოებლისადმი დამოკიდებულების ხასიათი, როდესაც პირველნი განმგებელ-მეთაურთაგან, სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელთაგან იწყებენ საწარმოო საშუალებებისა და მწარმოებლის პიროვნების ნამდვილ მესაკუთრეებად გადაქცევას. ასე რომ, ადრეკლასობრივი ურთიერთობა ჯერ კიდევ საკმაოდ შორსა დგას ფეოდალურ ურთიერთობისაგან, თუმცა უშუალოდ წინ უსწრებს მას და განვითარების ლოგიკით მისკენ მიემართება. ამიტომაც ადრეკლასობრივი საზოგადოების ზემოგანხილულ, პრაქტიკულად ყველაზე უფრო გავრცელებულ, ფორმას ჩვენ **წინაფეოდალური** ანუ **პროტოფეოდალური** შეიძლება ვუწოდოთ.

ამგვარ წინაფეოდალურ საზოგადოებებში, როგორც უკვე ითქვა, ჩვენ საქმე გვექნება ერთ შემთხვევაში „აზიური წარმოების წესის“ გაბატონებასთან, სხვა შემთხვევაში კი ექსპლუატაციის „აზიური“ ფორმები თანაარსებობენ აგრეთვე მათში საკმაოდ გავრცელებულ ფეოდალურ-ბატონყმურ და მონათმფლობელურ ურთიერთობებთან, აგრეთვე დაქირავებული შრომის ექსპლუატაციასთან.

მაგრამ ყველაფერი ეს შეეხება კლასობრივი საზოგადოების ადრეულ ეტაპზე განვითარების მხოლოდ ერთ გზას, ერთ ვარიანტს. არსებობს მეორე გზაც, თუმცა უფრო იშვიათი, რომელიც მსოფლიო ისტორიაში გამონაკლისის სახით გვხვდება. ეს გზა არსებითად გულისხმობს პირველყოფილ-თემური წყობილების მემკვიდრეობის ძირფესვიან აღმოფხვრას (ლიკვიდაციას) და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწრაფ გადასვლას განვითარებულ კლასობრივ საზოგადოებაზე. მოვლენათა ასეთ განვითარებას ვხვდებით ჩვენ, მაგალითად, ძველ ბერძნულ საზოგადოებაში. აქ მომხდარი მეურნეობის ინდივიდუალიზაცია და კერძო საკუთრების ინსტიტუტის განვითარება, ვაჭრობის, ხელოსნობის, ზღვაოსნობისა და სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარება და სხვ. განსაზღვრავს განვითარებას ამ მიმართულებით. ადგილი აქვს, ამის შედეგად, თემის თითქმის სრულ დაშლასა და თავისუფალი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის პაუპერიზაციას, გაღატაკებას. ყველაფერი ეს კარგად ამზადებს შინაგან პირობებს წარმოებაში მონური შრომის ფართო გამოყენებისათვის. ამიტომაც ამ პერიოდს, მიუხედავად მონური შრომის გამოყენების ჯერ კიდევ მცირე ხვედრითი წონისა, ჩვენ შეიძლება **წინამონათმფლობელური** ან **პროტომონათმფლობელური** ვუწოდოთ. გაბატონებული წრის ცდა სავალო კაბალის გზით მონური ექსპლუატაციის უღელი დაადგას გაღატაკებულ თანამემამულეებს, აქ სწრაფად განიცდის კრახს[11]. მათი დამონების წინააღმდეგ დაბალი ფენების ენერგიული ბრძოლა წარმატებით მიმდინარეობს და მიიღწევა პოლისის — სრულუფლებიანი მოქალაქეების თემი — სახელმწიფოს შექმნა. ამასობაში ეს საზოგადოება სულ უფროდაუფრო ახერხებს — კოლონიზაციის, არაექვივალენტური ვაჭრობის, მონების დიდი მასის ხელთგდებისა ან შეძენის გზით — ექსპლუატაციის ძირითადი სიმძიმის გატანას საზოგადოების გარეთ. ასე მიმდინარეობს ანტიკური მონათმფლობელური საზოგადოების ჩამოყალიბება. რა თქმა უნდა, ამისათვის საჭიროა აგრეთვე გარკვეული ხელსაყრელი საგარეო პირობების არსებობაც. ასეთი ხელსაყრელი პირობები მდგომარეობს ვრცელი ჩამორჩენილი გარემოცვის არსებობაში, რომელზედაც ასეთმა განვითარებულმა საზოგადოებამ შეიძლება გადაიტანოს ექსპლუატაციის ძირითადი სიმძიმე, დიდი ოდენობით ამოქაჩოს მისგან მატერიალური ფასეულობა და მოიპოვოს მონათა დიდი მასა. ამრიგად, მსოფლიოს ამა თუ იმ რაიონში განვითარების მკვეთრი არათანაბრობის შედეგად შექმნილი სიტუაცია წარმოადგენს განვითარებული მონათმფლობელური საზოგადოების ჩამოყალიბების აუცილებელ პირობას. მაგრამ ასეთი სიტუაცია იქმნებოდა მეტად იშვიათად. ამიტომაც, საგარეო პირობების მიხედვითაც, ადრეკლასობრივი საზოგადოების განვითარება განვითარებული მონათმფლობელობის მიმართულებით, იშვიათ შემთხვევას წარმოადგენს[12]. თვით ასეთი მონათმფლობელური საზოგადოება, მისთვის დამახასიათებელი სასტიკი წინააღმდეგობებისა და მანკიერების გამო (მონის შრომის დაბალი ნაყოფიერება; მონათმფლობელურ სახელმწიფოსა და მის მიერ

---

[11] როგორც ცნობილია, ძველ აღმოსავლეთშიც კი სავალო კაბალა ვერ იქცა მონათა ფენის შევსების ასე თუ ისე მნიშვნელოვან წყაროდ — იხ. А. И. Тюменев, Передний Восток и античность (Особенности социально-экономического развития) „Вопросы истории", 1957, № 6, გვ. 54, 55.

[12] ანტიკური მონათმფლობელობის გამონაკლისი ხასიათის შესახებ იხ. Г. А. Меликишвили, К вопросу о характере древнейших классовых обществ, „Вопросы истории", 1966, № 11, გვ. 75 შმდ. Е. М. Штаерман, Античное общество. Модернизация истории и исторические аналогии, კრებულში: „Проблемы истории докапиталистических обществ", кн. I, М., 1968, გვ. 647—649, 656, 667; Л. С. Васильев, И. А. Стучевский, Три модели возникновения и эволюции докапиталистических обществ (к проблеме азиатского способа производства), „Вопросы истории", 1966, № 5, გვ. 88 და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექსპლუატირებულ გარემოცვას შორის ძალთა თანაფარდობის შეცვლის ყოველდღიური შესაძლებლობა)[13] მალე ამოწურავს თავის შესაძლებლობებს და იძულებული ხდება დაუბრუნდეს საზოგადოებრივი განვითარების მაგისტრალურ ხაზს — ფეოდალიზაციას, რომელიც, თუმცა, ასეთ დროს მიმდინარეობს სპეციფიკური სახით.

კ. მარქსი თავისი ნაშრომის „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ ცნობილ „წინასიტყვაობაში“ აღნიშნავდა, რომ „საერთო ხაზებში, აზიური, ანტიკური, ფეოდალური და თანამედროვე, ბურჟუაზიული, წარმოების წესები, შეიძლება აღვნიშნოთ, როგორც ეკონომიური საზოგადოებრივი ფორმაციის პროგრესული ეპოქები“[14]. ამის მიხედვით არა მარტო ძველი, არამედ აგრეთვე შუასაუკუნეების, წინაკოლონიური ხანის, აღმოსავლეთისათვის დამახასიათებელი წყობილება[15] უნდა განხილულ იქნას როგორც „ეკონომიური საზოგადოებრივი ფორმაციის“ უფრო დაბალი საფეხური, ვიდრე ევროპული ანტიკურობა და ევროპული შუასაუკუნეები, რომ აღარაფერი ვთქვათ ახალ ბურჟუაზიულ ეპოქაზე. ეს მართლაც ასე უნდა იყოს. ძველაღმოსავლური „აზიური წარმოების წესი“ და, საერთოდ, „წინაფეოდალური საზოგადოება“, ისევე როგორც შუასაუკუნეების აზიურ-ფეოდალური საზოგადოებები („აღმოსავლური ფეოდალიზმი“), აგრეთვე ე. წ. „მომთაბარული ფეოდალიზმი“, „მთური ფეოდალიზმი“ და სხვ., განასახიერებენ რა ძირითადად განვითარების ადრეკლასობრივი ეტაპის ტენდენციებს, წარმოადგენენ, უეჭველია, უფრო დაბალ საფეხურს კლასობრივი საზოგადოების განვითარებაში, ვიდრე განვითარებული კლასობრივი (მონათმფლობელური, ფეოდალური) საზოგადოებები დასავლეთი და სამხრეთი ევროპისა. ჩვენს წინაშეა სტადიალური ხასიათის განსხვავება. განვითარების ევროპული მოდელი, დაწყებული უკვე ანტიკური ხანიდან, აშკარად წარმოადგენს წამყვან ტენდენციას მსოფლიოში — თემის დაშლა, კერძო საკუთრების ინსტიტუტის და სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის მაღალი განვითარება, კლასობრივ განსხვავებათა პოლარიზაცია, და, ამასთანავე, საზოგადოების დაბალი ფენების, ხალხის მასების მეტი აქტივობა, კლასობრივი ბრძოლის ინტენსივობა — ყველაფერი ეს ამ გზას ხდის წამყვანსა და საზოგადოებრივი განვითარების უფრო მაღალ სტადიად. განვითარების ამ გზის კიდევ ერთ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომი საზოგადოებების ურთიერთმოქმედების დიდი როლი. ეს ფაქტორი უდიდესი მნიშვნელობისა აღმოჩნდა როგორც ანტიკური მონათმფლობელური და შუასაუკუნეების დასავლეთევროპული ფეოდალური, ისე ევროპული კაპიტალისტური საზოგადოების გენეზისისას.

---

13 მონათმფლობელური საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის ვრცელი ჩამორჩენილი გარემოცვის არსებობის აუცილებლობაზე იხ. Д. В. Кузовков, Об условиях, породивших различия в развитии рабства и его наивысщее развитие в античном мире, „Вестник Древней истории“, 1954, № 1. წინააღმდეგობა მონათმფლობელურ საზოგადოებასა და ჩამორჩენილი ხალხების პირველყოფილ-თემურ გარემოცვას შორის მხოლოდ პირველი შეხედვით წარმოადგენს გარეგან წინააღმდეგობას, რადგანაც ამგვარი მონათმფლობელობა წარმოუდგენელია ასეთი, მის მიერ ექსპლუატირებული გარემოცვის გარეშე — იხ. Г. А. Кошеленко-სთან: „Вопросы истории“, 1964, № 5, გვ. 207.

14 К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. 13, М., 1959, გვ. 7—8.

15 ძირითადად ხომ სწორედ შუასაუკუნეების აღმოსავლეთის მონაცემებს ემყარება „აზიური წარმოების წესის“ მარქსისეული თეორია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშასადამე, საზოგადოებრივი განვითარების დასახელებული განსხვავებული გზები არსებითად წარმოადგენენ კლასობრივი საზოგადოების განვითარების ორ განსხვავებულ სტადიას: „წინაფეოდალური საზოგადოებები“ („აზიური წარმოების წესი“ და სხვ.) განასახიერებენ ადრეკლასობრივ საფეხურს (სტადიას) — მასში მოხდა განვითარების ამ ეტაპის დამახასიათებელ მოვლენათა კონსერვაცია, ხოლო დასავლეთევროპული და ტიპოლოგიურად მათი მიმდევი მონათმფლობელური და ფეოდალური საზოგადოებები კი — განვითარებული კლასობრივი საზოგადოების საფეხურს. ამიტომაც, ბოლოსდაბოლოს, სწორედ ეს უკანასკნელნი, მათთვის დამახასიათებელი დინამიურობის, განვითარების მაღალი ტემპის და სხვ. გამო, გახდნენ ამოსავალი კლასობრივი საზოგადოების განვითარების შემდგომ ეტაპზე — გვიანკლასობრივ ეტაპზე გადასვლისათვის.

ამრიგად, არა ყოველგვარი ფეოდალიზმი, არა მისი ყოველნაირი ფორმა წარმოადგენს სტადიალურად უფრო მაღალ საფეხურს მონათმფლობელობასთან შედარებით. ძველაღმოსავლური „წინაფეოდალური“ ანდა შუასაუკუნეების აღმოსავლეთის აზიურ-ფეოდალური საზოგადოებები, ისევე როგორც ე.წ. „მომთაბარული ფეოდალიზმი“, „მთური ფეოდალიზმი“ და სხვ., განასახიერებენ სტადიალურად უფრო დაბალ საფეხურს კლასობრივი საზოგადოების განვითარებაში არა მარტო განვითარებულ დასავლეთევროპულ და ტიპოლოგიურად მასთან ახლო მდგომ ფეოდალურ საზოგადოებებთან, არამედ აგრეთვე ბერძნულ-რომაულ განვითარებულ მონათმფლობელურ საზოგადოებასთან შედარებით.

ამა თუ იმ კლასობრივი საზოგადოების განვითარების ხარისხი უნდა განისაზღვროს იმის მიხედვით, თუ რამდენად დაცილებულია იგი ამოსავალ მდგომარეობას — წინამავალი პირველყოფილი უკლასო საზოგადოების ვითარებას — კოლექტიურ (სატომო) საკუთრებასა და საზოგადოების სტრუქტურას, ე. ი. კერძო საკუთრების ინსტიტუტის განვითარებითა და საზოგადოების ანტაგონისტურ კლასებად გათიშვის ხარისხით, ან, მეორე მხრივ, იმით თუ რამდენადაა ესა თუ ის კლასობრივი საზოგადოება ახლო მომდევნო სტადიის — განვითარებული უკლასო (სოციალისტური, კომუნისტური) საზოგადოების ვითარებასთან. სწორედ ამ კრიტერიუმის მიხედვით „აზიური“ (resp. „წინაფეოდალური“) ანდა აზიურ-ფეოდალური („აღმოსავლურ-ფეოდალური), „მომთაბარული ფეოდალური“, „მთური ფეოდალური“ საზოგადოებები განასახიერებენ კლასობრივი საზოგადოების განვითარების შედარებით დაბალ საფეხურს. ამ საზოგადოებებში კერძო საკუთრების ინსტიტუტის გარკვეული განვითარების მიუხედავად, მისი ფუნქციონირება საკმაოდ შეზღუდულია. შეზღუდულია იგი თემისა და თემური მიწათმფლობელობის ამა თუ იმ ფორმით არსებობით, შეზღუდულია ყოვლისშემძლე სახელმწიფოს არსებობით, რომელიც ჰკეტავს მხოლოდდამხოლოდ ეკონომიური პოტენციალის საშუალებით საზოგადოებაში აღზევების გზას. კლასობრივი საზოგადოების ამ ფორმაში სახელმწიფო, უმაღლესი ძალაუფლება არ უპირისპირდება მმართველობით აპარატსა და სამხედრო არისტოკრატიას, არამედ ემყარება სწორედ მათ და, ამიტომაც, არ საჭიროებს (როგორც ეს ხდება დასავლეთ-ევროპული ფეოდალიზმის პირობებში) დაყრდნობას რაიმე მესამე ძალაზე („მესამე წოდებაზე“).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასახელებული საზოგადოებებისათვის დამახასიათებელია კლასობრივი სტრუქტურის განუვითარებლობა: უშუალო მწარმოებელთა ძირითადი მასა ინარჩუნებს პირად თავისუფლებასა და საკუთრებას საწარმოო საშუალებებზე (მართალია, შეზღუდულს თემისა და ყოვლისშემძლე სახელმწიფოს მხრით). გაბატონებულ კლასს კი, მიუხედავად მისი მთელი ეკონომიური კეთილდღეობისა და საზოგადოების ფართო ფენებზე სრული ძალაუფლებისა, მაინც არ ძალუძს შეაბას ისინი მისდამი მემკვიდრეულ პირად და ეკონომიურ დამოკიდებულებაში. ამაზე ზრუნავს აგრეთვე ყოვლისშემძლე უმაღლესი ხელისუფლება, რომელიც შეგნებულად აბრკოლებს ფეოდალიზაციისა და ფეოდალური დეცენტრალიზაციის პროცესის განვითარებას. ეს ხელისუფლება, თავისი მუდმივი მისწრაფებით შეინარჩუნოს მისთვის ხელსაყრელი status quo, საერთოდ ეწინააღმდეგება კლასობრივ სტრუქტურაში რაიმე არსებით ცვლილებებს, რაც განსაზღვრავს ამ ტიპის საზოგადოებათა განვითარების მეტად სუსტ ტემპს.

ამ ტიპის საზოგადოებებთან შედარებით, უეჭველია, კლასობრივი საზოგადოების განვითარების უფრო მაღალ საფეხურს განასახიერებენ როგორც ანტიკური მონათმფლობელური, ისე დასავლეთევროპული ფეოდალური საზოგადოებები. უკანასკნელთ მათგან ასხვავებს, პირველ ყოვლისა, კერძო საკუთრების ინსტიტუტის უფრო მაღალი განვითარება. ამასთანავე, კერძო საკუთრების ინსტიტუტის განვითარების დონით, ანტიკური საზოგადოებები მაღლაც კი დგანან დასავლეთევროპულ ფეოდალურ საზოგადოებებთან შედარებით. მათში ამ მხრივ არსებული ვითარება უახლოვდება თვით კაპიტალისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელ სიტუაციას. მაგრამ, პოლისის შექმნა აფერხებს გაბატონებული საზოგადოების შიგნით კლასებად გათიშვის პროცესს და ყველაზე მწვავე კლასობრივი კონფლიქტი გააქვს საზოგადოების გარეთ (მონების — საზოგადოების გარეშე მდგომ პირთა — ექსპლუატაცია). დასავლეთევროპულ ფეოდალურ საზოგადოებებში კი საზოგადოების გათიშვა ანტაგონისტურ კლასებად მეტად შორსაა წასული. სამაგიეროდ, კერძო საკუთრების ფუნქციონირება აქ საკმაოდ შებოჭილია საზოგადოების ფეოდალური სტრუქტურით და მიწაზე საკუთრებისაგან მოსახლეობის ძირითადი მასის ჩამოცილებით, ისევე როგორც ნატურალური მეურნეობის ბატონობით. ამ ტიპის საზოგადოებათა ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს „მესამე წოდების“ საკმაოდ ძლიერი ფენის შექმნა, მისი გადაქცევა სამეფო ხელისუფლებისა და აბსოლუტიზმის დასაყრდენად, რაც მის პოლიტიკურ როლს დიდად ზრდის. აღნიშნული „მესამე წოდების“ იდეალად კი საზოგადოების კაპიტალისტური და, ნაწილობრივ, თვით სოციალისტური მოდელი ხდება. კულტურის ბევრად უფრო მაღალი დონე, ფეოდალებთან მუდმივ ორთაბრძოლაში ნაწრთობი ექსპლუატირებული ხალხის აქტიური როლი და სხვ. განსაზღვრავენ ამ წყობილების სწრაფ განადგურებასა და საზოგადოებრივი განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე — კაპიტალიზმზე გადასვლას. ამრიგად დასავლეთევროპული ფეოდალური საზოგადოება, რიგი კონკრეტულ-ისტორიული პირობების გამო, აღმოჩნდება ამოსავლად, უფრო ხელსაყრელ ბაზად, საზოგადოების ახალი, სტადიალურად უფრო მაღალი მოდელის შესაქმნელად.

ადრეკაპიტალისტური სიტუაცია ტიპოლოგიურად მეტად ახლო დგას ანტიკურ პროტომონათმფლობელურ სიტუაციასთან. ორივე შემთხვევაში უფ-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ლებრივად სუსტად დიფერენცირებული საზოგადოება, კერძო საკუთრების ინსტიტუტისა და სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის მაღალი განვითარების პირობებში, ინტენსიურ დიფერენციაციას განიცდის ეკონომიური ნიშნის მიხედვით, რასაც მივყავართ უშუალო მწარმოებელთა ექსპროპრიაციამდე და საზოგადოების გათიშვამდე მდიდრებად და ღარიბებად. იქმნება დიდი მოთხოვნილება სამუშაო ძალაზე. ერთ შემთხვევაში ასეთი საზოგადოება ახერხებს ექსპლუატაციის ტვირთის გადატანას სხვა საზოგადოებაზე (მონათა დიდი ოდენობით ხელთგდება, არაექვივალენტური ვაჭრობა, საგარეო ექსპანსია, კოლონიზაცია), რასაც თან სდევს თვით საზოგადოების შიგნით კონსოლიდაცია და თემი — სახელმწიფოს წარმოქმნა (ანტიკური პოლისი — თანასწორუფლებიან მოქალაქეთა პრივილეგიური კოლექტივის სახელმწიფო ორგანიზაცია). ამ გზას — პოლისსა და მონათმფლობელობას — ბოლოსდაბოლოს ეს საზოგადოება ჩიხამდე და დაღუპვამდე მიჰყავს. მაგრამ მეორე გზას — კაპიტალისტურს, მიუხედავად უკვე ანტიკურობის მიერ გამოცდილი ყველა შესაძლებლობის გამოყენებისა (შდრ. ახალი დროის კოლონიალიზმი, ამერიკული მონათმფლობელობა, არაექვივალენტური ვაჭრობის განვითარება და სხვ., კაპიტალისტური საზოგადოება ანტიკურ მემკვიდრეობას იყენებს სხვა სფეროშიც —ძველთან ბრძოლაში იგი ფართოდ სარგებლობს ანტიკური კულტურითა და იდეოლოგიით — შდრ. დასავლეთევროპული რენესანსი), საზოგადოება მიჰყავს სულ სხვა მიმართულებით — იგი, სხვა პირობების, სხვა გარემოცვის არსებობისა და ახალი ფაქტორების გაჩენის შედეგად (მრეწველობის განვითარება) გეზს იღებს საზოგადოების ეკონომიურად დამცრობილი ნაწილის ექსპლუატაციაზე და ფართოდ იყენებს მის დაქირავებულ შრომას. კერძო საკუთრების ინსტიტუტის განვითარების დონითა და მისი თავისუფალი ფუნქციონირებით კაპიტალისტური საზოგადოება ყველაზე დაშორებულია ამოსავალი ვითარებიდან (წინაკლასობრივი სიტუაციისაგან) და, ამრიგად, წარმოადგენს ყველაზე განვითარებულ კლასობრივ საზოგადოებას. მაგრამ თავიდანვე ეს წყობილება, ამავე დროს, ყველაზე ახლო დგას აგრეთვე საზოგადოებრივი განვითარების შემდგომ სტადიასთან — განვითარებულ უკლასო საზოგადოებასთან, რამდენადაც უბრუნებს ხალხს ამ სტადიისათვის დამახასიათებელ ერთ-ერთ უმთავრეს პირობას — პირად თავისუფლებას. ადგილი აქვს თუნდაც მხოლოდ ფორმალურ-უფლებრივი ნიშნით საზოგადოების წევრთა მდგომარეობის ნიველირებას, რითაც იქმნება მოსახლეობის დაჩაგრული, ექსპლუატირებული ნაწილის კლასობრივი ბრძოლის გაშლის აქამდე არნახული შესაძლებლობა. მეორე მხრით, მრეწველობის განვითარება და, შემდეგ, თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია სულ უფრო და უფრო აღრმავებს წარმოების საზოგადოებრივ ხასიათს, რაც მკვეთრ წინააღმდეგობაში ექცევა მითვისების კერძო ფორმასთან. ეს წინააღმდეგობა, როგორც ცნობილია, მარქსიზმ-ლენინიზმის მიერ მიჩნეულია კაპიტალიზმის ძირითად წინააღმდეგობად, რომელსაც იგი დაღუპვისაკენ მიჰყავს და სოციალისტური ტიპის საზოგადოების წინაპირობას ამზადებს. ამიტომაც წარმოადგენს კაპიტალისტური საზოგადოება ყველაზე განვითარებული კლასობრივი საზოგადოების გვერდით, ამავე დროს, ფაქტიურად გარდამავალი ტიპის საზოგადოებას, განასახიერებს კლასობრივი საზოგადოების განვითარების უკანასკნელ (გვიანკლასობრივ) ეტაპს. რა თქმა უნდა, გვიანკლასობრივი ეტაპის დამახასიათებელი ნიშნები განსაკუთრებით მკაფიოდ თავს იჩენს კაპიტალიზმის განვითარების შედარებით გვიან ეტაპებზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწარმოო ძალთა მძლავრ განვითარებასა და წარმოების საზოგადოებრივი ხასიათის სულ უფრო და უფრო გაღრმავებასთან ერთად.

თუკი ახლა, ზემოთქმულის საფუძველზე, დავუბრუნდებით უძველესი კლასობრივი საზოგადოებების ბუნების საკითხს, უნდა აღვნიშნოთ, რომ რა თქმა უნდა, ეს საზოგადოებები საჭიროა შევისწავლოთ ცალკ-ცალკე, ამასთანავე, ცალკეული, კლასობრივი სტრუქტურის თვალსაზრისით ხშირად ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებული, ეპოქების მიხედვით. ასეთ შემთხვევაში ჩვენ წინ გადაიშლება, უეჭველია, დიდად მრავალფეროვანი სურათი. ძველაღმოსავლურ საზოგადოებათაგან, კერძოდ, დიდად თავისებური ჩანს, ერთი მხრივ, ძველი ჩინური და, მეორე მხრივ, ძველი ინდური საზოგადოებების განვითარება. თვით მახლობელი აღმოსავლეთის ორი მეზობელი დიდი „საირიგაციო საზოგადოების“ — ბაბილონეთისა და ეგვიპტის — განვითარებაც ხშირად დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან. იმ დროს როდესაც, ძველი ეგვიპტური საზოგადოება უფრო მყარად ასახიერებს „აზიურ“ მოდელს, ბაბილონური მხოლოდ თავისი განვითარების ადრეულ საფეხურზე იძლევა „აზიური“ განვითარების მკაფიო ნიმუშებს, უფრო გვიან კი ავლენს ერთი მხრივ მონათმფლობელური და მეორე მხრივ ბატონყმური წყობის ხვედრითი წონის გარკვეულ ზრდას. ღრმა თავისებურებით ხასიათდება ვითარება ძველი აღმოსავლეთის დიდ „სამხედრო სახელმწიფოებში“ (ხეთების სამეფო, ასურეთი, ურარტუ, ქალდეური ბაბილონი და სხვ.), სადაც დიდ ხვედრით წონას იხვეჭს ნახევრადმონური და ნახევრადბატონყმური დამოკიდებულების ფორმები. დაბოლოს, თავისი სპეციფიკით გამოირჩევა აგრეთვე ზოგიერთი ძველაღმოსავლური, საერთაშორისო საშუამავლო ვაჭრობაში ფართოდ ჩაბმული საზოგადოება (ფინიკია და სხვ.). ამათ გარდა, უნდა ცალკე გამოვყოთ აგრეთვე მცირე ადრეკლასობრივი საზოგადოებები, რომლებიც მეთოდურად მიიმართებიან „წინაფეოდალური“ (პროტოფეოდალური) განვითარების გზით.

მაგრამ, მიუხედავად მთელი ამ ნაირგვარობისა, იშვიათ გამონაკლისს გარდა, ძველაღმოსავლური საზოგადოებები ტიპოლოგიურად „წინაფეოდალურ“, ხოლო სტადიალურად ადრეკლასობრივ საზოგადოებებს წარმოადგენენ. ცოტა ხნის წინ ესოდენ გავრცელებული თვალსაზრისი მათი მონათმფლობელურობის (resp. ადრემონათმფლობელურობის) შესახებ, უეჭველია, მოკლებულია საფუძველს.

ამ საკითხის განხილვისას ძირითადი იქნება ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში უშუალო მწარმოებლის სტატუსის განსაზღვრა. სპეციალისტებს შორის აზრთა დიდი სხვაობა არ არის ძველაღმოსავლურ საზოგადოებაში წარმოების პროცესში მონური შრომის ხვედრითი წონის საკითხზე. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ იგი საკმაოდ უმნიშვნელო იყო. იმ დროის წარმოების უმთავრეს დარგში — სოფლის მეურნეობაში, კერძოდ, უცილობლად ბატონობდა თავისუფალ მწარმოებელთა შრომა. უფრო მეტად იყო მონური შრომა გამოყენებული ხელოსნობასა და მშენებლობაში, თუმცა საზოგადოებრივ სამშენებლო და საირიგაციო სამუშაოებზე, როგორც ცნობილია, ფართოდ იყენებდნენ, საერთოსახელმწიფო შრომითი ვალდებულების წესით, აგრეთვე თავისუფალთა შრომასაც. ყველაზე მეტად მონები დასაქმებული იყვნენ საშინაო მეურნეობაში, შინამოსამსახურეებად. ხშირად შეყავდათ მონები ჯარშიც (რასაც ადგილი ჰქონდა შუასაუკუნეების აღმოსავლეთშიც).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონებთან ერთად სამეფო ხელისუფლებისა და სამხედრო-ბიუროკრატიული აპარატის მხრით სასტიკი ექსპლუატაციის ობიექტს აქ წარმოადგენდა აგრეთვე ადგილობრივი თავისუფალი მოსახლეობა (გადასახადები, საირიგაციო და სამშენებლო სამუშაოები, სამხედრო ვალდებულება). ამას გარდა ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში ჩვენ ვხვდებით ნახევრადდამოკიდებულ მოსახლეობას — თემის გარეშე მდგომ ხალხს, რომელიც იჯდა სხვის (ძირითადად მეფის, მაგრამ ზოგჯერ აგრეთვე ტაძრებისა და ცალკეული დიდებულების) მიწაზე და იურიდიულადაც არასრულუფლებიანი იყო. ბაბილონეთში ამ კატეგორიის ხალხი ცნობილია, მაგალითად, „მუშქენუს“ სახელწოდებით. მათთან კავშირში შეიძლება განვიხილოთ აგრეთვე ძველ აღმოსავლეთში ფართოდ გავრცელებული „ხაბირუს“ კატეგორიის ხალხი, სხვადასხვაგვარი „სამეფო ხალხი“ და ა. შ. უფრო გვიან მწარმოებელი მოსახლეობის ასეთი ტიპი ფართოდ გვხვდება ელინისტური ხანის აღმოსავლეთში laoi basilikoi-ს („სამეფო ხალხი“) სახით. თავისი ფორმით ამ სახის ექსპლუატაცია, ჩვენი აზრით, ყველაზე ახლო დგას ფეოდალურ-ბატონყმური სახის ექსპლუატაციასთან.

წარმოდგენილი სურათი ყველაზე უფრო შეესაბამება სწორედ საზოგადოების იმ ტიპს, რომელიც ჩვენ განვსაზღვრეთ როგორც „წინაფეოდალური“ („აზიური“ საზოგადოება ან მრავალწყობიანი საზოგადოებები განვითარების წამყვანი ტენდენციით ფეოდალიზმისაკენ). მაგრამ, როგორც ცნობილია, ბევრი მკვლევარი როგორც წინათ, ისე ახლა, ძველაღმოსავლურ საზოგადოებებს მონათმფლობელურად მიიჩნევს. ამ დასკვნამდე ისინი მიდიან ხშირად ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული არგუმენტაციის საფუძველზე. ასე მაგალითად, ერთი რიგის მკვლევართა აზრით, ძველაღმოსავლური საზოგადოებები მონათმფლობელურნი (უფრო სწორად — ადრემონათმფლობელურნი) არიან იმიტომ, რომ განვითარების წამყვან ტენდენციას მათში მონათმფლობელობის ზრდის, განვითარებული მონათმფლობელური წყობილების ჩამოყალიბების ტენდენცია წარმოადგენს. სხვა მკვლევარები (მაგალითად, აკად. ი. ტიუმენევი) ამ საზოგადოებას მონათმფლობელურად თვლიან იმიტომ, რომ მოსახლეობის ძირითადი მასა — მეთემენი აქ განიცდიდნენ სასტიკ, მონურ ექსპლუატაციას.

ძველაღმოსავლურ საზოგადოებათა მონათმფლობელურობის კონცეფციის ორივე ამ ვარიანტის უსაფუძვლობაზე ჩვენ დაწვრილებით საუბარი გვქონდა ამ პრობლემატიკისადმი მიძღვნილ ჩვენს წინა ნაშრომში, რომელიც გამოქვეყნდა „მაცნეს“ 1966 წლის № 1-ში, „Вопросы истории“-ს 1966 წ. № 11-ში და ჟურნალ „La Pensée“-ს 1967 წ. № 132-ში. იქ ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა ორივე ამ მიდგომის უსაფუძვლობა. ერთი ამ თვალსაზრისთაგანი ძველაღმოსავლური საზოგადოების მონათმფლობელურ ხასიათს აფუძნებს ნამდვილი მონების კატეგორიაზე, მეორე კი მონებად აცხადებს ქვეყნის მთელ მოსახლეობას. ამჟამად მკვლევართაგან იშვიათად თუ ვინმე ემხრობა დასახელებულ ორ ვარიანტს ძველაღმოსავლური საზოგადოების მონათმფლობელური ხასიათის დასამტკიცებლად. საყოველთაოდ აღიარებული ფაქტი ნამდვილი მონების მცირერიცხოვნებისა და წარმოებაში მათი შრომის უმნიშვნელო ხვედრითი წონისა მიუღებელს ხდის ერთ-ერთ ამ ვარიანტთაგანს, ხოლო მთელი ადგილობრივი მოსახლეობის მონებად გამოცხადების შეუძლებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობა[16] უპერსპექტივოს ხდის აგრეთვე „მონათმფლობელური კონცეფციის“ მეორე ვარიანტს. სამაგიეროდ ამჟამად გავრცელებას პოულობს ძველაღმოსავლურ საზოგადოებათა მონათმფლობელური ხასიათის დასაბუთების მესამე ვარიანტი, რომლის განხილვასაც ჩვენ ქვემოთ შევუდგებით.

ეს თვალსაზრისი ამტკიცებს, რომ ძველაღმოსავლურ ქვეყნებში „თავისუფალი გლეხების“ (თავისუფალი მეთემეების) და „მცირერიცხოვანი „ანტიკური ტიპის მონების“ გვერდით არსებობდნენ მრავალრიცხოვანი „მონები ძველაღმოსავლური ტიპისა“ და სწორედ მათ არსებობაზე აფუძნებს მტკიცებას ამ საზოგადოებათა მონათმფლობელურობის შესახებ[17]. ამგვარი „ძველაღმოსავლური ტიპის მონებში“ იგულისხმებიან, მაგალითად, „გურუშები“ — ურის III დინასტიის ხანის ბაბილონეთის სამეფო მეურნეობის მუშა პერსონალი[18]. გარდა ამისა, არასრულუფლებიანი „სამეფო ხალხის“ კატეგორია — ბაბილონელების „მუშქენუ“ და სხვ., აგრეთვე მახლობელ აღმოსავლეთში ძველად ფართოდ გავრცელებული „ხაბირუს“ კატეგორიის ხალხი — უცხოელები, თავისი თემისა და ქვეყნიდან ლტოლვილნი, რომლებსაც ზოგჯერ მიწაზე სხავდნენ და დამოკიდებულ „სამეფო ხალხად“ ხდიდნენ[19]. აქვე შედიან დაპყრობილი ქვეყნებიდან გადმოსახლებული მრავალრიცხოვანი ტყვეები, რომელთაც მიწაზე სხავდნენ და ა. შ.

ამ კონცეფციის მიმდევართა არგუმენტებიდან ყველაზე შთამბეჭდავი არის, ეჭვს გარეშე, მოსაზრება ურის III დინასტიის დროინდელი სამეფო მეურნეობების მუშა პერსონალის — გურუშების მონური სტატუსის შესახებ, რაც თავის დროზე წამოაყენა აკად. ვ. სტრუვემ და გაზიარებულ იქნა ჩვენი სხვა გამოჩენილი შუმეროლოგების მიერ (აკად. ა. ტიუმენევი, პროფ. ი. დიაკონოვი). მაგრამ ეს მტკიცება არა ერთ ეჭვს იწვევს. მართალია, აღნიშნულ სამეფო მეურნეობათა არქივის ზოგი დოკუმენტით ირკვევა ისეთი მუშაკების არსებობა, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში იყვნენ აქ დაკავებული, მაგრამ ძნელია დაბეჯითებით ითქვას თუ როგორი იყო ასეთი მუდმივ მომუშავე გურუშების ხვედრითი წონა მეურნეობის მთელ მუშა პერსონალში. მართალია ვ. სტრუვე თვლიდა, რომ „დროებითი მუშახელიც“, რომელსაც სამეფო ადმინისტრაციის წარმომადგენლები გადასცემდნენ გამოსაყენებლად მუშათა ამა თუ იმ რაზმის უფროსს (ზედამხედველს) შედგებოდა მუდმივი მუშაკებისაგან[20], მაგრამ ამისი დადასტურება ძნელია. თვით ტერმინი „გურუში“

---

[16] ზოგიერთი მკვლევარი იმასაც კი ფიქრობს, რომ ძველაღმოსავლური ქვეყნების თავისუფალი მეთემეები არ შეიძლება მივიჩნიოთ არამცთუ მონებად, არამედ საერთოდ ექსპლუატირებულ ელემენტად—იხ. И. М. Дьяконов, Община на Древнем Востоке в работах советских исследователей, „Вестник Древней истории“, 1963, № 1, გვ. 33—34; შდრ. იქვე, გვ. 179 შმდ., აგრეთვე იქვე, 1967, № 4, გვ. 34.

[17] იხ. М. А. Коростовцев, О понятии „Древний Восток“, „Вестник Древней истории“, 1970, № 1, გვ. 11—12.

[18] იხ. И. М. Дьяконов, Основные черты экономики в монархиях древней Западной Азии, „Народы Азии и Африки“, 1966, № 1, გვ. 48.

[19] И. М. Дьяконов, Проблемы экономики. О структуре общества Ближнего Востока до середины II тыс. до н. э., „Вестник Древней истории“, 1968, № 4, გვ. 16 და სხვ.

[20] В. В. Струве, Новые данные об организации труда и социальной структуре общества Сумера эпохи III династии Ура, „Советское Востоковедение“, VI, 1949, გვ. 177—178.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(სრულწლოვანი მუშა-მამაკაცი), რომელიც ადრე აშკარად აღნიშნავდა თავისუფალ მეთემეებს, რომელნიც სამხედრო სამსახურსაც ასრულებდნენ და ა. შ., ურის III დინასტიის ეპოქაში იხმარება საერთოდ სამეფო მეურნეობების მამრობითი მუშა პერსონალის აღსანიშნავად მათი იურიდიული სტატუსის გაურჩევლად. ამიტომაც ამ ტერმინით აღინიშნებოდა როგორც თავისუფალი, ისე მონათა მუშა პერსონალი. მხოლოდ ზოგჯერ დოკუმენტებში ეს ტერმინი იხმარება ვიწრო მნიშვნელობით, საკუთრივ თავისუფალი მუშახელის აღსანიშნავად, და ასეთ შემთხვევაში უპირისპირდება ARAD („მონა") — ტერმინს. ასეთი ხმარებიდან ირკვევა, რომ დედაქალაქის, ქალაქ ურის მეურნეობაში მონები შეადგენდნენ მუშა პერსონალის დაახლოებით მესამედს, სხვა ქალაქების მეურნეობაში კი ისინი თითქმის სრულიად არ ჩანან[21]. ამიტომ მოხდა რომ იურიდიულად თავისუფალი მწარმოებლის — გურუშის სახელწოდება გახდა საერთოდ ამ მეურნეობათა მამრობითი სქესის მუშა პერსონალის აღმნიშვნელად. სხვაგვარი იყო ვითარება მდედრობითი სქესის მუშა პერსონალის შემთხვევაში. ამ უკანასკნელში, ჩანს, დიდად ჭარბობდნენ მონა-ქალები, რის გამოც ტერმინი GEMÉ გახდა საერთოდ მეურნეობის მდედრობითი მუშა პერსონალის აღმნიშვნელად[22]. ზოგჯერ ტექსტებში „გურუშის" მდედრობითი პარალელის სახით დგას უბრალოდ „ქალის" აღმნიშვნელი ნიშანი SAL. ი. გელბის აზრით, GEMÉ „მონა-ქალის" მნიშვნელობით იხმარება სყიდვა-გაყიდვის დოკუმენტებში, მაგრამ სამეურნეო დოკუმენტებში იგი აღნიშნავს უბრალოდ მდედრობით სრულწლოვან მუშა პერსონალს[23]. მართალია, თვით ის მკვლევარნი, რომლებიც ამტკიცებენ გურუშების მონობას, მათ მონებად თვლიან მხოლოდ „ეკონომიურად"[24] — საწარმოო საშუალებებზე საკუთრების არქონებისა და სახელმწიფო მეურნეობაში მთელი წლის განმავლობაში მუშაობის გამო, მაგრამ გარკვეული აზრით ძველი შუმერული ქალაქების უშუალო მწარმოებლები დიდი ხანია ჩამოცილებული იყვნენ ამ საკუთრებას (თუკი ოდესმე საერთოდ ფლობდნენ მას), რადგანაც მიწის ასეთ მესაკუთრეს თავდაპირველად, ჩანს, წარმოადგენდა ღმერთი (resp. ტაძარი), შემდეგ მმართველი — ენსი, დაბოლოს — მეფე. რაც შეეხება იმ იძულების ხასიათს, რომლითაც ეს ხალხი მუშაობდა სამეფო (სახელმწიფო) მეურნეობაში (დასახელებული მკვლევარნი ფიქრობენ, რომ აქ „არაეკონომიური" იძულება მოქმედებდა) — ძნელია ამ „იძულების" ხასიათზე მსჯელობა. თუკი იგი მართლა იყო „არაეკონომიური", ვითვალისწინებთ, რა, რომ დასახელებული გურუშები იურიდიულად თავისუფალ ადამიანებს წარმოადგენდნენ, არ შეიძლება დავუშვათ, რომ ეს იძულება მომდინარეობდა მწარმოებლის პიროვნებაზე საკუთრებიდან (მხოლოდ ამას შეეძლო ისინი მონებად გაეხადა!). ამიტომაც, უფრო ბუნებრივი იქნება ვიფიქროთ, რომ სამეფო მეურნეობებში ეს თავისუფალი მუშახელი მოხვდა სახელმწიფო (მუდმივი ან დროებითი) ვალდებულების აღსრულების გზით და ჩვენს წინაშე უნდა იყოს „წარმოების

---

21 А. И. Тюменев, Государственное хозяйство древнего Шумера, М.—Л., 1956, გვ. 277—279.

22 ეს ტერმინი თავისთავად „მონა-ქალს" აღნიშნავს.

23 I. J. Gelb, Glossary of the Old Akkadian, გვ. 42.

24 იქვე; И. М. Дьяконов, დასახ. ნაშრ., „Народы Азии и Африки", 1966, № 1, გვ. 48.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზიური წესისათვის“ ნიშანდობლივი ძალების მოქმედება, მისთვის დამახასიათებელი „საყოველთაო მონობით“.

უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ სამეფო მეურნეობებთან და მის მუშა პერსონალთან დაკავშირებული ბევრი საკითხი ჯერ კიდევ გაურკვეველია: როგორი იყო ამ მეურნეობათა ხვედრითი წონა საერთოდ ქვეყნის მთელ მეურნეობაში? ჰქონდათ თუ არა ამ მეურნეობაში მომუშავე თავისუფალ მწარმოებლებს თავისი, თუნდაც სულ მცირე, ნადელები? გულისხმობს თუ არა აღნიშნულ მეურნეობაში დახარჯული შრომის აღრიცხვისას მიღებული „კაცდღის“ ცნება მუშაობას მთელი დღის განმავლობაში, დილიდან საღამომდე? გააჩნდათ თუ არა ამ მუშაკებს საკუთარი ოჯახები (მათთვის „საზრდოს“ გაცემის ყოველთვიური პრაქტიკა, ჩვენი აზრით, იმ აზრს ემხრობა, რომ ისინი ოჯახებში ცხოვრობდნენ და დამოუკიდებლად ეწეოდნენ საოჯახო მეურნეობას)? და ა. შ.

ამრიგად, ურის III დინასტიის გურუშები, საეჭვოა, რომ გამოდგნენ არა მარტო საერთოდ ძველაღმოსავლური საზოგადოებების, არამედ თვით ურის III დინასტიის ეპოქის ბაბილონური საზოგადოების მონათმფლობელურობის მტკიცების ისეთ გადამწყვეტ საბუთად, როგორც ეს იყო მიჩნეული ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში.

ასეთივეა ვითარება, ჩვენი აზრით, აგრეთვე ძველი აღმოსავლეთის დიდი სამხედრო სახელმწიფოების შემთხვევაში, სადაც ჩვენ ვხვდებით დაპყრობილი ქვეყნებიდან მოსახლეობის მასიურ გადმოსახლებასა და მის დასმას სამეფო (ანდა სატაძრო და დიდებულთა კუთვნილ) მიწებზე. აქ ისინი დამოუკიდებლად, ოჯახებად აწარმოებდნენ მეურნეობას — ამუშავებდნენ მიწას (გვიანდელ ბაბილონეთში კიდევ ვაჭრობასა და ხელოსნობას მისდევდნენ) და ასრულებდნენ რიგ ვალდებულებას ბატონის (ან სახელმწიფოს) მიმართ — იხდიდნენ მოსავლის ნაწილს (გვიან ბაბილონში — შრომითი შემოსავლის ნაწილს), ზოგჯერ აგრეთვე სამხედრო-საგარნიზონო სამსახურს ეწეოდნენ და ა. შ.[25]. იურიდიულად ეს ხალხი, ჩანს, მონებად ითვლებოდა, მაგრამ მათი ექსპლუატაციის ფორმა ეკონომიურად უფრო ახლო დგას ფეოდალურ-ბატონყმურ ექსპლუატაციასთან. შეიძლება გავიხსენოთ ფრ. ენგელსის ცნობილი თვალსაზრისი, რომ ბატონყმური დამოკიდებულება არ წარმოადგენს რაიმე სპეციფიკურ შუასაუკუნოებრივ-ფეოდალურ ფორმას, რომ მას ვხვდებით ყველგან ანდა თითქმის ყველგან, სადაც დამპყრობელი აიძულებს ადგილობრივ მცხოვრებლებს მისთვის მიწა დაამუშაოს. ფრ. ენგელსის აზრით, ასეთი ვითარება იყო, მაგალითად, ძალიან ადრე თესალიაში[26]. ვფიქრობთ, ენგელსის ეს აზრი ჩვენ შეიძლება გავავრცელოთ ანალოგიურ სიტუაციაზე, როდესაც დაპყრობილი მოსახლეობა ამგვარად ექსპლუატაციას განიცდის არა თავის ძველ საცხოვრებელ ადგილას, არამედ ახალ ადგილას, სადაც იგი გადასახლებულ იქნა დამპყრობლის მიერ. ამას გარდა, მნიშვნელოვანია თვალი გავადევ-

---

[25] იხ. И. М. Дьяконов, К вопросу о судьбе пленных в Ассирии и Урарту, „Вестник Древней истории“, 1952, № 1, გვ. 92; Г. А. Меликишвили, К вопросу о хетто-цупанийских переселенцах в Урарту, იგივე ჟურნალი, 1958, № 2; И. Д. Амусин, „Народ земли“ (К вопросу о свободных земледельцах древней Передней Азии, იგივე ჟურნალი, 1955, № 2; В. А. Якобсон, Социальная структура Новоассирийского царства, იგივე ჟურნალი, 1965, № 1, გვ. 113 შმდ. და სხვ.

[26] К. Маркс, Ф. Энгельс, Сочинения, Изд. 2., т. 35, გვ. 112.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოთ განვითარების ტენდენციას — რა მოსდის ასეთ გადმოსახლებულ მოსახლეობას. სიმპტომატურია, რომ ასეთ დიდ ძველაღმოსავლურ სახელმწიფოებში შეინიშნება ადგილობრივი („საკუთარი“) და ამგვარი გადმოსახლებული მოსახლეობის უფლებრივი სტატუსისა და სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის ნიველირების პროცესი. მიწაზე „დასმული“ (ასურ. amêl šaknûtê) ტყვეები უკვე დასაწყისში დიდად განსხვავდებოდნენ ნამდვილი მონებისაგან— მათ შეიძლება ჰქონოდათ გარკვეული ქონება და ჰყოლოდათ საკუთარი მონებიც კი. მათი ქონება გადაიცემოდა მემკვიდრეობით. იხდიდნენ ისინი გადასახადებს, ასრულებდნენ სხვა ვალდებულებებს, მათ შორის სამხედრო ვალდებულებასაც. ბოლოს და ბოლოს მათი მდგომარეობის ნიველირება დანარჩენი თავისუფალი მოსახლეობის მდგომარეობასთან იქამდე მიდის, რომ ასურეთში, მაგალითად, ჭეშმარიტად მონურ მდგომარეობაში რჩებიან მხოლოდ შინამოსამსახურე მონები, წარმოების დარგში კი თანდათან ქრება განსხვავება აქ დასაქმებულ მონასა და თავისუფალ ღატაკს შორის, მიწაზე დასმული ტყვე ფაქტიურად უკვე აღარაფრით არ განირჩევა თავისუფალისაგან[27]. მკვლევარნი ლაპარაკობენ თავისუფალი სასოფლო-სამეურნეო მოსახლეობის შერწყმაზე ამგვარ დამოკიდებულ მიწისმოქმედთა ფენასთან ძვ. წ. 1 ათასწლეულში მთელი მახლობელი აღმოსავლეთის მასშტაბით[28]. ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ იმ დროსაც კი, როდესაც ძველ აღმოსავლეთში იქმნება პოტენციალური შესაძლებლობა განვითარებული მონათმფლობელური საზოგადოების შესაქმნელად (წარმოებაში მონის შრომის მასიურად გამოყენების შესაძლებლობა ტყვედ წამოყვანილთა დიდი მასის გაჩენის შედეგად), განვითარება, საბოლოო ჯამში, მიემართება არა მონათმფლობელობის ზრდის, არამედ სწორედ დამოკიდებული, „აზიური“ თუ პროტოფეოდალური ექსპლუატაციის უღელში მოქცეული მიწისმოქმედი ფენის ზრდის მიმართულებით. მაშასადამე, ამ შემთხვევაშიც გამართლებულია ძველაღმოსავლურ საზოგადოებათა მიჩნევა ტიპოლოგიურად „წინაფეოდალურ“ (პროტოფეოდალურ) საზოგადოებებად.

არ შეიძლება მონებს მივაკუთვნოთ აგრეთვე დამოკიდებულ მწარმოებელთა სხვა ისეთი კატეგორიები, როგორიცაა „მუშქენუ“, „ხაბირუ“, „სამეფო ხალხი“. მუშქენუს კატეგორიის ხალხი ბაბილონეთში, როგორც ცნობილია, თვით ეკუთვნოდა მონათმფლობელთა კატეგორიას. სამეფო მიწებზე მსხდომი დამოკიდებული მიწისმოქმედების ექსპლუატაცია უფრო შეიძლება დაუახლოვდეს ფეოდალურ-ბატონყმურ, ვიდრე მონათმფლობელურ ექსპლუატაციას. ანალოგიის გავლება მათსა და სპარტელ ჰელოტებს შორის[29], არ ჩანს მაინცდამაინც გამართლებული. ჰელოტების შემთხვევა განასახიერებს მეტად იშვიათ სიტუაციას, როდესაც დამპყრობელს წარმოადგენს მცირე თემი, რის გამოც იგი იძულებულია სამხედრო ბანაკად გადაიქცეს და თავისი ბატონობა უკიდურესად სასტიკი ზომებით განახორციელოს — გავიხსენოთ თუნდაც ცნობილი კრიპტიები (რეგულარული ხოცვა-ჟლეტა უდანაშაულო ჰელოტებისა მათ დასაშინებლად და ა. შ.). აშკარაა, რომ ეს მომენტები მართლაც აახლოვებს ჰელოტებს მონებთან. მაგრამ თვით ფორმა ჰელოტების ექსპლუატაციისა

[27] В. А. Якобсон, დასახ. ნაშრ., გვ. 115—117.

[28] იხ. С. Л. Утченко, И. М. Дьяконов, Социальная стратификация древнего общества, XIII Международный конгресс исторических наук, М., 1970. გვ. 15.

[29] И. М. Дьяконов, დასახ. ნაშრ., „Вестник Древней истории“, 1968, № 4, გვ. 36—37.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(მეურნეობის დამოუკიდებლად წარმოება და მოსავლის ნაწილის ხდა) უფრო ახლოა ფეოდალურ-ბატონყმური ექსპლუატაციის ფორმასთან, იმ სიტუაციასთან, რასაც ფრ. ენგელსი პირდაპირ ეძახდა „ბატონყმურ დამოკიდებულებას“ (იხ. ზემოთ).

ამის გარდა, საჭიროა აღინიშნოს, რომ ჩვენ არ მოგვეპოვება მასალა, რომ განვსაზღვროთ დასახელებული „სამეფო მეურნეობებისა“ და მათში ექსპლუატირებული „სამეფო ხალხის“ ხვედრითი წონა ძველაღმოსავლური ქვეყნების ეკონომიკაში. არ შეიძლება გადაწყვეტილად ჩაითვალოს თვით მრავალგზის ნაკვლევი საკითხი ურის III დინასტიის ხანის სამეფო მეურნეობების ხვედრითი წონისა ქვეყნის ეკონომიკაში. იგიც შემდგომ კვლევა-ძიებას მოითხოვს. მით უმეტეს ჩვენ ბევრი არაფრის თქმა არ შეგვიძლია სხვა შემთხვევების მიმართ. მართალია, აღნიშნული ფენის მნიშვნელობა გაიზრდება, თუ დავეთანხმებით მოსაზრებას თითქოს მთელი დანარჩენი თავისუფალი მოსახლეობა — რიგითი მეთემეები — ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში საერთოდ არ წარმოადგენდნენ ექსპლუატირებულ მასას და, მაშასადამე, შეიძლება სულაც არ მივიღოთ ისინი მხედველობაში ამა თუ იმ ძველაღმოსავლური საზოგადოების ბუნების განსაზღვრისას[30], მაგრამ ამ მოსაზრებას ძნელია დავეთანხმოთ, თუნდაც ძველ საირიგაციო საზოგადოებებში არსებული იმ „საყოველთაო მონობის“ ფონზე, რომლის სურათიც ასე მკაფიოდ დაგვიხატა აკად. ა. ტიუმენევმა[31].

ასე წარმოგვიდგება ჩვენ დღესდღეობით ძველაღმოსავლურ საზოგადოებათა სოციალურ-ეკონომიური წყობილების საკითხი. ჩვენს წინაშეა, როგორც დავინახეთ, დიდი ნაირსახეობა, დიდი სიჭრელე — „აზიური“, ფეოდალური, მონათმფლობელური, ისევე როგორც ეკონომიურ იძულებაზე დამყარებული ექსპლუატაციის ფორმების თანაარსებობა. მაინც საერთოდ შეიმჩნევა „აზიური“ და სხვა პროტოფეოდალური (წინაფეოდალური) ექსპლუატაციის ფორმების უპირატესი გავრცელება. მონათმფლობელობა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ადგილას და ზოგიერთ პერიოდში მნიშვნელოვან ხვედრით წონას იხვეჭს, მაინც ვერ ხდება წამყვან სოციალურ-ეკონომიურ წყობად. ამისი პირობები, პირობები განვითარებული მონათმფლობელური საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის, აქ არ არსებობდა. ამიტომ იყო, რომ მაშინაც კი, როდესაც საამისოდ პოტენციალური შესაძლებლობა იქმნება (დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობის მასიური დატყვევება და თავისი ქვეყნიდან აყრა-წამოყვანა), განვითარება საბოლოო ჯამში მიიმართება არა მონათმფლობელობის ზრდისაკენ, არამედ დამოკიდებული, „აზიური“ ან, საერთოდ, წინაფეოდალური ექსპლუატაციის უღელში შებმული მიწათმოქმედი მოსახლეობის ზრდის მიმართულებით. მაშასადამე, როგორც წესი, ძველაღმოსავლური საზოგადოებები უნდა განხილულ იქნან ტიპოლოგიურად როგორც „წინაფეოდალური“, ხოლო სტადიალურად — როგორც ადრეკლასობრივი საზოგადოებები.

არსებითად ასეთივე განსაზღვრება შეიძლება ვიხმაროთ უძველესი ქართული კლასობრივი საზოგადოებების (კერძოდ იბერიის) მიმართაც. ისინიც

---

30 И. М. Дьяконов, დასახ. ნაშრ., გვ. 34—35.

31 იხ. მისი წერილები, გამოქვეყნებული 1957 წელს ჟურნალში „Вопросы истории“ (№ 6,9).

სტადიალურად — ადრეკლასობრივ და ტიპოლოგიურად წინაფეოდალურ სახელმწიფოებად შეიძლება იქნენ განხილული. მათთვის დამახასიათებელი სოციალურ-ეკონომიური წყობილების შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა სხვა ადგილას საუბარი[32]. ამ საზოგადოებებისათვის, პირველ ყოვლისა, დამახასიათებელია მრავალწყობიანობა — ბევრია აქ პირველყოფილ-თემური წყობილების გადმონაშთი, მეორე მხრით, არსებობს მონის შრომის ექსპლუატაციაც, რომელიც გარკვეულ პერიოდში (კერძოდ ჩ. წ. აღ. პირველ საუკუნეებში, მონათმფლობელურ რომთან განსაკუთრებით ახლო კონტაქტის ეპოქაში), საფიქრებელია, საგრძნობ ხვედრით წონას იხვეჭს, თუმცა ვერ ხდება წამყვანი და განვითარებულ მონათმფლობელობაში საზოგადოების გადაზრდის წინაპირობებს ვერა ქმნის. წამყვანი აქ ჩანს დამორჩილებული თემების, დამოკიდებული მიწათმოქმედი მოსახლეობის, ბატონყმური ტიპის ექსპლუატაცია (იბერიის „ლაოი" — „სამეფო მონები"). გაბატონებულ წრეს ქმნის სამეფო სახლი და სამხედრო-სამოხელეო არისტოკრატია. ექსპლუატაციის ობიექტს წარმოადგენენ აგრეთვე რიგით თავისუფალთა ფართო ფენები და საზოგადოებრივი განვითარების უმთავრეს წამყვან ტენდენციას წარმოადგენს სწორედ ამ მასის დიფერენციაცია, რომლის პროცესში ადგილი აქვს წინანდელი დამოკიდებული, სამეფო მიწებზე მჯდომი მოსახლეობის („ლაოი", ქართ. „გლეხი") და თავისუფალ მეთემეთა („ერის") დამცრობილი ნაწილის („წვრილი ერი") უფლებრივი და სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გარკვეულ ნიველირებას და ერთიანი ექსპლუატირებული მწარმოებელი მოსახლეობის ფენის ჩამოყალიბებას. ამრიგად, აქაც განვითარებას ისეთივე ხასიათი აქვს, ისეთივე ტენდენცია ახასიათებს, რომელიც ზემოთ ჩვენს მიერ იყო ფიქსირებული ძველაღმოსავლურ საზოგადოებათა მიმართ. ყველაფერი ეს ჩვენ საშუალებას გვაძლევს ძველაღმოსავლურთან ერთად უძველესი ქართული კლასობრივი საზოგადოებებიც წინაფეოდალურ (resp. პროტოფეოდალურ) საზოგადოებებად მივიჩნიოთ.

Г. А. МЕЛИКИШВИЛИ

## ТИПОЛОГИЧЕСКАЯ И СТАДИАЛЬНАЯ КЛАССИФИКАЦИЯ КЛАССОВЫХ ОБЩЕСТВ И ВОПРОС О ХАРАКТЕРЕ ДРЕВНЕЙШИХ КЛАССОВЫХ ОБЩЕСТВ*


Резюме

1. Марксистско-ленинское понимание формаций как стадий общественного развития лучше всего подходит к трем основным этапам развития общества: первобытному бесклассовому, классовому и развитому бесклассовому. Именно они представляют органическое единство стоящих на определенном уровне развития производственных сил и соответствующих им производственных отношений. Смена одного из них другим является, в первую очередь, результатом качественного


[32] იხ. გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ძველი საქართველოს სოციალ-ეკონომიური წყობილების საკითხი, „მაცნე", 1966, № 1. უფრო დაწვრილებით ამ რიგის საკითხებზე შდრ. Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, თბ., 1959 და „საქართველოს ისტორიის ნარკვევებში" (ტ. I, 1970) ჩვენი ავტორობით შესული ნაწილი.

* Статья представляет текст доклада, прочитанного автором на V Всесоюзной сессии по древнему Востоку (Тбилиси, 1971).

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

скачка в развитии производительных сил. То же самое нельзя сказать в отношении отдельных классовых обществ (феодализма, рабовладения и т. д.), именуемых обычно также «формациями». Они являются разными типами (видами) единой классовой формации.

2. Основным критерием при типологической классификации классовых обществ должно быть различие форм классовых отношений («отношений господства и подчинения», отношений, осуществляющихся на базе производства между «собственником условий производства» и непосредственным производителем).

Классовые общества (resp. классовая общественно-экономическая формация) типологически, по типам производственных отношений, смотря по тому какая из форм эксплуатации (политически зависимого человека, раба, крепостного или наемного рабочего) является ведущей, может быть представлено обществами «азиатского способа производства», рабовладельческими, феодальными, капиталистическими. Конечно, наряду с обществами с господством тех или иных названных производственных отношений, существовали также многоукладные «смешанные» общества, лишь со слабой тенденцией развития в сторону какого-нибудь определенного типа классового общества.

3. Наряду с названными типами классовых обществ («азиатский способ производства», феодализм, рабовладение, капитализм), наряду с их типологической классификацией, классовые общества следует классифицировать и по стадиальному признаку. Основой их стадиальной классификации должна быть степень удаленности от исходных первобытнообщинных условий (т. е. развитие института частной собственности и классового антагонизма) или же близости к условиям последующей (развитой бесклассовой — социалистической) стадии общественного развития (возвращение личной свободы непосредственному производителю, развитие общественного характера производства, высокий уровень развития производительных сил).

Стадиально в развитии классовой общественно-экономической формации можно выделить восходящую стадию развития — этапы раннеклассового и развитого классового общества («вторичная формация», по наименованию К. Маркса) и нисходящую стадию, включающую в себя позднеклассовый этап развития человеческого общества.

4. Наблюдаются два основных пути возникновения классового общества — путь сложения общества с господствующим классом, носящим организаторские, управленческие функции («азиатский» и, в дальнейшем, феодальный путь развития) и общества, основанного на рабстве. На раннеклассовом этапе развития наиболее распространенными являются общества с носящим организаторские функции в хозяйственной, военной или культовой сфере господствующим классом. «Азиатский способ производства», хотя и является частным случаем раннеклассового общества, наиболее рельефно выражает его основные закономерности. Типологически наиболее распространенную форму ранееклассовых обществ — общества с господством «азиатского способа производства» или многоукладные общества с тенденцией перерастания в феодальное общество — следует рассматривать в качестве «дофеодальных» («протофеодальных») обществ, поскольку ведущей тенденцией для них является развитие в сторону феодализма.

5. Древневосточные общества, как правило, типологически являются дофеодальными, стадиально же раннеклассовыми обществами. Распространенный до недавнего времени взгляд на эти общества как

ეროვნული ბიბლიოთეკა

общества рабовладельческие (resp. ранеерабовладельческие), безусловно, лишен основания.

6. Среди древневосточных дофеодальных обществ имеются и небольшие раннеклассовые «многоукладные» общества, довольно методично идущие по пути «дофеодального» (протофеодального) развития Древнее иберийское (восточногрузинское) общество эллинистического и позднеантичного времени принадлежит, пожалуй, к числу именно таких обществ.

7. Древневосточные дофеодальные, также как средневековые азиатско-феодальные («восточный феодализм») общества, также как и т. н. «кочевой феодализм», «горский феодализм» и т. п., олицетворяя в основном характерные черты раннеклассового этапа развития, представляют стадиально более низкую степень развития классового общества по сравнению не только с развитыми западноевропейскими и типологически к ним примыкающими феодальными обществами, но и по сравнению с развитым греко-римским рабовладельческим обществом. Последние олицетворяют собой стадиально этап развитого классового общества. Капиталистическое же общество, представляя в некоторых отношениях (безграничное развитие и свободное функционирование частной собственности) самую развитую форму классового общества, в других отношениях (возвращение непосредственному производителю личной свободы, углубление общественного характера производства, бурное развитие производительных сил и т. д.) оказывается и наиболее близким к последующей (социалистической) стадии развития, олицетворяя тем самым, особенно на более развитых этапах своего развития, позднеклассовую стадию общественного развития.

# ცნობები და შენიშვნები

შალვა შალვაშვილი

## გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან

### (სიღნაღის მაზრა 1917—1921 წწ)

1917 წლის თებერვალში რუსეთის პროლეტარიატმა მშრომელ გლეხობასთან კავშირში დაამხო მეფის თვითმპყრობელობა, გაიმარჯვა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ. მაგრამ კომუნისტური პარტიის ბელადის ვ. ი. ლენინის ემიგრაციაში ყოფნამ, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებში მენშევიკების და ესერების მოკალათებამ ხელი შეუშალა რევოლუციის შემდგომ განვითარებას. ხელისუფლების სათავეში მოექცა ბურჟუაზიული დროებითი მთავრობა, რომელმაც ამიერკავკასიის მართვისათვის შექმნა ეგრეთწოდებული „ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი“. საქართველოსა და ამიერკავკასიაში, ისე როგორც მთელ რუსეთში, დამყარდა ორხელისუფლებიანობა. საქართველოს ბოლშევიკები შეუპოვრად იბრძოდნენ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების რევოლუციური ხელისუფლების ორგანოებად გადაქცევისა და საბჭოების საშუალებით რევოლუციურ ღონისძიებათა განხორციელებისათვის.

საქართველოს მშრომელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში თავისი წვლილი შეიტანა სიღნაღის მაზრის გლეხობამაც. მენშევიკთა ბატონობის პერიოდში, ისე როგორც მთელ საქართველოში, აქაც გამწვავდა გლეხობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა, რასაც სიღნაღის მაზრის გლეხობამ რევოლუციური გამოსვლებით უპასუხა. როგორც ცნობილია, საგლეხო რეფორმამდე აღმოსავლეთ საქართველოს ერთი კომლი ყმა გლეხის სარგებლობაში იყო 5,9 დესეტინა მიწა, რეფორმის შემდეგ მის სარგებლობაში დარჩა მხოლოდ 3,9 დესეტინა[1]. სიღნაღის მაზრის გლეხობა ტყითა და საძოვრებით სარგებლობისათვის იხდიდა მეტად დიდ გადასახადებს. სახელმწიფო გადასახადი, როგორც ცნობილია, ტყიდან ყოველგვარ „გამოსატანზე დაწესებული იყო კომლზე 4 მანეთი და 57 კაპიკი“ წლიურად[2]. სახელმწიფო გადასახადი ერთი დესეტინა საძოვრის სარგებლობისათვის შეადგენდა 10—20 კაპიკს. ეს გადასახადი მძიმედ აწვებოდა გლეხობას, რამდენადაც მიწათმოქმედებასთან ერთად სიღნაღის მაზრის მეურნეობის ერთ-ერთ ძირითად დარგს წარმოადგენდა მესაქონლეობა. რეფორმის შემდეგ გლეხობას ერთობ

---

[1] ალ. ბენდიანიშვილი, აგრარული ურთიერთობანი საქართველოში 1890—1917 წლებში, თბ., 1965, გვ. 7.

[2] Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края, IV, Тб., 1886, გვ. 364—367.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუჭირდა საქონლის შენახვა. ამითაც აიხსნება, ის, რომ XIX ს-ის დასასრულს საქონელი არ გააჩნდა მოსახლეობის 41,2 პროცენტს, მუშა საქონელი — 48,6 პროცენტს. გლეხობის მდგომარეობა ამ მხრივ არც მიმდინარე საუკუნის პირველ ათწლეულში გაუმჯობესებულა. გლეხობას კვლავ მძიმე ტვირთად აწვა საკომლო, საერობო, საგუბერნიო და ადგილობრივი გადასახადები.

სიღნაღის მაზრის მშრომელ მოსახლეობას სასტიკად ჩაგრავდნენ ხელისუფლების ადგილობრივი მოხელეები და მემამულეები. ამას თან ერთოდა ეროვნული ჩაგვრა, რაც კიდევ უფრო აუტანელს ხდიდა გლეხობის მდგომარეობას.

სიღნაღის მაზრაში სამრეწველო საწარმოთა კუსტარული, წვრილ-ვაჭრული ხასიათის გამო შედარებით ჭარბად იყო წარმოდგენილი ნახევრად პროლეტარული ელემენტები. ისინი უმთავრესად ნოქრებად, მოჯამაგირეებად და შეგირდებად მუშაობდნენ ვაჭრებთან, ხელოსნებთან და სხვა კერძო მფლობელებთან და განიცდიდნენ უმძიმეს ექსპლუატაციას, რაც ქმნიდა ხელსაყრელ ნიადაგს რევოლუციური იდეების გავრცელებისა და რევოლუციური ბრძოლისათვის. საქართველოს მშრომელმა გლეხობამ ახალი ძალით გააჩაღა რევოლუციური ბრძოლა თებერვლის რევოლუციის შემდეგ, მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ, რადგან მას არაფერი მიუღია 1917 წ. თებერვლის რევოლუციისაგან. მოსახლეობა კვლავ შიმშილობდა. „კახეთის სოფლებიდან ცუდი ცნობები მოდის, — ნათქვამია ერთ-ერთ დოკუმენტში, — ადგილი აქვს შიმშილს, ულუკმაპურობა სულ უფრო და უფრო ჩვეულებრივი ამბავი ხდება. 1,5 გირვანქიანი პური ოჯახის 5—6 წევრს შორის ნაწილდება მთელი დღისათვის. დამატებითი საკვებია მკვახე ხილეული, რომელიც სხვადასხვა დაავადებებს იწვევს“[3].

კახეთის მშრომელი გლეხობა აქტიურად ჩაება საქართველოს და მთელი ამიერკავკასიის მშრომელთა განმათავისუფლებელ მოძრაობაში, იგი თვითნებურად იკავებდა მემამულეთა მიწებს. 1917 წ. ივნისში ჩალაუბნისა და კარდანახის გლეხებმა თვითნებურად გაჩეხეს ლევან და კონსტანტინე აფხაზების ტყეები. თავადებმა დახმარება „ოზაკომს“ სთხოვეს. 4 აგვისტოს „ამიერკავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა“ მოუწოდა სიღნაღის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს, თავად დაეცვა აფხაზების მამული და არ დაეშვა ტყეების გაჩეხვის ფაქტები. ამასთან „ოზაკომი“ მკაცრად აფრთხილებდა გლეხებს, რომ მსგავსი ამბების განმეორების შემთხვევაში მიეცემოდნენ პასუხისგებაში[4].

იმავე წლის სექტემბერში აგრარული მოძრაობა კიდევ უფრო მომძლავრდა, რევოლუციურად განწყობილი გლეხობა მასობრივად იკავებდა მემამულეთა, საუფლისწულო, საეკლესიო და სახაზინო მიწებს. ამ დროს სიღნაღის მაზრის სოფლებიდან განსაკუთრებულ პირობებში იმყოფებოდა სოფელ ნუკრიანის მოსახლეობა[5]. ეს სოფელი სამაზრო ცენტრის გაგრძელებას წარმოადგენდა და მოსახლეობის ერთი ნაწილი დასაქმებული იყო სიღნაღში. ამით ისარგებლეს მენშევიკებმა და მცირე საკარმიდამო ნაკვეთების გარდა მათ არ მისცეს

---

[3] „Известия Тифл. Совета рабочих и солдатских депутатов“, 1917, № 39.

[4] Борьба за победу Советской власти в Грузии, документы и материалы (1917—1921 гг.), Тб., 1958, 59.

[5] გაზ. „ახალი გზა“, 1910 წ. 14 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახნავ-სათესი მიწები. ამის გამო სოფელ ნუკრიანის მშრომელი გლეხობა მიწას იჯარით იღებდა მემამულეებისაგან და კერძო პირებისაგან, რაც კიდევ უფრო აძლიერებდა უკმაყოფილებას მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ.

მოხელეებმა 1917 წ. 8 სექტემბერს მოჰკლეს ნუკრიანელი ნიკა ნადიკაშვილი. ამით აღშფოთებული 200-მდე ნუკრიანელი გლეხი მეორე დღეს დილიდანვე შეგროვდა სიღნაღის სამაზრო კომიტეტის შენობის წინ და წამოაყენა შემდეგი მოთხოვნები: 1. ნ. ნადიკაშვილის მკვლელის გადაცემა ხალხისათვის; 2. გლეხობისათვის სახნავ-სათესი მიწების მიცემა და 3. სოფელ ნუკრიანის ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყოფა. დემონსტრანტი გლეხები, რომელთა რიგები სულ უფრო იზრდებოდა, კატეგორიულად მოითხოვდნენ მათი წინადადების დაუყოვნებლივ დაკმაყოფილებას, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდნენ, რომ დაარბევდნენ აღმასრულებელი კომიტეტის შენობას და შურს იძიებდნენ მაზრის ხელმძღვანელობაზე. მაზრის ხელმძღვანელობა ქალაქიდან გაიპარა. იგი შუამავლების საშუალებით დაპირდა გლეხობას მათი მოთხოვნების შესრულებას. მაგრამ ხელისუფლებმა დაპირება არ შეასრულეს. მართალია, ნუკრიანი გამოყვეს ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად, მაგრამ ამ სოფლის საბჭოს დეპუტატთა 80 პროცენტს შეადგენდა შეძლებული ფენების წარმომადგენლები. ნ. ნადიკაშვილის მკვლელის ვინაობას ხელისუფლები საიდუმლოდ ინახავდნენ რადგან ეს აქტი მათივე ინიციატივით განხორციელდა. ვერც სახნავ-სათესი მიწების გამოყოფის პრობლემა გადაიჭრა დადებითად. მენშევიკებმა და სხვა წვრილბურჟუაზიულმა პარტიებმა გლეხობას მხოლოდ „მტკიცე პირობა“ მისცეს, რომ მას წარმატებით გადაწყვეტდა დამფუძნებელი კრება“[6].

გლეხთა მოძრაობის გაძლიერების გამო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები სოფლებში შეიარაღებული ძალების ჩაყენებას მიმართავდნენ. 23 სექტემბერს სიღნაღის მაზრის კომისარმა ხელისუფლებისაგან მოითხოვა დაბა თუქურმიშაში (ყოფ. ცარსკოე კოლოდცი) გაეგზავნათ 400, ხოლო ველისციხესა და ლაგოდეხში — 100-100 შეიარაღებული კაცი[7]. ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი და მისი მხარდამჭერი ბურჟუაზიულ-მემამულური პარტიები ჩიხში მოექცნენ. მსგავსი ვითარება იყო არა მარტო საქართველოსა და ამიერკავკასიაში, არამედ მთელს იმპერიაში. მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა ირაზმებოდა გადამწყვეტი ბრძოლისათვის ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის დასამხობად.

1917 წ. 25 ოქტომბერს რუსეთში სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა. ამიერკავკასიის შეძლებული კლასების წარმომადგენლები დიდხანს იყვნენ აგონიაში, შემდეგ „გონს მოვიდნენ“ და შეუდგნენ „ქვეყნის შემდგომ მოწყობას“. მათ გააუქმეს „ოზაკომი“, შექმნეს კოალიციური ორგანო ამიერკავკასიის კომისარიატი, რომელმაც ეს მხარე მოსწყვიტა საბჭოთა რუსეთს და გადააქცია უცხოელი ინტერვენტების სათარეშო არენად, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად.

---

6 იხ. ი. მჭედლიშვილის მოგონება (სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ფ. 3991).

7 გ. ხაჭაპურიძე, ქართველი ხალხის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, თბ., 1951, გვ. 103.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ და საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებებმა უდიდესი გავლენა მოახდინეს საქართველოსა და ამიერკავკასიაში აგრარული მოძრაობის შემდგომ განვითარებაზე. ოქტომბრის რევოლუციის გავლენით ამიერკავკასიის კომისარიატის მესვეურები იძულებული გახდნენ 1917 წ. 16 დეკემბერს გამოეცათ კანონი „დებულება სახაზინო, ყოფილი საუფლისწულო, საეკლესიო, სამონასტრო, იურიდიულ პირთა და კერძო მიწათმფლობელთა მიწების საადგილმამულო კომიტეტებისათვის გადაცემის შესახებ“[8]. მაგრამ ეს კანონი არ იყო მშრომელი გლეხობისათვის სასარგებლო, რადგან, ჯერ ერთი, მიწების გადაცემა გათვალისწინებული იყო არა გლეხობის ან გლეხთა კომიტეტების, არამედ საადგილმამულო კომიტეტების ხელში, მეორეც, არ იყო განსაზღვრული მემამულეებისათვის ჩამოსართმევი და დასატოვებელი მიწების ნორმები.

გლეხთა მოძრაობის აღმავლობამ ახალი ხელისუფლება აიძულა შეემუშავებინა უფრო კონკრეტული წინადადებანი მემამულეთა მიწების ჩამოსართმევად და გლეხობისათვის გადასაცემად. „ჩვენი ხალხი ვერ ელირსა აგრარული საკითხის გადაჭრას — ამბობდა ნ. ჟორდანია, — ჩვენ მოგვეპოვება დეკრეტები, მაგრამ ისინი ქაღალდზე დარჩნენ... ანარქია თანდათან ძლიერდება და შესაძლებელია ამ ანარქიამ ბოლოსდაბოლოს ჩვენ წაგვლეკოს“[9].

აგრარული საკითხი ვერც ამიერკავკასიის სეიმმა გადაწყვიტა, რომელიც მოწვეულ იქნა 1918 წ. 10 თებერვალს. უფრო მეტიც, სეიმს არ გაუტარებია არცერთი რადიკალური ღონისძიება მშრომელი გლეხობის სასარგებლოდ. ამიერკავკასიის სეიმის 1918 წ. 7 მარტის კანონი, მხოლოდ შეძლებული კლასების ინტერესებს შეესაბამებოდა და არ წყვეტდა აგრარულ-გლეხურ საკითხს საქართველოში[10].

ამიერკავკასიის სეიმს დიდხანს არ უარსებია. 1918 წ. 26 მაისს ის დაშლილად გამოცხადდა, შეიქმნა „საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა“, რომელმაც მშრომელთა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველად ქვეყანაში მოიწვია გერმანიის ჯარის ნაწილები. გერმანელმა ოკუპანტებმა საქართველოში თავი ისე იგრძნეს, როგორც კოლონიურ ქვეყანაში. ისინი მონაწილეობდნენ მშრომელთა რევოლუციური გამოსვლების წინააღმდეგ ბრძოლაში, იტაცებდნენ სახალხო ქონებას, ერეოდნენ სახელმწიფოს შინაურ საქმეებში.

უცხოელი ოკუპანტების ბატონობის სიმძიმე სიღნაღის მაზრასაც შეეხო. აქ დაბანაკდა გერმანული ცხენოსანი პოლკის ასეული. გერმანელები ძალით იჭრებოდნენ გლეხთა ოჯახებში, აიძულებდნენ მიეცათ პური და ღვინო, არაიშვიათად ცდილობდნენ ქალების გაუპატიურებასაც კი. ეს კიდევ უფრო აძლიერებდა სიღნაღის მაზრის მშრომელი გლეხობის რევოლუციურ განწყობილებას, მათ ბრძოლას მემამულეთა წინააღმდეგ. 1918 წ. მარტში სოფელ ქოდალოში ადგილი ჰქონდა გამოსვლებს, რაც გამოწვეული იყო საადგილმამულო კომიტეტისა და თბილისიდან ჩამოსული მიწათმომწყობთა მიერ მემამულეთა ინტერესების დაცვის გამო. გლეხებმა განიზრახეს თავადების გიორგი,

---

8 ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. 7, 1930, გვ. 60.

9 საქართველოს სსრ ცსა, ფ. 1825, ს. 32, ფურც. 7—8.

10 ვრცლად იხ. ქ. ო რ ა გ ვ ე ლ ი ძ ე, ქართველი მენშევიკების აგრარული რეფორმა, თბ., 1935; ი. მ ი რ ც ხ უ ლ ა ვ ა, ოქტომბრის რევოლუცია და აგრარულ-გლეხური საკითხი 1917—1921 წლებში, თბ., 1965.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოსიკო, არჩილ, სოლომონ და შაქრო ჩერქეზიშვილების სიკვდილით დასჯა, მაგრამ მათ გაქცევით უშველეს თავს[11]. გლეხთა გამოსვლებს ხელმძღვანელობდნენ გლეხთა კომიტეტები, რომლებშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები და მენშევიკების წინააღმდეგ აქტიურად მებრძოლ ბოლშევიკ გლეხთა წარმომადგენლები.

სიღნაღის მაზრის მშრომელი გლეხობა ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით დროულად გამოეხმაურა ლეჩხუმის რევოლუციონერთა მიმართვას საქართველოს ყველა მშრომელისადმი, მხარი დაეჭირათ საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში, მოეწყოთ შეიარაღებული აჯანყება. აჯანყების მზადებას სათავეში ჩაუდგა რკპ (ბ) სიღნაღის სამაზრო კომიტეტი მ. ვარამაშვილის ხელმძღვანელობით. სოფლის პარტიული ორგანიზაციები ენერგიულად მუშაობდნენ საბრძოლო რაზმების შეიარაღებისათვის. აჯანყება გათვალისწინებული იყო 1918 წ. მარტის შუა რიცხვებში. მას აქტიურად უნდა დაეჭირა მხარი საქართველოს მთელ რიგ რაიონებში მიმდინარე გლეხთა შეიარაღებული გამოსვლებისათვის.

შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადების აჩქარებული ტემპის გამო ზოგიერთმა პარტიულმა ორგანიზაციამ ხელაღებით დაიწყო რაზმებში მებრძოლთა გაერთიანება, რის შედეგად შესუსტდა აჯანყების მზადების კონსპირაცია. ამით ისარგებლა მაზრის ხელისუფლებამ, შეიტყო აჯანყებების მზადების მიმდინარეობა და დააპატიმრეს ბოლშევიკები, რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილეები[12]. ამის გამო შეიარაღებული აჯანყება არ მოეწყო. გლეხთა გამოსვლები მარცხით დამთავრდა საქართველოს სხვა რაიონებშიც.

მაგრამ საქართველოს მშრომელებს იარაღი არ დაუყრიათ. ბოლშევიკების კავკასიის სამხარეო კომიტეტმა სერგო ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით ენერგიული მუშაობა გაშალა ამიერკავკასიაში შეიარაღებული აჯანყების მომზადებისათვის. იმავე წლის მაის-ივნისში თბილისსა და ბაქოში გაიმართა რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო და თბილისის კომიტეტების თათბირები. მონაწილეთა ყურადღება გამახვილებულ იქნა ანტიხალხური მთავრობის შეიარაღებული აჯანყების გზით დამხობის აუცილებლობაზე.

ამის შემდეგ ახალი ძალით გაჩაღდა გლეხთა მძლავრი მოძრაობა მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ კარდანახსა და ბაკურციხეში. 1918 წ. 28 აგვისტოს სოფელ კარდანახის გლეხები რამდენიმეჯერ გამოცხადდნენ მიწების მისაღებად საადგილმამულო კომიტეტში. მაგრამ იქ გაიგეს, რომ თავადებს საჩივრები გაეგზავნათ თბილისში და ხელისუფლების სპეციალური კომისიის ჩამოსვლამდე შეეჩერებინათ მიწების გადაცემა[13]. გლეხებმა ვეღარ მოითმინეს ასე აბუჩად აგდება და სასწრაფოდ მოწვეულ ყრილობაზე ყველა მემამულეს გამოუტანეს სასიკვდილო განაჩენი. მათ დაარბიეს თავადების კარმიდამო, დაპატიმრებული თავადები მიიყვანეს სოფლის საბჭოს ეზოში. საადგილმამულო კომიტეტის წევრებმა და თავადებმა აღიარეს დანაშაული. აჯანყებულმა გლეხებმა გაბაწრული თავადები წაიყვანეს სოფლის სასაფლაოზე და იქ

---

11 გაზ. „ერთობა“, 1918 წ. 8 აპრილი.

12 იხ. აჯანყების მზადების მონაწილე ვ. კუდაშვილის მოგონება (სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ფ. 3982).

13 საჩივრებში მემამულეები ითხოვდნენ მიწის გადაცემამდე ხელისუფლებას გაეფორმებინა მათი ოჯახების გაყოფის ფაქტები, რათა ამ გზით შეენარჩუნებინათ თავიანთი ძირითადი ფონდები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაქოლეს. გლეხთა შორის განსაკუთრებული აქტიობით გამოირჩეოდნენ გიორგი ბეროზაშვილი, ზაქარია კორკოტაშვილი, გიორგი ჯიქურაშვილი, ალექსი პაპაშვილი, ვანო შავიშვილი, გიორგი ჩალათაშვილი და სხვ.

კარდანახელებმა მჭიდრო კავშირი დაამყარეს მეზობელ სოფლებთან, კერძოდ, ბაკურციხესთან: 29 აგვისტოს კარდანახელთა დელეგაცია ბაკურციხეში ჩავიდა. სოფლის კომიტეტის წევრებმა კარდანახელებს მოახსენეს: „თქვენი მაგალითის მსგავსად წუხელ ჩვენც გადავწყვიტეთ თავადების სიკვდილით დასჯა“. ეს გადაწყვეტილება მათ დაამტკიცეს ბაკურციხის სასოფლო ყრილობაზე. შემდეგ ისე, როგორც კარდანახელებმა, შეიპყრეს თავადები აბრამ, რაფიელ, სიკო და გიორგი ვაჩნაძეები და სახალხო განაჩენი სისრულეში მოიყვანეს. ბაკურციხელთა შორის აქტიურობდნენ გლეხები ზაქარია და ნიკა ტორიაშვილები, თედო და დათა კოკინაშვილები, ვანო ბერიძიშვილი და სხვ.

გლეხთა გამოსვლებმა დააშინა სიღნაღის მაზრის ხელმძღვანელობა. 29 აგვისტოს აჯანყებულთა წინააღმდეგ გაიგზავნა მილიციელთა რაზმი. ბაკურციხელი გლეხები სოფლის საბჭოში თავადების ქონებას ღარიბებსა და ქვრივობლებზე ანაწილებდნენ. როცა სოფელში შემოვიდა მილიციის რაზმი, გლეხებმა მილიციელებს წინადადება მისცეს: „თუ გსურთ თავადების გვერდით არ მიგაწვინოთ, გაგვეცალეთ აქედანო“. მილიციელებმა ახლოს მისვლა ვერ გაბედეს და თავს გაქცევით უშველეს[14].

მაზრის მოხელეებმა ვერ გაბედეს აჯანყებულთა დასჯა. მენშევიკურმა მთავრობამაც კი დუმილი არჩია, რადგან გლეხობის მიმართ რეპრესიების გამოყენებას უსათუოდ მოჰყვებოდა მაზრის გლეხთა უფრო ძლიერი და მასობრივი აჯანყება. გარდა ამისა, საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე ენთო გლეხთა აჯანყებების ხანძარი, რის გამოც ხელისუფლება ვეღარ ასწრებდა დამსჯელი ექსპედიციების განაწილებას გლეხთა გამოსვლების ჩასაქრობად.

მენშევიკების ბატონობის პერიოდში სიღნაღის მაზრის მშრომელი გლეხობის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში კარდანახისა და ბაკურციხის გლეხთა საბრძოლო შემართება დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო. რევოლუციურ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ეტაპზე მემამულეთა ფიზიკური განადგურების შემთხვევებს ადგილი არ ჰქონდა არცერთ სხვა მაზრაში და არც სახელმწიფოს გამოუჩენია ასეთი დათმობა „დამნაშავეთა“ წინაშე.

1918 წ. ნოემბერში გერმანიის ჯარებმა დატოვეს საქართველო, მაგრამ მათი ადგილი ახალმა დამპყრობლებმა — ინგლისელებმა დაიკავეს. 1918 წ. დეკემბერში, მენშევიკური მთავრობის თანხმობით, ინგლისელთა საოკუპაციო ჯარები საქართველოში შემოვიდნენ[15]. მათ მიზანს შეადგენდა ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების დაცვა, საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა.

საქართველოში ინგლისელებმა დაამყარეს სასტიკი კოლონიური რეჟიმი. სიღნაღში განლაგდა ინგლისელთა ერთი ოცეული, რომელმაც სიღნაღის ერობის თავმჯდომარეს მოსთხოვა 25 საუკეთესო ცხენის გადაცემა, სურსათით უზრუნველყოფა. ისინი ამითაც არ დაკმაყოფილდნენ, მაღაზიებიდან და ბაზ-

14 ცნობები აღებულია აჯანყების მონაწილე თედო კოკინაშვილისაგან (იხ. სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ფ. 3985).

15 „Борьба за победу Советской власти в Грузии“, გვ. 352—353.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიდან იტაცებდნენ სასურსათო და სამრეწველო საქონელს, წინააღმდეგობის შემთხვევაში იმუქრებოდნენ იარაღით.

ინგლისელებს საქართველოდან გაჰქონდათ ყველაფერი, რასაც კი მოასწრებდნენ. ამიერკავკასიაში ხანმოკლე პარპაშის დროს მათ გაზიდეს 26 მილიონი ფუთი მანგანუმი, 29 830 ათასი ფუთი ნავთი, აგრეთვე დიდძალი ჩაი და თამბაქო[16].

1919 წ. აგვისტოსა და სექტემბერში საქართველოს სამაზრო პარტიულ კონფერენციებზე განიხილეს შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადების საკითხები. აჯანყებისათვის მზადებას ადგილი ჰქონდა სიღნაღის მაზრაშიც. აქ გულდასმით მიმდინარეობდა რაზმების შედგენა და მათი შეიარაღება. ფრონტიდან დემობილიზებული ბოლშევიკი ჯარისკაცები აქტიურად მონაწილეობდნენ აჯანყების მზადებაში. მებრძოლ რაზმებში გავრცელდა სამაზრო კომიტეტის მოწოდებები („სიღნაღის მშრომელებს“, „სიღნაღის გლეხობას“, „ვემზადებით აჯანყებისათვის“) რომლებშიც აღნიშნული იყო მშრომელი გლეხობის უმძიმესი ეკონომიური მდგომარეობა და მენშევიკური მმართველობის დამხობის აუცილებლობა, როგორც ხალხის უმწეო მდგომარეობიდან გამოსვლის ერთადერთი გზა.

აჯანყების ორგანიზებულად ჩატარებას ხელს უწყობდა მაზრის რევოლუციონერთა მტკიცე ბოლშევიკური ბირთვი, რომელშიც შედიოდნენ მ. ვარამაშვილი, გ. მირიანაშვილი, ნ. აირაპეტოვი, გ. გულივერდაშვილი, ნ. ქიტიაშვილი, ვ. ხირსელი, მ. პეტრენკო, დ. ივანოვი და სხვ. გლეხთა გამოსვლების მომზადებაში მონაწილეობდა აგრეთვე სიღნაღის მაზრის კომკავშირული ორგანიზაცია „სპარტაკი“, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ შ. ფეიქრიშვილი, ვ. დარჩიაშვილი, ვ. მირიანაშვილი, შენგელია და სხვა მოწინავე ახალგაზრდები[17].

1919 წ. 8 სექტემბერს მ. ვარამაშვილის ბინაზე გაიმართა ბოლშევიკების სამაზრო კონფერენცია, რომელმაც განიხილა პარტიის რიგების ზრდის, მენშევიკურ პარტიასთან დამოკიდებულების, საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობისა და შეიარაღებული აჯანყების მზადების საკითხები. იმავე წლის სექტემბრის ბოლოს თბილისში გაიმართა რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება საქართველოში საყოველთაო შეიარაღებული აჯანყების მომზადების და ჩატარების შესახებ[18].

ბოლშევიკების სამხარეო კომიტეტმა აჯანყების ხელმძღვანელობა უშუალოდ აიღო ხელში და რაიონებში დაგზავნა რწმუნებულები. სიღნაღის მაზრაში კვლავ მიავლინეს მ. ვარამაშვილი, რომელიც თბილისიდან ჩამოვიდა 12 ოქტომბერს. 19 ოქტომბერს სამხარეო შტაბის თათბირმა მოისმინა მოხსენებები აჯანყებისათვის მზადყოფნისა და მისი განხორციელების ორგანიზაციის შესახებ. მომხსენებლებმა ხაზგასმით აღნიშნეს სრული მზადყოფნა საბრძოლო რაზმებისა, რომლებშიც გაერთიანებული იყო 600-მდე მებრძოლი.

სიღნაღის მაზრაში აჯანყების კონკრეტული გეგმა ასეთი იყო: გამოსვლა უნდა დაწყებულიყო 23 ოქტომბერს ღამის 12 საათზე. მთავარი დარტყმების

---

16 საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტ. II, თბ., 1962, გვ. 369.

17 გ. ჟვანია, საქართველოს კომკავშირის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1964, გვ. 22.

18 გ. ხაჭაპურიძე, ქართველი ხალხის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, გვ. 240.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმართულება იყო ლაგოდეხი და თუქურმიშა, სადაც განლაგებული იყო მენშევიკური პოლკები, რომლებიც სამაზრო მილიციასთან და მენშევიკური გვარდიის ერთ ასეულთან ერთად იცავდა სიღნაღს. მაზრის სხვა ადგილებში დიდი ბრძოლები არ იყო მოსალოდნელი და პარტიული ორგანიზაციებიც ადვილად შესძლებდნენ ადგილობრივი ხელისუფლების განიარაღებას.

მენშევიკური ჯარის ნაწილებში მუშაობდა არალეგალური პარტიული ორგანიზაციები, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ ნ. ქიტიაშვილი (ლაგოდეხი) და ვ. ხირსელი (თუქურმიშა). აჯანყების ხელმძღვანელები გაფრთხილებულნი იყვნენ, რომ საბრძოლო მოქმედების დროს რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, მორიდებოდნენ მსხვერპლს. პარტიული უჯრედები ამ მხრივაც ეწეოდნენ მუშაობას ჯარისკაცთა უმრავლესობაში. პირველ რიგში გათვალისწინებული იყო საწყობების ხელში ჩაგდება და მებრძოლთა შეიარაღება, შემდეგ კი ყაზარმებზე შეტევა და ოფიცერთა დაპატიმრება.

1919 წ. 22 ოქტომბერს სამაზრო სამხედრო შტაბმა გ. მირიანაშვილი მიავლინა თბილისში, საქართველოს სამხედრო-რევოლუციურ შტაბში, დირექტივების მისაღებად, იმავე დღეს თბილისში დაპატიმრებულ იქნა საგარნიზონო საბჭოსა და სამხედრო რევოლუციური შტაბის ერთობლივი კრების მონაწილენი, რის გამოც საყოველთაო შეიარაღებული აჯანყება ჩაიშალა[19].

მენშევიკებმა მიიღეს კონტრზომები აჯანყების თავიდან ასაცილებლად. რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა აჯანყების ვადა გადადო, რაც სასწრაფოდ ეცნობა პარტიის სამაზრო კომიტეტებს, მაგრამ ეს ყველა ორგანიზაციამ დროულად ვერ გაიგო და აჯანყება ზოგიერთ რაიონში დანიშნულ დროზე დაიწყო.

რკპ (ბ) სიღნაღის სამაზრო კომიტეტმა და სამხედრო შტაბმა დირექტივა აჯანყების გადადების შესახებ დროზე ვერ აცნობეს ლაგოდეხსა და თუქურმიშაში, ამიტომ ღამის I საათზე ამ სოფლებში დაიწყო შეიარაღებული გამოსვლები. გეგმის შესაბამისად საბრძოლო ოპერაციები დროზე და ნაკლები მსხვერპლის გაღებით ჩატარდა. 24 ოქტომბრის დილას — ლაგოდეხში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა. მენშევიკური მთავრობის ყველა მოხელე ულარიბეს გლეხთა წარმომადგენლებით შეიცვალა. მოსახლეობა აღფრთოვანებით მიესალმა ახალი ცხოვრების დაწყებას. იგი წითელ სამკლავებიან აჯანყებულებს გამარჯვებას ულოცავდა და ზიზღით იხსენიებდა მენშევიკთა მოხელეებს.

ლაგოდეხისა და სიღნაღის მაზრის სხვა სოფლებს შორის კავშირი გაძნელდა, თუქურმიშასა და სიღნაღთან ტელეფონით დაკავშირება შეუძლებელი აღმოჩნდა. ამიტომ აჯანყებულებმა 40 შეიარაღებული რაზმელი გაგზავნეს სიღნაღელთა დასახმარებლად, მაგრამ ალაზნის ხიდთან შეიტყვეს, რომ სიღნაღში აჯანყება არ მომხდარა, ხოლო მალე ისიც ცნობილი გახდა, რომ საქართველოს რევოლუციური საბჭოსა და საგარნიზონო საბჭოს შემადგენლობა დაეპატიმრებინათ. შექმნილი ვითარების გასარკვევად დანიელ ივანოვი, გიორგი ღვედაშვილი და პეტია ტოლსტოვი სასწრაფოდ გავიდა სოფელ ანაგაში, სადაც სამაზრო კომიტეტის სხდომა მიმდინარეობდა. მათ კომიტეტის წევრებს ახარეს ლაგოდეხში მოპოვებული გამარჯვება. მალე მოვიდნენ სოფელ თუქურმი-

---

19 იხ. გ. მირიანაშვილის მოგონება (სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ფ. 3987, გვ. 207).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შის წარმომადგენლები მ. ციციშვილი და მ. პეტრენკო, აჯანყება ამ სოფელშიც დროულად დაეწყოთ, მაგრამ პოლკის ხელმძღვანელობას დაცვა გაეძლიერებინა და დაეპატიმრებინა ბოლშევიკი ჯარისკაცები. ამიტომ აჯანყებას წარმატება არ მოჰყოლია, რაზმელებმა უკან დაიხიეს და ტყეს შეაფარეს თავი.

რკპ (ბ) სიღნაღის სამაზრო კომიტეტის და სამხედრო შტაბის მითითებით 26 ოქტომბერს რაზმები შეგროვდნენ ცივგომბორის მთის „ჭილიანთ გუბეზე“, რათა დალოდებოდნენ აჯანყების დაწყების ახალ სიგნალს. სოფლებში კი ამ დროს დაიწყო აჯანყებულებზე ნადირობა, მათი ნაწილი დააპატიმრეს კიდეც.

აჯანყებულებმა 17 დღეს დაჰყვეს „ჭილიანთ გუბეზე“. ეს ადგილი ნამდვილ სამხედრო ბანაკად იქცა, ტარდებოდა ტაქტიკური მომზადება, პოლიტიკური მეცადინეობა. 17 დღის შემდეგ ბანაკი მოიშალა, რიგით რაზმელებს დაევალათ დაბრუნებულიყვნენ სახლებში, ხოლო იარაღი შემდეგი გამოსვლისათვის შეენახათ. რაც შეეხება ხელმძღვანელ ბირთვს, ისინი არალეგარულ მდგომარეობაში გადავიდნენ. მ. ვარამაშვილი, ნ. აირაპეტოვი, გ. მირიანაშვილი და სხვები უკვე თბილისში ეწეოდნენ მუშაობას შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებლად.

უნდა ითქვას, რომ თავიანთ სახლებში დაბრუნება შეძლო აჯანყებულ რაზმელთა მხოლოდ მცირე ნაწილმა, დანარჩენები თავს აფარებდნენ სხვადასხვა ადგილებს. 1920 წ. 27 აპრილის შემდეგ მათი უმრავლესობა საბჭოთა აზერბაიჯანში გადავიდა და წითელი არმიის რიგებს შეუერთდა.

მენშევიკებმა აჯანყებული რაზმელები ლაგოდეხში გაასამართლეს. მათგან ყველაზე აქტიურ მონაწილეს ალექსი ბალაშვილს მიუსაჯეს სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა, ხოლო დანარჩენ ხუთ კაცს ათი წლის პატიმრობა.

1920 წ. 10 იანვარს პოლკის ჯარისკაცების საქმე განიხილა ქუთაისის სამხედრო სასამართლომ. ათ ჯარისკაცს მიესაჯა — 20—20 წლით პატიმრობა. განაჩენის წაკითხვის შემდეგ ბოლშევიკმა ლუარსაბ ლობჟანიძემ ადგილიდან შესძახა: „რა, თქვენ 20 წლამდე არსებობას აპირებთ? თქვენი დღეები დათვლილია“. მას მხარი დაუჭირეს სხვა მსჯავრდადებულებმა და დარბაზში გაისმა შეძახილები „გაუმარჯოს ბოლშევიკურ პარტიას“[20].

აჯანყება დამარცხებით დამთავრდა, მაგრამ მან გარკვეული მხარდაჭერა აღმოუჩინა საბჭოთა რუსეთს. აჯანყებამ თეთრგვარდიელი გენერალი დენიკინი იძულებული გახადა მოეხსნა ფრონტიდან რამოდენიმე პოლკი და გადმოესროლა საქართველოს საზღვრების გასწვრივ ზურგის გასამაგრებლად, რამაც გაუადვილა წითელ არმიას ბრძოლა დენიკინელთა წინააღმდეგ[21].

ქართველი მენშევიკების უილაჯო სოციალურ-ეკონომიურმა პოლიტიკამ სიღატაკეში ჩააყენა მშრომელი ხალხი. ასეთ ვითარებაში საქართველოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ 1920 წლის დამდეგისათვის შეძლო აღედგინა პარტიული აპარატი და დაეწყო მზადება შეიარაღებული აჯანყებისათვის. იმავე წლის იანვარში რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა დაამტკიცა შეიარაღე-

20 იხ. აჯანყების მონაწილე დ. ივანოვის მოგონება (სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ფ. 3982).

21 გ. ხაჭაპურიძე, ქართველი ხალხის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, გვ. 244.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული აჯანყების მოსამზადებელი და მისი ხელმძღვანელი სამხედრო რევოლუციური შტაბის შემადგენლობა[22].

1920—1921 წწ. მიჯნაზე საქართველოში მომწიფდა უშუალო რევოლუციური სიტუაცია, მენშევიკური ხელისუფლების საშინაო და საგარეო პოლიტიკამ სრული მარცხი განიცადა. 1921 წ. 11 თებერვალს დაიწყო შეიარაღებული აჯანყება. 16 თებერვალს სოფელ შულავერში შეიქმნა რევოლუციური კომიტეტი, რომელმაც საქართველო საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოაცხადა და მშრომელ მოსახლეობას მოუწოდა მხარი დაეჭირათ დაწყებული აჯანყებისათვის.

რკპ(ბ) სიღნაღის სამაზრო კომიტეტმა 17 თებერვალს შექმნა ხელმძღვანელი შტაბი და აჯანყების ვადად დანიშნა 1921 წ. 19 თებერვალი. 18 თებერვალს ღამით სიღნაღი, ლაგოდეხი და თუქურმიშა ალყაშემორტყმული იყო აჯანყებულთა რაზმებით. მეორე დღეს ლაგოდეხსა და თუქურმიშაში დაიწყო აჯანყება. ლაგოდეხში ყველა საბრძოლო ოპერაცია წითელი არმიის ნაწილების მოსვლამდე განხორციელდა, დღის 12 საათისათვის გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება. სოფელ თუქურმიშაში (ამჟამად წითელწყარო) აჯანყებულებსა და მენშევიკურ პოლკს შორის ბრძოლა ისევ გრძელდებოდა. აჯანყებულთ მიეშველნენ წითელი არმიის ნაწილები. მათ მენშევიკების დამცველებს წინადადება მისცეს დანებებულიყვნენ, მაგრამ უარი მიიღეს. წითელი არმიის ერთ-ერთი პოლკის მეთაური პ. კურიშკო, რომელიც ააღელვა რეაქციონერთა უაზრო მოქმედებამ, თვითონ გაიჭრა მოწინააღმდეგისაკენ. მაგრამ მტარვალებმა იგი სიცოცხლეს გამოასალმეს, ამით აღელვებულმა წითელარმიელებმა და აჯანყებულებმა ერთი დარტყმით გაანადგურეს მოწინააღმდეგის დიდი ჯგუფი და თითქმის უბრძოლველად დაიკავეს მაზრის ცენტრი — სიღნაღი.

დღის 4 საათზე ქ. სიღნაღში შედგა მშრომელთა მიტინგი. აჯანყების სამხედრო შტაბმა მოსახლეობას მიულოცა სიღნაღის მაზრაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება.

---

22 საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, გვ. 450.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ГУРАМ ЗЕДГИНИДЗЕ

# К ВОПРОСУ О ЛИЧНОСТИ БОГДАНА ГУРДЖИЦКОГО

Грузинские нарративные и документальные источники, а также многочисленные сочинения иностранных дипломатов и путешественников дают возможность проследить многовековую историю грузинской дипломатии, которая сохранила имена многих известных дипломатов и государственных деятелей.

Бесконечные войны и неоднократные опустошительные нашествия уничтожили канцелярские и архивные хранилища Грузии, вследствие чего о жизни и деятельности многих выдающихся исторических личностей сохранился незначительный документальный материал, а очень часто и вовсе никаких сведений не осталось.

К числу таких деятелей, о которых грузинские исторические источники содержат весьма скудные сведения, принадлежит известный дипломат второй половины XVII века Богдан Гурджицкий, который в течение долгих лет находился на службе Королевства Польского и в качестве резидента и посланника, вел плодотворную дипломатическую деятельность в Иране при дворах шаха Аббаса II, шаха Сулеймана и шаха Султана-Хусейна.

Богдан Гурджицкий, по национальности грузин, был тесно связан с правящими кругами восточногрузинских царств, вследствие чего его дипломатическая деятельность соприкасалась и с внешнеполитическими вопросами грузинских государств. Это обстоятельство вызывает несомненный интерес у исследователей истории Грузии. Однако в грузинской историографии о Богдане Гурджицком до последнего времени почти ничего не было известно. Лишь в 1965 году проф. Я. З. Цинцадзе, опубликовав «Материалы к истории польско-грузинских взаимоотношений (XV—XVII вв)», впервые в грузинской историографии обратил внимание на личность и деятельность Богдана Гурджицкого[1]. В том же году в журнале «Мнатоби» нами была опубликована статья «Грузинский дипломат Богдан Гурджицкий», которая явилась первой попыткой специального изучения жизни и деятельности названного дипломата[2].

Богдан Гурджицкий как польский дипломатический деятель сравнительно лучше известен в русской и советской историографии. В трудах Н. Н. Бантыша-Каменского, Е. С. Зевакина, В. К. Восканяна, В. А. Байбуртяна приводятся интересные сведения, освещающие некоторые стороны дипломатической деятельности Богдана Гурджицко-

---

[1] ი. ცინცაძე, მასალები პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (XV—XVII სს.), თბ., 1965.

[2] გ. ზედგინიძე, ქართველი დიპლომატი ბოგდან გურჯიცკი, „მნათობი“, 1965, № 12.

ეროვნული ბიბლიოთეკა

го[3]. Однако вышеназванные исследователи не ставили себе целью изучение вопросов связанных с личностью этого замечательного дипломата XVII века.

Гораздо полнее отображает жизнь и деятельность Богдана Гурджицкого польская историография, которая характеризует его как талантливого дипломатического деятеля, хорошо разбиравшегося в международной политике и владевшего несколькими иностранными языками.

Польские историки Станислав Заленский, Станислав Кошчиалковский, Ян Рейхман, Чеслав Хованец, Богдан Барановский, Казимеж Пиварский, Збигнев Вуйчик и другие в своих трудах приводят немало интересных сведений, освещающих основные моменты жизни и деятельности Богдана Гурджицкого[4]. Однако, оценивая Богдана Гурджицкого как видного дипломата польского государства, польские историки не стремились выяснить его национальное и социальное происхождение. Хотя в их трудах не раз подчеркивается, что Богдан Гурджицкий по национальности был грузином.

Настоящая статья ставит целью собрать все существующие сведения биографического характера о Богдане Гурджицком и осветить основные вопросы касающиеся личности, а также жизни и деятельности этого видного дипломата XVII века.

Для изучения личности Богдана Гурджицкого необходимо разъяснить три основных вопроса. Во-первых, следует уяснить национальное происхождение Богдана Гурджицкого, во-вторых, необходимо установить его имя и фамилию, и в-третьих, следует рассмотреть вопрос о его социальной принадлежности. Для более ясного понимания социальной сущности деятельности и морально-этических норм поведения Богдана Гурджицкого, необходимо определить к какому слою общества принадлежал он, интересы какого класса выражал и защищал во время своей долголетней деятельности.

Рассматривая вопрос о национальном происхождении Богдана Гурджицкого прежде всего привлекает внимание его фамилия — Гурджицкий, представляющая собой польскую разновидность восточного «гурджи», т. е. грузина. Действительно, пересмотрев документальный материал 60-х годов XVII века, относящийся к деятельности Богдана Гурджицкого, мы убеждаемся, что в тот период Богдан Гурджицкий везде упоминается под именем Богдана Гурджи.

---

[3] Н. Н. Бантыш-Каменский, Обзор внешних сношений России (по 1800 г.), М., 1897; Е. С. Зевакин, Персидский вопрос в русско-европейских отношениях в XVII в., «Исторические записки», 1940, № 8, В. К. Восканян, Армяно-русские отношения в XVII в. Роль армянских купцов в русско-персидской торговле, дисс. на соиск. ученой степени канд. историч. наук, Ереван, 1948. В. А. Байбуртян, Армянская колония Новой Джульфы в XVII веке, Ереван, 1969.

[4] St. Zalęnski, Jezuici w Polsce, Lwów, 1902, его же, Missye w Persyi w XVII, XVIII wieku pod protektoratem Polski, Kraków, 1882, St. Kościalkowski, L'Iran et la Pologne à travers les siècles, Teheran, 1943, Jan Reychman, Bohdan Gurdziecki, Polski Słownik Biograficzny, t. IX, Warszawa, 1960, Cz. Chowaniec, Z dziejów polityki Jana III na Bliskim Wschodzie, 1683—1686, „Kwartalnik historyczny", № 40, 1926, B. Baranowski, Znajomośc wschodu w dawnej Polsce do XVIII wieku, Lódz, 1950, K. Piwarski, Między Francją a Austrją. Z dziejów polityki Jana III Sobieskiego w latach 1687—1690, Kraków, 1933, Zb. Wójcik, Między traktatem Andruszowskim a wojną turecką stosunki polsko-rosyiskie 1667—1672, Warszawa, 1968.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Примечательно, что Богдан Гурджицкий до 1676 года во всех польских и русских документах называет себя Богданом Гурджи. О том же свидетельствует и печать Богдана с трехязычной надписью: грузинской, персидской и польской. В печати на грузинском языке написано: ბუღდან: ბეგ, т. е. Бугдан бег, на персидском языке — بغدان بك, т. е. Бгдан бек, что касается польской надписи, то она гораздо длиннее и поэтому занимает всю окружность печати. Польская надпись Bogdan Gurdzy. R. P. J. K. Mc´i—что означает: Bogdan Gurdzy, Rotmistr i Poslanik jego Królewskoj Mosci—Богдан Гурджи, ротмистр и посланник его королевского величества)[5].

Тот факт, что кроме польского и персидского, в печати имеется грузинская надпись в форме «Гурджи», несомненно, указывает на то обстоятельство, что Богдан Гурджицкий по национальности был грузином. Этот аргумент, несомнено, весом. Кроме того существует целый ряд исторических документов, в которых не раз подчеркивается, что Богдан Гурджицкий по происхождению был грузином.

Так, например, известный польский ученый Ян Рейхман пишет, что Богдан Гурджицкий — «Ротмистр королевских войск, находящийся на польской службе, в дальнейшем известный дипломат, родом был из Грузии»[6].

Далее, Богдан Барановский — известный специалист по польскому востоковедению — Богдана Гурджицкого также считает грузином. Он пишет, что «Во второй половине XVII века польско-персидские отношения носили оживленный характер, несмотря на то, что из Польши в Персию с дипломатическими миссиями ездили большей частью авантюристы разных национальностей. Среди них самым видным дипломатом был Богдан Гурджи или Гурджинский, по происхождению грузин, который неоднократно посылался в качестве посланника в Персию»[7].

Особенно важны сведения, принадлежащие лицам, лично знавшим Богдана Гурджицкого и специально обратившим внимание на его национальное происхождение.

Голландский путешественник Ян Стрейс, которого судьба близко свела с Богданом Гурджицким, в своем знаменитом труде «Три путешествия» неоднократно упоминает Богдана Гурджицкого и часто синонимом его имени употребляет имя грузин.

Ян Стрейс пишет: «Посланник Богдан не добрый христианин, хотя ты себе и воображаешь это, а легкомысленный грузин, посланный польским королем ко двору, чтобы снестись с шахом относительно войны с турками»[8].

Далее Стрейс отмечает, что Богдан вместе со своими соотечественниками-грузинами часто устраивал кутежи[9].

Особый интерес представляет также сообщение Стрейса о том, что «Сестра господина Богдана 9-го отправилась на семи верблюдах в

---

[5] ЦГАДА, ф. 79, 1669 г., стб. 23, л. 278.

[6] Jan Reychman, Bogdan Gurdziecki, Polski Słownik Biograficzny, t. IX, Warszawa, 1960, стр. 40—41.

[7] Bohdan Baranowski, Znajomość wschodu w dawnej Polsce do XVIII wieku, Lódz, 1950, стр. 210.

[8] Ян Стрейс, Три путешествия, М., 1936, стр. 247.

[9] Там же, стр. 248.

сопровождении грузинских солдат в свою страну, в город Тифлис, лежащий приблизительно на расстоянии восьми миль от Шемахи»[10].

Здесь же приведем сообщение из письма капитана Бутлера, которое в качестве дополнения было напечатано в русском издании сочинения Яна Стрейса. В письме капитана Бутлера говорится: «Здесь в Шемахе встретили мы парусного мастера Яна Стрейса, которого выкупил один посол польского короля, грузин родом»[11].

Достойно внимания сообщение «Хроники кармелитов», в котором говорится, что: «Посол из Польши является грузином, вместе с которым в апреле 1670 года поехал в Европу иезуит отец Джером»[12].

Кроме вышеприведенных сведений, существует целый ряд документов, подтверждающих, что Богдан Гурджицкий действительно по происхождению был грузином.

30 августа 1668г. в Посольский приказ российского государства майором Иваном Отрепьевым была представлена «Вестовая записка», в которой между прочим говорилось: «А он де посланник родом грузинские земли и сказывает, что послал его Королевское величество в Персиду»[13].

В одном из донесений, посланном в январе 1674 года из г. Мурома в Москву сообщалось: «Польский посланник породою грузинец, веры католицкой и будучи в персицкой земле женился на грузинке же»[14].

Древнерусские источники, подчеркивая национальную принадлежность какого-либо лица, обычно отмечают: «А он родом грузинской земли, православной веры», «породою грузинец, католицкой веры» или «А он де грузинские земли, арменин», т. е. указывают сначала на национальное происхождение личности, а затем его религиозную принадлежность. К примеру приведем сведение о грузинском купце Автандиле, который в 1674 году приехал в Москву по торговым делам. В сведении говорится, что среди прибывших в Москву был: «...Торговый человек грузинской земли, арменин Автандил, а с ним четыре тай, большого, шелку сырцу толстого, да грузинец Давид»[15].

Среди документов заслуживают особенного доверия материалы, в которых о Богдане Гурджицком дают сведения грузины, проживающие в Москве и лично знавшие Богдана и его родственников.

Так, в одном документе, который подписан грузинским князем Бежаном Пешангишвили, говорится: «Потому что тот посланник Богдан Гурдий родом грузинец и родственники у него есть в персидской земле, а в Польше де только служил в войну»[16].

Приблизительно такого же содержания показание, данное проживающими в Москве грузинами-стольниками русского царя, князьями Багратом, Паата, Григорием и Иваном сыновьями князя Хохоны Давыдова (Давиташвили). Это показание было представлено в Посольский приказ в январе 1700 года, по случаю кончины Богдана Гурджицкого[17].

---

[10] Ян Стрейс, Три путешествия, стр. 254.

[11] Там же, стр. 372.

[12] „Ambasador from Polland, a Georgian, with whom Fr. Jerome of Jesus Mary, went to Europe in April 1670". A Chronicle of the Carmelites in Persia, London, 1930, стр. 425.

[13] ЦГАДА, ф. 79, Сношения России с Польшей, стб. 23, л. 34.

[14] ЦГАДА, ф. 77. Сношения России с Персией, 1673 г., ед. хр. № 1, л. 331.

[15] Там же, л. 137.

[16] ЦГАДА, ф. 79, 1700 г., стб. 9, л. 26.

[17] ЦГАДА, ф. 79, 1700 г., стб. 9, л. 27.

Таким образом, из вышеприведенного документального материала явствует, что Богдан Гурджицкий в действительности по национальности был грузином, тем более, что в течение своей длительной дипломатической деятельности для переписки он пользовался исключительно грузинским языком. Так, например, реляции и письма Богдана были написаны на грузинском языке, а документы составленные на русском или польском языках всегда имеют подтверждение автора по грузинскому обычаю. Например, «челобитная», которую в 1700 году Богдан подал царю Петру I и которая была составлена на русском языке, имеет следующую приписку, сделанную рукою самого Богдана: „ქ: მე: ბუღდან ბეგ: ამ ჩოლობიტნისა: ყაბული მაქუს:“[18]. а письмо посланное Богданом Гурджицким в 1669 году канцлеру Лещинскому в конце имеет следующую грузинскую приписку: „ქ: ბუღდან: გურჯი: რუქმისა: იეგო: კარულევაცკოი: მსჩი“:[19].

Таким образом, вышеприведенные сведения и документальные материалы позволяют сделать следующий вывод: Известный польский дипломат второй половины XVII века Богдан Гурджицкий по национальности был грузином.

Как выясняется, семья Богдана Гурджицкого долгое время проживала в г. Шемахе, чем должно быть вызвано то обстоятельство, что как сам Богдан, так и его отец и братья всюду упоминаются лишь именами. Грузинская грамота, пожалованная картлийским царем Вахтангом VI князю Ашхарбегу Бебуташвили, упоминает Богдана Гурджицкого также лишь по имени, не называя его фамилии[20]. В этом документе Гурджицкий упомянут — ელჩი ბუღდან ბეგი, т. е. посланник Богдан бег. В других документах Гурджицкий упоминается по-разному. В русских источниках — Богдан Гурдий, Богдан Горди, Богдан Гурдей, а также Богдан Гурдецкий[21]. По разному упоминают его и польские документы: Bogdan Gurdzy, Bugdan beg, Bogdan Giurdziecki Bogdan Gurdzicki[22].

В вышеупомянутой трехязычной печати на персидском языке выгравировано — بغدان بك т. е. Бгдан бек. В целом ряде документов, имеющих приписки на грузинском языке, Богдан Гурджицкий, подписывается в трех вариантах — ბუგდან გურჯი, ბუღდან ბეგი, ბოგდან გურჯიცკი. т. е. Бугдан Гурджи, Бугдан бег и Богдан Гурджицкий[23].

К сожалению, данные материалы не дают возможности окончательно установить подлинное имя и фамилию Богдана Гурджицкого.

---

18 ЦГАДА, ф. 79, 1669, стб. 23, лл. 136—137.

19 ЦГАДА, ф. 79, 1700, стб. 9, л. 1.

20 დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის (XV—XIX სს.). ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, ტ. I, თბ., 1962, გვ. 93.

21 Армяно-русские отношения в XVII веке, сборник документов, под ред. В. А. Парсамяна, Ереван, 1953, стр. 78—81, Н. Н. Бантыш-Каменский, указ. соч., стр. 141—180, а также ЦГАДА, ф. 79, 1669, стб. 23, лл. 40, 48, 162, ф. 77, 1673, стб. 49, лл. 1—7, 136—137 и др.

22 L. Hubert, Pamiętniki historyczne, Warszawa, 1861, t. II, стр. 87—88. Avg. Theiner, Monuments historiques de la Russie, Romae, 1859, стр. 299—300, ЦГАДА, ф. 79/2, 1675, № 182, 189, 1676, № 196, 1669, стб. 23, лл. 134—137, 237 и др.

23 ЦГАДА, ф. 79, 1676, стб. 16, лл. 1—6, 1669, стб. 23, лл. 96, 134—137.

Однако мы попытаемся высказать нашу точку зрения по этому вопросу.

Как мы полагаем, имя Богдан должно быть точным или же приблизительным переводом грузинского имени или фамилии Гурджицкого. Богдан является славянским композитом и означает нечто божеского дара. Из грузинских имен этого содержания можно привести Хвтисавар или Алаверди. Из этих имен образованы грузинские фамилии Алавердашвили, Хвтисавришвили и другие. В Грузии в XVII в. такие имена и фамилии встречаются довольно часто.

В одной из реляции Богдана Гурджицкого, изданной на латинском языке Августином Тейнером, его имя передается так: Deodati Gurdziecki, это указывает на то, что славянское имя Богдан перевели на соответствующий латинский — Deodati, что в свою очередь дает возможность считать имя Богдан также переведенным с соответствующего грузинского имени.

М. Тамарашвили в своем труде «История католичества среди грузин» упоминает об одном интересном факте. Он пишет: «Тот молодой грузин был князем Алавердашвили, так как кардинал в своем письме его называет „Nobile Georgiaro Deodate“[24].

На наш взгляд, Georgiano Deodate означает то же самое, что и Deodati Gurdziecki или Bogdan Gurdziecki, поэтому разделяя мнение М. Тамарашвили полагаем, что в основе имени Богдана Гурджицкого также лежит укоренившееся в грузинском языке слово Алаверди.

Для характеристики личности Богдана Гурджицкого весьма важен вопрос о его социальной принадлежности. Для этого следует собрать соответствующие о нем сведения биографического характера и по мере возможности воссоздать основные моменты его жизни и деятельности.

Богдан Гурджицкий в начале 50-х годов находился в Грузии и служил картлийскому царю Ростому[25], а со второй половины 50-х годов он уже в Польше, где принимает активное участие в военных кампаниях этого периода в качестве начальника одного из частей польского иноземного войска. В документах 1662 года Богдан Гурджицкий упоминается уже в чине ротмистра надворных войск[26]. В военных кампаниях этих лет Богданом Гурджицким было проявлено большое мужество и отвага, чем он и заслужил всеобщее признание. Так, в ноябре 1666 года на сейме депутаты от войска за выдающиеся военные заслуги потребовали возвести Богдана Гурджицкого в шляхетское достоинство, но ввиду срыва Сейма на этот раз Богдан Гурджицкий не был нобилитирован[27].

В 1668 году Богдан Гурджицкий в качестве посланника короля Яна Казимира был отправлен ко двору иранского шаха Аббаса II. К этому времени, как показывают архивные материалы, родные братья Богдана Парсадан, Назар и Мераб, а также его отец Иван жили в г. Шемахе и находились на шахской службе[28].

---

24 მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ., 1902, გვ. 243.

25 Jan Reychman, указ. соч., стр. 40.

26 L. Hubert, указ. соч. стр. 87.

27 Там же, стр. 87—88.

28 ЦГАДА, ф. 79, 1669, стб. 23, лл. 282—283, 395, ф. 77, 1673, стб. 49. лл. 136—138.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

Успешно выполнив дипломатическую миссию, в 1675 году Богдан Гурджицкий возвратился в Польшу, где был весьма ласково принят новым польским королем Яном III Собеским. В феврале 1676 года в Кракове состоялся коронационный сейм, который за заслуги перед Речью Посполитой Богдана Гурджицкого и его брата Парсадана нобилитировал в шляхетское звание, присвоил им дворянский геральдический знак — герб и пожаловал имения в Ленчицком повяте[29]. Сейм принял конституцию и утвердил привилегии шляхты, среди которых есть следующий пункт: „Nobilitacya osób, od wielmożnych Hetmanów Koronnych zaleconych. Przychelaiąc ludzi Rycerskich ad bene merendum de Republ.: Za zaleceniem wielmożnych Hetmanów Koronnych a za zgodą wszech Stanów osoby niżej opisane: ...Bohdana Gurdziego (Seu Gurdzieckiego) Rotmistra naszego z bratem iego Persidonem Gurdzim,...[30].

Отправление Богдана Гурджицкого в Иран в качестве польского посланника следует рассматривать как проявление уважения и доверия к его личности в среде правящих кругов Польши. Представители польской шляхты заведомо отрицательно смотрели на использование иностранцев в качестве послов и посланников, так как дипломатическую службу считали делом большой национальной важности. Они считали, что послы-иностранцы, возможно, не остались бы до конца верны интересам Польского государства, тем более, что часто являлись подданными именно тех государств, в которых они посылались полномочными представителями. В этом отношении значительный интерес представляет одно частное письмо, датированное 1669 годом. В этом письме между прочим сказано: «Пока не знаю, кого пошлют в Турцию послом; одни говорят пана Висоцкого, другие — Венявского, того же Торосевича, родом армянина, что в итоге было бы опасно для Республики, особенно сейчас, когда Турция ищет повод для войны с нами. Кто будет гарантом Торосевича, что он больше своей отчизны будет любить Польшу — свою новую родину!

А если его примут не как посла, а как беглого подданного?, а если его будут пытать? Захочет ли он для нашей свободы и святой веры стать мучеником? Как видно он ради нас не намерен стать святым мучеником.

Поэтому прошу Республику в иные государства иностранцев не посылать. Послами будем посылать лишь представителей наших двух народов (Польши и Литвы — Г. З.)»[31].

Несмотря на то, что Богдан Гурджицкий был иностранцем, в польской историографии его личность и деятельность получили высокую оценку. По словам Яна Рейхмана: «Богдан Гурджицкий... ротмистр королевских войск, потом дипломат на польской службе, родом был из Грузии, сначала служил у короля Грузии. В начале второй половины XVII века его уже видим на польской службе, где в 1662

---

[29] ЦГАДА, ф. 79, 1676, стб. 10, л. 61.

L. Hubert, указ соч., стр. 87—88.

[30] ЦГАДА, ф. 79, 1676, стб. 10, л. 61. «Нобилитация тех особ, которые рекомендованы Великими Коронными гетманами и принадлежат к рыцарскому сословию за большие заслуги перед Республикой: По рекомендации Великих Коронных гетманов и с согласия всех сословий нижеследующие особы: ...Богдан Гурджи (или Гурджицкий) наш ротмистр с его братом Персидоном Гурджи:,...»

[31] Fr. Kłuczicki, Pisma do wieku i spraw Jana Sobieskiego, t. I, cz. II, Kraków 1880, стр. 476—477.

году получил звание надворного ротмистра королевских войск. Видно, что отличился мужеством в кампаниях того периода, потому что послы от войска на сейме 1666 года требовали: «за оказанные военные заслуги шляхетским достоинством пожаловать»[32].

Высоко оценивает дипломатическую деятельность Богдана Гурджицкого польский историк Станислав Заленский: «Другой посол, который долгое время был резидентом польского короля при дворе персидского шаха, был человеком богатым, хорошо знающим военное дело и искусным деятелем в политических делах..., которому за дипломатическую деятельность шахом Сулейманом были пожалованы большие имения в Ширване. Этот посол был известный барон Бухтамбег, который был резидентом польского короля в Испагане»[33].

Перед отъездом из Варшавы Богдану Гурджицкому вручили посольскую инструкцию, согласно которой он должен был действовать при дворе иранского шаха Аббаса II. В этой инструкции сказано, что она дается: «урожденному Богдану Гурджи, надворному ротмистру Его Королевского величества и посланнику в Персию»[34]. В специальной грамоте, посланной королем Яном Казимиром — царю Алексею Михайловичу 12 апреля 1668 года, о Богдане Гурджицком говорится: «Посылаем с листом нашим гонца и ротмистра надворного, урожденного Богдана Гурдея, гораздо тех краев ведомого»[35]. В обоих случаях слово «урожденный» употребляется в смысле «благородного».

Богдан Гурджицкий упомянут также как лицо благородного происхождения в грамоте картлийского царя Вахтанга V, которая была послана 26 марта 1671 года польскому королю Михаилу Вишневецкому. Эта грамота приведена французским путешественником Жаном Шарденом. В ней о Богдане Гурджицком сказано следующее: «Ваш добрый слуга Бурби Бугданбег, офицер Вашего королевства, дворянин не менее блистательный и верный, чем благородный, пришел к нам посланником Вашего Величества»[36].

Возвращавшегося из Ирана в Россию Богдана Гурджицкого в Астрахани заставили на ввезенный товар заплатить пошлину. По этому поводу Богдан Гурджицкий царю Алексею Михайловичу подал «челобитную», в которой он доказывает, что пошлина с него взята незаконно: «Потому что они (т. е. товары — Г. З.) не купецкие, свободные мои»[37]. По этому же вопросу 2-го февраля 1675 года Богдана Гурджицкого и польского резидента в Москве Павла Свидерского принял руководитель Посольского приказа ближний боярин Артамон Сергеевич Матвеев. Во время приема Богдан Гурджицкий и Павел Свидерский заявили А. С. Матвееву: «Написана де та статья о торговых людях, а не о посланниках и гонцах, а он де Богдан Гурдий, по указу Королевского величества послан к персидскому шаху для дел обоих великих государей..., а как он приехал из Персиды в Астрахань, и с которых товаров взяты у него пошлины в Астрахани и те де товары даваны ему у шаха вместо жалованья, и пошлин с тех товаров и

[32] Jan. Reychman, указ. соч., стр. 40.

[33] St. Załęski, указ. соч., стр. 867.

[34] L. Hubert, указ. соч., стр. 87—88.

[35] ЦГАДА, ф. 79, 1669, стб. 23, л. 49.

[36] Chardin, Voyages du chevalier Chardin en Perse..., II, Paris, 1811, стр. 127. (В грамоте имя Гурджицкого несколько искажено, Бурби Бугданбег несомненно должно передавать—Гурджи Бугдан-бег—Г. З.)

[37] ЦГАДА, ф. 79, 1669, стб. 23, л. 355 оборот.

провозу иметь не доведется, потому, что он Богдан Гурдий, не торговый человек»[38].

Небезынтересно заявление Богдана Гурджицкого о том, что «На тот праздник с великого воскресенья, шляхта, которая со мною пребывает и мне служат, браги наварили»[39].

Как видим, польские дворяне-шляхтичи члены посольства служили Богдану Гурджицкому и трудно поверить, что известные своей гордостью и надменностью польские дворяне, захотели бы служить посланнику-иноземцу, к тому же неблагородного происхождения. Мы полагаем, что и этот факт подтверждает принадлежность Богдана Гурджицкого к дворянскому сословию, тем более, что в Иране его всегда называли бегом. Следует отметить, что голландец Ян Стрейс весьма подробно описывая жизнь Богдана в г. Шемахе, нигде не упоминает, что Гурджицкий занимался бы торговлей. Наоборот, рассказ Яна Стрейса о жизни Богдана Гурджицкого подчеркивает характерные признаки и особенности феодального быта того периода.

Выше нами была упомянута грамота картлийского царя Вахтанга VI, в которой говорится о том, что царем Георгием XI послу Богдан бегу был пожалован в г. Тбилиси дворец. Это обстоятельство, несомненно, подтверждает наше мнение о принадлежности Богдана Гурджицкого к высшему феодальному обществу Восточной Грузии. Обладание дворцами в таких больших городах средневековья, каким был Тбилиси в XVII веке, было привилегией верхушки феодальной и служилой аристократии[40].

В делах Посольского приказа сохранились документы, в которых перечисляются имена крепостных крестьян, в качестве слуг сопровождавших Богдана Гурджицкого во время его почти пятнадцатилетнего пребывания в Польше. Имена этих лиц являются грузинскими (Ростом, Шиош, Естате, Датуна, Георгий и др.), кроме того, указаны их разнообразные обязанности по отношению к своему патрону (Мсахури — слуги, Молашкре — войн и др.), что было характерно для грузинского крепостного права[41].

Следует считать, что за время длительного пребывания в Польше число крепостных Богдана Гурджицкого по разным причинам должно было уменьшиться (участие в сражениях и др.). Отправляясь из Польши в 1668 году, вместе с Богданом в Грузию вернулись 10 человек крепостных крестьян. Однако в 1674 году, когда Богдан Гурджицкий вновь возвращается в Польшу, то сопровождающих его крепостных уже гораздо больше — их 22 человека, из которых 9 воинов, а 13 человек служителей разных категорий[42]. Этот факт показывает, что Богдан Гурджицкий в Грузии имел феодальные поместья и владел достаточным числом крепостных крестьян, из числа которых, уезжая в дальнюю и долгую поездку, пополнил свою свиту новыми лицами. Таким образом, эти документы ясно показывают, что Богдан Гурджицкий был не только грузином по национальности, но и грузинским феодалом, представителем грузинского феодального общества. Если к этому добавить то, что Богдан Гурджицкий свои письма и документы составлял на грузинском языке по правилам грузинской дипломатики,

38 ЦГАДА, ф. 79, 1669, стб. 23, лл. 338—339.

39 Там же, л. 371.

40 Ш. А. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, Тбилиси, 1959, стр. 417.

41 ЦГАДА, ф. 79, 1669, стб. 23, лл. 82, 294.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



станет ясным, что он был грузином не только по происхождению, но и по воспитанию, образованию, характеру и мировоззрению.

На основании рассмотренного материала можно сделать следующие выводы:

Известный польский дипломат второй половины XVII века Богдан Гурджицкий, который в 1668 году был послан со специальной миссией польским королем Яном Казимиром ко двору иранского шаха Аббаса II, по национальности был грузином, а по социальному происхождению принадлежал грузинскому феодальному обществу, был представителем картлийского дворянства.

---

42 ЦГАДА, ф. 79, 1669, стб. 23, лл. 222—223; ф. 77, 1673, ед. хр. № 1, лл. 136—137.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამაზ ბერაძე

# ოდიშის სამთავროს რუკა არქანჯელო ლამბერტის მიხედვით

1654 წელს ნეაპოლში გამოვიდა იტალიელი მისიონერის არქანჯელო ლამბერტის წიგნი „აღწერა კოლხიდისა, რომელიც ეხლა იწოდება სამეგრელოდ, სადაც ლაპარაკია ამ ქვეყნის წარმოშობის, ზნე-ჩვეულებისა და ბუნების შესახებ“.

წიგნს თან ახლავს ოდიშის სამთავროს რუკა „კოლხიდის ანუ დღევანდელი სამეგრელოს აღწერილობა მდინარე კოდორიდან მოკიდებული ფაზისამდე“, რომელიც ქრისტეფორე კასტელის გამოხაზულია. ამაში მკვლევარი ადვილად დარწმუნდება თუ მას კასტელის ალბომში დაცულ ოდიშის რუკას შეადარებს. ჩვენი აზრით, ლამბერტის ამ რუკის შედგენაში დიდი ღვაწლი მიუძღვის. ამიტომ მას ლამბერტის წიგნთან ერთად განვიხილავთ.

ნაშრომის პირველ თავში „კოლხიდის მდებარეობა და საზღვრები“ მოცემულია ოდიშის სამთავროს საზღვრები: „კოლხიდა მდებარეობს იმერეთსა და აფხაზეთს შუა. იმერეთისგან მას ჰყოფს სახელგანთქმული მდინარე ფაზისი, რომელიც მკვიდრთაგან იწოდება რიონად... რიონი ჰყოფს აგრეთვე სამეგრელოს და გურიას... კოლხიდის საზღვარია აფხაზების ანუ აბაშების მხრით მდინარე, რომელიც მკვიდრთაგან იწოდება კოდორად“[1].

ლამბერტის ეს მონაცემები ზუსტი არაა. სინამდვილეში, იმერეთსა და ოდიშს შორის საზღვარი მდ. ცხენისწყალზე გადიოდა, ხოლო აფხაზეთსა და ოდიშს შორის კი მდ. კელასურზე[2].

ლამბერტის წიგნში დიდი ადგილი უკავია ოდიშის ფიზიკურ-გეოგრაფიულ აღწერილობას. მისი ერთი თავი დათმობილი აქვს მდინარეებს, რომლებიც რუკაზე დიდი ცთომილებითაა გამოხაზული. შეცდომითაა გამოხაზული შავი ზღვის სანაპირო ხაზიც.

ოდიშის აღმოსავლეთ ნაწილში ლამბერტი ჩამოთვლის შემდეგ მდინარეებს: „რიონი (Fasso), ცხენისწყალი (Scheni-schari), აბაშა (Abascia), ტეხური (Tachur), ხობი (Cobus), ჭანისწყალი ( ianis), ენგური (Engur)[3].

ამათ გარდა, რუკაზე სახელწოდების აღუნიშნავად მოცემულია მდ. ხობის მარცხენა შენაკადი. ოჩხომური და ენგურის შენაკადი ჯუმი.

ენგურის დასავლეთით ლამბერტი ასახელებს შემდეგ მდინარეებს: ხეთისწყალი (Heti-scari), ოქუმი (Ochums), ეხარისი (Echalis), მოქვის წყალი (Moquis-Schari) კოდორი (Coddars)[4].

---

1 არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938, გვ. 5.

2 თ. ბერაძე, XVII ს. პირველი ნახევრის ოდიშის რუკა, „ძეგლის მეგობარი“, № 21, 1970, გვ. 42.

3 არქ. ლამბერტი, დასახ. ნაშრომი. გვ. 171.

4 იქვე, გვ. 175—176.

იტალიელ მისიონერს ხეთის წყალი ძალზე პატარა მდინარედ მიაჩნია, რომელიც ზღვას გაგიდასთან ერთვის. ამავე დროს მის რუკაზე ეს მდინარე სიდიდით ისეთივე რანგისაა, როგორც ხობი, ენგური... აქვე გაგიდის დასავლეთით გამოხაზულია პატარა უსახელო მდინარე. ეს უნდა იყოს მდ. გაგიდა, რომელიც ამავე სახელწოდების სოფელთან ერთვის ზღვას. ხეთის წყალი ეს ერთის წყალია (ასე ეწოდებოდა ერის წყალს). წიგნში ორივე მათგანი ერთ მდინარედაა წარმოდგენილი.

ეხარისი მდ. ღალიძგას ერთი შენაკადის, ოხურეის სახელწოდების ლათინური ფორმაა[5]. იტალიელმა მისიონერმა შენაკადის სახელი მთელ მდინარეზე გაავრცელა. ლამბერტის ეხარისი მდ. ღალიძგაა.

რუკაზე, ენგურის დასავლეთით, დამატებით ორი მდინარეა გამოხაზული: მოქვის წყალის დასავლეთით — მარმარის წყალი (Marmar Schari)[6], ხოლო მდ. ოქუმის დასავლეთით სახელწოდების აღუნიშნავად — მდ. ჯაკობა.

ლამბერტი ჩამოთვლის და რუკაზე აღნიშნავს ოდიშის საეპისკოპოსო ცენტრებს: დრანდა (Dandra), მოქვი (Moquis), ბედია (Bedias), ჭყონდიდი (Scondidi), წალენჯიხა (Scalingichas), და ცაიში (Tcheis); უკანასკნელი ორი კათედრალი რუკაზე შესაბამისი პირობითი ნიშნის გარეშეა მოცემული, თანაც ცაიში — დიდი შეცდომით, ერთის წყლის მარცხენა ნაპირზე.

საეპისკოპოსო კათედრალების გვერდით ლამბერტი ჩამოთვლის საეპისკოპოსო ეკლესიებს. „რომელთა წინად ჰყვანდა თავისი ეპისკოპოსები, ეხლა გადაკეთებულნი არიან მონასტრებად: პირველია ქიაჩის (Chiaggi) მონასტერი, წმ. მიქელის სახელობაზე. მეორეა წიფურიას (Cippurias) მონასტერი, რომელიც აშენებულია ვაკეზედ ენგურის ნაპირად. ეს მონასტერი ეხლა ჩვენების ხელშია. აქ არის ორი ეკლესია ერთად შეერთებული, რომელთაგან ერთი ღვთისმშობლის სახელობაზეა და მეორე — წმ. გიორგისაზე. მესამეა ხოფის მონასტერი, მეოთხეა ობუჯის (Obbûgi) მონასტერი, მეხუთეა სებასტოპოლის მონასტერი, რომელიც ახლა წყალშია დანთქმული. მეექვსეა ანაკრიას (Anarglia) მონასტერი, რომელსაც ძველად ერქვა ჰერაკლეა (Heraclea)[7].

ლამბერტის რუკაზე ქიაჩი და ობუჯი არ არის აღნიშნული. ობუჯის სამონასტრო კომპლექსიდან შემორჩენილია მხოლოდ სამრეკლო, რომელიც XIV ს-ით თარიღდება. სოფელში დაცული იყო ქიაჩის ხატი და იდგა მისი სახელობის ეკლესია. ამიტომ ობუჯის ერთ უბანს ქიაჩი ეწოდება. ხატი გადმოსვენებულია XVII ს-ის მიწურულში ენგურის დასავლეთიდან[8]. ლევან II დადიანის ბრძანებით ერთი მოჭედილი ხატის წარწერიდან ირკვევა, რომ ქიაჩის მონასტერი სოფელ კვიტაულის სიახლოვეს მდებარეობდა[9], ეს სოფელი მოქვის წყლის დასავლეთითაა. მის მახლობლად სოფ. ჯგერდას მიდამოებში, მაღალ

---

5 კ. ბერულავა, აფხაზეთის ისტორიული ადგილები, თბ., 1951, გვ. 66.

6 მარმარილოს წყალს დღეს მარმარი ეწოდება. მდინარეს მეორე სახელიც აქვს — სკურჩა (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 173).

7 არქ. ლამბერტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 120—121.

8 ს. კაკაბაძე, საბუთი შერგელაიასათვის ქიაჩის ხატის გადაცემის შესახებ, „საისტორიო მოამბე“, I, თბ., 1925, გვ. 247—249.

9 შ. ბურჯანაძე, ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია ოდიშის სამთავროებისა, თბ., 1959, გვ. 151.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთაზე შემორჩენილია სამონასტრო კომპლექსი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა ქიაჩს უწოდებს. ჩვენი აზრით, ეს სამონასტრო კომპლექსი ლამბერტისთან მოხსენიებული ქიაჩის მონასტერია.

წიფურია (Cippurias) მისიონერთა მთავარი სადგომი იყო ოდიშში. ლამბერტის რუკაზე იგი მოცემულია ენგურის მარჯვენა ნაპირზე, ზღვისპირა ზოლში. წიფური მეგრულად წიფელს ნიშნავს. სახელი წიფურია სოფლის სახელის დამახინჯებული ფორმაა. მეგრულში მცენარის სახელიდან გეოგრაფიული სახელი -ონ სუფიქსის დახმარებით იწარმოება[10]. სოფლის სახელი წიფურონი უნდა ყოფილიყო. დღეს ამ სახელწოდების სოფელი არ არსებობს. ენგურის მარჯვენა ნაპირას, ზღვისპირა ზოლში, სოფ. განარჯია მუხურის ერთ უბანს წიფურონი ეწოდება. ამ სოფელში შემონახული იყო ზარები ლათინური წარწერით, რომელთაც იტალიელ მისიონერებს უკავშირებდნენ[11]. შარდენს აღწერილი აქვს თავისი მოგზაურობა ანაკლიიდან მისიონერთა სამყოფელამდე. მგზავრებმა ჯერ ნავით იარეს, შემდეგ კი ფეხით გაუდგნენ გზას და მზის ჩასვლამდე წიფურიას მიაღწიეს[12]. ანაკლიიდან წიფურონამდე ხუთმეტ კილომეტრზე მეტი მანძილია, სწორედ იმდენი, რასაც ხანმოკლე დღის განმავლობაში (მგზავრობა ოქტომბრის ბოლოს ხდება) ბარგით გაივლიდა შარდენი.

ამრიგად, ლამბერტის წიფურია სოფელი წიფურონია, რომელიც დღეს სოფ. განარჯია მუხურის ერთი უბანია.

ლამბერტის ანაკრია (Anarglia olin Heraclea) დღევანდელი ანაკლიაა. ქართულ საისტორიო საბუთებში ამ სოფლის სახელწოდება ორივე ფორმით მოიხსენიება. ანაკლია დღეს მხოლოდ ენგურის მარცხენა ნაპირზეა გაშენებული. რუკა მოწმობს, რომ ლამბერტის დროს ეს სოფელი მდინარის ორივე ნაპირზე ყოფილა გადაშლილი.

მეექვსე საეპისკოპოსო მონასტერი, ლამბერტის ცნობით, სებასტოპოლისში იყო, სანამ მას ზღვა დაფარავდა. სებასტოპოლისს იგი ფოთს უწოდებს და რუკაზე რიონის შესართავთან აჩვენებს. (Puti-Sebaftopoli). აღსანიშნავია, რომ იგი ზღვიდან მოშორებითაა მოცემული. საინტერესოა ერთი გარემოება: ლამბერტის ცნობით, თურქებმა 1578 წელს. რიონის შესართავთან კუნძულზე ციხე ააგეს, რომელიც ნახევარი საუკუნის შემდეგ ლევან II დადიანმა დაანგრია[13]. თითქოს ფოთი (დასახლებული პუნქტი) და ფოთის ციხე ერთმანეთისაგან დაშორებული ჩანს.

ლამბერტი ზემოთ ჩამოთვლილ ექვს მონასტერს გაუქმებულ საეპისკოპოსოთა კათედრალებად მიიჩნევს. სინამდვილეში, მხოლოდ ფოთი იყო ადრეფეოდალურ ხანაში საეპისკოპოსო ცენტრი. წიფურონისა და ანაკლიის მონასტრები ლამბერტის გარდა არსადაა დამოწმებული.

---

10 არნ. ჩიქობავა. -ონ სუფიქსი მეგრულში, „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“, 1926, VI.

11 Л. Смирнов, О некоторых древностях Кутаисской губернии, Пятый археологический съезд в Тифлисе, М., 1887, გვ. 152.

12 Путешествиг Шардена по закавказью в 1672—1673 гг., Тбилиси, 1992, გვ. 112.

13 არქ. ლამბერტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 172.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნის ერთ თავში, რომელიც ვაჭრობას შეეხება, ლამბერტი ჩამოთვლის იმ პუნქტებს, სადაც პერიოდულად ბაზრობები იმართებოდა: კორცხელს (Cozchen), წიფურონს, ბედიას და ილორს[14].

ლამბერტის რუკაზე დამატებით ბევრი პუნქტია დატანილი. მათი უმეტესობა ან დღესაც არსებობს ან კიდევ მათი სახელი ტოპონიმიკაშია შემორჩენილი.

რიონის აღმოსავლეთით ლამბერტის მხოლოდ ერთი სოფელი აქვს მოცემული Corasopali — გორასოფელი. ეს უნდა იყოს სოფელი გორა.

რიონის მარჯვენა ნაპირზე რუკაზე დატანილია ქუთათისი (Cotatis), გეგუთი (Ieguti), და ეკალი (Echali). ეს უკანასკნელი რიონის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს.

ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე მოცემულია: ხონი (Coni), გორდი (Gordi), და სამიქელაო (Samichelas). ბოლო პუნქტი დღეს არ არსებობს. ის აღნიშნულია იმერთა მეფის ალექსანდრე V-ის ბრძანებით შედგენილ რუკაზე, მოხსენიებული აქვს აგრეთვე ნ. დადიანს[15].

მდინარეების ცხენისწყალსა და აბაშას შორის ნაჩვენებია: ბანძა (Pansas), ჟონიოთა (Cinota), ილორი (Ilors), ცილორი (Trilors) და შუაქალაქი (Scuachalachi), აქვეა ისორი (Iccori), და რობა (Robbas), რომლებიც დღეს სოფელ მარანის უბნებს წარმოადგენენ.

მდ. ცხენისწყლის ნაპირზე აღნიშნულია (Dotcobona) — დოთკობონა. ეს სახელი დიდლვაბუნას დამახინჯებული გადმოცემა უნდა იყოს. შესაბამის ადგილას ამ სახელწოდების სოფელია.

რუკის ამ სექტორში აღნიშნულია (leccom) — ლეხომ; ეს პუნქტი ჩვენი აზრით, ლეხაინდრავე უნდა იყოს.

მდინარეების აბაშას და ტეხურს შორის მოცემულია: მუხურჩა (Muchurce), ნაქალაქევი (Nachalachens), ძიგური (Zicuri), ზანათი (Zannati) და მარსილი (Marsili). ეს უკანასკნელი რამდენიმეჯერ იხსენიება საეკლესიო საბუთებში; დღეს ფართო მინდორს ეწოდება მდ. აბაშას ორივე ნაპირზე, ბანძასთან.

ლამბერტის რუკის ამ სექტორში შეცდომით დატანილია საჯიჯიანო (Sagigiani). სინამდვილეში იგი მდ. ხობის მარჯვენა ნაპირას მდებარეობს. აქ შემორჩენილია ციხის და ეკლესიის ნანგრევები.

მდინარეების ტეხურსა და ხობს შორის რუკაზე დატანილია: (Sicu) — ქიხუ. (დღეს იგი სოფელ პირველ მაისის ერთ უბანს წარმოადგენს: მდებარეობს ხობის დასავლეთით). 'Sinaghi — დღევანდელი ძველი სენაკი.

Tchuagiochor — ქვაშხორი; ქვაშხორის ნათლისმცემლის ეკლესია მოხსენიებულია ლევან II დადიანის ბრძანებით 1656 წელს მოჭედილი ხატის წარწერაში; სოფელი შხეფთან ახლოს მდებარეობდა და დღეს მის ერთ უბანს წარმოადგენს. ჩვენი აზრით, ლამბერტის რუკაზე, ქვაშხორის ახლოს დატანილი ციხესიმაგრე შხეფის ციხე უნდა იყოს.

14 ა რ ქ. ლ ა მ ბ ე რ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 157—158.

15 ნ. დ ა დ ი ა ნ ი, ქართველთა ცხოვრება, თბ., 1962, გვ. 160.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამავე სექტორში ზღვის პირას აღნიშნულია: Tecati—თექლათი, Corgas—ხორგა, Copis—ხობი. სამივე პუნქტი რუკაზე დიდი შეცდომითაა დატანილი.

მდინარე ოჩხომურსა და მდ. ხობს შორის სამი პუნქტია მოცემული: კირცხი (Curchi), ხორში (Coscis) და (Zennati)—ზენათი; ეს უკანასკნელი სახელი დამახინჯებულია; სოფელი ზანათი, უკვე, ერთხელ, შესაბამის ადგილას აღნიშნულია. აქ კი იგულისხმება სოფელი ზანა.

მდინარეების ხობსა და ჭანისწყალს შორის მოცემულია: სკური (Scuroli), ჯგალი (Sgali) ზუბი (Zubis), ხიბულა (Chibulas), სუჯუნათი (Cudonat).

ჭანისწყლის მარჯვენა ნაპირზე სათავესთან რუკაზე მოცემულია Iacqua— — ლაკადა. დღეს ამგვარი სახელწოდების პუნქტი არ არსებობს. ლაკადა მთის მხარეს ეწოდება და დღევანდელი წალენჯიხის რაიონის ერთ ნაწილს მოიცავს. აქვე სოფელ ლარასთან არის ნასოფლარი ლაკადა. ჩვენი აზრით, რუკაზე ეს უკანასკნელია მოცემული.

რუკის ამავე სექტორში მოცემულია: ბაში (Bàscis), ზუგდიდი (Zugdidi) რუხი (Ruchi);

ანაკლიასთან ახლოს ზღვის პირას ლამბერტის რუკაზე დატანილია მუხური (Muchur); საერთოდ ეს სახელი სამეგრელოს ტოპონიმიკაში ფართოდ გავრცელებულია. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ენგურის მარჯვენა ნაპირზე არის სოფელი განარჯიას მუხური. მის ერთ უბანს მუხური ეწოდება. უნდა ვიფიქროთ, რომ რუკის გამომხაზველი შეცდომას უშვებს და სოფელ მუხურს ენგურის მარჯვენა ნაპირის ნაცვლად მარცხენაზე ათავსებს. ამ მოსაზრებას შემდეგი გარემოება უჭერს მხარს: რუკაზე ენგურის მარჯვენა ნაპირზე მოცემულია კადარი (Cadars). ამგვარი ტოპონიმი ამ მდინარის დასავლეთით არაა შემორჩენილი, ხოლო ენგურის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს სოფელი კოკი, სადაც შემორჩენილია გვიანფეოდალური ეკლესიის ნანგრევები. ეკლესიას და მის მიდამოებს კადარი ეწოდება. ჩვენი აზრით, ლამბერტის რუკაზე სწორედ ესაა დატანილი, ოღონდ შეცდომით. საერთოდ, ლამბერტის რუკაზე გამორიცხული არ არის სოფლის დატანა მდინარის ერთი ნაპირის ნაცვლად მეორეზე.

მდინარეების ენგურსა და ერთისწყალს შორის ლამბერტის რუკაზე მოცემულია: Fugronà — ფარონი. (ასე ეწოდება ციხის ნანგრევებს და ტყით დაფარულ ვრცელ ადგილს (სოფელ ჭუბურხინჯში);

Satangi— — სათანჯი (ასე ეწოდება მთას და ციხესიმაგრეს ჭუბურხინჯთან).

ამავე სექტორში რუკაზე დატანილია: გალი (Cogieli), შეშელეთი (Sciasciateli), ქვითი (Quiti)—დღეს სოფ. რეფის ერთ ნაწილს ეწოდება; სიდა (Suddas), ბარღები (Barghebs); აქვეა წამხარი[16] (Zamchar); იგი დღეს სოფ. თაგილონის ერთი უბანია. წამხარში არის ძველი ეკლესიის ნანგრევები.

---

16 წამხარი რამდენჯერმეა მოხსენიებული ისტორიულ საბუთებში თუ ხატის წარწერებში: მამია დადიანმა (1500—1543) ბიჭვინთის ღვთისმშობლის ეკლესიას შესწირა სასახლე წამხარში (ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი — 2218). აფხაზეთის საკათალიკოზო დიდი იადგარის მიხედვით, ლევან II დადიანი ეკლესიას სწირავს ერთ ყმას წამხარში, (გვ. 183). ერთი ღვთისმშობლის ხატზე, რომელიც თავის დროზე წალენჯიხის მონასტერში იყო დაცული, ვკითხულობთ: „ქ... დადიანი ლევან... მოვაჭედინე ხატი... და დავასვენეთ წამხარს სასახლესა კარი-




ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდინარეების ერთისწყალსა და ოქუმს შორის რუკაზე დატანილია: ჩხოროთოლი (Scorotoli), აკვასკე (Auchauw), წარჩე (Tarfce), გაგიდა (Gaghida), გუდა (Cudas). ამ უკანასკნელის სახელი მეგრული ფორმითაა მოცემული. საბუთებში გუდავა იხმარებოდა[17].

ამავე სექტორში რუკაზე აღნიშნულია: Armeni —არმენი. ასეთი სახელწოდების პუნქტი არ არსებობს. ცნობილია, რომ ლევან II დადიანმა ჩხარიდან გადმოასახლა სომხები და ებრაელები და რუხის ციხესთან დაასახლა. Armeni უნდა აღნიშნავდეს იმ ადგილს, სადაც ოდიშის მთავარმა იმერეთიდან სომეხი და ებრაელი ვაჭრები გადმოიყვანა. რუკის შემდგენელმა რუხი და ეს პუნქტი განსხვავებულ ადგილებად მიიჩნია. ლამბერტისეული Armeni ამგვარი გაუგებრობის შედეგი უნდა იყოს.

მდ. ოქუმის მარცხენა ნაპირზე დატანილია საჩინო (Saccino) და სანარდო (Sannaev), ხოლო ოქუმისა და ღალიძგას შორის ლამბერტი იძლევა მარცხულს (Marzchuli), ფუწყურსა (Pazcuov) და სუბეიშს (Subeis). მარცხული რამდენჯერმე მოხსენიებული საეკლესიო საბუთებში. მისი ლოკალიზაცია ვერ ხერხდება. შეიძლება ეს დღევანდელი მერხეული იყოს, რუკაზე შეცდომით დატანილი. ფუწყური დღესაც არსებობს შედის წარჩეს სასოფლო საბჭოში. სოფელ სუბეიშს ჩვენ ვერ მივაკვლიეთ. მისი სახელი არც ტოპონიმიკაშია შემორჩენილი. სამაგიეროდ სუბეში (სუბვი) იხსენიება საეკლესიო საბუთებში და ყოველთვის ოქუმის ხეობაში მდებარე მუხურის გვერდით[18]. უნდა ვიფიქროთ, რომ სუბეიში ამ უკანასკნელის მახლობლად მდებარეობდა.

მდინარეების ღალიძგასა და მოქვისწყალს შორის რუკაზე დატანილია: ილორი (Ilori) მერკულა (Mergullas) და თილითი (Tilich). ეს უკანასკნელი რამდენჯერმე მოხსენიებული საეკლესიო საბუთებში. სოფელ თხინას ერთ უბანში — აბაქვახუ შემორჩენილია ნაგებობათა კომპლექსი, რომელსაც „თლით აბაა“, ან კიდევ „თლუთ აბაა“ ეწოდება. აბაა აფხაზური სიტყვაა და შენობას ნიშნავს. ასე რომ, ამ სახელწოდების ფუძე თილითი უნდა იყოს. ნაგებობათა კომპლექსი გორაკზეა, რომელსაც გალავანი შემოუყვება. აქ დგას ერთნავიანი ეკლესია, ხოლო გალავნის ჩრდილო-დასავლეთ მხარეზე შემორჩენილია საცხოვრებელი ნაგებობების — პალატების ნაშთი. „თლით აბაა“ მოქვის-წყლის მარცხენა ნაპირზე დგას და ზუსტად შეესაბამება ლამბერტის რუკის თილითს.

---

სა ეკლესიასა... ქჳსა სამას ოცდა რვა“ (ექვთ. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობა, გვ. 231). თ. ჭიჭინაძეს სოფ. კოგში თავის დროზე უნახავს ხატი შემდეგი წარწერით: ქ... შარვაშიძეს მანუჩარს... რათამცა ესე ეკლესია წამხარისა დანგრეული აღმეშენებინა... ვაკურთხებინე საყდარი ესე წელსა ჩყია“. (თ. ჭიჭინაძე, საქართველოს ისტორიის მასალა, „კვალი“, 1897, № 28).

17 ბედიის გულანის ერთ მინაწერში ვკითხულობთ: „ბედიელ მიტროპოლიტი მხეიძე ნიკოლოზ. შემოვწირე ერთი ცოლ-ქმარი კაცი გუდავასა ბიძლუა ბაიდია. ..“ (Описание рукописей Тифлисского церковного музея, Карталино-кахетинского духовенства, составленное Т. Жордания, Тифлис, 1903, 1, გვ. 206—207).

18 „წამხარს გამკერვალია, სასახლე სუბეში; სოფელი მუხური...“ (ბიჭვინტის იადგარი, ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1965, გვ. 177). „არს სუბვის სასახლე და მის მიმდგამი სოფელი მუხურის გამოსავალი“. (აფხაზეთის საკათალიკოზო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარი, ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 1970, გვ. 426).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუკის ამავე სექტორში, მდ. ღალიძგას მარჯვენა ნაპირზე აღნიშნულია ღალიძგა (Echalisgas). ეს სოფელი რამდენიმეჯერ გვხვდება საეკლესიო საბუთებში. დღეს იგი აღარ არსებობს. ჩვენი აზრით, იგი მდებარეობდა სოფ. ილორიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით მდ. ღალიძგას მარცხენა ნაპირას, სადაც ძველ შენობათა კომპლექსია შემორჩენილი.

მოქვისწყალსა და მდ. კოდორს შორის მოცემული: ტყვარჩელი (Tquagia); აგუა (Agu); ფშაური (Pscias); მარმარის კარი (Marmariscari). დღეს მას ეწოდება მარმალ აბაა. შედის აძიუჟბას სასოფლო საბჭოში. აქვეა წყუგრილიც (Sgurghili).

მდ. სკურჩას მარჯვენა ნაპირზე ზღვის პირას აღნიშნულია ციხესიმაგრე სათამაშია (Satamascia). ამგვარი სახელწოდების ოთხკუთხა კოშკი დგას კოდორის შესართავის აღმოსავლეთით, ათიოდე კილომეტრის დაშორებით, სოფელ ტამიშთან[19]. უნდა ვიფიქროთ, რომ სახელწოდება ტამიში სწორედ სათამაშიადან მოდის.

სკურჩის მეორე ნაპირზე ლამბერტის რუკაზე დატანილია Turcharu Emporium თურქთა სავაჭრო ფაქტორია. ეს უნდა იყოს უცხოურ წყაროებში მოხსენიებული ისკურია და ქართული ტყაყურუ[20].

ისკურიას ოდნავ ჩრდილოეთით რუკაზე აღნიშნულია დღვანა (Tguanas). ეს სახელი დღეს ვრცელ ფართობს ეწოდება ოჩამჩირეს მახლობლად[21].

მდინარეების მოქვისწყალსა და მარმარისწყალს შორის მოცემულია კიდევ ერთი პუნქტი. — პიტაური. იგი რამდენიმეჯერ მოიხსენიება საეკლესიო საბუთებში, მაგრამ მისი ზუსტი ლოკალიზაცია არ ხერხდება.

ლამბერტი, თავის წიგნში წერს: „ერთ ადგილას, რომელსაც ოლუშე (oluse) ეწოდება, მთები გაშლილია და მტერს ადვილად შეეძლო აქედან შემოსვლა და ქვეყნის აოხრება, — დიდი ხარჯით ამოუყვანიათ კედელი, სიგრძით სამოცი ათასი ნაბიჯი და კედელში აქა-იქ აუშენებიათ კოშკები, რომლებშიც დგანან თოფებით შეიარაღებული მცველები. რომ ამ კოშკებს დარაჯი არასოდეს არ მოაკლდეს, ოდიშის ეპისკოპოსებს, თავადებს და დიდებულებს თვის შორის მორიგეობა გაუნაწილებიათ თვეობით, ისე რომ თითოეული თითო თვეს იცავს ამ ადგილს თავის კაცებით“[22].

---

[19] სათამაშია კოშკის ირგვლივ რამდენიმე საინტერესო ცნობაა დაცული: Отсюда около 10 верст южнее (ლაპარაკია მდ. კოდორის შესართავზე) лежит на приморском бугре... замок Сатамаша, ошибочно принятый многим за Диоскурию. Квадратный массивный замок суживается кверху, входа не имеет по углам снабжен контрофорсами. Вокруг остатки фундаментальной стены замыкают бывший квадратный двор. Стены замка из голыма. Сообщение его с внешним миром производилось через подземный ход или через невысокую стену посредством особых лестниц. (В Чернявский, Записки о памятниках Западного Закавказья, исследование которых наиболее настоятельно. Пятый арх. გვ. 19).

[20] თ. ბერაძე, XVII ს. პირველი ნახევრის ოდიშის რუკა, გვ. 46.

[21] На карте Ламберти, составленной около 1620 г. на правом берегу Меркулы, близ Очемчир, показано селение Тгуана:, ныне не существующее. На этом месте есть местность Дгуана, но там не заметно никаких развалин“. Д. Гулия, История Абхазии, т. I, Тф., 1925, გვ. 162—153.

[22] არქ. ლამბერტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 196.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლუშე ლამბერტის რუკაზე აღნიშნულია ღალიძგის სათავეში. იქვეა მთის გაყოლებით კედელი დატანილი, რომელსაც შემდეგი წარწერა აქვს: „სამოცი ათასი ნაბიჯის სიგრძის კედელი აგებული აფხაზთა შესაჩერებლად“. ჩვენი აზრით, ოლუშე რაიმე დასახლებული პუნქტი კი არ იყო, არამედ ფანავის ქედის იმ მონაკვეთის სახელწოდებაა, სადაც ლევან II დადიანის ბრძანებით აგებული სიმაგრეთა სისტემა იდგა. ოდიშის მთავრის აგებული აფხაზთა შემოსევათა შესაჩერებელი კედელი, კელასურთან იწყებოდა და ღალიძგის ხეობამდე აღწევდა[23].

ლამბერტის რუკის სხვა მონაკვეთებში დამატებით მოცემულია ხუთმეტი პუნქტი, რომელთა სახელის აღდგენა და ლოკალიზაცია ჯერჯერობით ვერ მოხერხდა.

ლამბერტის რუკაზე გამოტოვებულია მისი დროინდელი ოდიშის უმნიშვნელოვანესი ციხესიმაგრეები (ხეთის, ჭაქვინჯის, თამაკონის, ნოღის...) და ეკლესია-მონასტრები (სუჯუნის, ტყვირის, გულეკარის, სეფიეთის, ეკის...). აქ არ არის აღნიშნული ამ დროის სხვა წყაროებში დამოწმებული მრავალი სოფელი (ჯვარი, ხუდონი, კვიტაული კემხელი, ბია...). სახელწოდებანი ხშირად ხალხურ მეტყველებაში ნახმარი ფორმითაა მოცემული (ცხენისწყარი — ცხენისწყლის ნაცვლად, გუდა — გუდავას ნაცვლად, ოქუმის წყარი — მოქვის წყალის ნაცვლად, ერთის წყარი — ერთისწყლის ნაცვლად...) და არა ისე, როგორ შესაბამისი ხანის დოკუმენტებში იხსენიებიან. ბევრი პუნქტი რუკაზე შეცდომითაა დატანილი. მიუხედავად ამ ნაკლოვანებებისა არქანჯელო ლამბერტის წიგნი და რუკა ძვირფას წყაროს წარმოადგენს XVII ს. პირველი ნახევრის ოდიშის სამთავროს რუკისათვის.

23 თ. ბ ე რ ა ძ ე, ვახუშტი ბაგრატიონი და ოდიშის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“, § IV, თბ., 1971.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარეჯან მეგრელაძე

# „ხელმწიფის კარის გარიგების“ ერთი ადგილის განმარტებისათვის

დღეისათვის XIV ს-ის შესანიშნავი ძეგლის „ჴელმწიფის კარის გარიგების“ ოთხი ქართული გამოცემა არსებობს: ე. თაყაიშვილის[1], ივ. ჯავახიშვილის[2], ი. დოლიძისა[3] და ი. სურგულაძის[4]. უკანასკნელ გამოცემას დართული აქვს ტექსტის ორი რუსული თარგმანი, შესრულებული ერთი ე. თაყაიშვილის, ხოლო მეორე ი. სურგულაძის მიერ.

წარმოდგენილი წერილი ამ ძეგლის ერთი ადგილის წაკითხვა-განმარტებას ეხება. ესაა გამოცემებში ცალკე პარაგრაფად გამოყოფილი ნაწილი, სამეფო ზვრების შესახებ[5].

ჩვენეული წაკითხვის (რაც მხოლოდ პუნქტუაციის ხელახალ დასმაში გამოიხატება) დამაჯერებლობისათვის უნდა გავარკვიოთ თუ რა ფუნქციებს ასრულებდნენ ძეგლში მოხსენიებული მ ა ნ დ ა ტ უ რ ე ბ ი.

მანდატურის მოვალეობათა შესახებ ივ. ჯავახიშვილს თავისი მოსაზრებები გამოთქმული აქვს „ქართული სამართლის ისტორიაში“[6]. ამასთან, ძირითადი წყარო მისთვის იყო „ჴელმწიფის კარის გარიგება“. ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით: „მანდატურებს მ ც ვ ე ლ ე ბ ი ს მ ო ვ ა ლ ე ო ბ ა ჰქონდათ. მაგრამ ჩვენ ისეთი ცნობაც მოგვეპოვება, როდესაც მანდატური საპატიო კაცის გამყოლია მგზავრობაში. მაგ., გიორგი მთაწმინდელის ც~ა-ში ნათქვამია, რომ მეფე ბაგრატმა საქართველოთგან ისევ ბიზანტიაში მიმავალი გიორგი მთაწმინდელი „სამეფოსა წიგნთა მიერ და მანდატურთა... წარგზავნა“-ო. აქ ქართველი მანდატური თითქოს ბიზანტიელ მანდატორს მიაგავს და მიმოსვლისა და ხელმწიფო ფოსტის მოხელედა ჩანს“[7]. ავტორს აქვე მოტანილი აქვს სხვა ცნობებიც „ჴელმწიფის კარის გარიგებიდან“ მანდატურთა შესახებ.

1072 წ. გიორგი II-ის შეუვალობის განახლების წიგნში შიო-მღვიმისადმი მანდატური „ჴელისუფალთა“ და „საქმის მოქმედთა“ ჯგუფშია მოქცეული:

---

[1] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, „ჴელმწიფის კარის გარიგება“, ტფ., 1920.

[2] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, V, თბ., 1953. დამატება II. ხელმწიფის კარის განრიგება. V ტომი დასაბეჭდად შეამზადა და ივ. ჯავახიშვილის არქივში დაცული მასალით შეავსო სიმ. ყაუხჩიშვილმა.

[3] ქართული სამართლის ძეგლები, II, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1965 (ქვემოთ მოკლედ ვუთითებთ — „ი. დ.“).

[4] ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები მოსაცემად მოამზადა გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ, თბ., 1970, (ქვემოთ **მოკლედ** ვუთითებთ — „ი. ს.“).

[5] ე. თაყაიშვილის და ი. სურგულაძის გამოცემების მიხედვით § 11, ი. დოლიძის მიხედვით — § 6.

[6] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, II, ნაკვეთი 1, ტფ., 1928, გვ. 159—160.

[7] იქვე, გვ. 160.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„აწ ვინცა ჰნახოთ ბრძანებაჲ და სიგელი ესე ჩუენი: შემდგომად ჩუენსა მომავალთა მეფეთა, ერისთავთ-ერისთავთა, ერისთავთა, აზნაურთა, მემამულეთა და მოსაკარგავეთა, ციხისთავთა, ქევისუფალთა, მ ა ნ დ ა ტ უ რ თ ა[8], შურტათა, ჩინებულთა და ყოველთა საქმის მოქმედთა დაუმტკიცეთ და ნუ ვინ უშალავთო“[9].

ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, „ქელისუფალია“ ის, ვინც უფლებით არის აღჭურვილი, ბრძანების გაცემა შეუძლია; „საქმის მოქმედი“ კი საქმის ან ბრძანების აღმასრულებელი და სრულმყოფელია[10].

როგორც ქვემოთ დავინახავთ, მანდატური საქმის შემსრულებელია, ამდენად იგი მხოლოდ „საქმის მოქმედია“ და არა „ქელისუფალი“ — რაიმე უფლებით აღჭურვილი პირი.

1170 წ. გიორგი III-ის მიერ შიომღვიმისადმი მამულის მფლობელობისა და შეუვალობის განახლების წიგნში, მანდატური დაბალი რანგის თანამდებობათა მქონე პირთა შორის იხსენიება. „...მეჯორენი ნუცა სადა მათსა შიგა დადგებიან, ნუცა სადა შეესიძებიან, ნუცა მერემაენი, ნუცა მეჯორენი, ნუცა მ ა ნ დ ა ტ უ რ ნ ი[11], ნუცა მესაწოლენი და ნურაჲ დარბაზისერი, ნუ რომელი“[12].

„ქელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, „მანდატური სამ[ას]ი სახლი არის ამიერ და იმიერ; ხოლო სამნი აზნაურნი არიან: იკუნკელისძე, შერაქისძე და ჯარნასძე; და სხვაჲ ყველა გლეხია“[13].

თუ ამ გარემოებას, ე. ი. მანდატურთა „გლეხობას“ გავითვალისწინებთ, მაშინ მოულოდნელიც არაფერია, რომ მანდატური დაბალი რანგის თანამდებობის პირია. სავსებით სწორად შენიშნავს ი. სურგულაძე, რომ „მანდატურობა“ ერთ-ერთ უმდაბლეს თანამდებობას წარმოადგენდა[14].

მანდატურთა ერთ-ერთი მოვალეობაა მონაწილეობა მეფის დაცვაში. „საწოლის მეკრე კარს გარეთ არის, ზურგი შემოუქცევია კარით, ან გამოუხშავს; ქელთა არგ[ა]ნი აქვს; ქვე ზის; და ვისცა უბ[რ]ძანებენ, შემოიყვანს.

მერიგე შორსა დგას და მანდატურნი გარეშემო, შორს დგანან და ვისცა არ უბ[რ] ძანებენ, არავის მიიყვანენ სიახლოეს“[15].

უნდა ვიფიქროთ, მანდატურებს, როგორც მცველებს იარაღის ტარების[16] საპატიო უფლებაც ჰქონდათ. ამ შემთხვევაში მანდატურები საპოლიციო მოვალეობას ასრულებენ. მართალია, მანდატური მონაწილეობს მეფის დაცვაში, მაგრამ რანგით იგი ასევე დაბალი რანგის თანამდებობის პირთა — „საწოლის მეკრესა“ და „მერიგეთა“ დაბლა დგას. მანდატურებს დაცვაში ბრძანების შესრულება ევალებათ („ვისცა არ უბრძანებენ, არავის მიიყვანენ სიახლოვეს“).

[8] ხაზგასმა ჩვენია (დ. მ.).

[9] ქართული სამართლის ძეგლები, II, (ი. დ.) გვ. 11.

[10] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, II, ნაკვ. 1, გვ. 110.

[11] ხაზგასმა ჩვენია. (დ. მ.)

[12] ქართული სამართლის ძეგლები, II, (ი. დ.), გვ. 23.

[13] ქართული სამართლის ძეგლები, (ი. ს.), გვ. 36.

[14] იქვე, გვ. 97.

[15] იქვე, გვ. 50.

[16] მშვილდ-ისრის, შუბის, რასაც ატარებდნენ ფეოდალური გრადაციის დაბალ საფეხურზე მდგომი პირები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფის დაცვაში მონაწილე მანდატური, მეფისაგან შორს მდგომ მერიგეზე უფრო შორს დგას („მერიგე შორსა დგას და მანდატურნი გარეშემო, შორს დგანან“). როგორც ვხედავთ, აქ მანდატურთა მოვალეობა არაგლეხურია.

„ქელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, სამეფო ზვრები მანდატურთ-უხუცესის დასახედავია. მოგვაქვს ჩვენთვის საინტერესო ადგილი ოთხივე გამოცემის მიხედვით.

ე. თაყაიშვილი

„ზვარნი ამად არიან: და მანდატურთ უხუცესისა ქელისანი. სამუშაოსა ზედა მდგომელად მანდატურს მისცემს ბრძანებასა და დააწერინებს გამოსაჩვენიერსა, უჩვენებს, მუშად ვითა ესე ქვეყანა მოასხითო. მანდატური და ერთი მეღვინეთუხუცესისაგან ჩენილი მეღვინე წავლენ, მუშაობენ, და ღვინის მკრეფელნიცა, ერთი მანდატური იქნების“ (გვ. 4).

ი. დოლიძე

„ზვარნი ამად არიან და-მანდატურთ-უხუცესისა ქელისანი. სამუშაოსა ზედამდგომლად [მანდატურთ-უხუცესი] მანდატურს მისცემს ბრძანებასა და დააწერინებს გამოსაჩვენიერსა. უჩვენებს მუშად, ვითა ესე ქვეყანა მოასხითო.

მანდატური და ერთი მეღვინეთ-უხუცესისაგან ჩენილი მეღვინე წავლენ, მუშაობენ, და ღვინის მკრეფელნიცა. ერთი მანდატური იქნების“. (გვ. 82).

ივ. ჯავახიშვილი

„ზ ვ ა რ ნ ი ა მ ა დ ა რ ი ა ნ: და მანდატურთ-უხუცესისა ქელისანი. სამუშაოსა ზედა-მდგომელად მანდატურს მისცემს, ბრძანებასა და გამოსაჩვენიერსა დააწერინებს. უჩვენებს მუშათ, ვითა ესე ქვეყანა მოსხითო. მანდატური და ერთი მეღვინეთუხუცესისაგან ჩენილი მეღვინე წავლენ, მუშაობენ, და ღვინის მკრეფელნიცა. ერთი მანდატური იქნების“. (გვ. 207).

ი. სურგულაძე

„ზვარნი ამად არიან და-მანდატურთუხუცესისა ქელისანი. სამუშაოსა ზედამდგომელად მანდატურს მისცემს ბრძანებასა და დააწერინებს გამოსაჩვენიერსა, უჩვენებს, მუშად ვითა ესე ქვეყანა მოასხითო.

მანდატური და ერთი მეღვინეთუხუცესისაგან ჩენილი მეღვინე წავლენ, მუშაობენ; და ღვინის მკრეფელნიცა.

ერთი მანდატური იქნების“. (გვ. 35).

როგორც ვხედავთ, ოთხსავე გამოცემაში პუნქტუაცია რამდენადმე განსხვავდება ერთმანეთისაგან. ჩვენ აქ მოტანილი ტექსტის მეორე ნაწილი გვაინტერესებს. „და ღვინის მკრეფელნიცა“ ფრაზის შემდეგ ივ. ჯავახიშვილი, ი. დოლიძე და ი. სურგულაძე წერტილს სვამენ, ექ. თაყაიშვილს კი ეს ფრაზა მომდევნო ფრაზისაგან მძიმით აქვს გამოყოფილი.

ჩვენი აზრით, ზემოთ მოტანილი ფრაზის შემდეგ წერტილის დასმა გაუმართლებელია. წერტილის შემდეგ მომდევნო განყენებული ფრაზა — „ერთი მანდატური იქნების“ არაფერს გამოხატავს, ბუნდოვანია. ეს მაშინ, როდესაც ვიცით, რომ „მანდატური სამასი სახლი არის ამიერ და იმიერ“. კიდევ უფრო გაუმართლებლად მიგვაჩნია უკანასკნელი ფრაზის გამოყოფა აბზაცით. აბზაცითაა გამოყოფილი ეს ფრაზა ი. სურგულაძისეულ რუსულ თარგმანშიც:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„Отправляются мандатур и один кравчий, назначенный главой кравчих, работают; так же и сборщики вина.

Мандатур бывает один[17]“.

ექ. თაყაიშვილისეული გამოცემის პუნქტუაცია რამდენადმე ცვლის ტექსტის შინაარსს. ასევე განსხვავებულია ექ. თაყაიშვილისეული რუსული თარგმანიც: „Мандатор и один кравчий, назначенный обершенком, отправляются, работают и (когда созовут) сборщиков винограда, к ним назначается один мандатор“[18].

ჩვენ ვფიქრობთ, „და ღვინის მკრეფელნიცა“ ფრაზის შემდეგ სასვენი ნიშნის დასმა არ არის საჭირო. ტექსტის ამ მონაკვეთის პუნქტუაციაში ჩვენ მცირე შესწორება შეგვაქვს, რის შემდეგაც ტექსტი ასე იკითხება: „ზვარნი ამად არიან და მანდატურთუხუცესისა ჴელისანი. სამუშაოსა ზედამდგომელად [მანდატურთუხუცესი] მანდატურს მისცემს ბრძანებასა და დააწერინებს გამოსაჩვენიერსა, — უჩვენებს: მუშად ვითა ესე ქვეყანა მოასხითო.

მანდატური და ერთი მეღვინეთუხუცესისაგან ჩენილი მეღვინე წავლენ, მუშაობენ. და ღვინის მკრეფელნიცა ერთი მანდატური იქნების“.

მაშასადამე, მანდატურთუხუცესი მანდატურს „სამუშაოთა ზედამდგომლად“, ე. ი. სამუშაოთა ზედამხედველად ნიშნავს და აძლევს ბრძანებას და წერილობით მითითებას — „გამოსაჩვენიერს“[19], სადაც ნაჩვენებია სამუშაოდ ესა და ეს მხარე, თუ კუთხე, თუ სოფელი — „ქვეყანა“ გამოიყვანეო, — მოიყვანეო[20].

„მანდატური და ერთი მეღვინეთუხუცესისაგან ჩენილი მეღვინე წავლენ, მუშაობენ“, ე. ი. მეღვინე, გარკვეული ფუნქციების მქონე პირი, და მანდატური (ივარაუდება ერთი) დანიშნულებისამებრ მუშებს — უშუალო მწარმოებელს — ზედამხედველობას უწევენ. ამავე დროს კიდეც „მუშაობენ“. თუმცა ჩვენთვის არაა ცნობილი რა იგულისხმება მეღვინისა და მანდატურის „მუშაობის“ ქვეშ, მხოლოდ ზედამხედველობა, თუ ზვარში უშუალო შრომა (ბარვა, გასხვლა, გაფურჩვნა, ყურძნის კრეფა და ა. შ.). შესაძლებელია მეღვინე და მანდატური ზვარში ერთმანეთისაგან განსხვავებულ „მუშაობას“[21] ასრულებენ.

ამის შემდეგ ტექსტი გვამცნობს: „და ღვინის მკრეფელნიცა ერთი მანდატური იქნების“. ე. ი. ღვინის მკრეფელთა შორის ერთი მანდატური იქნება. თითქოს კანონზომიერიცაა: თუ მეღვინე და მანდატური ზვრის სამუშაოებს

---

17 ქართული სამართლის ძეგლები, (ი. ს.), გვ. 55.

18 იქვე.

19 ი. სურგულაძის აზრით, „გამოსაჩვენიერი“ განწესებას (НАРЯД) უნდა წარმოადგენდეს. იგი არ იზიარებს ექ. თაყაიშვილის მოსაზრებას, რომ ეს იყო ღია ფურცელი, რომელიც მანდატურს მუშახელის გამოსაყვანად უნდა გამოეჩინა, წარედგინა. (გვ. 95).

20 ეს მოვლენა ანალოგიურია XIII ს. ნოსტის შეუვალობის წიგნში დადასტურებული მოვლენისა. „რაი ქ ე ო ბ ა ი გ ა მ ო ვ ი დ ო დ ე ს, და შეიყრებოდეს საჴნავს და სამკალს გამოჰყვებოდესო“ (ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 79).

21 „მუშაობა“ არ უნდა გავიგოთ, როგორც მხოლოდ სოციალური ტერმინი. ეს სიტყვა ყოველთვის არ გულისხმობს მწარმოებელი კლასის საქმიანობას — მატერიალური დოვლათის შექმნას. მუშაობა — ესაა ფიზიკური მონაწილეობა შრომაში, რასაც შეიძლება ასრულებდეს სოციალურად მაღალი წარმოშობის პირიც. XV ს. ერთ საბუთში დიდი ფეოდალი ზედგინიძე აცხადებს: „ციხეს ვ მ უ შ ა ო ბ დ ი და ნ ა მ უ შ ა ვ ე ბ ი სადგომს ჩამოვეო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზედამხედველობენ, ღვინის მკრეფელთა შორისაც ერთი მანდატური უნდა იყოს.

„ღვინის მკრეფელი“ დადასტურებული გვაქვს 1261 წ. დავით ნარინის შეუვალობის წიგნში ხეფინისხეველთა და წაქველთათვის[22]. იგი ისეთივე მოხელეა, როგორც „ხვარბლის მკრეფავი[23]“, „პურისა და საკლავისა მკრებელი“[24], ან კიდევ „პურისა, საკლავისა, თეთრისა და სხუისა საჭმრისა მკრეფელი“[25] და ა. შ.

„მკრებელობა“ — „მკრეფელობა“ ერთი პირის ან ერთი გვარის სამოხელეო ვალდებულება იყო გვიან ხანებში. მაგ., 1686 წ. გიორგი IX-მ დოლენჯიშვილებს უბოძა ყაიყულის საბალახოს მკრეფელობა[26].

საფიქრებელია, XIV საუკუნისათვისაც, სამეფო ზვრების „ღვინის მკრეფელობა“ გარკვეული პირების, გვარეულობის ან ოჯახის მოვალეობას შეადგენდა და არა შემთხვევითი ხალხისა.

„ჴელმწიფის კარის გარიგების“ ზემოთ მოტანილი ტექსტის მიხედვით, მანდატურს „ზედამდგომლობა“ აკისრია. ამას ხაზგასმით იმეორებს იგივე წყარო სხვა ადგილას: „ზვართა ზემოთაც დაგვიწერია: მანდატურიცა ადგეს ზედა და სხვათ მეღვინეთუხუცესი და მუქიფი იურვიან სამუშაოს“[27].

ტექსტის მიხედვით, ზედამდგომელობა ყოველთვის მანდატურის მოვალეობა არაა. მანდატურს ზედამდგომელობა „მართებს“ მანდატურთუხუცესთან და ამირეჯიბთან. ხოლო ჭყონდიდელს, საწოლის მწიგნობარსა და მეჭურჭლეთუხუცესს ზედამდგომელად მეჭურჭლე მართებთ. ზედამდგომელი — ზედამხედველი, მეთვალყურე, თანაშემწე, დამხმარე უნდა იყოს იმ პირისა, ვისთანაც უხდება ზედამდგომლად ყოფნა. ზედამდგომელი დიდი უფლებით არ სარგებლობს. მას უფრო აღმასრულებლის ფუნქციები აკისრია და დაბალი რანგის მოხელეა. მიუხედავად ამისა, მანდატურის ფუნქცია არაგლეხურია. იგი ზედამხედველია, არ ქმნის მატერიალურ დოვლათს. სხვა შემთხვევაშიც, როდესაც იგი „ღვინის მკრეფავია“, ასრულებს სამოხელეო, არაგლეხურ ვალდებულებას.

ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ მანდატურები, როგორც მეფის მცველები, „საპოლიციო“ (უკეთ აღმასრულებლის) მოვალეობას ასრულებენ. ვფიქრობთ, სამეფო ზვრებში მანდატურის „ზედამდგომელობაც“ „საპოლიციო“ მოვალეობაა. თვალყურის დაჭერა, რამდენად „ერთგულად“ და „თავდადებით“ მუშაობენ მუშები ზვრებში, სრულდება თუ არა სამუშაო ემპირიული ცოდნით მიღებული სამეურნეო ნორმების მიხედვით და ა. შ.

ასევე „საპოლიციო“, გადასახადის გადახდასთან დაკავშირებული პროცესია ღვინის ნატურალური გამოსაღების აკრეფა. ეს არც თუ სასიამოვნო მომენტია გადამხდელი მოსახლეობისათვის. ნატურალური გამოსაღების გადახდის დროს შესაძლოა დარღვევებსაც ჰქონდეს ადგილი: გადაიხადონ გადაკვეთილ სათვალავზე ნაკლები (მაგ., 20 კოკის ნაცვლად — 10), გადაიხადონ შემცირებული საწყაოთი და ა. შ. როგორც ჩანს,

22 ქართული სამართლის ძეგლები II, (ი. დ.), გვ. 72.
23 იქვე, გვ. 99, 101.
24 იქვე, გვ. 118.
25 ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, III, ტფ., 1913, გვ. 9.
26 ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, II, ტფ., 1909, № 77.
27 ქართული სამართლის ძეგლები, (ი. ს.), გვ. 41.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამისთვისაა საჭირო გარკვეული ზედამხედველობა. ამიტომაა, რომ ღვინის მკრეფელთაგან ერთი მანდატური უნდა იყოს. მისი მოვალეობა აქაც წესრიგის დაცვა იქნება.

როგორც ვნახეთ, მანდატურის ერთ-ერთი მოვალეობა მევენახეობაში (სამეფო ზვრების ზედამდგომელობა) და ღვინის მეურნეობაში (ღვინის მკრეფლობა) მონაწილეობაა.

„ქელმწიფის კარის გარიგებაში“ მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული შემდეგი მოხელეები იხსენიებიან: მეღვინეთუხუცესი, მეზვრენი, საღვინის მუქიფი, საღვინის მოლარე, მეღვინენი, პირის მეღვინე, ღვინის მკრეფელნი, საღვინის ქელისუფალნი... ძეგლში ლაპარაკია იმ სამოხელეო გასამრჯელოს შესახებ, რასაც ეს მოხელეები ღებულობენ ნატურით — ღვინით. მეღვინეთუხუცესი ერთ ჭურ ღვინოს ღებულობს ზვრიდან; საღვინის მუქიფი — აგრეთვე ზვრიდან, ერთი უმცროსი ჭურით; საღვინის მოლარე — მეზვრეთაგან, მეღვინენი — საკრეფელისა და სოფლისაგან. ამ მოხელეთა შორის არ ჩანს მანდატური.

მანდატური გარკვეულ მონაწილეობას ღებულობს სიგლის დაბეჭდვაშიც. სიგლის დაბეჭდვისათვის გასამრჯელოს („ქრთამის“) დიდ ნაწილს მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი იღებენ, უფრო ნაკლებს — მესტუმრე და მერიგე, უკანასკნელ რიგში კი მანდატურია[28].

ტექსტიდან არ ჩანს, მაგრამ შეიძლება ვიფიქროთ, სიგლის დაბეჭდვაშიც მანდატურის მოვალეობა წესრიგის დაცვაა. სიგლის დაბეჭდვაში გასამრჯელოს, „ქრთამს“ იხდის ის, ვინც დაბეჭდილ დოკუმენტს ღებულობს, ე. ი. ის, ვის სასარგებლოდაც იბეჭდება დოკუმენტი. აქ მანდატური, მართალია, გასამრჯელოს უმცირეს ნაწილს ღებულობს, მაგრამ არა სამეფო კარიდან ჯამაგირის სახით, არამედ კერძო პირისაგან.

შესაძლებელია, ამის მსგავსი რაღაც გასამრჯელო მანდატურს ღვინის მკრეფელობიდანაც ჰქონდეს, მაგრამ ეს არაა სამოხელო ჯამაგირი, ისევე, როგორც სიგლის დაბეჭდვაში მიღებული გასამრჯელო.

ჩვენი აზრით, გლეხური ფენიდან გამოსული მანდატური არ ეკუთვნის მოხელეთა იმ რიგს, რომელთაც მეფის კარზე საპატიო სამსახურისათვის ჯამაგირი ენიშნებათ. საფიქრებელია, რომ „გლეხი“ მანდატურები მიწაზე მიმაგრებული არიან. ისინი პირობით ფლობენ ფეოდალის მიწას. ამიტომ ბატონისადმი (პატრონისადმი) თავის ბეგარას კარზე სამსახურით იხდიან. ეს არ გამორიცხავს იმას, რომ მანდატურს, — უკეთ მის „სახლს“ — ოჯახს აქვს საკუთარი მეურნეობა და ეწევა ინტენსიურ მეურნეობას.

სამეფო კარზე მანდატურის სამსახური ბატონისადმი (პატრონისადმი) ყმური დამოკიდებულების გამოხატულებაა.

აკად. ნ. ბერძენიშვილი „საქართველოს ისტორიის XIII—XIV სს კონსპექტში“ აღნიშნავდა, რომ „გლეხი“ (ბეგრის გამომღებ მიწის მუშის სახელი) ეხლა უკვე „ყმასაც“ ეწოდება და პირუკუ: ყმა (ლაშქრობა-სამსახურის მოვალე მიწის მუშის სახელი) ეწოდება ეხლა ყოველ „გლეხს“ (მათ შორის იმ ფენასაც, პირად არათავისუფალთაგან რომ წარმომავლობდა“[29].

28 ქართული სამართლის ძეგლები, (ი. ს.), გვ. 36.

29 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია XIII—XIV სს, კონსპექტი, „საქართველოს ისტორიის საკითხები“, II, თბ., 1965. გვ. 49.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქვე ავტორს სქოლიოში შენიშნული აქვს, რომ „XIV საუკუნის დასაწყისში 300 სახლი მანდატური, მაგალითად „ყველა გლეხია“. ეს მაგალითი ავტორს მოტანილი აქვს ყმის განმარტებისათვის, ე. ი. „გლეხი“ მანდატურები ლაშქრობა-სამსახურის მოვალე მიწის მუშებიდან, „ყმებიდან“ წარმომავალ ფენად მიაჩნია.

მანდატური ყველა შემთხვევაში ოფიციალურად პრივილეგირებული კლასის ინტერესების დამცველი უნდა იყოს. მისი მოქმედების არე სამეფო კარია: მეფის დაცვა, კანცელარია (სიგლის დაბეჭდვა); სამეფო ზვრები, რაც რამდენადმე შეუფერებელია სოციალურად დაბალი წარმოშობის პირების — გლეხებისათვის (ჩვენ მაინც და მაინც არა ვფიქრობთ, რომ ყველა იმ საქმიანობას, რაც მანდატურებს აკისრიათ, სამი „აზნაური“ მანდატური ასრულებს და არა „გლეხი“ მანდატურები), ის „საპოლიციო“ საქმიანობაც, რასაც მეფის კარზე მანდატურები ასრულებენ, რამდენადმე საპატიო სამსახურის მოვალეობაა.

აკად. ს. ჯანაშიამ შუშანიკის წამების ანალიზის მიხედვით დასკვნა გააკეთა, რომ ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე „ადმინისტრაციულ-პოლიციური მოვალეობანი „მსახურებს“ უნდა შეესრულებინათ. გარდა ამისა, მსახურნი შინაურ წესრიგს იცავენ პიტიახშის „ტაძარში“, წმინდა საყოფაცხოვრებო დავალებებსაც ასრულებენ იქ და სხვ.“[30]. ამ შემთხვევაში, როგორც ვხედავთ, ძალიან მსგავსია მანდატურის ფუნქციები V ს. მსახურთა ფუნქციებისა და ჩვენ არც შევცდებით თუ ვიტყვით, რომ მანდატური XIV ს-ში სამეფო კარზე მსახურის ფუნქციას ასრულებს.

აკად ს. ჯანაშიას აზრით, ადრეული ფეოდალიზაციის გზაზე „მსახურობა“ გარდამავალი საფეხური იყო „წვრილ ერსა“ და „წარჩინებულთა“ ანუ „აზნაურთა“ შორის[31].

ასეთივე მოსაზრებისაა მსახურთა შესახებ აკად ნ. ბერძენიშვილიც. იგი წერს: „ფეოდალურ ურთიერთობის ხანაში საერთოდ მსახურები გარდამავალ საზოგადოებრივ ფენს შეადგენენ. ისინი მიწისმოქმედნი არიან და ამით გლეხებს ჰგავანან, ხოლო მათი წოდებრივი ფუნქცია აზნაურულია — ლაშქრობა და სამსახური“[32].

სამწუხაროდ, აკად. ნ. ბერძენიშვილის ეს დებულება ზოგიერთი მკვლევრისათვის დღეს სადავო გახდა. 1968 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში ზ. რატიანი წერს: „აკად. ნ. ბერძენიშვილს მიაჩნია, რომ მსახურები ერთგვაროვანი ფენაა, რომელიც გარდამავალია, ანუ დგას გლეხობისა და აზნაურობის შუაში. მსახური არის მიწისმოქმედი, ანუ მატერიალური დოვლათის მწარმოებელი. ამავე დროს იგივე მსახური არის მოლაშქრე და კიდევ მსახურის სხვა მოვალეობის შემსრულებელი. ე. ი. მსახური ერთდროულად სამ ფუნქციას ას-

30 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, შრომები, I, თბ., 1949, გვ. 278.

31 იქვე, გვ. 279.

32 მანდატურთუხუცესი, როგორც აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი, ჩვეულებრივ ომში და ლაშქარში არ მოდიოდა „არამედ სამეფო კარზე რჩებოდა, რასაკვირველია, თუ რომ მეფე ომში არ მოდიოდა“ (ქართ. სამ. ისტ. II, ნაკვ. 1, გვ. 160—161), ამიტომ არც მანდატურთუხუცესის დასახედავი მანდატურები იყვნენ ლაშქრობის მოვალენი. სხვა მსახურთა ვალდებულებაში კი ლაშქრობაც შედიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულებს: ეწევა მიწათმოქმედებას, ასრულებს მსახურის სპეციალურ ფუნქციას და არის მოლაშქრე“[33].

ზ. რატიანმა ბექა-აღბუღას ძეგლის მიხედვით მსახურთა სამი ფენა გამოჰყო და დაასკვნა, რომ „მსახურთა წოდების სამივე ფენა გაბატონებულ კლასს მიეკუთვნება“[34]. იგივე მოსაზრება გაიმეორა მან 1970 წელსაც[35].

მანდატურთა საკითხის სპეციალურად შესწავლამ კიდევ ერთხელ დაადასტურა აკად. ნ. ბერძენიშვილის დებულების სისწორე. როგორც ვნახეთ, სოციალურად მანდატური შეიძლება იყოს აზნაურიც და გლეხიც (სამასი სახლიდან აზნაური მხოლოდ სამია, ე. ი. 1%, ხოლო 99% გლეხია), მაგრამ მათი ფუნქციები არაგლეხურია — მანდატური მოვალეა, როგორც მოხელემ მეფის კარზე დაიცვას პრივილეგირებული კლასის ინტერესები. ამ ნიშნით, მანდატურის ფუნქცია აზნაურულია.

„ქელმწიფის კარის გარიგებაში“ ლაპარაკია მანდატურთა სამას სახლზე: „მანდატური სამ[ას]ი სახლი არის ამიერ და იმიერ“, ე. ი. იგულისხმება მანდატურთა სამასი ოჯახი, თუ ამას გავითვალისწინებთ, მაშინ გასაგები გახდება, რომ ერთი და იგივე პირის მოვალეობას არ შეადგენს, როგორც მიწისმოქმედება, ისევე ლაშქრობა და სამსახური. ოჯახიდან თუ ოჯახის ერთი წევრი (ძმა, მამა, ბიძა, ბიძაშვილი) ფეოდალის კარზე მსახურობს ან ლაშქრობს, დანარჩენი მამაკაცები ოჯახში მიწათმოქმედებას და სხვა „საგლეხო“ საქმიანობას მისდევენ, ისევე როგორც ეს ხდება უფრო გვიან.

XVIII ს-ის დასაწყისისათვის შედგენილ ვახტანგ VI-ის კანონმდებლობის 204-ე მუხლში ვკითხულობთ: „გლეხის გაყრა ასრე არის: დარბაზი დერეფნით უფროსისა არის. კალო-საბძელი — უმცროსისა. ღვედი, სახნის-საკვეთი, გუთნის იარაღი — გუთნის დედისა. ცხურის ქუაბი, ერკემელი, რაც არის, მეცხვარისა არის. ჴმალი, თოფი, ცხენი და იარაღი მსახურის არის. სხვა მამული ძმაზე გაიყონ და რჩომა — მწყემსზე“[36]. ამ მუხლიდან ნათელია, რომ გლეხის ოჯახში შეიძლება ერთი ძმა გუთნისდედა იყოს, ე. ი. მიწისმოქმედი; მეორე — მეცხვარე, მწყემსი; მესამე კი — მსახური. გლეხის ოჯახის გაყოფის დროს ქონება იმისდა მიხედვით იყოფა თუ რომელი ძმა რა ფუნქციას ასრულებს. მიწისმოქმედს შეხვდება — გუთნის იარაღი, ღვედი, სახნის-საკვეთი; მეცხვარეს (მწყემსს) — ცხვრის ქვაბი, ერკემელი. მსახურს კი, რამდენადაც მისი მოვალეობა ლაშქრობა-სამსახურია: ცხენი, ხმალი, თოფი.

ასეთივე მდგომარეობა შეიძლება ვივარაუდოთ XIV საუკუნისათვისაც. „გლეხ“ მანდატურთა 297 ოჯახიდან („სახლიდან“) მეფის კარზე მსახურის ფუნქცია ოჯახიდან გარკვეულ პირებს ევალებოდათ — შესაძლოა მორიგეობითაც. ოჯახის დანარჩენი მამაკაცები კი გლეხურ მეურნეობას აწარმოებდნენ, მისდევდნენ მიწათმოქმედებას. ასეთ ვითარებას გულისხმობდა ნ. ბერძენიშვილი, როდესაც წერდა მსახურთა შესახებ რომ: „ისინი მიწისმომქმედნი არიან და ამით გლეხებს ჰგვანან, ხოლო მათი წოდებრივი ფუნქცია აზნაურუ-

---

33 ზ. რატიანი, მსახურთა სოციალური წოდება (ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის მიხედვით), ჟურნ. „ცისკარი“, 1968, № 8, გვ. 117.

34 ზ. რატიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 121, 122. 123.

35 ზ. რატიანი, საქართველოს სოციალური წყობა XIII—XIV სს. (ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის მიხედვით), თბ., 1970, გვ. 101—102, 114, 117.

36 ქართული სამართლის ძეგლები, I, (ი. დ.), თბ., 1963, გვ. 532.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია — ლაშქრობა და სამსახური“ და არა იმას, რომ „მსახური ერთდროულად სამ ფუნქციას ასრულებს: ეწევა მიწათმოქმედებას, ასრულებს მსახურის სპეციალურ ფუნქციას და არის მოლაშქრე“, როგორც ზ. რატიანი მიაწერს მას.

როგორც ვხედავთ, „ქელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, მანდატურთა სამასი სახლიდან, გარდა სამი სახლისა ყველა გლეხია. მიუხედავად ამისა, მანდატურები სხვადასხვა საქმიანობას ეწევიან სამეფო კარზე: მონაწილეობენ მეფის დაცვაში, სამეფო კანცელარიის საქმიანობაში; მეთვალყურეობას უწევენ სამეფო ზვრების სამუშაოებს და მონაწილეობენ ღვინის გადასახადის აკრეფაში.

ზემოთ ჩამოთვლილ ყველა შემთხვევაში, მანდატურთა მოვალეობა აღმასრულებლის, ზედამხედველის, წესრიგის დამცველის როლით შემოიფარგლება. არ ჩანს, რომ მანდატურებს რაიმე მნიშვნელოვანი უფლებები ჰქონდეთ მინიჭებული. ეს არის მანდატურთა სამსახური — საბატონყმო მოვალეობა სამეფო კარზე. თავისი სოციალური მდგომარეობითა და ფუნქციებით მანდატური იგივე მსახურია.

მსახურთა „ფონდი“ XIV საუკუნისათვის მხოლოდ მანდატურებით არ ამოიწურება. სავარაუდებელია, გარდა მანდატურისა ამ დროისათვის მსახურთა კატეგორიაში შედის სამეფო თუ ფეოდალთა კარზე მყოფი გლეხობიდან გამოსული ჯგუფები, რომლებიც კარზე სხვადასხვა საქმიანობას ეწევიან. მათი საქმიანობა არაგლეხურია; ისინი არ მისდევენ მიწათმოქმედებას. ამით განსხვავდებიან თავიანთი მოძმე გლეხებისაგან და თუმცა მცირე უპირატესობით სარგებლობენ, მაინც პრივილეგირებულ კატეგორიას — მსახურს ქმნიან.

ზაზა ალექსიძე

# დავით ქობაირელის „მოსახსენებლის" ერთი ადგილის განმარტებისათვის

აღმოჩენის შემდეგ (1951 წ.) უკვე ორჯერ გამოქვეყნდა დემნა უფლისწულის აჯანყების შესახებ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირველწყარო, XII საუკუნის სომეხი მოღვაწის დავით ქობაირელის „მოსახსენებელი". ტექსტი პირველად 1952 წელს გამოსცა ერევანში ვ. ჰაკობიანმა, ხოლო 1966 წელს იგივე ტექსტი გადმობეჭდა და ქართული თარგმანი დაურთო გ. მაისურაძემ[1].

მიუხედავად იმისა, რომ დავით ქობაირელის „მოსახსენებელი" წმინდა ისტორიული ხასიათისაა, გასაგებად მაინც არ არის იოლი. ამიტომ არის, რომ ზოგი რამ არც პირველ პუბლიკაციაშია რიგზე და არც მის ქართულ თარგმანში. წინამდებარე პატარა წერილში მხოლოდ ერთ საკითხს შევეხებით.

1. აჯანყებულ ორბელებს შეუერთდნენ კაიანისა და კაეწონის მმართველები, შაქის, ჰერეთისა და კახეთის მთავრები. ამ ამბების აღწერის შემდეგ დავით ქობაირელი წერს:

*Եւ սոքա յայսմ կողմանէ նոր թագաւորաւն առնուն զԹագաւորանիստ գեաւղ, որ այսն Պարապով. և առաքեն յամենայն խորհրդականսն անդր գումարել, զի փախստեայկանիցեն զթագաւորն կամ ընդ բռամբ ածիցեն:*[2]

გ. მაისურაძის თარგმანი:

„ესენი (გაემართნენ) აქედან და ახალი მეფის (მეთაურობით) აიღეს მეფის (გიორგის) საჯდომი სოფელი, რომელსაც პარაპოვი ეწოდება. აქ შესაკრებად მოუწოდეს ყველა თანამზრახველს იმისათვის, რომ მეფე განედევნათ ან ძალით შეპყრობილი მოეყვანათ"[3].

2. გიორგი III-მ მოციქულები გაუგზავნა დასაზავებლად აჯანყებულ ორბელებსა და დემნა უფლისწულს. ქობაირელი წერს:

*...և զնոցիմակն լսէ պատասխանի, որպէս թէ չիցէ հնար ունանել զնա կեանս, այլ միայն թէ զկէս թագաւորութեանն ի նմա թողցէ, զի Պարապով և ի միւսմէ եւս կիսոյն հանցեն:*[4]

გ. მაისურაძის თარგმანი:

„მაგრამ პასუხი საწინააღმდეგო მიიღო, რომ არასგზით არ შეუძლია იხილოს ცოცხალი იმის გარეშე, თუ ნახევარ სამეფოს მას არ დაუთმობს, ისე,

---

[1] Վ. Հակոբյան, Դավիթ Քոբայրեցու Հիշատակարանը, Տեղեկագիր ՀՍՍՌ ԳԱ, 1952, № 2, გ. მაისურაძე, ერთი სომხური წყარო დემნა უფლისწულის აჯანყების შესახებ: კრ. „საქართველო რუსთაველის ხანაში", 1966.

[2] Վ. Հակոբյան, დასახ. ნაშრ., გვ. 119.

[3] გ. მაისურაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 263.

[4] Վ. Հակոբյան, დასახ. ნაშრ., გვ. 120.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ პარაპოვისაგანაც და სხვებისაგანაც ნახევარი შეხვდეს“[5].

მთარგმნელის ყურადღება, ბუნებრივია, მიიპყრო თავისივე თარგმანის „მეფის საჯდომმა სოფელმა, რომელსაც პარაპოვი ეწოდება“. გამოკვლევაში მან ვრცლად იმსჯელა ამ საკითხის შესახებ:

„რა უნდა იყოს პარაპოვი? — ამ სიტყვას იმ დროის სხვა სომეხ ისტორიკოსებთან ვერ მივაგენით. პირველად მას, თითქოს, ქობაირელის „ჰიშატაკარანში“ ვხვდებით. ...სიტყვა „პარაპოვი“ ორივე შემთხვევაში დიდი ასოთი იწყება, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ გეოგრაფიულ სახელწოდებასთან უნდა გვქონდეს საქმე. მაგრამ უცნაურად გამოიყურება ერთი სოფლის ასეთი პრინციპიალური მოთხოვნა იქ, სადაც სამეფოს მთელ ნახევარზეა დავა. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ეს სიტყვა არა მარტო ერთ სამეფო სოფელს უნდა აღნიშნავდეს, არამედ უფრო მეტი მნიშვნელობისა და მოცულობის გეოგრაფიულ რაიონს. მალხასიანის დასახელებულ ლექსიკონში „პარაპოვის“ შესატყვისად ნაჩვენებია სიტყვები: „ანგორწუთიუნ“, „აზატ მიჯოცინ“, „დატარკ“, „ანპეტქ“, „არანც გორწი“. როგორც ვხედავთ, ყოველნაირ ვარიანტში ეს სიტყვა მოცლილს, თავისუფალს, უხმარს, უსაქმოს, გამოუყენებელს ნიშნავს და მხოლოდ გეოგრაფიული სახელის აღმნიშვნელი კი არ არის, არამედ საკმაოდ ფართო შინაარსსაც შეიცავს. მალხასიანის მიერ მოცემული განმარტებიდან ორი რიგის მნიშვნელობის სიტყვები შეიძლება გამოვყოთ: პირველი — „ანპეტქ“ — უხმარი გამოუყენებელი, უვარგისი, „დატარკ“ — ცარიელი, ფუჭი, ე. ი. ისეთი სიტყვები, რომლებიც ამ ადგილების საწარმოო მნიშვნელობაზე მიუთითებენ, და მეორე რიგის „ანგორწუთიუნ“ უსაქმობა, უმოქმედობა და სხვა. ამ რიგის სიტყვები თავისუფალ დროსა და თავისუფლად დროს გატარებას აღნიშნავენ. მაშასადამე „პარაპოვი“ თავისი შინაარსით ნიშნავს, როგორც საწარმოო თვალსაზრისით უხმარ ანდა გამოუყენებელს, ისე თავისუფალი დროს გასატარებელ ადგილებს. ასეთი თავისუფალი ადგილები, სადაც უქმად ყოფნა და დროს გატარება შეიძლებოდა, მართლაც იყო თბილისის გარშემო XII—XIII სს. და ის მეფესა და ქალაქის მაღალ საზოგადოებას ეკუთვნოდა. ასეთები იყო შინდისი, ტაბახმელა, კოჯორი და სხვა. მათი საერთო სახელი, როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილმა გამოარკვია, „აგარანი“ ყოფილა. შესაძლებელია ივანე ორბელის დროს „პარაპოვი“ ყველა ამ აგარაკებს გულისხმობდა და ის მთლიანად მეფის საკუთრებას შეადგენდა, მეფის სახლის უფლების მოწმობა იყო. მაშინ არც ისე უცნაურად გამოიყურება „პარაპოვის“ გაყოფისათვის ბრძოლა“[6].

„პარაპოვ“-ი უყურადღებოდ არც ტექსტის გამომცემელს ვ. ჰაკობიანს დაუტოვებია. მას ტექსტში უცნაურად მოეჩვენა **որ այսն Պարապով** და სქოლიოში ასეთი შენიშვნა შემოგვთავაზა (თუმცა ტექსტში შესწორება არ შეუტანია): „დედანში **այսն** სიტყვის მნიშვნელობა გაუგებარია, რის გამოც სავარაუდოდ ვასწორებთ **ասեն**. თუ ეს სწორია, მაშინ „პარაპოვ“ სახელია სამეფო საჯდომი სოფლისა, რომლის ადგილმდებარეობა ჩვენთვის უცნობია“[7].

---

[5] გ. მაისურაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 264—265.

[6] იქვე, გვ. 259—260.

[7] Վ. Հակոբյան, დასახ. ნაშრ., გვ. 119, შენ. 4.

ამრიგად, გ. მაისურაძის მსჯელობა, ფაქტიურად, მთლიანად ემყარება ვ. ჰაკობიანის შენიშვნას და მისი გამართლების ცდას წარმოადგენს. ამიტომ ორივე მკვლევრის არგუმენტებს ერთად განვიხილავთ.

1. სავსებით მართალია გ. მაისურაძე, როცა წერს, რომ ნახევარ სამეფოსთან ერთად კიდევ კატეგორიულად ნახევარი სოფლის მოთხოვნა, მეტი რომ არა ვთქვათ, უცნაურია. მაგრამ საქმეს ვერ უშველის ერთი სოფლის მაგიერ დავის საგნად სოფელთა ჯგუფის (შინდისი, ტაბახმელა, კოჯორი და სხვ.) გამოცხადება. ჯერ ერთი, ქობაირელთან აშკარად მხოლოდ ერთი სოფლის შესახებაა ლაპარაკი და არა რამდენიმეზე; მეორეც, ნახევარი სამეფოს გვერდით რამდენიმე სოფლის ნახევრის მოთხოვნა განა ნაკლებ უცნაური იქნება, ვიდრე ერთისა?

2. არც თანამედროვე ნომენკლატურას, არც ისტორიულ წყაროებს და არც ზეპირსიტყვიერებას არ შემოუნახავს არავითარი კვალი „პარაპოვის“ მსგავსი ტოპონიმისა ქართულ, ან თუნდაც სომხურ, სინამდვილეში, იმ დროს, როცა სხვა სამეფო საჯდომი სოფლების სახელები ცნობილია.

3. „პარაპოვ“ ასომთავრულით წერია მხოლოდ ტექსტის პუბლიკაციაში და ისიც იმიტომ, რომ მის გამომცემელს საკუთარი სახელი ეგონა. ჩვენ არა გვქონია ხელნაწერის შემოწმების საშუალება, მაგრამ სომხური ხელნაწერების საერთო ხასიათიდან თუ ამოვალთ, მასში არც იქნებოდა მოსალოდნელი საკუთარი სახელის დიდი ასოთი დაწყება, თუნდაც ავტორს მართლაც სოფლის სახელწოდების დაწერა განეზრახა.

4. დავით ქობაირელის ტექსტში არა წერია „ეწოდება პარაპოვ“. ეს ვ. ჰაკობიანის კონიექტურაა, რომელიც მას მხოლოდ სქოლიოში აქვს აღნიშნული. თბილისურ გამოცემაში რატომღაც ტექსტი უცვლელად არის დატოვებული, ხოლო თარგმანში გამოყენებულია ვ. ჰაკობიანის ვარაუდი.

5. იმ მნიშვნელობათაგან, რომელიც „პარაპოვს“ მიაწერა გ. მაისურაძემ („ანგორწუთიუნ“, „აზატ მიჯოცინ“, „დატარკ“, „ანპეტქ“, „არანც გორწი“) სტ. მალხასიანის ლექსიკონის მიხედვით, სინამდვილეში ლექსიკონის ავტორს მოტანილი აქვს „პარაპ“ *(պարապ)* სიტყვისთვის (გარდა „აზატ მიჯოცინ“-ისა).

სტ. მალხასიანის განმარტება: *Պարապով, մկ. 1. Ազատ միջոցին, յարմար ժամանակ* (თავისუფალ გარემოებაში, მარჯვე დროს) *2. Հանգիստ՝ անզբաղ կերպով* (დასვენებულად, დაუსაქმებლად): [8]

სომხური ენის ახალი ლექსიკონი“: უჩვენებს ბერძნულ და ლათინურ შესატყვისებს—εὔκαιρος (ხელსაყრელი, მარჯვე მომენტი), opportune (დროულად, მოხერხებულად); განმარტავს—*ի դէպ ժամու* (დროულად, შესაფერის, მომენტში). [9]

„სომხური ენის ჯიბის ლექსიკონი“: *յարմար ատենով, ատեն գտնելով* (შესაფერ მომენტში, დროის პოვნით): [10]

ამრიგად, ყველა ლექსიკონის მიხედვით „პარაპოვ“ ზმნიზედაა, წინადადებაში დროის გარემოების ფუნქციას ასრულებს და ქართულად უნდა ითარგმნოს— „მარჯვე (მოხერხებულ) მომენტში (დროს)“.

---

[8] Ստ. Մալխասեանց, Հայերէն բացատրական բառարան, Երևան, 1945, IV, გვ. 74.

[9] Նոր բառգիրք հայկազեան լեզուի, Վենետիկ, 1837, II, გვ. 628.

[10] Առձեռն բառարան հայկազեան լեզուի, Վենետիկ, 1846, გვ. 644.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. არ არის სწორი შეხედულება, თითქოს სიტყვა „პარაპოვ“-ს პირველად დავით ქობაირელის „ჰიშატაკარანში“ ვხვდებოდეთ და იგი მისი დროის სხვა ისტორიკოსებთან არ დასტურდებოდეს. ჯერ კიდევ „სომხური ენის ახალი ლექსიკონი“ უთითებდა რამდენიმე კონტექსტს ძველი სომხური მწერლობიდან, სადაც გამოყენებული იყო *պարապով* (პარაპოვ). მათ შორის დასახელებულია ვარდან დიდის „მსოფლიო ისტორიიდან“ შემდეგი ადგილი:

*Լուեալ եթէ թագաւոր Հայոց պ ա ր ա պ ո վ շինէ եկեղեցի։*

„შეეტყო, რომ სომეხთა მეფემ დრო იხელთა და ეკლესიას აშენებს“.

„ო თ ხ თ ა ვ ი“:

*«Նոքա իբրև լուան՝ խնդացին, և խոստացան տալ նմա արծաթ. և խնդրէր՝ թէ զիարդ պ ա ր ա պ ո վ մատնեսցէ զնա։*

„ხოლო მათ ვითარცა ესმა ესე მისგან, განიხარეს და აღუთქუეს მას მიცემად ვეცხლი. და ეძიებდა, ვითარმცა ჟ ა მ ს ა მ ა რ ჯ უ ე ს ა მიჰსცა იგი მათ“ (E).

„ხოლო მათ განიხარნეს და აღუთქუეს მას ვეცხლი მიცემად. და ეძიებდა, ვითარმცა გ ა ნ მ ა რ ჯ უ ე ბ უ ლ ა დ მისცა იგი“ (D)[11].

„...καὶ ἐζήτει πῶς αὐτὸν ε ὐ κ α ί ρ ω ς παραδοῖ“.

„...И он искал, как бы в у д о б н о е в р е м я предать его“.

მარკოზ 14.11

მაშასადამე, ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ *պարապով* (პარაპოვ) საკმაოდ გავრცელებული სიტყვაა ძველსა და საშუალ სომხურში, ხოლო ძველ ქართულში „ჟამსა მარჯუესა“ შეესატყვისება.

7. ვ. ჰაკობიანი დააეჭვა გამოთქმამ *որ այսն պարապով* და სქოლიოში მისი შესწორება შემოგვთავაზა *որ ասեն պարապով*. უფრო სწორი იქნებოდა, თუ იგი განიხილავდა გამოთქმას *որ այսն պարապով և* და *և*-ის წინ სასვენ ნიშანს (.) არ დასვამდა. საქმე ის არის, რომ *որ այսն պարապով և* მთლიანად დროის გარემოებაა. მასში მთავარი ფუნქცია აკისრია *այսն պարապով*-ს, რაც ნიშნავს „ამ მარჯვე დროს“. *և* გამაძლიერებელი (-ც ,-ვე) ნაწილაკია და არა კავშირი „და“, როგორც ეს ივარაუდა ტექსტის გამომცემელმა. *այսն պարապով և* ნიშნავს „ამავე მარჯვე დროს“ („ამ მარჯვე დროსვე“). მაგრამ რა ფუნქციას ასრულებს კავშირი *որ*, რომელმაც, ჩანს, სათავე დაუდო ყველა გაუგებრობას? დროის (და ყველა სხვა) გარემოების აღმნიშვნელ სიტყვებთან *որ*, როდესაც იგი მათ წინ უსწრებს, თვითონაც დროის გარემოებით ფუნქციას იძენს წინადადებაში და მომდევნო ფრაზას აძლიერებს *որ այսն պարապով և* სიტყვა-სიტყვით რომ გადმოვთარგმნოთ ქართულად, მივიღებთ: „რომელ მარჯვე დროსვე“. ლიტერატურულად გამართული თარგმანი კი ასეთ სახეს მიიღებს: „იმავე ხელსაყრელ (მარჯვე) მომენტში (დროს)“.

ამრიგად, ორივე შემთხვევაში სომხური ტექსტი, ქართული თარგმანით, ორთოგრაფიითა და სასვენი ნიშნებით ასე უნდა გაიმართოს:

[11] ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, გამოსცა ა. შანიძემ, თბ., 1945.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. *Եւ նոքա յայսմ կողմանէ նոր թագաւորաւն առնուն զթագաւորանիստ գեաւղ, որ այսն պարապով և առաքեն յամենայն խորհըրդականսն անդր գումարել, զի փախստեայկանիցեն զթագաւորն կամ ընդ բռամբ ածիցեն:*

ისინი აქედან [გაემართნენ] ახალი მეფით [სათავეში და] აიღეს სამეფო საჯდომი სოფელი; იმავე მარჯვე მომენტში გააგზავნეს [მოციქულები] ყველა თანამზრახველის იქ შესაკრებად, რათა მეფე განედევნათ ან ძალით მოეყვანათ.

2. *Եւ գ[ը]նդգլխակն լսէ պատասխանի, որպէս թէ՝ չիցէ հնար տեսանել զնա ի կեանս, այլ միայն թէ զկէս թագաւորութեանն ի նոսա, զի պարապով և ի միւսմէ ևս կիսոյն հանցեն:*

[აჯანყებულებმა] საწინააღმდეგო პასუხი გასცეს: ცოცხალი არ დაგვენახო, თუ ნახევარ სამეფოს არ დაგვითმობ. [ასე მოსთხოვეს], რომ მარჯვე დროს მეორე ნახევარიც წაერთვათ.

ზემოთ მოტანილი თარგმანი თავისუფალია, თუმცა შინაარსს ზუსტად ასახავს. პწკარედი იქნება: „პასუხი საწინააღმდეგო მოისმინა, რომ შეუძლებელი იქნება მისი ცოცხლის დანახვა, თუ მათ ნახევარ სამეფოს არ დაუთმობს, რათა მარჯვე დროს მეორე ნახევრიდანაც გააძევონ“. აშკარაა, რომ ბოლო ფრაზა („რომ მარჯვე დროს მეორე ნახევრიდანაც გააძევონ“) აჯანყებულებს არ ეკუთვნის და ავტორის გლოსაა. თუ ტექსტი ასე არ გავიგეთ, მოგვიხდება უგულვებელვყოთ როგორც ძველი სომხური ენის ელემენტარული გრამატიკული ნორმები, ისე სიტყვათა მნიშვნელობებიც.

ამრიგად, არავითარი მეფეთა საჯდომი სოფელ „პარაპოვი“ საქართველოში არ არსებობდა და დავით ქობაირელსაც ტყუილად მიეწერა მისი დასახელება.

# კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

## საბჭოთა საქართველოს საზოგადოებრივი განვითარების პრობლემები

**მ. ნათმელაძე, საბჭოთა საქართველოს მუშათა კლასის ისტორია (1921—1932 წწ.), I, გამომც. „მეცნიერება“, 1970.**

მ. ნათმელაძის ნაშრომის თემა გვათავისუფლებს იმ აუცილებლობისაგან, რომ საკვლევი საგნის აქტუალობა და მნიშვნელობა საგანგებოდ დავახასიათოთ და შევაფასოთ.

სამაგიეროდ, თემის ასეთი აქტუალობა და მისი განსაკუთრებული მეცნიერული მნიშვნელობა აყენებს საკითხს ამ ნაშრომის შემსრულებლის სამეცნიერო ღირსებების, უნარისა და იმ სამეცნიერო უფლების შესახებაც, რამაც უნდა გვაჩვენოს თუ რამდენად „ეწიფებოდა ხელი“ ავტორს ამ დიდი ამოცანის შესასრულებლად.

ამ საკითხებს შედარებით ადვილად გაეცემა პასუხი. თუ გავითვალისწინებთ, რომ მაყვალა ნათმელაძე უკვე ხანგრძლივი დროის მანძილზე მეტად ნაყოფიერ და მნიშვნელოვან საკვლევაძიებო მუშაობას ეწევა საბჭოთა საქართველოს ისტორიის ძირეული პრობლემის დასამუშავებლად. რომელთა შორის მუშათა კლასის ისტორიის საკითხებს ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს.

მ. ნათმელაძის ნაშრომის ზოგადი შეფასებისათვის აუცილებელია წინასწარ გავითვალისწინოთ რამდენიმე განმასხვავებელი თავისებურება.

ერთ-ერთი ასეთი თავისებურებაა ის, რომ, ეს ნაშრომი საქართველოს მუშათა კლასის გარკვეული პერიოდის სრულ ისტორიას წარმოადგენს, რომ ამ ერთიან ისტორიაში შესულია და გამთლიანებულია მრავალი ცალკე საკვანძო პრობლემა და საკითხი, რომლებიც სხვა შემთხვევებში, ჩვეულებრივ, დამოუკიდებელი კვლევის საგანია ხოლმე.

ერთიანი ისტორიის შექმნას თავისი მოთხოვნები აქვს. მას სჭირდება სათანადო საკვლევაძიებო მიდგომაც, განსხვავებული ცალკე პრობლემური კვლევა-ძიებისაგან. ყოველივე ეს, ცხადია, ავტორს სიძნელეების წინაშე აყენებდა. მას სწორად და სრულად უნდა გაეთვალისწინებინა ამ სფეროს შესწავლაში არსებული მეცნიერული მონაპოვარიც და, რაც მთავარია, თვითონვე საგანგებოდ და ღრმად დაემუშავებინა ბევრი აქამდე ნაკლებად ან სრულიად შეუსწავლელი პრობლემა და საკითხი, რომლებიც გამთლიანდებოდა და თანაბრად განლაგდებოდა ამ ერთიან ისტორიაში. ჩვენი აზრით, ავტორს ეს რთული ამოცანა წარმატებით აქვს დაძლეული.

ჩატარებული მეცნიერული ძიებისა და მიღებული შედეგების საერთო შეფასებისას ჩვენ აგრეთვე უნდა გავითვალისწინოთ ის ზოგადი ვითარება, რომ საბჭოთა საქართველოს მუშათა კლასის ისტორიული განვითარება საბჭოთა კავშირის, ამ ერთიანი დიდი ქვეყნის, მუშათა კლასის განვითარების საერთო კანონზომიერების გამომხატველი იყო, მაგრამ ამავე დროს გვმართებს ანგარიში გავუწიოთ საქართველოს მუშათა კლასის განვითარების კონკრეტულ-ისტორიულ თავისებურებებს, რაც ზოგადთან ერთად ადგილობრივ სპეციფიკას უკავშირდება და ასახავს. აუცილებლად გასათვალისწინებელია ისიც, რომ შესასწავლი პერიოდი ისტორიული მოვლენების მრავალფეროვნებისა და სირთულის გამო საკვლევად საქართველოს პირობებისათვის უაღრესად ძნელია.

მარქსისტულ-ლენინურ მეცნიერებაში კარგად არის შესწავლილი და შეფასებული მუშათა კლასის, როგორც საზოგადოების ერთ-ერთი ძირითადი ნაწილის წარმოშობისა და განვითარების ზოგადი კანონზომიერებანი, მუშათა კლასის სოციალური ბუნება, ისტორიული მისია და სხვა მხარეები, მაგრამ ყოველთვის ინტერესს იწვევს და იმავე დროს საჭირო ხდე-

ბა იმ სპეციფიკურის გამოვლინება და შესწავლა, რაც მუშათა კლასის ისტორიას სხვადასხვა ქვეყანაში ახლავს და სოციალურ-ეკონომიური, ეროვნული თუ სხვა ხასიათის ადგილობრივი თავისებურებით არის შეპირობებული.

საქართველოს მუშათა კლასის ისტორიაში სპეციფიკურის გამოვლინება და შესწავლა, ცხადია, ამავე დროს საბჭოთა მუშათა კლასის ისტორიის ზოგადი საკითხების კვლევას ეხმარება და წვლილი შეაქვს საბჭოთა საზოგადოების ისტორიის თეორიულ საგანძურში. ასე უნდა შევაფასოთ აგრეთვე ზოგადად მ. ნათმელაძის ნაშრომის მნიშვნელობა. შექმნილია პირველი ფუნდამენტური გამოკვლევა საბჭოთა საქართველოს მუშათა კლასის ისტორიის ერთი მეტად მნიშვნელოვანი პერიოდისა. ეს არის მნიშვნელოვანი მეცნიერული მიღწევა და ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის შენაძენი.

ავტორის მეცნიერული მუშაობის სფერო, მიზანსწრაფული გეზი, დასმული ახალი მეცნიერული პრობლემები ამავე დროს კიდევ უფრო აძლიერებენ ინტერესს და უფრო მიმზიდველს ხდიან ამ მიმართებით ახლო მომავლის მუშაობას, და რამდენადაც მუშათა კლასის ისტორიისა და დღევანდლობის შესწავლა იყო და იქნება საბჭოთა საზოგადოების განვითარების უპირველესი პრობლემა, ჩვენი ავტორისაგან როგორც ჭეშმარიტად კარგი მკვლევარისაგან, ახალ წარმატებებს უნდა მოველოდეთ.

ჩვეულებრივ, დიდი მოვლენების, პრობლემების ისტორია გაშლილ, დაწვრილებით მეცნიერულ თხრობას მოითხოვს, სადაც გადამწყვეტ როლს თამაშობს თხრობის მანერა და მოცულობის ფაქტორი. ჩვენი აზრით, ავტორს ასეთი დიდი მოცულობის თემისათვის შერჩეული აქვს ყველაზე მოხერხებული და გამართლებული ფორმა — თხრობის კონსპექტური ხასიათი. ნაშრომში, როგორც წესი, ჯერ დასმულია მეცნიერული საკითხი, მოსაზრება, დებულება, ხოლო ამას უშუალოდ მოსდევს დასაბუთების მსჯელობა. აზრის მომჭირნეობის, მსჯელობის სისადავისა და ლოგიკურობის წყალობით ავტორი სასურველ ეფექტს აღწევს. ამიტომ ნაშრომში ყველაფერს თავისი შესაფერისი და ზომიერი ადგილი უჭირავს — ფაქტების კვლევასაც, ანალიზსაც და მეცნიერულ განზოგადებასაც.

მ. ნათმელაძის ნაშრომი აგებულია მდიდარი ლიტერატურულ-ისტორიული წყაროების კვლევაზე. გამოყოფით უნდა აღინიშნოს პირველწყაროები, რომლებიც შინაარსობრივადაც და გარეგნული ნიშნებითაც (უწყებრივი მიკუთვნებულობა გეოგრაფიული განაწილება და სხვ.) იმდენად მრავალფეროვანნი არიან, რომ აქ მათი ჩამოთვლაც კი გაძნელდებოდა. ჩვენ მათ აქ ზოგადად „საარქივო წყაროებს" ვუწოდებთ.

როგორც ნაშრომი გვიჩვენებს, მის ავტორს უაღრესად შრომატევადი, ამასთან, ინტენსიური მუშაობა გაუწევია ამ წყაროების შესწავლაზე, რაც საჭიროა საგანგებოდ აღინიშნოს.

ავტორს მოცემული აქვს წყაროების ვრცელი მიმოხილვა. შინაარსობრივი თვალსაზრისით ამ წყაროებს იგი რამდენიმე ჯგუფად ჰყოფს და იმასთან ერთად, რომ ამ წყაროების შესწავლის საფუძველზე საკუთარი მიზანდასახულობის შესაბამისად საყურადღებო დასკვნებამდე მიდის, შესავალ ნაწილში, სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიულ და ისტორიოგრაფიულ მიმოხილვაში ავტორი საქართველოს შესახებ არსებული აქამდე უცნობი წყაროების დეტალურ, ნათელ დახასიათებას გვაძლევს, რაც, ბუნებრივია, საერთოდ დიდ სამსახურს გაუწევს მკვლევართ. აქ აუცილებლად უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ მ. ნათმელაძე ხანგრძლივი დროის მანძილზე სპეციალურადაც ეწევა წყაროთმცოდნეობითი ხასიათის ნაყოფიერ კვლევას და ამ სერიის რამდენიმე საყურადღებო ნაშრომის ავტორიც არის. უთუოდ ყოველივე ამით არის გაპირობებული ის, რომ ავტორი ბევრ კონკრეტულ წყაროს სათანადო, კვალიფიციურ დახასიათებას აძლევს, ყურადღებას მიაქცევს წყაროების სისრულისა და სანდოობის საკითხს, რჩევას იძლევა მათი მეცნიერული მოხმარების საკითხებში.

საარქივო დოკუმენტებისა და მასალების არა მარტო კვლევის საჭიროებისათვის გამოყენება, არამედ მათი ზოგადწყაროთმცოდნეობითი დახასიათება და სამეცნიერო ხმარებაში შემოტანა ავტორის უთუოდ დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს.

აღსანიშნავია ავტორის ფართო კრიტიკული ალღოც. მაღალმეცნიერული დონის წყაროთმცოდნეურ მუშაობას და ამავე დროს კრიტიკულ უნარს უნდა მივაკუთვნოთ მ. ნათმელაძის მეთოდური მიდგომა ისტორიული სტატისტიკისადმი. კერძოდ, სტატისტიკური მასალების შესწავლისა და გამოყენებისადმი. ეს მომენტი საგანგებოდ ხაზგასასმელია, რადგან რამდენადაც ვიცით ასეთ მიდგომას ისტორიოგრაფიაში დღესდღეობით ფართოდ ჯერ კიდევ არ მიმართავენ და მაშასადამე, ასეთი მასალების მეცნიერული გამოყენების დროს არც სიფრთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხილეა ყოველთვის მომარჯვებული. ავტორი გვამცნობს, რომ მის ხელთ არსებული მთელი რიგი სტატისტიკური მონაცემები მრეწველობის განვითარების, მუშათა კლასის შემადგენლობის, ხელფასის დინამიკისა და სხვ. საკითხების შესახებ ხასიათდება უზუსტობით, შეცდომებით და ზოგჯერ სრული შეუსაბამობით და წინააღმდეგობებით. ჩანს, რომ მას ძნელი და შრომატევადი მუშაობა გაუწევია ნაკლულევანი და უზუსტო მასალების მეტ-ნაკლები სისრულისა და სანდოობის მისაღწევად. არ იგრძნობა ზერელობა. აქ ჩვენ წინ წარმოსდგება უაღრესად კეთილსინდისიერი და კვალიფიციური მკვლევარი-ისტორიკოსი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი არა მარტო პირველწყაროების, არამედ საერთოდ მრავალრიცხოვანი ფაქტების გულდასმით შესწავლისა და ანალიზის დროს ყოველთვის ფრთხილია მოვლენათა შეფასებაში. იგი სიზუსტით გამოარჩევს მუშათა კლასის განვითარებაში ისეთ საზოგადოებრივ მოვლენებს, როცა რიცხობრივი მაჩვენებლები განსაზღვრავენ თვისობრიობას. თავის მხრივ, ასეთ მოვლენათა შორის შინაგანი კავშირურთიერთობისა და გავლენების დადგენას ავტორი მნიშვნელოვან მეცნიერულ განზოგადებამდე მიჰყავს. ასეთ წესს ემორჩილება ავტორის მიერ კვლევა-ძიებაში ჩართული მდიდარი ფაქტიური მასალა, მათ შორის მარჯვედ და ეკონომიურად შერჩეული ის სტატისტიკური მონაცემებიც, რომელიც, როგორც უკვე ითქვა, თავის მხრივ, პირველადი არქეოგრაფიული დამუშავების შემდეგ შემოაქვს ავტორს ხმარებაში.

კარგად არის შესრულებული ნაშრომის ისტორიოგრაფიული ნაწილი. აქ ავტორი საგანგებოდ ეხება მუშათა კლასის ისტორიის კონკრეტული საკითხების შესწავლისადმი მიძღვნილ შედარებით ახალ ნაშრომებს, რომლებიც შექმნილია ისტორიკოსების, სოციოლოგების, ფილოსოფოსების, ეკონომისტებისა და სხვ. მიერ. აქ აუცილებლივ უნდა აღინიშნოს ავტორისეული მიდგომის შესახებ, რომელიც გამოყენებულია ამ ნაშრომის მეცნიერულ-კრიტიკული მიმოხილვის საქმეში.

ცნობილია, რომ საბჭოთა მუშათა კლასის ისტორიისა და სოციალურ-ეკონომიური განვითარების პრობლემებს ჩვენში უამრავი ნაშრომი მიეძღვნა. ეს ნაშრომები დაიწერა და იწერება სხვადასხვაგვარ ასპექტში, სხვადასხვა კუთხით, წამოყენებულია ბევრი ახალი შეხედულება თუ აზრი ამა თუ იმ საკითხზე, თვით ამ საკითხების ცალკე მხარეებზე, ნიუანსებზედაც კი, ამ მხრივ საბჭოთა ისტორიოგრაფია დღევანდელ ეტაპზე ნამდვილად მდიდარია.

ავტორს სპეციალური ლიტერატურის ამ სიმდიდრესა და მრავალფეროვნებაში თავისი მიზანდასახულობის შესაბამისად ერთგვარი საკლასიფიკაციო მიდგომაც შეაქვს, ცალკე ძირითადი მომენტების მიხედვით დააჯგუფებს ამ ლიტერატურას.

მ. ნათმელაძის ნაშრომში მთავარი მეცნიერული ამოცანის შესაბამისად ერთ-ერთი ძირითადი ადგილი უჭირავს საქართველოს მუშათა კლასის სოციალური შემადგენლობის ცვლილებებისა და განვითარების პროცესის შესწავლას. ავტორს გათვალისწინებული აქვს საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის სოციალური შემადგენლობის შესწავლის მეთოდოლოგიის შემუშავების პირველი ცდებიც (ა. პანკრატოვა, პ. ლეპეშინსკი და სხვ.), აგრეთვე მომდევნო პერიოდებში ამ მიმართულებით მეტ-ნაკლებად წარმატებით ჩატარებული მუშაობის ხასიათიც. ავტორი შეარჩევს და, ჩვენი აზრით, სწორად იყენებს ყველა უკეთეს ხერხს და მიდგომას ამ საკითხების შესწავლის ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით.

მუშათა კლასის სოციალური შემადგენლობის ცვლილებისა და განვითარების პროცესის შესწავლა ავტორს აგებული აქვს, როგორც ეს საჭიროც იყო, მუშათა რაოდენობრივი დინამიკისა და თვისობრივი ცვლილებების ურთიერთკავშირისა და მიმართების კვლევაზე. თავის მხრივ, აქ ღერძეულ საკითხად დგება სოციალისტური სამრეწველო წარმოებისა და შესაბამისი შრომის ფორმების დამკვიდრების პროცესის დახასიათება. ნაშრომში ნათლად არის ნაჩვენები, რომ მუშათა დიდი ნაწილის დასაქმება მრეწველობის სოციალისტურ სექტორში საბჭოთა სახელმწიფოს სამეურნეო-პოლიტიკური განვითარების პირობებთან ერთობლიობაში განსაზღვრავდა საფაბრიკო-საქარხნო მუშათა შემადგენლობის ცვლილების მთავარ მიმართულებას. თავის მხრივ, ეს რაოდენობრივი ცვლილებანი კვალიფიციური მუშათა კადრის შექმნასა და კონცენტრირებას ნიშნავდა, ისევე, როგორც მათი კლასობრივი თვითშეგნების დონის ამაღლებაც. ეს იყო ყველაზე სწორი გეზი, რადგან სახელმწიფო მრეწველობაზე გადიოდა გზა სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილებისაკენ და რადგან წარმოების კონცენტრაცია ითვალისწინებდა არამარტო სამეურნეო, არამედ პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების პოლიტიკურ ინტერესებსაც, ისევე როგორც მუშათა ნაციონალური კადრის შექმნასაც.

მაგრამ ამავე დროს ეს იყო ყველაზე ძნელი და რთული პროცესი საქართველოს მუშა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა კლასის სოციალური სრულყოფის გზაზე. ავტორი ჩაღრმავებით იკვლევს და ნათლად გვაჩვენებს მუშათა კლასის სოციალური ერთგვაროვნების შექმნის პროცესის სიძნელეებს, რომლებიც ადგილობრივი სპეციფიკიდანაც გამომდინარეობდა. საქართველოს მუშათა შორის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ წვრილხელოვნურ და შინამრეწველობაში ჩაბმული მუშები. შინ მომუშავეთა დიდი რაოდენობით არსებობა კი მოწმობდა საქართველოს მუშათა კლასის ნაწილის საწარმოო დაქსაქსულობას საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლებისათვის. საბჭოური მუშათა კლასის ჩამოყალიბება დაკავშირებული იყო წვრილბურჟუაზიული მერყეობის დაძლევასთან, რომელიც არაპროლეტარული ფენებიდან გამოსულ მუშათა ჯგუფებს ახასიათებდათ.

აქ ერთ თავისებურებასთანაც გვაქვს საქმე, რომლის შეფასებაში სავსებით უნდა დავეთანხმოთ ავტორს — საქართველოში საბჭოური მუშათა კლასის ჩამოყალიბება-განვითარების პროცესი მნიშვნელოვანწილად სოფლის მეურნეობის განვითარების დონით, სოფლად მიმდინარე სოციალური ძვრებითაც იყო განპირობებული.

თვალსაჩინოდ არის ნაშრომში ნაჩვენები, რომ პარტია და მთავრობა განსაკუთრებული ზრუნვით ეკიდებოდა მუშათა კლასის ნაციონალური, კვალიფიციური კადრების მომზადების საქმეს, რაც გამომდინარეობდა ლენინური ნაციონალური პოლიტიკის პრინციპებიდან. ამასთან იყო დაკავშირებული რიგი მნიშვნელოვანი სოციალური ღონისძიება. საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე წლებში ჩაეყარა საფუძველი საწარმოო სწავლებას და ავტორი ნაშრომის მთელ მანძილზე შეუნელებელი ყურადღებით გაადევნებს თვალს ამ პროცესის გაფართოებისა და სრულყოფის ხასიათს. ნაშრომში ნაჩვენებია აგრეთვე, რომ პროფესიულ კავშირებში გაერთიანება წარმოებაში მუშათა დამკვიდრების მაჩვენებელიც იყო და საქართველოს მუშათა კლასის კონსოლიდაციის მანიშნებელი ფაქტორიც.

ნაშრომი მთლიანად ერთნაირი სიძლიერით არის დაწერილი და ერთნაირი ინტერესით იკითხება, მაგრამ მაინც შეიძლება საგანგებოდ გამოვყოთ მისი პირველი თავი „სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება საქართველოში მუშათა კლასის პოლიტიკური და შრომითი საქმიანობის ახალი პირობები და ფორმები. მუშათა კლასის კონსოლიდაცია (1921—1926 წწ.)".

ერთი მხრივ, მოვლენათა უაღრესი სირთულის გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წინა პერიოდში და საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ ეტაპზე, მეორე მხრივ, წერილობითი წყაროების ნაკლებობისა და არათანაბრობის გამო, მკვლევარი, ყველაზე მეტ სირთულესა და სიძნელეებს ამ პერიოდის მოვლენების კვლევის დროს უნდა შეხვედროდა. ამავე დროს ეს ის პერიოდია, როდესაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში სპეციფიკური მომენტები, რომლებიც ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების მდგომარეობას და კერძოდ კი, საქართველოს ვითარებას ახასიათებდა.

შესასწავლი საკითხების კვლევისას ავტორს სწორად აქვს შეფასებული და გათვალისწინებული ამ პერიოდის ეს თავისებურებანი. სწორედ ამ თავისებურებათა საფუძველზე მთელი რიგი საკვანძო საკითხი საქართველოში საბჭოური მუშათა კლასის ჩამოყალიბებისა და განვითარებისა, კერძოდ, მუშათა კლასის კონსოლიდაცია, მისი ეტაპები, უმუშევრობის ხასიათი და წყაროები, უმუშევრობასთან ბრძოლის ღონისძიებანი, მუშათა კლასის შევსების წყაროები სახალხო მეურნეობის აღდგენისა და ინდუსტრიალიზაციის პირველ წლებში ავტორს ზოგ შემთხვევაში პირველად, ხოლო ზოგჯერ ახლებურად აქვს გაშუქებული და გაანალიზებული. სწორედ, ამ საკითხების კვლევა მეტად წარმოაჩენს საბჭოთა საქართველოს მუშათა კლასის სპეციფიკას.

როგორც მოსალოდნელი იყო, ნაშრომში მუშათა კლასის ისტორიის ძირეული საკითხების შესწავლა მჭიდროდ არის დაკავშირებული შრომის ისტორიასთან. ამიტომ არის, რომ მთელი გამოკვლევის მანძილზე ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სოციალურ-ეკონომიური პირობების ანალიზს და მის კონკრეტულ სპეციფიკას, რასთანაც შეფარდებულია მოვლენათა განვითარების შესწავლა და შინაგან კანონზომიერებათა ახსნა. ამ მარჯვე თვალსაზრისის გამოყენებით ავტორი ახერხებს სიცხადე შეიტანოს რთულსა და წინააღმდეგობებით აღსავსე ისტორიულ პროცესებში, მოგვცეს მოვლენათა განვითარების ახსნა და სწორი ისტორიული კვალიფიკაცია. რამდენადაც ასეთი მიდგომა მთელი ნაშრომის თავისებურებაა, ჩვენ საჭიროდ არ ვთვლით კონკრეტული მაგალითების მოტანას. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ნაშრომის ეს მხარე ჩვენს ყურადღებას იპყრობს, როგორც მნიშვნელოვანი მეცნიერული მიღწევა. ავტორი სრულიად მართებულად მთავარ ყურადღებას უთმობს ტექნიკური მხარეების გარდა შრომის სოციალური პირობების გავლენის საკითხს პიროვნების შემოქმედებითი აქტივობის განვითარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაზე, შრომის ანალიზს უდგება კონკრეტულ-ისტორიულად. ავტორს შრომის სოციალურ მხარეებში სავსებით სწორად ესმის ის საზოგადოებრივი პირობები და ეკონომიური დამოკიდებულებანი, რომელშიც ხორციელდება მუშის შრომა.

ავტორისათვის სახელმძღვანელო დებულებაც არის და საკვლევი მიდგომაც ის, რომ მუშათა კლასის ისტორიის შესწავლა მკვლევარ-ისტორიკოსისაგან მოითხოვს როგორც მუშათა კლასის თვით სოციალური ბუნების ცვლილების, ასევე მუშათა კლასის რევოლუციურ-გარდამქმნელი მოღვაწეობის, მისი ხელმძღვანელი როლის შესწავლას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე. მას უკავშირდება ნაშრომის ისეთი საკითხების კვლევა, როგორიცაა მუშათა კლასის შრომითი და პოლიტიკური აქტივობა, მუშათა კლასის ბრძოლა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისათვის, მუშათა ნაციონალური კადრების შექმნა, მუშათა კლასის როლი სოციალისტური შრომის განვითარებაში და ა. შ.

რამდენიმე სურვილის შესახებ, რომლებიც ნაშრომის შინაარსსა და ავტორის მუშაობის ხერხს შეეხება: ავტორი ისტორიოგრაფიულ ნაწილში მართალია სრულ სურათს გვთავაზობს პრობლემის ირგვლივ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის შესახებ, მაგრამ ჩვენ გვეჩვენება, რომ ეს მიმოხილვა ყოველთვის არ გამოხატავს ავტორის დამოკიდებულებას ნაშრომებში აღძრული საკითხებისადმი.

მდიდარი საარქივო წყაროები, რომელთა შორის გამოიყოფა სტატისტიკური მასალა და რომელთა შესწავლითა და დამუშავებით ავტორს საყურადღებო დასკვნები აქვს მიღებული, შეიძლება შესწავლილ იქნეს ისტორიულ-სოციოლოგიური მიდგომითაც, რაც ვფიქრობთ, კიდევ უფრო დაგვეხმარება შესასწავლი პერიოდის რთული სიტუაციების გარკვევაში. კერძოდ, მეტ შუქს შეიტანს ადრინდელი პერიოდების სოციალური გარემოს სურათში, მეტ საფუძველს შექმნის საზოგადოების სოციალური ფენების, პროფესიულ-სოციალური სტრუქტურის, დემოგრაფიული სიტუაციების, მოსაქმეობის დარგობრივი ჯგუფების, მიგრაციული პროცესების სოციალური ასპექტების გასარკვევად. კვლევის ისტორიულ-სოციოლოგიური მეთოდი ეს-ეს არის მკვიდრდება საბჭოთა ისტორიოგრაფიაში და, რამდენადაც უკვე შეიძლება მსჯელობა, შედეგებიც საყურადღებო ჩანს.

ჩვენი შთაბეჭდილებით გამოკვლევაში აქა-იქ მაინც არის ისეთი ნაწილები, რომელთაც სისრულე აკლიათ. მაგალითად „ნეპის“ პერიოდის სირთულეებთან დაკავშირებით, ჩვენი აზრით, ცოტაა ნათქვამი გამოკვლევაში თვით მუშათა კლასის ზრდისა და განვითარების კონკრეტული სპეციფიკისა და სოციალური შემადგენლობის თვისობრივი ცვლის ისტორიის შესახებ. რამდენადაც საქართველოში „სამხედრო დიქტატურა“ არ იყო, როგორი ხასიათი ჰქონდა ამ პროცესებს „ნეპის“ თავისებურებების პირობებში. მართალია, ეს საკითხები ასახულია ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში (პროფ. ი. კაჭარავა და სხვ.), მაგრამ ვფიქრობთ სარეცენზიო შრომაში როგორც სპეციალურ ნაშრომში, ეს მხარე უფრო სრულად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი.

სამრეწველო წარმოების კონცენტრაციასთან ერთად აღდგენით პერიოდში გადადგმული იქნა პირველი ნაბიჯები მუშათა, მოსამსახურეთა და დამხმარე პერსონალს შორის რაოდენობრივი თანაფარდობის მოსაწესრიგებლად. — ავტორის ხელთარსებული მასალების მიხედვით ჩანს, რომ მუშათა რაოდენობრივი ზრდა თითქმის ყველა შემთხვევაში უსწრებდა მოსამსახურეთა ზრდის ტემპს, მაგრამ რა სოციალურ შედეგებამდე მივყავდით ამ პერიოდში მუშათა რაოდენობის უპირატეს ზრდას (ყველა შემთხვევაში) მუშა-მოსამსახურეთა ზრდის ტემპთან შედარებით, ანდა, როდემდის გაგრძელდა ზრდის ასეთი არათანაფარდობა.

საქართველოს მუშათა კლასის შევსების წყაროები საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში მჭიდროდაა დაკავშირებული ჭარბი აგრარული მოსახლეობის, სასოფლო-სამეურნეო პროლეტარიატის არსებობასთან. მართალია, ძნელია, მაგრამ მაინც საჭიროა ამ პროცესის შესწავლა სოციალური და პროფესიული ორიენტაციის ცვლილებათა პლანში. რატომ მოდიოდა ქალაქის ძნელ პირობებში ადამიანი სოფლიდან, ანდა ეს წამოსვლა სოფელთან მუდმივად კავშირის გაწყვეტაში მდგომარეობდა თუ არა ყოველთვის?

ნაშრომის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია მუშათა კლასის რაოდენობრივი და თვისობრივი ცვლილებების, მისი შევსებისა და განმტკიცების ისტორიის სრული სურათის დადგენა. ეს საერთოდ კარგად არის ნაჩვენები, მაგრამ ჩვენი შეხედულებით ამ საკითხის ყველა ასპექტი ერთნაირი სისრულით არ არის წარმოდგენილი. მუშათა კლასი საზოგადოების სხვა ფენებიდან შევსებას განიცდის, მაგრამ ამავე დროს თვითონაც არის სხვა ფენების შევსების წყარო. კონკრეტულ-ისტორიულ პირობებთან შეფარდებით მუშათა უკუქცევა სოფლად ნაშრომში ვრცლადაა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახასიათებული, მაგრამ მკაფიოდ არ არის ნაჩვენები რა ემართება სოციალურად ამ ჯგუფს. არის ეს მუშათა დეკლასირების აქტი, თუ სხვა რამ, რა ხდება იმავე სოციალური თვალსაზრისით, როცა სოფლად გაბნეული (თუ გახიზნული) პროლეტარიატი კვლავ უბრუნდება წარმოებას, ყველაფერი ეს სტიქიური პროცესების გამოხატულებაა, თუ სოციალური ორიენტაციის შეგნებული ცვლა.

მიუხედავად იმისა, რომ ავტორი მთელი ყურადღებით ეკიდება და ჩაღრმავებით იკვლევს ე. წ. „ორმისამართიანი" მუშის საკითხს, ჩვენ გვეჩვენება, რომ ამ საკითხის ყველა მხარე ერთნაირი სისრულით არ არის გამოკვლეული და გადაწყვეტილი. შეიძლება ეს უშუალოდ ამ საკითხის სიძნელით არის გამოწვეული. თვით სახელწოდება „ორმისამართიანი მუშა" ძალზე პირობითია. იგი გარეგნულ მხარეს გამოხატავს და უფრო ტექნიკურ ტერმინად წარმოგვიდგება. სინამდვილეში კი აქ ორი სოციალურად განსხვავებული მნიშვნელობის შეერთებასთან გვაქვს საქმე. ვიდრე უფრო შესაფერსა და მოხერხებულ ტერმინს გამოვძებნიდეთ, ალბათ, ამ პირობით სახელს უნდა დავჯერდეთ.

„ორმისამართიანობის" დროს მთავარია მაინც გაირკვეს პიროვნების ძირითადი სოციალური ბუნება. ამისათვის კი საზომია მოსაძებნი როგორც ეკონომიურ, ისე სოციალურ და ფსიქოლოგიურ პლანში. თუ ეს არ გაკეთდა, ღიად დარჩება კლასობრივი მიკუთვნებულობის საკითხიც. უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხი დღესაც აქტუალურია და დღევანდელობასთან უშუალოდაც არის დაკავშირებული. დღეს საქართველოში ბევრი ისეთი სამრეწველო საწარმო გვაქვს, სადაც დასაქმებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი ყოველდღიურ ცხოვრებას სოფლად ეწევა და ქარხანაში თუ ფაბრიკაში მუშაობასთან ერთად სოფლის მეურნეობასაც მისდევს. ასეთი პირები საკუთარი სამეურნეო პროდუქციით ხშირად ბაზართანაც არიან დაკავშირებულნი. დგება საკითხი — ვინ არიან ესენი თავისი სოციალური ბუნებით და შეგნებით — მუშები თუ გლეხები? პირდაპირ და ნამდვილ პასუხს ვერ მოგვცემს ამაზე აქვს თუ არა ასეთ პირს, ვთქვათ, პასპორტი, როგორც ქალაქური ცხოვრების ატრიბუტი, ან მიიღო თუ არა მან ქალაქში საცხოვრებელი ბინა. საზომი ისევ წარმოებაა, პიროვნების ძირითადი საქმიანობის ხასიათი, რომელიც მისი სოციალური ბუნების საფუძველს შეადგენს. მაშასადამე, სოციალურ ცვლილებათა პროცესის შესასწავლად ამის გათვალისწინებას არსებითი მნიშვნელობა აქვს. ცალკე დგას „სეზონური მუშის" საკითხიც.

ალბათ ასე უნდა ყოფილიყო ავტორის მიერ საკვლევად აღებულ პერიოდშიც. ძალზე საყურადღებო დაკვირვებას გვთავაზობს ავტორი აღდგენითი პერიოდისათვის, როცა მუშებს სოფლად კავშირი გაწყვეტილი არა აქვთ და პარტია და ხელისუფლება, მიუხედავად საწარმოებში კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობისა, ასეთ მოვლენას ხელს უწყობენ სოფლისა და ქალაქის საწარმოო პროდუქტის ეკვივალენტური გაცვლის შენარჩუნებისა და საერთოდ, ქალაქისა და სოფლის კავშირის შენარჩუნების მიზნით. დახასიათებულია ნაშრომში ე. წ. „მაკრატლის პრობლემაც", მაგრამ ავტორის მიერ მოცემული ახსნა ამ მოვლენებისა ამომწურავი არ ჩანს, რადგან მკვეთრად არ არის ნაჩვენები სოციალური მდგომარეობისა და ცვლილებების კონკრეტული სურათი და დინამიკა.

ზემოთქმულთან დაკავშირებით მუშათა კლასში მიმდინარე სოციალური ცვლილებების შესახებ, ჩვენი აზრით, საჭიროა ტერმინი „დეკლასირებ"-ის სოციალური შინაარსის დაზუსტებაც. რა ხასიათის პროცესი მიმდინარეობდა — ეს იყო სოციალური ბუნების ცვლაც თუ არა, ე. ი. მუშა იქცეოდა ისევ გლეხად, თუ აქ უბრალო მექანიკური გადანტვის მომენტია აქცენტირებული. დეკლასირება თავისი კლასის გარეშე დარჩენას, ძირითადი კლასობრივი ნიშნების დაკარგვას ნიშნავს. ამავე დროს, დეკლასირებული ისეთი პირია, ვინც თავის კლასთან კავშირი დაკარგა, მაგრამ სხვა კლასს არ მიემხრო. აქ პოლიტიკური მსოფლმხედველობაა წინ წამოწეული. ყველა შემთხვევაში მთავარ მნიშვნელობას იძენს პიროვნების სოციალური მდგომარეობის შეცვლის შედეგად სოციალური ბუნების შეცვლაც. ეს საკითხიც სოციალური ფსიქოლოგიის პლანში მოითხოვს დაკვირვებას.

მ. ნათმელაძის ამ ახალი დიდი მონოგრაფიის ირგვლივ საუბარი შეიძლება ამით არ უნდა ამოიწურებოდეს. ეს იმიტომ, რომ ღრმაშინაარსიანი მეცნიერული ნაშრომი ყოველთვის აღძრავს ახალ ფიქრებს, მოსაზრებებს, შენიშვნებს, სურვილებს. მაგრამ ამჟამად მაინც მთავარია იმ სასიამოვნო ფაქტის აღნიშვნა, რომ საბჭოთა საქართველოს მუშათა კლასის ისტორიის (1921—1932 წწ.) პირველი მონოგრაფიული გამოკვლევა გამოქვეყნებულია, ხოლო კვლევის დიაპაზონი, მეცნიერული მიდგომა და მიზანსწრაფვა საიმედო გარანტიაა ამ მიმართულებით წარმოებული მუშაობის ახალი მნიშვნელოვანი შედეგებისა.

**მიხეილ გეგეშიძე**

## ALEXANDER BUCHNER, MUSIKINSTRUMENTE DER VÖLKER

**Prag. Artia, 1968*, 295 გვ., 287 ტაბულითურთ**

ალექსანდრე ბუხნერის სქელტანიანი ნაშრომი „ხალხური მუსიკალური ინსტრუმენტები“, არის უაღრესად მნიშვნელოვანი, აკადემიური გამოცემა, რომელშიც შეჯამებულია მსოფლიოს ხალხთა მუსიკალური საკრავების შესახებ არსებული მდიდარი მასალა.

წიგნს წამძღვარებული აქვს შესავალი (გვ. 5—8), მას მისდევს ძირითადი ნაწილი — მუსიკალური საკრავების განხილვა მსოფლიოს ხალხების მიხედვით (გვ. 9—280). მასალა დალაგებულია შემდეგი თანმიმდევრობით: აღმოსავლეთ აზია (ჩინეთი, ტიბეტი, კორეა, იაპონია, მონღოლეთი — გვ. 9—48), სამხრეთ აზია (ინდოეთი, ქაშმირი, პაკისტანი, ავღანეთი; სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია (კამბოჯა, ლაოსი, ტაილანდი, ბირმა, ვიეტნამი), ინდონეზიის არქიპელაგი (სუმატრა, ნიასი, კალიმანტანი, სულავერი), ავსტრალია და ოკეანია — გვ. 49—108), ამერიკა (მექსიკა, შუა ამერიკა — (კუბა ჰაიტი, დომინიკანელთა რესპუბლიკა, გვატემალა, ჰონდურასი და სალვადორი, ნიკარაგუა, კოსტარიკა და პანამა), სამხრეთ ამერიკა (პერუ, ბოლივია, ეკვადორი, კოლუმბია, ვენესუელა, ბრაზილია, ჩილი, არგენტინა, პარაგვაი და ურუგვაი), ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები — გვ. 109—140). აფრიკა ( ეთიოპია — გვ. 141—168). არაბული ქვეყნები (არაბები), თურქეთი (გვ. 169—192), საბჭოთა კავშირის ხალხები (შორეული აღმოსავლეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთ ციმბირი, შუა აზია, ავტონომიური რესპუბლიკები; რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, ბალტიისპირეთის სახელმწიფოები — გვ. 193—224) ევროპა (ჩრდილო ევროპა (ფინეთი, შვედეთი, ნორვეგია), შუა ევროპა (პოლონეთი, ჩეხეთი, უნგრეთი, რუმინეთი, ბულგარეთი). სამხრეთ-აღმოსავლეთი და სამხრეთ ევროპა (იუგოსლავია, მაკედონია, ალბანეთი, საბერძნეთი, იტალია), დასავლეთ ევროპა — გვ. 225—280).

უმრავლეს შემთხვევაში თითოეული ხალხის საკრავები განხილულია შემდეგი თანმიმდევრობით: ბგერითი სისტემები, მუსიკალური ინსტრუმენტები, იდიოფონები, მემბრანოფონები, აეროფონები, ქორდოფონები (ზოგან პარაგრაფები ამგვარად არაა გამოყოფილი, მაგრამ, მოცემულია საკრავების მოკლე მიმოხილვა ისეთივე თანმიმდევრობით).

თითოეულ ნაკვეთს ახლავს ფოტო-ტაბულები, რომლებშიც მოცემულია ფერადი და შავ-თეთრი ფოტოსურათები ინსტრუმენტებისა და შემსრულებლისა (შესრულების პროცესში), ხოლო ძირითად ტექსტში ჩართულია მხოლოდ შემსრულებლის სურათები (ნახატები) და ზოგჯერ სანოტო მაგალითებიც.

წიგნს აქვს აპარატი, რომელიც აადვილებს მის გამოყენებას: სურათების საძიებელი (გვ. 281—285), სურათების ავტორებისა და მფლობელების სია (გვ. 286), ტექსტში მოთავსებული ნახატების შემსრულებელთა სია (გვ. 286), გამოყენებული ლიტერატურის სია (გვ. 287), საკრავთა საძიებელი (გვ. 288—294).

ჩვენ მიზნად ვისახავთ ამ დიდი ნაშრომის ზოგად მიმოხილვას და ამასთანავე გვსურს მივუთითოთ რიგ უზუსტობაზე და შეცდომებზე ქართულ ხალხურ საკრავებთან დაკავშირებით.

შესავალში ავტორი ეხება მუსიკალურ ინსტრუმენტთა ზოგად ისტორიას. იგი იზიარებს საყოველთაოდ აღიარებულ აზრს სიმებიანი საკრავის სანადირო მშვილდიდან წარმოშობის შესახებ. ავტორის აზრით, წინაისტორიულ ხანაშივე მიაგნო ადამიანმა ბგერის სიმაღლის შესაცვლელ ხერხებს. კერძოდ, შენიშნა, რომ მოკლე ლერწმის მილის (სიმის) მიერ გამოცემული ბგერა მაღალია, გრძელი მილისა (სიმისა) კი — დაბალი. მოგვიანებით, სიმების სიგრძის ცვლა დაიწყეს სიმზე თითის დაჭერით, ხოლო ჩასაბერებზე თვლების გაკეთებით.

ა. ბუხნერის აზრით, სიმღერა და ცეკვა წარმოადგენს ხალხურ საკრავზე სოლო შესრულების საფუძველს. ეს მოსაზრება მართებული ჩანს, თუმცა არაა სათანადოდ დასაბუთებული.

ა. ბუხნერი აღნიშნავს, რომ ხალხური მუსიკა არ არის მსმენელთა გარკვეული წრისათვის შექმნილი მუსიკა, ის წარმოიშობა იმ მომენტში, როდესაც შემსრულებელს უჩნდება შინაგანი მოთხოვნილება, მუსიკის ენით გამოხატოს თავისი გრძნობები. ამის გამო ავტორი ხალხურ ინსტრუმენტულ მუსიკას თვლის არა „წარსულის არქაულ გადმონაშთად“, არამედ

* Ins Deutsche übersetzt von O. Guth. Grafische Gestaltung von M. Houska, Notenbeispiele gezeichnet von I. Milota.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცოცხლისუნარიანობისა და მხატვრული აზროვნების გამოხატულებად.

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც, რომელზედაც შესავალშივე მიუთითებს ა. ბუხნერი: დღეს ზოგჯერ ძნელი დასადგენია ზოგიერთი ხალხის საკრავთა გენეზისი და აგრეთვე ისიც, თუ რომელი საკრავი ვინ ვისგან აითვისა. ამ მოვლენას იგი ხსნის კულტურული მონაპოვრების მუდმივი გაცვლა-გამოცვლით ხალხებს შორის და ურთიერთგავლენებით (მშვიდობიანი თუ არამშვიდობიანი გზით).

სარეცენზიო წიგნის ავტორი ეხება საკრავთა კლასიფიკაციის საკითხს. მისი აზრით, დღეისათვის საყოველთაოდ აღიარებული ჰორნბოსტულ-ზაქსის საკრავების მეცნიერული კლასიფიკაცია ნაკლოვანებებს ამჟღავნებს, რადგან მასში არაა გათვალისწინებული გეოგრაფიულ-ისტორიული ფაქტორი.

ა. ბუხნერის აზრით, მუსიკალურ საკრავთა განვითარება და გავრცელება მიუთითებს გარკვეული საწარმოო ცენტრების არსებობაზე აზიაში, საიდანაც განვითარების იმპულსები საკრავების სახითაც მიდიოდა უშორეს ქვეყნებში.

ასეთია ბუხნერის თვალსაზრისი ხალხური მუსიკალური საკრავების ისტორიის შესახებ.

ა. ბუხნერის შრომის ერთ-ერთი ნაკვეთი ეძღვნება საბჭოთა კავშირის ხალხთა მუსიკალურ საკრავებს. იგი აღნიშნავს, რომ „საბჭოთა კავშირის ხალხებმა შექმნეს საუკუნეთა განმავლობაში საკუთარი მუსიკალური კულტურა. მათ საკრავთა შორის ვხვდებით ყველა სახეობას — უპრიმიტიულესიდან ურთულესამდე“ (გვ. 195). ამ „მრავალფეროვან საკრავებს“ (როგორც ის უწოდებს) ავტორი ყოფს 6 ძირითად ჯგუფად გეოგრაფიული რაიონების მიხედვით. ეს ჯგუფებია:

შორეული აღმოსავლეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთ ციმბირი (ბურიატები, იაკუტები — გვ. 195—196), შუა აზია (ყაზახები, ყირგიზები, უზბეკები და ტაჯიკები, თურქმენები, დაღესტნელები, აზერბაიჯანელები, სომხები, ქართველები — გვ. 196—200), ავტონომიური რესპუბლიკები (აფხაზები და აჭარლები, ოსები, ბაშკირები, თათრები, უდმურტები, ადიღელები, ყაბარდო-ბალყარელები, ჩუვაშები, მარიელები — გვ. 200—202), რუსები, უკრაინელები, და ბელორუსები — გვ. 202—205), ბალტიისპირეთის რესპუბლიკები (ლიტვა, ლატვია, ესტონეთი — გვ. 206—208).

როგორც ვხედავთ, კავკასიის ხალხები მოქცეულია შუა აზიის გეოგრაფიულ რაიონში. ქართველების შესახებ წერია (გვ. 199—200):

„ქართველები. ქართველები კავკასიის დასავლეთსა და ცენტრში ცხოვრობენ, მათი ხალხური მუსიკის დამახასიათებელი თავისებურება არის მრავალხმიანობა; უფრო ტიპიურია სამხმიანობა, რომლის დროსაც ცალკეული ხმების გატარებისას ხმათა მონაცვლეობას აქვს ადგილი. პროფესიული და თვითმოქმედი ანსამბლების ძირითადი ინსტრუმენტია სიმებიანი ჩამოსაკრავი ფანდური. მის პოპულარობას ამტკიცებს ის ფაქტიც, რომ ხშირად სხვა საკრავებსაც „ფანდურს“ უწოდებენ. ერთი მთლიანი ხისაგან გამოთლილი კორპუსის მქონე ფანდური ფორმით წააგავს დაღესტნურ აგაჩ-კომუზს. ნაწლავის სამი სიმი იწყობა სეკუნდად და ტერციად $g_1$ $a_1$ $c_2$ ან ორი ზედა სიმი იწყობა უნისონურად და მესამე მის ოქტავურ გაორმაგებას წარმოადგენს a $a_1$ a. სამეგრელოსა და გურიაში ვერ ნახავთ სოფელს ჩონგურის გარეშე. იგი ფანდურისაგან განსხვავდება გამობერილი, ნაკლებად წაგრძელებული კორპუსით. სამ სიმს ემატება მეოთხე სიმი, რომელიც უფრო მოკლეა და ყელის მარცხენა მხარეს გაკეთებულ ხრახნზეა მიმაგრებული; ჩონგურის წყობაა კვარტ-სექსტაკორდი გაორმაგებული კვინტით, მასზე უკრავენ ძირითადად ქალები. კუთხურ არფა ჩანგზეც რომელსაც ძუის სიმები აქვს ქალები უკრავენ. ამ არფის სხვადასხვა ტიპთაგან ყველაზე პოპულარულია ექვსსიმიანი სვანური ჩანგი (swanska Tschangi); მისი სამი სიმი მინორულ სამხმოვანებად იწყობა, სამიც — მაჟორულად. გარდა ქამანჩისა (Kemandsche) ქართველებს აქვთ კიდევ ორი სიმებიანი საკრავი, რომლებიც ძალიან გვანან ერთმანეთს: ჭიამური (ალბათ ჭიანური — მ. შ.) და ჭუნირი. სანთური (იგივე წინწილა) არის ქართული ციმბალა, რომელსაც აქვს დიატონური ბგერათ-რიგი სამი ოქტავის ფარგლებში. მისი თითოეული ბგერის გამოსაცემად 5 სიმისაგან შემდგარი სიმთა ჯგუფია საჭირო.

„მხოლოდ ძველი თაობა იცნობს პანის ფლეიტა ლარჭემს, რომელიც ბამბუკის მილებისაგან კეთდება იმგვარად, რომ ორი უგრძესი მილი შუაშია მოქცეული. ფლეიტები — სალამური და უენო სალამური შეესაბამებიან მეზობელი ხალხების გასწვრივი ფლეიტის ტიპს. სომხური დუდუკის მონათესავეა ქართული დუდუკი და შუააზიური ზურნისა ამავე სახელწოდების ქართული ფლეიტა. ადრე ამათ გარდა ძალიან პოპულარული იყო გუდასტვირი, დაირა, ლიტავრები, დიპლიპიტო და ორმხრივი დოლიც“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვეა მოთავსებული სურათი საზზე დამკვრელისა. სურათს აქვს წარწერა: „ქართველი აშუღი გრიქოვი ლუტნია საზით“.

ნაკვეთში „ავტონომიური რესპუბლიკები“ სადაც განხილულია აფხაზებისა და აჭარლების საკრავები (გვ. 200), ვკითხულობთ: „კავკასიაში ცხოვრობს ბევრი ხალხი, რომელთაც დღემდე შეინარჩუნეს თავისი ხალხური მუსიკის თავისებურება. მათ განეკუთვნებიან აფხაზები და აჭარლები, მათი მუსიკალური ფოლკლორის საფუძვლებია — აფხაზებთან გასწვრივი ფლეიტა აჭარპანის (აჭარლებთან — ჩაბან სალამურის) თანხლებით შესრულებული მწყემსური სიმღერები. აფხაზთა სხვა საკრავია სიმებიანი აფხარცა, გამოთლილი მთლიანი ხისაგან, რომელსაც თითისტარის ფორმა აქვს. სომხური ქიამანი ჰგავს აჭარულ სამსიმიან ართანუჯს. ორივე ხალხში გავრცელებულია ქართული ჩონგური (აფხაზებთან აჩანგურ) და დოლი“.

ამგვარად, ქართულ საკრავთაგან აქ წარმოდგენილია: ფანდური, ჩონგური, ჩანგი, ქამანჩა, ჭიანური, ჭუნირი, სანთური, ლარჭემი, ენიანი სალამური, უენო სალამური, დუდუკი, ზურნა, გუდასტვირი, დაირა, დიპლიპიტო, დოლი.

ახლა შევჩერდებით შენიშვნებზე, რაც ქართული ხალხური საკრავების შესახებ გვაქვს.

1. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ავტორი ლაპარაკობდა საბჭოთა კავშირის ხალხთა საკრავების მრავალფეროვნებაზე და აღნიშნავდა, რომ ამ მრავალრიცხოვანი საკრავების სისტემატიზაცია შესაძლებელია გეოგრაფიული პრინციპის მიხედვითო (სარეცენზიო წიგნი, გვ. 195), მაგრამ ამ პრინციპს თვით ავტორი არღვევს, როცა კავკასიას შუა აზიის გეოგრაფიულ რაიონში აქცევს.

2. წიგნის ავტორი (თუ მთარგმნელი) ქართველებს უწოდებს Grusinier-ს. გერმანულენოვან გამოცემებში უკანასკნელ ხანებში Georgien-სა და Grusien-ს (შესაბამისად, Georgier-სა და Grusinier-ს) თანაბარი უფლებით ხმარობენ. ქართულ პრესაში არაერთხელ აღნიშნულა Georgien ფორმის უპირატესობა[1] და ჩვენც უფრო მართებულად მიგვაჩნია მისი ხმარება.

3. აჭარლები აფხაზებთან ერთადაა განხილული, ერთმანეთის გვერდით, ავტონომიური რესპუბლიკების რუბრიკის ქვეშ. უმჯობესი იყო აჭარული საკრავებიც იქ განხილულიყო, სადაც ქართველებზეა საუბარი. ამ წიგნის მიხედვით საქმეში ჩაუხედავი მკითხველი აჭარლებს ქართველებად არ მიიჩნევს.

4. ავტორი თვით საკრავებსაც ყოველთვის არ წარმოგვიდგენს სწორედ:

ა) ჩანგის შესახებ წერია: „*ამ არფის მრავალ სხვადასხვა ტიპთაგან* (ხაზი ჩემია — მ. შ.) ყველაზე პოპულარულია ექვსსიმიანი სვანური ჩანგი“. გაუგებარია, ჩანგის რა ტიპები აქვს მხედველობაში წიგნის ავტორს. დღეს საქართველოს ხალხურ ყოფაში ჩანგის მხოლოდ ერთი ტიპია შემონახული სვანური ჩანგის სახით. გაუგებარია ტიპებში სხვადასხვა რაოდენობის მქონე სიმებიან ჩანგებს გულისხმობს თუ კონსტრუქციულად სრულყოფილ საკრავებს. თუ ამ უკანასკნელს გულისხმობს, მაშინ საჭირო იყო გათვალისწინება იმისა, რომ კონსტრუქციულად სრულყოფილი საკრავები ერთეულების სახით გამოიყენება თვითმოქმედ და ხალხური სიმღერის პროფესიულ ანსამბლებში. ესენი მოგვიანო ხანის შენაძენია და ხალხური ყოფისათვის არ არის დამახასიათებელი.

ბ) „ჭიანური“ და „ჭუნირი“ ქართული ხემიანი საკრავის ორ სხვადასხვა (პარალელურ) სახელწოდებას წარმოადგენს და არ აღნიშნავს ორ სხვადასხვა საკრავს, როგორც ეს ბუხნერს აქვს მითითებული.

გ) ავტორი ასახელებს საკრავებს, რომლებიც წინათ იყო პოპულარული და დღეს ნაკლებ გავრცელებულია, მაგრამ ამგვარ საკრავთა ავტორის მიერ წარმოდგენილი სია არასრულია. ასეთებადვეა მისაჩნევი ტექსტში დასახელებული საკრავები ქამანჩა, სანთური და დიპლიპიტო, რომლებიც ფაქტიურად შემოტანილი საკრავებია და ხალხური ყოფისათვის ნაკლებად დამახასიათებელი.

5. არასწორი და არაზუსტია წიგნში დასახელებული წყობები ფანდურისა და ჩონგურისა. დღეს გავრცელებულ ფანდურს აქვს ერთადერთი — სეკუნდურ-ტერციული წყობა, ბუხნერი კი ასახელებს ორს, რომელთაგან ერთი სწორია ($g_1$ $a_1$ $c_2$) და მეორე საერთოდ არ არსებობს, ხოლო ჩონგურს ახასიათებს წყობათა სიმრავლე (დღეს გამოიყენება სამი წყობა), წიგნში კი ერთადერთი წყობაა დასახელებული (კვარტსექტაკორდი გაორმაგებული კვინტით — არცაა მითითებული მაჟორული თუ მინორული) — რომელიც არც ჩონგურზე

---

[1] შ. რევიშვილი, ქართული ლიტერატურა მაიერის ჯიბის ლექსიკონში, გაზ. „თბილისი“, 1967, 17.XI, № 268, მ ი ს ი ვ ე, „გეორგიენ“ თუ „გრუზიენ“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1969, 4.IV, № 15 (1652); ნ. კაკაბაძე, ქართული ლიტერატურა მაიერის ლექსიკონში, გაზ. „კომუნისტი“, 1968, 18.VIII, № 193 (14189).

ეროვნული ბიბლიოთეკა

და არც სხვა სიმებიან საკრავზე არ დასტურდება.

6. საკრავთა ქართული სახელწოდებანი ყველგან არ არის ზუსტად აღნიშნული. ასე მაგალითად, daira-ს ნაცვლად წერია dojra (ალბათ რუს. дойра-ს გავლენით), Tschianuri-ს ნაცვლად Tschiamuri, „სვანური ჩანგის“ (swanische Tschangi) ნაცვლად swanska Tschangi.

7. დამაკმაყოფილებლად არ მიმაჩნია ფანდურის შესახებ მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ ეს საკრავი პროფესიული და თვითმოქმედი ანსამბლების ძირითადი ინსტრუმენტია. აქ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ამ საკრავის დიდი სიძველე და ხალხურ ყოფაში მისი ფართო გამოყენება.

აქვე უნდა მივუთითოთ, რომ ფანდურის პოპულარობის დასასაბუთებლად ავტორს მოყავს მცდარი ცნობა, თითქოს ხშირად სხვა საკრავებსაც კი ფანდურს უწოდებდნენ. პირიქით, თვით ფანდური საკრავიც კი სხვა სახელწოდებით გვხვდება (უკანასკნელ ხანებში), ხოლო სხვა საკრავებს ფანდურს არ უწოდებენ ქართველები.

8. ქართული საკრავების სანიმუშო ილუსტრაციად ავტორს გვ. 200-ზე მოაქვს სურათი — „ქართველი აშული გრიქოვი ლუტნია საზით“. ეს სურათი არ შეესაბამება ძირითადი ტექსტის შინაარსს. პირველ რიგში იმიტომ, რომ გრიქოვი არ არის ქართველი, მეორე იმიტომ, რომ საზი არ არის ქართული საკრავი (იგი აღმოსავლურია და საქართველოში ქალაქურ ყოფაში შემოინახა თავი, რის შესახებაც ტექსტში არაფერია ნათქვამი). მესამეც იმიტომ, რომ ტექსტში ჩამოთვლილ ქართულ საკრავთა შორის საზი არსად არ არის დასახელებული.

უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა საილუსტრაციოდ მოტანილიყო ქართული ეთნოგრაფიული ყოფისათვის დამახასიათებელი, ყველაზე პოპულარული ან ყველაზე განვითარებული საკრავი, როგორიც ფანდური ან ჩონგურია.

როგორც გამოყენებული ლიტერატურის სიიდან ჩანს ა. ბუხნერს თავისი შრომის ამ ნაწილში („ქართველები“) გამოუყენებია საბჭოთა კავშირის ხალხთა საკრავების ატლასი[2]. დაშვებულ შეცდომათა ერთი ნაწილის წყაროსაც „ატლასი“ წარმოადგენს. ასე მაგ., ა) „ატლასში“ აჭარა და აფხაზეთი ცალკეა გამოყოფილი, როგორც ავტონომიური რესპუბლიკები[3] (მაგრამ საქართველოს სსრ-ში შედის და შეცდომა ისე უხეშად არ გამოიყურება როგორც სარეცენზიო წიგნში). ბ) „არფის ტიპები“, რომელზედაც ბუხნერი ლაპარაკობს, აქედან მომდინარეობს. კერძოდ, „ატლასის“ საილუსტრაციო ტაბულებზე წარმოდგენილია ხალხური ჩანგიც და თამარაშვილის, ქურხულისა და ვაშაკიძის მიერ სრულყოფილი ჩანგები, რომლებიც ხალხურ ყოფაში არ გამოიყენება[4].

გ. ჭიანური და ჭუნირი ცალკეა აღწერილი ატლასში, მაგრამ ტაბულებიდან კარგად ჩანს მათი იგივეობა“[5], რაც სარეცენზიო წიგნის ავტორს არ გაუთვალისწინებია.

დ. „ატლასში“ მოცემულია ფანდურისა და ჩონგურის არაზუსტი წყობები, თუმცა ბუხნერი ყველა იქ მოტანილ წყობას არ ასახელებს[6].

ე. „ატლასშივეა“ ცნობა იმის შესახებ თითქოს „ფანდურს“ სხვა საკრავებსაც უწოდებდნენ (მაგ., ჩანგს)[8].

ცხადია, ასეთ მრავლისმომცველ, მასშტაბურ ნაშრომში მთელი სისრულით და დაწვრილებით ვერ იქნებოდა ასახული ქართული საკრავები, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი უზუსტობანი შეცდომაში შეიყვანს ზოგიერთ სპეციალისტსაც კი. მათი გასწორება და გათვალისწინება შემდგომი გამოცემისათვის აუცილებელია, რადგანაც ეს მაგიდის წიგნს წარმოადგენს საკრავთმცოდნეობით დაინტერესებულ პირთათვის.

**მანანა შილაკაძე**

---

[2] К. Вертков, Г. Благодатов, Э. Язовицкая, Атлас музыкальных инструментов народов СССР, М., 1963.

[3] იქვე, გვ. 98—100.

[4] იქვე, სურ. 462—467.

[5] იქვე, გვ. 97, სურ. 472—480.

[6] იქვე, გვ. 95, 96.

[7] იქვე, გვ. 95.

# ქრონიკა და ინფორმაცია

## ენგურის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე მუშაობის წინასწარი შედეგები

ენგურ-ერისწყლის ხეობაში დიდი ელექტროსადგურის — ენგურჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით იმთავითვე (1964 წ.) დაისვა მატერიალური კულტურის იმ ძეგლების შესწავლის საკითხი, რომელთაც მშენებლობის გამო განადგურება მოელოდათ.

ენგურისა და ერისწყლის ხეობებში არქეოლოგიური კვლევა-ძიების დაფინანსება დაგეგმა „თბილჰიდროპროექტმა“, ხოლო ხარჯები იკისრა ენგურჰესის დირექციამ. ამ ხეობებში არქეოლოგიური კვლევა-ძიება წარმართა ენგურის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ[1], რომელიც აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო ძალებით დაკომპლექტდა.

თავდაპირველად ენგურის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობა მიმდინარეობდა იმ მონაცემების საფუძველზე, რომლებიც წინა წლებში ჩატარებული არქეოლოგიური დაზვერვის შედეგად დაგროვდა. დაზვერვის დროს მიკვლეულ იქნა მანამდე სრულიად უცნობი 120-მდე არქეოლოგიური ძეგლი, რომლებიც მოქცეულნი არიან დიდ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში: ქვემო პალეოლითიდან მოყოლებული ფეოდალური ხანის ჩათვლით.

1964—1970 წლებში ენგურის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ფართო მასშტაბის სტაციონალური გათხრები აწარმოა სოფ. ლიაში, სოფ. ორჯონიკიძეში (ყოფილი საათაქიო ენწერი), სოფ. პალურში, სოფ. იეჩხო-ცხირში, სოფ. ფახულანში და ენგურჰესის მომავალი კაშხალის საყრდენი კედლის მშენებლობის ტერიტორიაზე[2].

ექსპედიციამ უძველეს ანუ აშელ-მუსტიეური ხანის ძეგლებს მიაკვლია და ნაწილობრივ შეისწავლა სოფლებში: იეჩხო-ცხირში, ცხირში, ჭალეში, ფახულანსა და ორჯონიკიძეში.

მიღებულ შედეგებს გარკვეული მეცნიერული მნიშვნელობა აქვს, როგორც წმინდა ისტორიული ისე გეოლოგიური თვალსაზრისით.

ფაქტიური მასალით დადასტურდა, რომ ამ 150—100 ათასი წლის წინათ ენგურ-ერისწყლის ქვემო წელზე საკმაოდ ხელსაყრელი ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები არსებობდა პირველყოფილი საზოგადოების ფართო განსახლებისა და მათი კანონზომიერი განვითარებისათვის.

ძველი ქვის ხანის ფინალური საფეხურის საინტერესო ძეგლი — საათაქიო ენწერი II შეისწავლა ექსპედიციამ სოფ. ორჯონიკიძეში. მიღებული შედეგების საფუძველზე პირველად დადგინდა კავკასიაში ღია ცის ქვეშ მოწყობილი საცხოვრისის სწორკუთხა გეგმა, გაირკვა იქ მობინადრე ჯგუფის სამეურნეო ხასიათი (ნადირობა) და მკაცრად დიფერენცირებული კაჟის იარაღების საშუალებით აშკარად გამოიკვეთა სქესთა შორის არსებული შრომის განაწილების ძირითადი ნიშნები.

მომდევნო ანუ ახალიქვის ხანის ძეგლი შესწავლილ იქნა სოფ. პალურში, ენგურის მარცხენა ნაპირის ერთ-ერთ ბორცვზე, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ჟირ სუკს“ უწოდებს (V ფენა). ამ საინტერესო ძეგლიდან მომდინარე კაჟის ნაწარმი თუ საოჯახო ყოფასა და სამეურნეო საქმიანობაზე მეტყველი ფაქტები, მთელი რიგი თავისებური ნიშნით ხასიათდება, რამაც უფლება მოგვცა დასავლეთ საქართველოს ერთი შეხედვით ერთფეროვან ნეოლითურ კულტურაში გამოგვეყო ახალი, ლოკალური კულტურულ-ეკონომიური არეალი.

---

[1] ენგურის არქეოლოგიურ ექსპედიციას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ: რ. აბრამიშვილი (1964—1965 წწ.), ა. აფაქიძე (1967 წ.), გ. გრიგოლია (1968—1970 წწ.). ექსპედიციის მუდმივი კონსულტანტი იყო პროფ. ა. აფაქიძე.

[2] ცალკეულ რაზმებს ხელმძღვანელობდნენ: თ. მიქელაძე, დ. მუსხელიშვილი, მ. ბარამიძე, რ. რამიშვილი. ნ. ოქროპირიძე, ალ. რამიშვილი, შ. ჩართოლანი, ლ. წითლანაძე, ჯ. ჯღამაია, ვ. ჯაფარიძე, გ. ლორთქიფანიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უშუალოდ კაშხალის მშენებლობის რაიონში ექსპედიციამ გათხარა მრავალფენიანი ძეგლი ე. წ. „ბაქსანიას გამოქვაბული“, რომლის ქვედა (III კულტურული) ფენა ძვ. წ. III ათასწლეულის პირველი ნახევრით თარიღდება. ამ ფენიდან მომდინარე მცირე, მაგრამ მეტყველი მასალა პირველ ხელშესახებ წყაროს წარმოადგენს მტკვარ-არაქსის კულტურისა და დასავლეთ საქართველოს შიდა რაიონების კავშირ-ურთიერთობის გზებისა და ხასიათების გარკვევისათვის.

„ბაქსანიას გამოქვაბულის“ II კულტურული ფენა უნიკალური ძეგლია — სპილენძ-ბრინჯაოს ხანის მეტალურგიისა და სამთო საქმის შესწავლისათვის. აქ აღმოჩენილი ლითონსადნობი, ორიგინალური კონსტრუქციის ქურის ნაშთი ჯერჯერობით ერთადერთია ჩვენში.

ხსენებული გამოქვაბულის 1 ფენის მასალების ხასიათი (მეგარული თასის ნატეხები, ძვლის მძივსაკიდი ადამიანის თავის სკულპტურული გამოსახულებებით), ხაიშისა და სვანეთის სხვა ანალოგიურ აღმოჩენებთან ერთად, გვაფიქრებინებს, რომ ენგურის ხეობაში გადიოდა ერთ-ერთი ძირითადი სავაჭრო ტრასა, რომელიც დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთის კავკასიის მთიანეთთან და ალბათ მის ჩრდილო რაიონებთანაც აკავშირებდა.

გვიანბრინჯაო-ადრერკინისა და ანტიკური ხანის ნამოსახლარები შეისწავლა ექსპედიციამ სოფ. პალურის „ყირსუკზე“ (IV—I ფენები) და სოფ. ლიის „დიდა ქირსას“ ბორცვზე. ამ უბნებზე ჩატარებულმა გათხრებმა გამოავლინა სწორკუთხა შენობათა რიყის ქვით ნაგები საძირკვლები, რომლებზეც წინასწარი ვარაუდით ჯარგვალის ტიპის შენობები უნდა მდგარიყო.

როგორც სოფ. ლიას სამოსახლო ბორცვის ჩრდილო-დასავლეთ ფერდობზე, ისე მის მეზობელ უბნებში „ჯოლორიას წყუოგილეს“ და ადგილ „ოყაჭეში“ არქეოლოგიურმა გათხრებმა გამოავლინა ანტიკური და ადრეფეოდალური ხანის რკინისა და შესაძლოა ფერადი მეტალურგიის (?) მძლავრი წარმოების ნაშთები. მოპოვებული მასალები ამჟამად ლაბორატორიულ შესწავლის პროცესშია და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მიღებული შედეგები გარკვეულ შუქს მოჰფენს მეტალურგიული წარმოების იმ საიდუმლოს, რამაც შორს გაუთქვა სახელი ქართველ ტომებს.

წლების მანძილზე (1964—1970 წწ.) ენგურის არქეოლოგიური ექსპედიციის შესწავლის ერთ-ერთი ძირითადი ობიექტი იყო სოფ. პალურში მიკვლეული „საძვლეს“ სახელით ცნობილი უნიკალური სამაროვანი. ძეგლი წარმოადგენს სწორკუთხა თიხატკეპნილ მოედანს, რომელიც სამი მხრიდან (გარდა სამხრეთისა) ნალისებური მოყვანილობის თხრილით არის შემოზღუდული. თხრილის გარეთა მხარეს როგორც დასავლეთიდან, ისე აღმოსავლეთიდან დამატებული აქვს კონგლომერატში ჩაჭრილი სწორკუთხა მოედნები. ეს მოედნები განკუთვნილია მიცვალებულთა ინდივიდუალური დაკრძალვისათვის, მაშინ როცა რიყის ქვით შევსილ ძირითად თხრილში დასტურდება მიცვალებულის მეორადი, კოლექტიური დაკრძალვა, ნაწილობრივი კრემაციით.

„საძვლედან“ მომდინარე საბრძოლო და სამეურნეო იარაღები (ბრინჯაოსა და რკინის შუბისპირები, ცულები, სატევრები, დანები, თოხები, სეგმენტები), მცირე ზომის კერამიკული ჭურჭლის (სასმისები, ქოთნები, ლანგრები) ნატეხები და მრავალრიცხოვანი სამკაულები (კისრის რკალები, ბალთები, საკიდები, სერდოლიკის, მინისა და ეგვიპტური წარმომავლობის შავი პასტის ინკრუსტირებული მძივები ძირითადად ძვ. წ. VII—V საუკუნეებით თარიღდებიან, თუმცა გამონაკლისის სახით გვხვდება უფრო ადრეული ნაწარმიც (გვიანბრინჯაო — ადრერკინა).

პალურის საძვლე ორიგინალურია თავისი აღნაგობით. აქ დადასტურებული დაკრძალვის წესი ფაქტიური დადასტურებაა იმ ბერძენ მწერალთა ცნობებისა, რომლებიც მიუთითებენ კოლხეთში მიცვალებულის ხეზე დაკრძალვის ტრადიციის არსებობაზე.

ასევე ძველი კოლხების სულიერ კულტურას უკავშირდება ექსპედიციის მიერ სოფ. ლიაში „დიდა ქირსას“ ფერდობებზე შესწავლილი რომაული და ადრეფეოდალური ხანის ორმოსამარხები და ერთი ნავისებური კერამიკული სარკოფაგი.

ადრეულ სამარხებში მიცვალებულები დაკრძალულნი არიან მოხრილად, სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ ორიენტირებით, ხოლო გვიან რომაულ და ადრე ფეოდალური ხანის მიცვალებულები წვანან გაშოტილნი, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ დამხრობით. მიცვალებულის დაკრძალვის წესში მომხდარი არსებითი ხასიათის ასეთი ცვლილებები კოლხეთში ქრისტიანული რელიგიის გავრცელებას უნდა მიეწეროს.

სამარხეული ინვენტარი ძირითადად წარმოდგენილია კერამიკული ნაწარმით (ხელადა, კოჭობი, ჰინჭილა, ჯამი და სხვ.), რკინის იარაღ-საჭურველით (სატევარი, მახვილი, შუბისპი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი; დანა, მუჯირი, ჯაჭვის პერანგი), სამკაულით (მშვილდ-საკინძები, აბზინდები, საკინძები, მძივები, ვერცხლის საყურე), ვერცხლის მონეტებითა და სხვა.

სოფ. ლიაში გათხრილი სამარხები მართალია არ გამოირჩევა ინვენტარის სიუხვითა და მრავალფეროვნებით, მაგრამ დასავლეთ საქართველოს გვიანანტიკური სამარხეული კულტურის დღევანდელი შესწავლილობის დონეზე, მისი მეცნიერული ღირებულება ძალზე დიდია.

დასასრულს, ექსპედიციის შესწავლის კიდევ ერთ საინტერესო ობიექტს შეადგენს „დიდა ქირსას“ ნამოსახლარი ბორცვის თხემზე გამოვლენილი გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანის აფსიდაშემაღლებული ტაძრის ნაშთი და სამი ოთხკუთხა კოშკითა და თხრილებით გამაგრებული ციხე-სიმაგრე.

როგორც ჩანს, ლიას ციხე საიმედო ჩამკეტი უნდა ყოფილიყო ადრეფეოდალურ ხანაში, აფხაზეთიდან სამეგრელო-იმერეთის გავლით იბერიაში გარდამავალი ერთ-ერთი ძირითადი გზისა.

ენგურის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გათხრების პარალელურად ჩაატარა გასვლითი საძიებო სამუშაოები ენგურჰესის მშენებლობის სხვა უბნებზე. სადაც მიაკვლია ქვის ხანის სადგომებს, გვიანბრინჯაოსა და რკინის ხანის ნასახლარებს, რკინის წარმოების ნაშთებს და სხვ. მიკვლეული ძეგლებიდან განსაკუთრებით პერსპექტიული ჩანს სოფ. რეყეს ნამოსახლარი ბორცვი „კურკუცა“, სოფ. გუდავას დიუნები (აღმოჩნდა ბრინჯაოს ზოდების განძი). მდ. ოქუმისა და მდ. ერისწყლის შესართავთან მდებარე ნამოსახლარი ბორცვები, სოფ. ფახულანის ფეოდალური ხანის ციხე და სხვ.

როგორც ზემოთ დავინახეთ, ენგურის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ წლების მანძილზე ფართო მასშტაბის გათხრები და საძიებო სამუშაოები ჩაატარა ენგურჰესის მშენებლობისა და მის მომიჯნავე უბნებზე, რის შედეგადაც გამოვლინდა და გაითხარა მრავალი სხვადასხვა ხასიათისა და ასაკის პირველხარისხოვანი ძეგლი. მოპოვებული მასალების შესწავლის შედეგებს დიდი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს კოლხეთის უძველესი ისტორიის მთელი რიგი საკითხების გასაშუქებლად.

გურამ გრიგოლია

## საერთაშორისო კონგრესი აგრიკულტურის საკითხებზე

მიმდინარე წლის აპრილში ბუდაპეშტში მოეწყო აგრიკულტურის საკითხებისადმი მიძღვნილი III საერთაშორისო კონგრესი. ამ ღონისძიებას მასპინძლობდა უნგრეთის სამიწათმოქმედო კულტურის სახელმწიფო მუზეუმი, რომელიც ამავე დროს თავისი არსებობის 75 წლისთავის იუბილეს აღნიშნავდა.

ზემოხსენებულ ცენტრალურ პრობლემას, რომელსაც კონგრესი მიეძღვნა, განსხვავებით წინათ ჩატარებული მსგავსი კონგრესებისაგან, ჰქონდა მრავალი, მათ შორის ახალი საკვლევაძიებო ასპექტი.

აგრიკულტურის ტრადიციული საკითხების გვერდით, როგორიცაა აგრიკულტურული მუზეუმმცოდნეობა, სამიწათმოქმედო იარაღების განვითარება, ცხოველების მოშინაურება და ისტორია, არქეობოტანიკა და სხვ. წარმოდგენილი იყო ახალი მრავალფეროვანი თემატიკა, მიძღვნილი ტრადიციული აგრიკულტურის ტრანსფორმაციის, ახალი სამიწათმოქმედო რეგიონალური ერთეულების წარმოქმნის, მიწათმოქმედებაში სიახლეთა დანერგვის (ე. წ. ინოვაცია), სოციალური და ეკონომიური განვითარების სპეციფიკის და სხვა საკითხებისადმი, რომლებსაც თეორიულთან ერთად პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ.

ეს კონგრესი იმითაც იყო საყურადღებო, რომ მან მთავარი ადგილი დაუთმო ძირეული პრობლემის ფართო საკვლევი ასპექტების ერთობლივ განხილვას; კონგრესზე წარმოდგენილი იყო მეცნიერების სხვადასხვა დარგის — ისტორიის, ეკონომიკის, სოციოლოგიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, გეოგრაფიის, ბოტანიკისა და სხვ. სფეროებში წარმოებული კვლევის შედეგები სამიწათმოქმედო კულტურის წარსულისა და აწმყოს შესწავლის საქმეში.

კონგრესზე ბევრი დღემდე ცნობილი ეთნო-კულტურული, კულტურულ-ისტორიული თუ სოციალურ-ეკონომიური პრობლემა ახლებურად დაისვა და გაშუქდა. დავასახელებთ მხოლოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგიერთს. სიახლე იყო, მაგალითად, ე. წ. „ნეოლითური რევოლუციის“ მაგიერ „ენეოლითური რევოლუციის“ ცნების მეცნიერულ ხმარებაში შემოტანის ცდა, რაც სპეციალური კვლევის უახლესი შედეგებით საბუთდება, მთური მეურნეობის — მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის გამოცხადება ცნობილი სპეციფიკის გამო საერთოდ სეზონურ მეურნეობად და მისი კვლევის მეთოდიკის შესაბამისად დაზუსტება, XIX საუკუნის მანქანური მიწათმოქმედების დანერგვის პროცესის შესწავლის საჭიროება პროდუქციის რაციონალურ რეგიონალიზაციასთან მიმართებაში; განსხვავებული აგრარული ლანდშაფტების რეგიონალური კვლევის მიზანშეწონილობა. განსაკუთრებით მწვავედ დაისვა მიწათმოქმედებაში და საერთოდ სასოფლო-მეურნეობაში „ტრადიციულობის“ გაგების საკითხი. უარყოფილ იქნა მცდარი შეხედულება, რომელიც ყოველივე ტრადიციულის სინონიმად „პრიმიტიულს“ აცხადებს. ამასთანავე დაკავშირებით იქნა განხილული თანამედროვე მეცნიერების ერთ-ერთი ძნელად გადასაჭრელი პრობლემა ძველისა (ტრადიციულისა) და ახლის ურთიერთობისა.

კონგრესის ორგანიზატორთა პირადი მიწვევით ამ ფორუმზე საქართველოდან წარმოდგენილი იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომლების ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ მიხეილ გეგეშიძისა და აკაკი კაცაძის მოხსენებები. მ. გეგეშიძის მოხსენებაში „სარწყავი მიწათმოქმედების გეოგრაფიული და კულტურულ-ისტორიული თავისებურებანი მთიან ქვეყნებში“ გაშუქებულია სამთო ირიგაციის, ანუ როგორც მას „მცირე ირიგაციასაც“ უწოდებენ, ბუნებრივ-სამეურნეო, ისტორიული და ტექნიკური სპეციფიკის კონკრეტული და ზოგადი საკითხები. თანამედროვე სამიწათმოქმედო პრაქტიკას უკავშირდება ა. კაცაძის მოხსენება „მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციული მიგრაციები და ახალი ეკონომიური რეგიონების წარმოქმნა“, რომელიც განაზოგადებს ჩვენს რესპუბლიკაში ამ მიმართულებით წარმოებული კონკრეტულ-სოციოლოგიური კვლევის შედეგებს.

ახლახან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკამ უნგრეთიდან მიიღო აღნიშნული კონგრესის პროგრამა და მასალები, გამოცემული ცალკე წიგნად. მოხსენებათა ვრცელი ანოტაციები დაბეჭდილია ევროპულ ენებზე, მათ შორისაა მ. გეგეშიძისა და ა. კაცაძის მოხსენებები გერმანულ ენაზე.

აკაკი კაცაძე
ელგუჯა ქვათაძე

## „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ I და V ტომების განხილვა

1971 წლის 28 მაისს, 1 და 2 ივნისს ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში შედგა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ 1970 წელს გამოქვეყნებული I და V ტომების საჯარო განხილვა.

განხილვა შესავალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის დირექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. მელიქიშვილმა. მან აღნიშნა, კერძოდ, რომ თვით ის გარემოება, რომ ჩვენი ისტორიკოსების კოლექტივი წარმატებით მუშაობს საქართველოს ისტორიის რვატომეულის შედგენაზე, ქართული საისტორიო მეცნიერების დიდი მოწიფულობის ნიშანია. რა თქმა უნდა, „ნარკვევების“ შემდგენელი კოლექტივის წინაშე ბევრი სიძნელე იდგა — საქართველოს ისტორიის ყველა მნიშვნელოვანი საკითხი როდია ერთგვარად დამუშავებული, ზოგი მათგანი უკეთ, ზოგი ჯერ კიდევ ნაკლებად არის შესწავლილი. ბევრია სადავო, საკამათო საკითხები. ბუნებრივია, ყველაფერი ეს თავის კვალს დაამჩნევდა რვატომეულს. დიდი სიძნელეები იყო ცალკეულ ტომებზე მომუშავე კოლექტივების წინაშე აგრეთვე მასალის უნიფიკაციის, გაერთგვაროვნების თვალსაზრისით. არსებულ პირობებში სარედაქციო კოლეგიას შესაძლებლად მიაჩნდა, რომ ცალკეულ ავტორებს გაეტარებინათ წიგნში ამა თუ იმ სადავო საკითხზე თავისი საკუთარი თვალსაზრისი, რომელსაც შეიძლება ყველა მკვლევარი არ ეთანხმებოდეს, მაგრამ ეს არ უნდა წარმოადგენდეს დიდ ცოდვას; მრავალტომეულის შემქმნელებს სულაც არ აქვთ პრეტენზია, რომ ყველაფერი, რაც წიგნშია ნათქვამი, კანონიზირებულ თვალსაზრისად იქცეს. ისინი „ნარკვევებს“ უყურებენ არა მარტო როგორც წარსული მუშაობის შეჯამებას, არამედ აგრეთვე როგორც ერთგვარ ამოსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალს ბევრ საკითხზე კვლევა-ძიების შემდგომი გაშლისათვის. მომავალი კვლევა, უეჭველია, ბევრ რამეს დააზუსტებს, ბევრს ახალს იტყვის არაერთი საკითხის ირგვლივ. გ. მელიქიშვილმა ხაზი გაუსვა განხილვის დიდ მნიშვნელობას, რამდენადაც ავტორთა კოლექტივი ვარაუდობს დაიწყოს მუშაობა „ნარკვევების" რუსული გამოცემის მოსამზადებლად და მასზე მუშაობის პროცესში მადლობის გრძნობით გაითვალისწინებს ყველა საქმიან შენიშვნას.

განხილვაში „ნარკვევების" პირველ ტომთან დაკავშირებით შენიშვნები წარმოადგინეს: ტრ. რუხაძემ, დ. თუშაბრამიშვილმა, თ. მიქელაძემ, რ. აბრამიშვილმა, ო. ლორთქიფანიძემ, ნ. ლომოურმა, დ. მუსხელიშვილმა, ლ. ჭილაშვილმა, ალ. ჯავახიშვილმა, ი. გოზალიშვილმა და გ. ცქიტიშვილმა, ხოლო მეხუთე ტომთან დაკავშირებით: ზ. ანჩაბაძემ, გრ. ბრეგაძემ, ა. კიკვიძემ. ზ. შველიძემ, დ. გოგოლაძემ, გრ. ჩხიკვაძემ, ი. მირცხულავამ და ვლ. სიჭინავამ.

საპასუხო სიტყვებით განხილვაზე გამოვიდნენ 1 ტომის ავტორები: გ. მელიქიშვილი, ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, ო. ჯაფარიძე, დ. ხახუტაიშვილი და ტ. ჩუბინიშვილი, აგრეთვე V ტომის ავტორები: ი. ანთელავა და მ. გაფრინდაშვილი. ნაწილობრივ „ნარკვევებში" მოტანილი მასალით, ნაწილობრივ კი ახალი მონაცემების მოშველიებით, ისინი მეტწილად იცავდნენ წიგნში გატარებულ დებულებებს და არასაკმარისად მიიჩნიეს მოკამათეთა განსხვავებული თვალსაზრისის საბუთიანობა. ამავე დროს, მათ გაიზიარეს ცალკეული სასარგებლო შენიშვნები.

განხილვა შეაჯამა გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ მ ა. მან აღნიშნა, რომ „ნარკვევების" გამოქვეყნებული ტომების გარშემო გაშლილმა დისკუსიამ გარკვეული შედეგი მოგვცა. მან კიდევ ერთხელ გაამახვილა ჩვენი ისტორიკოსების ყურადღება საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის ისტორიის სადავო, ჯერ კიდევ გადაუჭრელ საკითხებზე და ობიექტურად არ შეიძლება ხელი არ შეუწყოს ასეთ პრობლემებზე მუშაობის შემდგომ გაშლას. აზრთა გაზიარებამ ცხადჰყო, რომ ასეთი საკითხების რიგს, პირველ ყოვლისა, ეკუთვნის: ქართველთა ეთნოგენეზის საკითხი, რიგი არქეოლოგიური კულტურების და, საერთოდ, ჩვენში მოპოვებული არქეოლოგიური მასალების განსაზღვრისა და ინტერპრეტაციის საკითხები, XIX საუკუნეში საქართველოს ეკონომიური განვითარების დონისა და ხასიათის პრობლემა, ამავე ხანის სხვადასხვა იდეურ-პოლიტიკურ მიმდინარეობათა ბუნების საკითხი და სხვ. მეორე საყურადღებო შედეგი დისკუსიისა არის ის, რომ „ნარკვევების" I და V ტომების ავტორთა კოლექტივმა მიიღო არაერთი მართებული შენიშვნა, რაც მას დაეხმარება ტექსტის სრულყოფაში, მრავალტომეულის რუსული ვარიანტის მომზადებისას. დაბოლოს, დისკუსიამ გაამახვილა ყურადღება საერთოდ ჩვენი მუშაობის ზოგიერთ ნაკლზე და ამითაც თავისი როლი შეასრულა. მაგრამ განხილვას, გ. მელიქიშვილის აზრით, ნაკლიც ჰქონდა. ეს ნაკლი მდგომარეობდა, უპირველეს ყოვლისა იმაში, რომ ზოგიერთმა მოკამათემ აშკარად გააზვიადა ავტორთა კოლექტივის ცალკეული ნაკლოვანებანი, გადაჭარბებით შეაფასა საკუთარი შენიშვნების მნიშვნელობა და საკმაოდ ნაჩქარევი დასკვნები გამოიტანა „ნარკვევების" შესახებ. განხილვის ნაკლი იყო, ისიც, რომ „ნარკვევები" თითქმის არავის შეუფასებია იმ მხრივ თუ როგორ, რაგვარად, რამდენად ხელმისაწვდომი სახით აწვდის იგი მასალას მშობლიური ქვეყნის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრეს. ამ მხრივ შეფასებისას კი უეჭველად აღინიშნებოდა, რომ ორსავე განსახილველ ტომში ბევრი ნაკვეთი საგანგებოდ კარგად, გამართულად არის დაწერილი.

დასასრულს გ. მელიქიშვილმა განაცხადა: განხილვები და დისკუსიები ჩვენში არცთუ ისე იშვიათად სხვადასხვა არაჯანსაღი ექსცესების ასპარეზი ხდება. დინჯი, ამხანაგური, კეთილგანწყობილი კრიტიკის ნაცვლად ზოგჯერ ადგილი აქვს უსიამოვნო აყიოტაჟს, უპრინციპო გამოხდომებს და ა. შ. ამისი მიზეზი პირველად ყოვლისა არის, როგორც ჩანს ჩვენი მეცნიერული კულტურის არც თუ მაღალი დონე და სპეციალისტთა წრეში აქა-იქ არსებული არაჯანსაღი ურთიერთობა. მხოლოდ ყველა ამ მხრივ მდგომარეობის გაუმჯობესების შემდეგ ჩვენი განხილვები უფრო უკეთ და მაღალ დონეზე ჩატარდება. ამრიგად, ახლანდელი განხილვა გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა არამარტო განხილული წიგნების მიმართ. ეს წიგნები, — თქვა გ. მელიქიშვილმა, — მიუხედავად არაერთი ნაკლისა, რაც მათ შეიძლება ჰქონდეთ, საერთოდ ჩემი ღრმა რწმენით, დადებით შეფასებას იმსახურებენ, მნიშვნელოვან და სასარგებლო შენაძენს წარმოადგენენ ჩვენი მეცნიერებისათვის. განხილვა, როგორც უკვე ითქვა, სასარგებლო იყო იმითაც, რომ ყურადღება გაამახვილა ჩვენი საქმიანობის ბევრ სხვა ნაკლზე.

# ისტორიული თარიღები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დიდგორის ბრძოლა

XI საუკუნის 60-იანი წლებისათვის ქართულმა სახელმწიფომ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია როგორც შინაური, ისე გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ერთიან ქართულ სახელმწიფოს შემოუერთდა კახეთი და ჰერეთი, საქართველოს სამეფო ხელისუფლებას დაუქვემდებარდა თბილისის საამირო, საქართველოს სახელმწიფოს ლაშქარი წარმატებით იბრძოდა ანაკოფიისა და ხუფათისათვის, რათა ბიზანტიის იმპერიისთვის ფეხი ამოეკვეთა შავი ზღვის ქართული სანაპიროს ჩრდილო და სამხრეთი პუნქტებიდან.

ბაღვაშთა და აბაზას-ძეთა სახლების დათრგუნვამ საგრძნობლად განამტკიცა საქართველოს მეფის ბაგრატ IV-ის (1027—1072) მდგომარეობა ქვეყნის შიგნით.

ბიზანტიის იმპერია იძულებული შეიქნა ეცნო საქართველოს მეფის გაზრდილი ხელისუფლება, ბაგრატ IV-ისათვის უმაღლესი პატივი, სევასტოსისა და კესაროსის ტიტულები მიენიჭებინა და ხელი აეღო საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევის ცდებზე.

და სწორედ იმ დროს, როდესაც ჩვენში ბრძოლა ქვეყნის დამშლელ და გამაერთიანებელ ძალებს შორის პროგრესული ძალების უპირატესობით წარიმართა, საქართველოს საზღვრებს ახალი მტერი, სელჩუკიან თურქთა ურდოები მოადგა.

თავდაპირველად ქართული სახელმწიფო ენერგიულ წინააღმდეგობას უწევდა თურქებს. ქართველი ხალხი თავგანწირვით იცავდა მშობლიურ მიწა-წყალს; მეფე ბაგრატ IV-მ, მიუხედავად სულთნის არაერთგზისი მოთხოვნისა, არ დააკისრა თავის ქვეყანას თურქთა ხარკი. მაგრამ მდგომარეობა თანდათან სელჩუკიანთა სასარგებლოდ იცვლებოდა.

ბიზანტიის იმპერია დამარცხდა სელჩუკიანებთან ბრძოლაში. საქართველოს მეზობელი რან-შარვანი და სომხეთი თურქებმა დაიკავეს, იმპერიამ დაცალა თავისი აღმოსავლეთი პროვინციები; საქართველო მარტო აღმოჩნდა ძლიერი და უაღრესად აგრესიულად განწყობილი მტრის პირისპირ.

ჰერეთ-კახეთი ჩამოშორდა ერთიან საქართველოს, თბილისის საამიროც დაკარგა საქართველოს მეფემ, დაიწყო თურქთა ურდოების ჩამოსახლება საქართველოს მიწა-წყალზე.

ქვეყნის საგარეო მდგომარეობის გართულებით შინაურმა მტრებმაც ისარგებლეს, დაიწყო დიდგვაროვან ფეოდალთა განდგომა, მტრის მხარეზე გადასვლა. მეფე გიორგი II-მ (1072—1089), ვერც ფეოდალთა ურჩობა ალაგმა და ვერც შემოსეულ მტერს გაუმკლავდა. განსაკუთრებით დამძიმდა მდგომარეობა XI ს-ის 80-იანი წლებისათვის, როდესაც დაიწყო თურქთა დიდი ურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოების მასიური ჩამოსახლება, ე. წ. „დიდი თურქობა“. რადგან სხვა გზა არ ჩანდა, მეფე გიორგი II ეახლა სულთან მალიქ-შაჰს და ყოველწლიური ხარკი შესთავაზა, რის საფასურად ის საქართველოდან სელჩუკიანთა ურდოების გაყვანას თხოულობდა. მიღწეული შეთანხმებით, საქართველო კი იხდიდა ხარკს, მაგრამ თურქთა ურდოები გასვლას არც ფიქრობდნენ და ყოველწლიურად მათი ახალ-ახალი ტალღები მოდიოდა საქართველოში. ქართველი ისტორიკოსის სიტყვით, თურქნი „მოეფინენ პირსა ყოვლისა ქუეყანისასა, ვითარცა მკალნი“. ისეთი შთაბეჭდილება იყო, რომ რაც ქვეყანაზე თურქობაა, ყველა საქართველოში ჩამოსახლდა.

ჩამოსახლებული თურქები ჩეხდნენ ბაღ-ვენახებს და სამიწათმოქმედოდვარგის მთელ მიწა-წყალს თავისი ჯოგების საძოვრებად აქცევდნენ. ჩვენი ქვეყანა მძიმე განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა: ქართულ მრავალსაუკუნოვან განვითარებულ სოფლის მეურნეობას, მებაღეობა-მევენახეობა-მემინდვრეობას მეჯოგური მესაქონლეობით შეცვლის საფრთხე ემუქრებოდა, ქართველ ხალხს ფიზიკური გადაშენება-გადაგვარება ელოდა, ქართულ სახელმწიფოებრიობას — თურქულით შეცვლა. კახეთ-ჰერეთი, ქვემო ქართლი, ტაო-ბასიანი თურქებმა დაიკავეს. შიდა ქართლი დაიცალა მოსახლეობისაგან. ხალხი ან მომხდურ მტერს შეაწყდა ან მთებსა და მიუვალ ადგილებში გახიზნულიყო. მოსახლეობისაგან დაცლილ შიდა ქართლში ნადირი მომრავლებულიყო და ქართული სახელმწიფოებრიობისა და კულტურის ეს კერა სანადირო ადგილად ქცეულიყო. ქვეყანა განადგურების პირს იყო მისული.

მეფე გიორგი II-მ ვერ შეძლო ძალთა მობილიზება ჩამოსახლებულ მტერთან საბრძოლველად. პროგრესულად განწყობილმა ფეოდალურმა დაჯგუფებამ სასახლის გადატრიალება მოაწყო და 1089 წ. ჯერ კიდევ ახალგაზრდა გიორგიმ გვირგვინი თავის 16 წლის ვაჟს დაუთმო.

მეფე დავით IV-ს (1089—1125), რომელსაც იმ დიდ საქმეთათვის, რაც მას ერისა და ქვეყნის წინაშე მიუძღვის, მადლიერმა შთამომავლობამ აღმაშენებელი უწოდა, წილად მძიმე მემკვიდრეობა ხვდა. საქართველოს მეფის ხელისუფლება ფაქტიურად ლიხის ქედს გადმოღმა არ ვრცელდებოდა, მოსახლეობა აყრილ-გადასახლებული იყო, მეურნეობა მოშლილი. მსხვილ ფეოდალთა უმეტესობა არ სცნობდა მეფის ერთპიროვნულ ძალაუფლებას, საქართველოს ლაშქარი დაშლილი და დეზორგანიზებული იყო.

მეფე დავითის წინაშე ორი მთავარი ამოცანა იდგა: ქვეყნის შინაგანი მდგომარეობის მოწესრიგება და ჩამოსახლებულ თურქთა განდევნა. სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალიზაციის მიზნით დავითმა მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარა. თავისი საქმიანობა მან ქვეყნის შიგნით მეფის ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლით დაიწყო. დაიმორჩილა და განდევნა საქართველოდან უძლიერესი ფეოდალი ლიპარიტ ბაღვაში, კლდეკარის საერისთავო მოშალა და ბაღვაშთა სამფლობელო მეფის მიწებს შემოუერთა, ხელში ჩაიგდო მეამბოხე ფეოდალი ძაგანი, რომელსაც მისი ძმა, ეპისკოპოსი მოდისტოსი უჭერდა მხარს. ასეთი გადამწყვეტი ზომები სამაგალითო აღმოჩნდა სხვათათვის. ასევე ენერგიულად შეუტია მეფემ ეკლესიას, ამ უძლიერეს ფეოდალურ ორგანიზაციას და მთელი რიგი ღონისძიებების შედეგად ეკლესია მთლიანად სამეფო ხელისუფლებას დაუმორჩილა. ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მეფის ძალაუფლების განმტკიცებისა და ხელისუფლების ცენტრალიზაციისათვის. ამავე მიზნით სახელმწიფო მმართველობის აპარატი მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფე დავითმა უწყებრივ პრინციპზე მოაწყო და უმნიშვნელოვანესი უწყებები (სამხედრო, საშინაო, საფინანსო) უშუალოდ სამეფო კანცელარიას დაუქვემდებარა; შექმნა საგანგებო მეთვალყურეთა, ე. წ. მსტოვართა ინსტიტუტი. მეფეს მსტოვრები ჰყავდა დიდ ფეოდალთა კარზე, ეკლესია-მონასტრებში, საკუთარ და მტრის ლაშქარში, მოაწესრიგა სასამართლოს წარმოების საქმე, მოახდინა ლაშქრის რეორგანიზაცია...

ლაშქრის ორგანიზაციის დროს დავითმა გაითვალისწინა თავისი მთავარი მოწინააღმდეგის, სელჩუკიან-თურქთა ლაშქრის სტრუქტურა და საკუთარი ქვეყნის შესაძლებლობანი.

ხანგრძლივი დროის მანძილზე მიღებული მძიმე დამარცხებების, სამეფო ხელისუფლების დასუსტების შედეგად ქართული ლაშქარი ფაქტიურად დაშლილი იყო. დავითმა, წერს მისი ისტორიკოსი, „განამრავლნა სპანი“. მეფემ შემოიკრიბა თავის გარშემო ერთგული მოლაშქრენი, რომელთაგან შექმნა მუდმივად მეფესთან მყოფი პირადი 5 000-იანი გვარდია, ე. წ. „მონა-სპა“. საერისთაოებიდან გამოყვანილი ფეოდალური ლაშქარი, რომელსაც მეფის მიერ გატარებულ ღონისძიებათა შედეგად უკვე ცენტრალურ ხელისუფლებაზე დამოკიდებული ერთგული მოხელეები განაგებდნენ, ერთგულად იდგა სამეფო დროშის ქვეშ. საჭიროების შემთხვევაში ხდებოდა სამხედრო რაზმების დაქირავება, უმთავრესად ჩრდილო კავკასიიდან გადმოჰყავდათ ოსთა ე. წ. „როქის სპა“. მეფე დავითი თვით წვრთნიდა და აიარაღებდა თავის მოლაშქრეებს.

ბრძოლა თურქების წინააღმდეგ საქართველოს მეფემ წვრილი თარეშებით დაიწყო. პირველ რიგში შიდა ქართლს შეუტია და მათ აქ დაზამთრების საშუალება მოუსპო.

XI ს-ის დასასრულისათვის მახლობელ აღმოსავლეთში საერთაშორისო ვითარება თანდათან საქართველოს სასარგებლოდ იცვლებოდა. დაიწყო დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს დაშლისა და მისი სიძლიერის დაცემის ხანა. ამავე დროს სელჩუკებს შემოუტიეს ევროპელმა ჯვაროსნებმა. საქართველოს მეფე კარგად იცნობდა მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკურ ვითარებას, როგორც ვარაუდობენ, მას ჯვაროსნებთანაც უნდა ჰქონოდა ურთიერთობა. მართალია, ჯვაროსანთა შემოჭრა ანატოლიაში არ ნიშნავდა აღმოსავლეთში სელჩუკთა ძალის შესუსტებას, საქართველოში ისეთი დიდი რაოდენობით იყო შემოსული თურქული ურდოები და ლაშქარი, რომ ჯვაროსანთა საომარი წარმატებები მის რეალურ მდგომარეობას დიდად ვერ ამსუბუქებდა, მაგრამ რადგან თურქთა მთავარი ყურადღება ახლა მაინც დასავლეთისაკენ იყო მიმართული, მათ წინააღმდეგ ბრძოლა უფრო შესაძლებელი გახდა. როგორც ჩანს, თავის მხრივ, ევროპელი ჯვაროსნებიც დიდ იმედებს ამყარებდნენ საქართველოს ქრისტიან მეფესა და მის ლაშქარზე.

ქვეყნის საშინაო საქმეების მოგვარებასთან ერთად, საქართველოს მეფე თურქებსაც უტევდა. 1095 წელს საქართველოს მეფემ სელჩუკიან-თურქთა სულთანს ხარაჯა შეუწყვიტა, რაც დიპლომატიურ ენაზე ომის გამოცხადებას ნიშნავდა, მაგრამ სულთანი იძულებული იყო ეს გამოწვევა უპასუხოდ დაეტოვებინა. ხალხმა დიდი შეღავათი მიიღო. შეწყდა სათურქო ხარკის აკრეფა. შიდა ქართლში მდგომარეობის მოწესრიგების შემდეგ დავითი იწყებს ბრძოლას კახეთისათვის. 1103 წ. დავით მეფემ აიღო ზედაზნის ციხე, ხოლო 1104 წ. „ერწუხს ქმნნა წყობანი დიდნი და ჴმა-გასმენილი იგი დიდი ძლევა“ და ჰერეთი და კახეთი ერთიან ქართულ სამეფოს შემოუერთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიწყო თურქთა წინააღმდეგ ერთიანი ფრონტით შეტევა. 1110 წ. აღებულ იქნა ციხე-სიმაგრე სამშვილდე, 1115 წ. — რუსთავი, 1116 წ. გადარეკეს ტაოს ჩამომსხდარი თურქები, ხოლო 1117 წელს საქართველოს შემოუერთდა მისი უკიდურესი სამხრეთ-აღმოსავლეთი პუნქტი, ციხე-სიმაგრე გიში; 1118 წ. ქართველებმა დაიკავეს ლორე. თურქთა წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლების პარალელურად საქართველოს მეფე ჩრდილოეთის საზღვრის გამაგრებაზეც ზრუნავდა, დაიმორჩილა ოსნი და ჩაკეტა დარიალის კარი.

ქართული მიწა-წყალი თითქმის მთლიანად გაიწმინდა თურქთაგან. მაგრამ მტრის ხელში იყო თბილისი და ზოგი სხვა პუნქტიც, (მაგ., დმანისი). ამასთანავე, საქართველოს უშიშროების უზრუნველსაყოფად აუცილებელი იყო კავკასიის მისადგომების, რან-შარვანისა და სომხეთის განთავისუფლება თურქთაგან. თურქთაგან წართმეული ქართული მიწა-წყალი დაცვას საჭიროებდა, დაკავებული ციხე-სიმაგრეები — მეციხოვნე ლაშქარს. გამუდმებული მოლაშქრეობა ზიანს აყენებდა ქვეყნის ეკონომიკას, სოფელს მოწყვეტილი და მუდამ ლაშქრობაში მყოფი მეურნე დოვლათს ვერ ქმნიდა. ქვეყნის ლაშქარი შევსებას მოითხოვდა. ეს დიდად საჭირო და ძნელი საქმე დავით აღმაშენებელმა ჩრდილო კავკასიიდან 40 000 ყივჩაღი ოჯახის საქართველოში ჩამოსახლებით მოაგვარა. ყივჩაღები კარგად იყვნენ ცნობილი იმდროინდელ მახლობელ აღმოსავლეთში თავისი მაღალი საბრძოლო თვისებებით. მომთაბარულ ცხოვრებას მიჩვეული ყივჩაღები დიდი მოთხოვნილებისა არ იყვნენ და პირად ცხოვრებაში მცირედით კმაყოფილდებოდნენ. ჩრდილოეთიდან მათ ამ დროს კიევის გაძლიერებული სახელმწიფო ავიწროვებდა და სამხრეთ რუსეთის სტეპებიდან ერეკებოდა. დავითმა კარგად გაითვალისწინა ყოველივე ეს, და თავის სიმამრს, ყივჩაყთა ერთ-ერთი ტომის მეთაურს, ათრაქა შარაღანის ძეს, თავისი ურდოთი საქართველოში ჩამოსახლება შესთავაზა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში დასახლებულ ყივჩაყებს დავითმა მიწის ნაკვეთები გამოუყო, საქონლისათვის საძოვრები მიუჩინა და ყოველ ოჯახს თითო შეიარაღებული მოლაშქრის გამოყვანა დაავალა. მაღალ კულტურულ წრეში მოქცეული ყივჩაღები მალე გაქრისტიანდნენ, შეითვისეს ქართული ენა, გაქართველდნენ. სახელმწიფო სამხედრო ძალა მთლიანად მეფეზე დამოკიდებული, მაღალი საბრძოლო თვისებების მქონე 40 000 ცხენოსანი მეომრით შეივსო. ამიერიდან საქართველოს მეფეს 60 ათასი მუდმივი მოლაშქრე ჰყავდა, რომელთაგან 20 ათასი ქართველი, ხოლო 40 ათასი ყივჩაყი იყო.

გატარებული ღონისძიებებით საქართველოს მეფემ სახელმწიფოს მმართველობის ცენტრალიზაცია განახორციელა და თვითმპყრობელი მეფე გახდა.

დავით მეფეს დიდი გეგმები ჰქონდა. 1120 წელს მან ბრძოლის ასპარეზი საქართველოს ფარგლებს გარეთ გაიტანა და დაიწყო თურქებზე ფართო ფრონტით შეტევა. 1120 წელს საქართველოს ლაშქარმა „აიღო შარვანს ქალაქი ყაბალა“, შემდეგ, მაისის თვეში, ისევ ჩავიდა შარვანს, მოარბია იქაურობა და „სავსენი ალაფითა მოვიდეს ქართლს“. შარვანზე შეტევა გრძელდებოდა. „თუესა ნოემბერსა, — წერს დავითის ისტორიკოსი, — წარვიდა მეფე აშორნიას, დაესხა თურქმანთა, მოსრნა და იავარყვნა, და წარმოიღო ნატყუენავი ურიცხჳ. ჩამოვლო მგზავრ, დაესხა სევგელამეჯს თურქმანთავე და არა დაუტევა მოტირალი კარავთა მათთა“. დავითის ისტორიკოსის შენიშვნით, ყოველივე ეს მან ერთ წელიწადში მოიმოქმედა. 1121 წ. ხუნანს და ბარდავს ილაშქრა. დავითი თურქებს საქართველოდან და მისი მოსაზღვრე ქვეყნები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან ერეკებოდა. ამავე დროს საქართველოს მეფე უტევდა საქართველოსა და ამიერკავკასიის ქალაქებს. ქალაქების დამორჩილება მისი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ქვაკუთხედი იყო. თბილისი კი ჯერ არ იყო შემოერთებული საქართველოს სამეფოსთან. თბილისის მაჰმადიანური ხელისუფლება, რომელიც ამ დროს ნახევარსაუკუნოვან თვითმმართველობის ხანას ითვლიდა, ცდილობდა თავის დაცვას საქართველოს თვითმპყრობელი მეფის ძალაუფლებისაგან და დასახმარებლად მეზობელ მმართველებს მიმართავდა. მაგრამ თბილისმა ვერ შეძლო თავის დაცვა და ქალაქმა საქართველოს მეფის მფარველობა მიიღო, რაც გამოიხატა საქართველოს მეფის მიერ აქ თავისი მოხელის და 10 მხედრის გამოგზავნაში. ამასთანავე ქალაქმა თავისი დამოუკიდებლობა ყოველწლიური ხარკით (10 000 დინარი) იყიდა. შექმნილი მდგომარეობა არც ერთ მხარეს არ აკმაყოფილებდა. თბილისის დაპყრობა საქართველოს სამეფოს გადაუდებელ საქმეს წარმოადგენდა. თბილისთან ერთად დავითი ავიწროებდა დმანისს და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებსაც.

საქართველოს მეფის გაზრდილი ხელისუფლება ხელყოფდა სელჩუკთა ინტერესებს, ერეკებოდა მათ ამიერკავკასიიდან და ამავე დროს ავიწროვებდა დამოუკიდებელ ქალაქებს. ამ გარემოებამ ეს ორი ძალა დააკავშირა ერთმანეთთან და გააერთიანა საქართველოს მეფის წინააღმდეგ. დავითის ისტორიკოსის სიტყვით, „ამათ ესევითართა ჭირთაგან შეიწრებულნი თურქმანნი და კუალად ვაჭარნი განძელ-ტფილელ-დმანელნი წარვიდეს სულტანსა წინაშე... და ესრეთ მიუთხრნეს ყოველნი ჭირნი, მოწევნულნი მათ ზედა".

კავკასიელ თურქმანთა და მოქალაქეთა ელჩობა იმ დროს მივიდა სულთანთან, როდესაც თურქთა მდგომარეობა მახლობელ აღმოსავლეთში შედარებით გამოსწორდა. თავდაპირველი დამარცხების შემდეგ სელჩუკებმა შეძლეს თავისი ძალების თანდათანი კონსოლიდაცია და XII ს-ის 10-იანი წლების დასასრულისათვის ახალი ძალით შეუტიეს ჯვაროსნებს. ახლა მათ ისევ მიაპყრეს ყურადღება კავკასიას და იქ შერყეული პოზიციების აღდგენაზე დაიწყეს ფიქრი.

საქართველოს გაძლიერება ხელიდან აცლიდა სელჩუკებს არა მხოლოდ საქართველოს, ეჭვქვეშ აყენებდა საერთოდ მათ ბატონობას მახლობელ აღმოსავლეთში, სადაც ამ დროს ორი ძალა დაუპირისპირდა ერთმანეთს. პროგრესის გზით მიმავალი, ძველი სამეურნეო-კულტურული ტრადიციების მქონე საქართველო და ნახევრად პატრიარქალური სელჩუკური სახელმწიფო თავის მეჯოგური მეურნეობით და ჩამორჩენილი ყოფით. ეს ორი სისტემა ერთმანეთის გამომრიცხველი იყო. სელჩუკებისათვის აუცილებელი იყო საქართველოს დამარცხება, რათა განეგრძოთ შეტევა დასავლეთის მიმართულებით. საქართველოსათვის თავის სიძლიერის განმტკიცების, თავის კულტურისა და მეურნეობის დაცვისათვის აუცილებელი იყო თურქების განდევნა ამიერკავკასიიდან.

სულთანთან მისულ ელჩებს თავისი მიზნებისათვის ხელსაყრელი ვითარება დახვდათ. ერაყის სულთანი მაჰმუდ მოჰამედის ძე (1118—1131) დიდი ყურადღებით მოეკიდა ელჩების თხოვნას და კოალიციური ლაშქრობის თადარიგს შეუდგა. სულთანმა მოუწოდა აღმოსავლეთის ყველა მაჰმადიან მფლობელს საქართველოზე გასალაშქრებლად. საქართველოსკენ დაიძრნენ სახელგანთქმული სარდალი, ბაღდადის, მერე მაიაფარიკინის გამგებელი, სულთნის მიერ გაერთიანებული ლაშქრის სარდლად დანიშნული ნეჯმ ად-დინ ილ-ღა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზი, „არაბეთის მეფე“ დუბეიზ სადაყას ძე, სულთნის ძმა თოღრილ მოჰამედის ძე და მისი მეურვე — განძის ათაბაგი, თურქი ამირი თუღან არსლან „კუზიანი“, სომხეთის მაჰმადიანი ამირები. უკანასკნელ ხანს, ზოგი აღმოსავლური წყაროს გავლენით, სამეცნიერო ლიტერატურაში ეჭვი იქნა გამოთქმული ამ ლაშქრობაში თოღრილისა და თუღან არსლანის მონაწილეობის გამო, მაგრამ ეჭვები თითქოს არ უნდა დასტურდებოდეს. ყოველ შემთხვევაში, წყაროები მხარს უჭერენ საქართველოში მრავალრიცხოვანი გაერთიანებული (600, 400, 300-ათასიანი) ლაშქრის მოსვლას.

ქართველ-სელჩუკთა ამ შერკინებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი იმდროინდელი მახლობელი აღმოსავლეთისა და, გარკვეული თვალსაზრისით, ევროპის ისტორიისათვისაც და ამით აიხსნება ის დიდი ინტერესი, რომელსაც მის მიმართ იჩენენ თანამედროვე თუ მომდევნო ხნის ისტორიკოსები. ქართული საისტორიო წყაროების გარდა, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაში დაცული ცნობები, დიდგორის ბრძოლას და მასთან დაკავშირებულ მოვლენებს ვრცლად აშუქებენ XII—XIII სს. სომეხი ისტორიკოსები მათე ურჰაეცი, სამუელ ანეცი,ვარდან დიდი, სტეფანოზ ორბელიანი და სხვანი. მნიშვნელოვანი ცნობებია ამ ბრძოლის შესახებ XII—XIII სს არაბულ წყაროებში (იბნ ალ-აზრაკ ალ-ფარიკი, იბნ ალ-ასირი, სიბტ იბნ ალ-ჯაუზი და სხვ.). დიდ ინტერესს იწვევს ჯვაროსანთა ბრძოლების მონაწილის, ანტიოქიის სამთავროს კანცლერის გოტიეს და ზოგ სხვა ევროპელ ავტორთა ცნობები.

მტერი დაიძრა არზრუმ-კარის, დვინის, განძის მხრიდან და მანგლის-დიდგორის სანახებში განლაგდა.

მათე ურჰაეცისა და გოტიეს ცნობებით, მტრის ჯარის რაოდენობა 600 ათასამდე აღწევდა· რაც არ უნდა გაზვიადებული იყოს ეს ცნობები, მაჰმადიანთა მრავალათასიანი ლაშქრის შემოსვლა საქართველოს მიწა-წყალზე ეჭვს არ ბადებს.

მეფე დავითი მტერს კარგად მომზადებული დახვდა. მან დაახლოებით 60 ათასი მეომარი გამოიყვანა. ლაშქრის ძირითად ნაწილს, 40 000 ქართველი მოლაშქრე, „სამეფო სპის“ ნაწილები შეადგენდნენ. ამ ბრძოლაში 15 ათასი ყივჩაყი მონაწილეობდა. ბრძოლაში მონაწილეობდა აგრეთვე დაქირავებული ოსთა რაზმი და ასი თუ ორასი ჯვაროსანი ანუ ე. წ. „ფრანგი“. ლაშქრის შემადგენლობა ძალიან კარგად იყო მოფიქრებული. საქართველოს დიდი გასაჭირი ადგა და სამშობლო ქართველებს უნდა დაეცვათ. არ იყო შემთხვევითი არც ჯვაროსნების მონაწილეობა დიდგორის ბრძოლაში. გარდა იმისა, რომ ჯვაროსნებს სელჩუკებთან ბრძოლის დიდი გამოცდილება ჰქონდათ ამ ბრძოლის შედეგი მათთვისაც დიდმნიშვნელოვანი იყო და ეს ფაქტი აშკარად მიუთითებდა საქართველოს სამეფოს კავშირ-ურთიერთობას ევროპელ ჯვაროსნებთან.

დავითმა ლაშქარი ნიჩბისის ხევით მოიყვანა და ორ ხევს შუა დაბანაკდა. უკან დასახევი გზა ჩახერგა და მთის გადაღმა ლაშქრის ნაწილი დააყენა უფლისწულ დემეტრეს სარდლობით. თვითონ ლაშქრის ძირითადი ნაწილით, მტრის მთავარი დარტყმის მისაღებად მოემზადა.

ბრძოლის წინ მან მეომრებს გამამხნევებელი სიტყვით მიმართა და სამშობლოს დასაცავად მოუწოდა. ამასთანავე გააფრთხილა, რომ უკან დასახევი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზა მოჭრილია და მათი ხვედრია ან გამარჯვება ან სიკვდილი. დავით აღმაშენებელს ძალიან კარგად ესმოდა ამ ბრძოლის მნიშვნელობაც და სიძნელეც, და ის ყოველგვარ ზომებს იღებდა გამარჯვების მოსაპოვებლად.

1121 წლის 12 აგვისტოს დიდგორის ველზე დიდი ისტორიული ბრძოლა გაიმართა. ბრძოლის დაწყების წინ ქართველთა ლაშქარს ორასამდე მეომარი გამოეყო და მტრის ბანაკისაკენ გაემართა. სელჩუკთა მოსატყუებლად გამოყენებულმა ამ ხერხმა გასჭრა. მტერს ეს მოღალატეთა რაზმი ეგონა და თავის ბანაკში შეუშვა, მათ კი ბრძოლის ყიჟინა დასცეს, რამაც მტრის ბანაკში დიდი არეულობა გამოიწვია. ამ დროს ძირითადი ძალა გადავიდა შეტევაზე. ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს, დიდგორის ბრძოლის ბედი სამ საათში გადაწყდა. დავით აღმაშენებლის დიდი მხედართმთავრული ნიჭი, ქართველი ხალხის თავდადება, სამშობლოს დაცვა-გადარჩენის უსაზღვრო სურვილი ამ გამარჯვების საწინდარი იყო.

მტრის ლაშქარი დამარცხდა. და იოტა დაღუპულთა რაოდენობას მათე ურჰაეცი და გოტიე 400 ათასამდე ანგარიშობენ. რაგინდ გადაჭარბებული არ უნდა იყოს ეს რიცხვი, მაინც ნიშანდობლივია, რომ დავითის ისტორიკოსი, ალ-ფარიკი, იბნ ალ-ასირი და სხვა ისტორიკოსები ერთხმად ლაპარაკობენ დახოცილთა ძალიან დიდ რაოდენობაზე. დიდი იყო ტყვეთა რიცხვი.

დიდგორის ველზე დაეცნენ „სახელოვანნი იგი მებრძოლნი არაბეთისანი“, ტყვედ ჩაცვივდნენ მათი სარდლები და მთავრები. ქართველებმა დიდი სიმდიდრე იგდეს ხელთ. ამ გამარჯვების აღსანიშნავად დავითმა გელათის მონასტერს დუბეიზ სადაყას ძის კისრიდან მოგლეჯილი, ძვირფასი თვლებით შემკული ოქროს მანიაკი შესწირა.

დავითმა დამარცხებულ მტერს ფეხდაფეხ სდია და ჩვენი ქვეყნის საზღვრებიდან გადარეკა, რათა მათთვის ძალების შეკრებისა და კონტრიერიშის საშუალება მოესპო.

დიდგორის გამარჯვებას უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა ფეოდალური საქართველოსათვის.

გაიხსნა გზა თბილისისაკენ.

ამ გამარჯვებამ საერთაშორისო მასშტაბით დაადასტურა, რომ საქართველოს სახით მახლობელ აღმოსავლეთში ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფო არსებობდა, რომელიც წარმატებით ახორციელებდა კავკასიის გაწმენდას ჩამორჩენილ თურქთა ბატონობისაგან.

თურქთა უღელქვეშ მყოფ კავკასიის ქრისტიან ხალხებს მაჰმადიანთა მძლავრებისაგან განთავისუფლების იმედი გაუჩნდათ. დიდგორმა გადაწყვიტა ძირითადად შარვანისა და სომხეთის საკითხი.

მადლიერი ქართველი ხალხი დიდის პატივისცემითა და მოწიწებით ინახავს დიდგორის გმირის, დიდი ქართველი მხედართმთავრისა და სახელმწიფო მოღვაწის, დავით აღმაშენებლის ხსოვნას და სიამაყის გრძნობით აღნიშნავს ამ სახელოვანი ბრძოლის 850 წლის თავს.

**მარიამ ლორთქიფანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დავით კაპანაძე

ქართულმა საბჭოთა ისტორიულმა მეცნიერებამ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა— ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილების ხელმძღვანელი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დავით გიორგის ძე კაპანაძე.



დავით კაპანაძე დაიბადა 1898 წელს ქ. თბილისში, რკინიგზელის ოჯახში. მან სწავლა დაიწყო თბილისის გიმნაზიაში; ხოლო ოჯახის ქ. გორში გადასვლასთან დაკავშირებით სწავლა განაგრძო გორის გიმნაზიაში. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ დ. კაპანაძემ, სხვადასხვა მიზეზების გამო, ვერ შეძლო სწავლის გაგრძელება და იძულებული გახდა მუშაობა დაეწყო. დ. კაპანაძე ბავშვობიდანვე მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე გატაცებული იყო ძველი მონეტებით. თავდაპირველად იგი მხოლოდ როგორც მოყვარული ისე აგროვებდა მონეტებს, შემდეგ კი მათი საფუძვლიანი შესწავლაც დაიწყო. ამისათვის იგი არ იშურებდა ძალასა და ენერგიას.

20-იან წლებში დ. კაპანაძემ მჭიდრო შემოქმედებითი და სამეცნიერო კავშირი დაამყარა მაშინ უკვე ცნობილ მეცნიერ-ნუმიზმატთან პროფ. ე. პახომოვთან, რომელსაც ყოველთვის თვლიდა თავის მასწავლებლად, თუმცა ხშირად არ ეთანხმებოდა მას ქართული ნუმიზმატიკის საკითხებში.

დ. კაპანაძის ცხოვრებაში დიდი როლი ითამაშა ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა და საზოგადო მოღვაწემ აკად. ი. ჯავახიშვილმა, რომელმაც 1937 წ. მიიწვია იგი მუზეუმში სამუშაოდ — ჯერ ხელშეკრულებით, შემდეგ კი, 1939 წლიდან — მუდმივ თანამშრომლად. ეს ის დრო იყო, როდესაც საქართველოში გამოჩნდა ისტორიკოსთა ახალი თაობა და დაიწყო არქეოლოგიური მეცნიერების ინტენსიური განვითარება.

1937 წლიდან დ. კაპანაძე სისტემატურად მონაწილეობს ისეთი ძეგლების არქეოლოგიურ გათხრებში როგორიცაა მცხეთა, დმანისი, გეგუთი, გუდარეხი და სხვა.

თუმცა დ. გ. კაპანაძის სახელი უპირველეს ყოვლისა დაკავშირებულია უძველეს ქართულ მონეტებთან, რომლებიც იმდენად მდიდარ და საინტერესო მასალას წარმოადგენენ, რომ მათი შესწავლა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დაიწყეს: მ. ბროსემ, მ. ბარათაშვილმა, ი. ბართოლომეიმ, ვ. ლანგლუამ და შემდეგ ე. პახომოვმა.

დ. გ. კაპანაძის სახელთან არის დაკავშირებული ქართული ნუმიზმატიკის შესწავლის ახალი გადამწყვეტი ეტაპი. დ. კაპანაძემ აღმოაჩინა ბევრი ახალი, ადრე უცნობი ქართული მონეტა; დაადგინა ქართული წარმომავლობა მთელი რიგი მონეტებისა, რომელთაც ადრე სხვა ხალხებს მიაწერდნენ, შეიტანა მნიშვნელოვანი დაზუსტებანი ქართული მონეტების დათარიღებასა და განსაზღვრებაში.

დ. გ. კაპანაძის მუშაობა ცალკეულ მონეტებსა და მონეტთა ჯგუფებზე აისახა მთელ რიგ სტატიებში (იხ. მისი შრომების სია), რომლებიც გამოქვეყნებულია ქართულ, საკავშირო და საზღვარგარეთის ჟურნალებში.

ფართო ნუმიზმატიკურმა დიაპაზონმა საშუალება მისცა დ. გ. კაპანაძეს განეზოგადებინა თავისი მუშაობის შედეგები ქართული ნუმიზმატიკის სფეროში და შეემუშავებინა ქართული მონეტების მწყობრი ისტორიული კლასიფიკაცია. მისი წიგნი „ქართული ნუმიზმატიკა“, რომელიც სრულად მოიცავს საქართველოს მთელ მდიდარ ნუმიზმატიკურ მემკვიდრეობას, რამოდენიმეჯერ გამოიცა. ნუმიზმატიკის განვითა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებაში დ. კაპანაძის დიდი მეცნიერული დამსახურების გამო სსრკ უმაღლესი საატესტაციო კომისიის პრეზიდიუმმა 1948 წელს მას უფლება დართო უმაღლესი სასწავლებლის (დიპლომის გარეშე დაეცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1957 წელს კი დ. კაპანაძემ წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაციაც.

გარდა წმინდა სამეცნიერო მიღწევებისა დ. კაპანაძეს დიდი დამსახურება მიუძღვის საქართველოს მუზეუმის უმდიდრესი ნუმიზმატიკური კოლექციის შექმნაში, მონეტების განსაზღვრასა, სისტემატიზაციასა და დაცვაში. გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ დ. კაპანაძის მეშვეობით საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი ამჟამად ფლობს, ქართული მონეტების მსოფლიოში უმდიდრეს და საუკეთესო კოლექციას.

1948 წლიდან დ. კაპანაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციების კურსს ნუმიზმატიკაში. იგი დიდ მუშაობას ეწეოდა, რათა აღეზარდა ახალგაზრდა ნუმიზმატთა კადრები, როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ.

ბევრი რამ გაუკეთებია დ. კაპანაძეს ნუმიზმატიკის, როგორც მეცნიერების პოპულარიზაციისათვის, იგი საზოგადოება „ცოდნის“ აქტიური წევრი იყო, ხშირად იღებდნენ მისგან ინტერვიუს გაზეთები და ჟურნალები, გამოდიოდა რადიოთი და ტელევიზიით. სისტემატურად უწევდა კონსულტაციებს ე. წ. მოყვარულ ნუმიზმატებსა და საერთოდ მონეტებით დაინტერესებულ პიროვნებებს. დ. კაპანაძე ოცნებობდა შეექმნა ფილმი ძველ მონეტებზე.

სიცოცხლის უკანასკნელი დღეები დ. კაპანაძემ მიუძღვნა ე. პახომოვის წიგნის „საქართველოს მონეტების“ გამოცემას; რომელიც, არსებითად, ე. პახომოვის ფუძემდებლური ნაშრომის პირველი სრული გამოცემაა.

აღნიშნულ ნაშრომზე დ. კაპანაძემ, როგორც რედაქტორმა და კომენტატორმა უდიდესი მუშაობა ჩაატარა. პირვანდელ ტექსტში შეიტანა ე. პახომოვის მოგვიანო ხანის შენიშვნები და მინაწერები, და გამოცემას დაურთო თავის კომენტარები, რომლებშიც სხვათაშორის აღნუსხულია ე. პახომოვის წიგნის დაწერის შემდეგ მოპოვებული ნუმიზმატიკური ფაქტები.

დ. გ. კაპანაძის მოღვაწეობა ღირსეულად იყო დაფასებული, 1967 წელს მას მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება; დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის“ ორდენითა და მედლებით.

ყველაფერს რასაც დ. კაპანაძე ხელს ჰკიდებდა აკეთებდა საქმის დიდი სიყვარულით და გატაცებით. ძნელია მიეჩვიოს კაცი იმ აზრს, რომ ჩვენს შორის აღარ არის ეს ენერგიული, ყურადღებიანი და საინტერესო ადამიანი. დ. გ. კაპანაძის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მის მრავალრიცხოვან მოწაფეებს, კოლეგებსა და თანამშრომლებს შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

БИБЛИОТЕКА

რ ე დ ა ქ ც ი ი ს  მ ი ს ა მ ა რ თ ი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, № 19
ტელეფონი 37-24-07 телефон

ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.11.72; შეკვ. № 2026; ანაწყობის ზომა 7×11 1/2;
ქაღალდის ზომა 7×108 1/16; ნაბეჭდი თაბახი 18,2; სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 16,11; უე 00923; ტირაჟი 1500.
ფასი 1 მან.

*

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

*

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ფასი 1 მან.		Индекс 76 197

ეროვნული
ბიბლიოთეკა